[illegible]

# [illegible]



ჩემს ძვირფას [illegible], [illegible] [illegible] [illegible]
[illegible], [illegible] [illegible], [illegible]
[illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible]

1933 წ. 14 [illegible]

თბილისი

გ. [illegible]

შოთა ნიშნიანიძე

([illegible] ნიშნიანიძე. [illegible] [illegible] [illegible])

გ. [illegible]

სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

# ჩვენი გლეხ-კაცობა და ახალი სამართალი

(რამდენიმე შენიშვნა).

როდესაც ჩვენი შინაური ლიბერალები ჩამოსთვლიან უკანასკნელ რეფორმებს და დაიწყებენ სჯას იმ ცვლილებებზედ, რომელნიც მოხდენ ჩვენ ცხოვრებაში, იმათ აღტაცებას ზომა აღარა აქვს, იმათ სიხარულმა დასასრული არ იცის. «განათლება წინ წავიდა, ზნეობა გაუმჯობესდა, ცხოვრება გადაიქცა სამოთხეთ„ და სხ. და სხ. — ლაღადებენ ჩვენი ახალი წესების მადიდებელნი და თაყვანის მცემელნი. ხშირათ ისმის აღტაცებით ბაასი და საქვეყნოთ «თაყვანის მცემლობა» უკანასკნელი რეფორმებისა, იშვიათათ კი თვალ-ყურს ადევნებენ და აფიქრდებიან იმ შედეგებს და ცვლილებას, რომელნიც ნამდვილათ უკანასკნელ რეფორმებისაგან წარმოსდგნენ. ამ თვალ-ყურის დევნა და დაფიქრება დაშორებით უფრო საჭიროა, ვიდრემდისინ უკანასკნელი რეფორმების გაზეპირება და მათი თაყვანის ცემა, საჭიროა, მაგრამ ბევრს საჭიროთ კი არ მიაჩნია. ჩვენ ლიბერალებს პირზედ სულ „რეფორმა“ აკერიათ. რა არის რეფორმა, როდის არის ის სასარგებლო ხალხის ცხოვრებისათვის, როდისთვის არის რეფორმა კარგი, თუ არა — ამაზედ არ ფიქრობენ, არ უნდათ დააკვირდნენ და შეიტყონ, რომ ზოგიერთი რეფორმა, რაც უნდა კარგი შინაარსისა იყოს, სადახს ზარალის მეტს არას მოუტანს. უწინარეთ რამე ავიწყდებათ: რეფორმა,

ახალი წეს-დებულება ცხოვრებისა, მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი და სასარგებლო, როდესაც გონივრულათ აჩნდება ცხოვრებაში, როდესაც მის «ნიადაგი» ხალხის საჭიროებას აკმაყოფილებს, იმის (ხალხის) გულითადს მოთხოვნილებას ასრულებს, გონებით, ზნეობით ხალხის ცხოვრებას ამშვენიერებს, ხალხს გულში უნერგავს კეთილ-შობილურ იდეალებს, ღტოლვას... თუ რეფორმა ასეთი უნდა იყოს და ამ ნაირი შედეგები უნდა მოიტანოს იმან, მაშ ძრიელ კარგი იქნება, თუ უკანასკნელი რეფორმების „თაყვანის-ცემას“ თავს დავანებებთ... მე აქ ყველა რეფორმებს არ შევეხები. მე მიზნათ მაქვს — ვაჩვენო მკითხველს, რომ ახალმა „მშვიდობითი მოსარიგებელ“ სამართალმა, რომელსაც რეფორმათა დასში უმთავრესი ადგილი უჭირავს, არ დაიმსახურა ის «თაყვანის-ცემა», როგორიც ჩვენ შინაურ ლიბერალების შორის, არ მისცა ხალხს ის ნაყოფი, რომელსაც იმისგან მოელოდნენ.

ყველამ კარგათ იცის — თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამართალს, მართლ-მსაჯულებას ხალხის ცხოვრებაში. ისტორია მოგვითხრობს, რომ, როდესაც ხალხს ხმა ამოუღია და მოუწადნია თავისი ცხოვრების გაუმჯობესობა, «სამართლის და კანონის» განკუთვნებისათვის დიდი ყურადღება მიუქცევია. უმეტესი ნაწილი გონებით მუშაობისა, „დედა ძარღვი ტვინისა“ რომაელებმა სამართალს მოანდომეს და ისეთი გულ-მოდგინებით და ალტაცებით შეიმუშავეს სამართლის ცოდნა, „იურისპრუდენცია“, რომ ეს ეხლაც საკვირველათ მიაჩნიათ მოწინავე ხალხთა. ჩვენ ვიცით, რომ ძველი ბერძნებიც ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ სამართალს და კანონს. რომელ ხალხშიც კი გონებითი მოძრაობა ყოფილა, იქ სამართლის შესწავლას, იმის გაუმჯობესობას ყურადღება არ მოჰკლებია. რა არის ამის მიზეზი?

მიზეზი ის არის, რომ სამართალი დიდი ზნეობითი ძალაა და დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ძალას. ხალხის უბედურობა და ბედნიერება, მისი აწმყო და მომავალი ამ ძალაზე არის დამყარებული. მართალია, ბევრს დასცინიან სამართალს, მართალია, ხშირათ ისმის სიტყვები, რომელნიც ერთმა მჭერ-მეტყველ ნასწავლმა წარმოსთქვა: «რაც ქვეყანა დაარსდა, სამართალს კაცობრიობისათვის ერთი ჭეშმარიტება არ მოუმატებია», ბევრჯერ საზიზღრათ მიაჩნიათ «ზოგიერთებს» სამართალზედ ბაასი და სხვა, მაგრამ ამითი სამართალს არა აკლდება რა. ის არა მცირდება. უმეტეს ნაწილათ, უმეცრებს იურიდიული ფორმალიზმი და სამართალი ერთი ჰგონიათ და, როდესაც შეიტყობენ, რომ რომაელების სამართალმა ევროპას დაუტოვა «იურიდიული კლიაუზები», მაშინვე მოჰყვებიან ერთ-ხმით სამართლის განკიცხვას. არა! სამართალი ხალხის ცხოვრების საჭიროებიდგან წარმოსდგა და რაც ხალხის ცხოვრებისათვის საჭიროა, ის ყოველთვის ღირსია ხალხის ყურადღებისა. უმანკო და გაურყვნელ ხალხის გონებას და გულს ყოველთვის უყვარებია სამართალი და ყოველთვის საზიზღრათ ჩაუთვლია «იურიდიული კლიაუზნიკები». ამისათვის, როდესაც ხალხს სურვებია თავის დაცვა, მაშინ დიდი ასოებით დაუწერია: „ჩემი ადათი და სამართალი!“ თუ გსურთ ხალხის ზნეობითი აღზრდა, თუ გნებავთ, რომ ხალხმა სისხლათ და ხორცათ გარდაიქციოს სიყვარული თანასწორობისა მიეცით იმას ისეთი სამართალი, რომელიც ხალხის გემოვნებას ეთანხმება. იმის საჭიროებას აკმაყოფილებს, ისეთი სამართალი, რომელიც ნამდვილათ ხალხს სურს და არა თქვენა.

სამწუხაროთ, სამართლის თავ-გადასავალი ხშირათ ბნელი და შავი ყოფილა. ხშირათ დაუმახინჯებიათ სამართალი, გამო-

უცვლიათ იმასი მიზანი და დანიშნულება. ეხლაც ვპოვებთ ამ გვარ მოვლინებას. — ეხლაც სამართალს პოლიტიკურ ხასიათს აძლევენ, ეხლაც ფიქრობენ და სურთ, რომ სამართალი ხალხის ზნეობითის და სხვა გვარ საჭიროებას კი არა, სხვა რაღაც «პოლიტიკურ სისტემას» უნდა ემსახურებოდეს. ამ გვარ დამახინჯებამ სამართალს მოკვეთა ფრთები როგორც ჩვენში, ისე სხვაგან და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ ხალხი შინაურ ლიბერალებს არ ეთანხმება... სამწუხაროთ, არა თუ მარტო ჩვენში, სხვა თავისუფალ სახელმწიფოებშიაც კი სცდილობენ სამართალს «პოლიტიკურ-პარტიული» მიმართულება მისცენ.

აიღეთ საფრანგეთის რესპუბლიკა...

სწორეთ, რომ სამართლის თავ-გადასავალი შავი და ბნელი ყოფილა. როდესაც რომელსამე ხალხის ხელმძღვანელს და პატრონს პირადი სარგებლობა სდომნია და იმისთვის შეუწირავს თავის ცხოვრება და სიცოცხლე, როდესაც ამ გვარ პატრონს თავის ნება ხალხის კანონათ გაუხდია, მაშინ ამ მამაც ხალხის სამართლისათვის მიუშურებია, ეს სამართალი სავაჭრო ნივთათ გადაუქცევია და ამ გვარათ გაურყვნია «საზოგადობრივი სინიდისი». მაგალითები ბევრია. აქ მარტო ერთს მაგალითს მოვიყვანთ. ყველამ იცის განსვენებული ნაპოლეონ მესამის ყოფა-ცხოვრება, ყველამ იცის თუ რა ნაირი პატრონი იყო ის თავის ხალხისა", მაგრამ, იქნება, ყველამ არ იცოდეს ის ფაქტი, რომ განსვენებულმა ხალხის სამართალი ვაჭრობათ გახადა, მსაჯულნი — ემისიონრებათ და ამით რა ბოლო და შედეგი მოუმზადა ხალხს, — დავინახეთ. ნაპოლეონ მესამის დროს მოსამართლენი სამართლის მაგივრათ თავიანთ პატრონის სურვილს, იმისი «პოლიტიკური პლანის» ასრულებას ემსახურებოდნენ; მათ რასაც უბძანებდნენ პარიჟიდგან, ის უმალვე

პროვინციაში სრულდებოდა, მოსამართლენი იყვნენ ისეთივე აგენტები ნაპოლეონისა, როგორიც, მაგ., პარიჟის რომელიმე ბანკირის აგენტები პარიჟის გარეთ—მარსელში, ლიონში. ნაპოლეონი ელტოდა თავის «პოლიტიკურ პლანის» და სისტემის შესრულებას; რაც გამოადგებოდა ამ მიზნისთვის ის ყველაფერს უხვათ და დაურიდებლათ ხმარობდა; იცოდა სამართალი გამოადგებოდა და სამართალი გარყვნა. ხალხის სინიდისი სავაჭრო ნივთათ გადააქცია, მსაჯულნი ვაჭრებათ და კამისიონერებათ. დაბრმავებული და ზნეობით დაცემული ხალხის ხელმძღვანელობა და დროებით დამონავება ადვილი იყო და ადვილათაც შეასრულა ნაპოლეონმა ეს საქმე. შეასრულა, მაგრამ, ბოლო კი ცუდი ჰქონდა... აიღეთ, თუ გინდათ, სამართალი ნაპოლეონ მესამის წინათ, ფილიპე-ეგალიტეს დროს. მაშინაც ყველგან ვაჭრობა სინიდისის და სამართლისა. მაშინაც „პოლიტიკური პლანის“ წინ დამონავება სამართლისა — აი რა სურათს ვხედავთ. ამ ნაირ სამართლის დამახინჯებას უკან მოჰყვა თებერვლის რევოლიუცია.

იქნება, მკითხველმა იფიქროს, რომ ნაპოლეონს და ფილიპე-ეგალიტეს სისტემის დამარცხებას ჩვენ მარტო სამართლის დამახინჯებას ვაბრალებთ. არა. ჩვენ ვიცით, რომ სხვა მიზეზებიც იყვნენ. ჩვენ მხოლოდ ის უნდა დაგვემტკიცებინა, რომ ხალხის სამართალი «პოლიტიკურ პლანს» და სისტემას არ უნდა ემსახურებოდეს, სამართალი უნდა იყოს ხალხისთვის და არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს რომელიმე «პოლიტიკურ პლანთან», ამ პლანის შესრულების სახსრათ და საშუალებათ არ უნდა გახდეს. შეიძლება დროებით სამართალი დაუძმობილდეს პოლიტიკას, მეგობრათ გაუხდეს იმას: შეიძლება მეგობრობით «პოლიტიკამ» ისარგებლოს, მაგრამ სამარ-

თალი უნდა იყოს ხალხისთვის და ისეთ გარეგან ელემენტს, როგორც „პოლიტიკური პლანი“, იმაში ნაწილი არ უნდა ჰქონდეს...

თუ მკითხველი დააკვირდება ჩვენს ცხოვრებას, თვალ-ყური უდევნებია გლეხ-კაცობის ავლა-დიდებისთვის, ადვილათ დაინახავდა, რომ ახალმა სამართალმა ის ნაყოფი არ მოიტანა, რომელსაც არა-თუ ჩვენ, არამედ „მცირე ძმანიც“ ჩვენნი მოელოდნენ. ყველასთვის ჭეშმარიტება არის, რომ სამართალი ზნეობათ აუმჯობესებს საზოგადოებას და ხალხს. აგერ რამდენა ხანია, რაც ჩვენ ახალი სამართალი გვაქვს, მაგრამ ამ სამართლის წყალობით ხალხი არც თავის ღირსების ცოდნას მიხვდა, ვერცა რა „კანონის წინაშე თანასწორობისა“ გაიგო; ზნეობით ბევრი ვერა შეიმატა რა, გონებით წინ ვერ წაიწია, ეკონომიურათ წარმატება ვერ მიიღო. ლიბერალები კი, როგორც მოგეხსენებათ, ახალ სამართალს დიდს ზნეობითს სკოლას უწოდებენ; სამჯავრო და სასამართლო ადგილს — ტაძარს, სადაც თემიდას შვილნი ქადაგებენ მაღალ პრინციპებს, რომელთაც ეწოდებათ: თანასწორობა კანონის წინაშე, ჭეშმარიტება, კაცური ღირსების ცოდნა, მსწრაფელი სამართალი და სხვა ამ გვარი მაღალი სიტყვები. ვისაც ხალხში უცხოვრია, იმან კარგათ იცის, თუ რა თვალით უყურებს ჩვენი ხალხი ახალ სამართალს. ყველგან ისმის უკმაყოფილება და არსაიდგან კმაყოფილება, ყველგან სამდურავი და არსად მადლიერობა. ბევრჯერ ხალხი აშკარათ აცხადებს (ამას კი მკითხველი ძნელათ დაიჯერებს), რომ „მდივანბეგობა“ სჯობდა ახალ სამართალს!!!... რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ ჩვენი დაბალი ხალხი ისე გონება დახშულია, რომ აქამდის ვერ შეიტყო — თუ რა არის „კანონის წინაშე თანასწორობა“ და სხვა ამ გვარი პრინციპები, რომლებითაც აყვავებუ-

ლია ახალი სამართალი?! თუ ახლა სუფევს «კანონის წინაშე თანასწორობა“, მაშ ხალხი რისთვის ამჯობინებს «მდივანბეგობას», რომელმაც «ერთობის» მაგივრათ «დიდ-პატარაობა»; „უმცროს-უფროსობა“ იცოდა? ანუ თუ ჩვენი გლეხკაცი ისე რეგვენია, რომ მდივანბეგის მათრასს ამჯობინებს ახლანდელ ევროპიულ სამართალს?! როდესაც ხალხს ახალი წესდებულება არ მოსწონს, რომელიმე რეფორმას თაყვანს არა სცემს, მუდამ აწმყოს თვალს არიდებს, წარსულს შესცქერის, და იგონიებს, მაშინ უთუოთ ან ახალი წესდებულება არ ვარგა, ახალი რეფორმა უხეიროა, ან არა და — რეფორმა კარგია, მაგრამ ის დაუმასინჯებიათ, ფრთები შეუჭრიათ და ხალხის ცხოვრებაში ისე დაუარსებიათ.

გამეორებით რომ ვსთქვათ — ხალხის ცხოვრებისათვის მარტო რეფორმის დაწესება არ არის საკმაო. უპირატესად ყურადღება უნდა იყოს მიქცეული იმაზედ — ეს-და-ეს რეფორმა ნამდვილათ საჭირო და სასარგებლოა, მერე — ხალხის ცხოვრებას, იმის ვინაობას, აწმყოს და წარსულს შეეფერება ეს რეფორმა. წარმოიდგინეთ, რომ სულთანმა თავის სამეფოში შემოიღო საფრანგეთის სამართალი ფრანცუზულ ენაზედ. ყველამ იცის — თუ რა ჰუმანური და ლიბერალური მიმართულებისაა საფრანგეთის სამართალი, მკითხველს ეგრეთვე ეცოდინება ისიც — თუ რა ტკბილი, საამური და შემუშავებული ენა არის ფრანცუზების ენა. განა ამ ნაირი სამართალის რეფორმა სარგებლობას მოუტანს ხალხს? ამ ნაირი მაგალითი ჯერ არ მოხდება ოსმალეთში და თუ მოხდა, მაშინ ყველა იფიქრებს, რომ სულთანს თავის ხალხისათვის სასარგებლო სამართლის მიცემა არა სურს — ახალი სამართალი, როგორც სხვა რეფორმა, მხოლოდ მაშინ შეერგება ხალხს, როგორც დედის რძე, როდე-

სად ეს სამართალი წინააღმდეგი არ არის ხალხის გრძნობისა, შეხედულობისა, იმის, ასე ვსთქვათ, გემოვნებისა. სამართალს დაბალ ხალხში ნიადაგი უნდა ჰქონდეს. ამ აზრის სიმართლე დიდი ხნის დაამტკიცა ისტორიულმა სკოლამ, რომლის მამა-მთავრათ გამოჩენილი სავინი ითვლება. ხალხის ისტორიული ცხოვრების გადაკეთება ქაღალდზე დაწერილი პროექტებით და კაბინეტში შედგენილი რეფორმებით არ შეიძლება და არც მოხდება. პირველათ და უკანასკნელათ საჭიროა პატივი სცენ ხალხის ჩვეულებას, იმის აზრს, ხასიათს, იმის იმედს და სასოებას, პატივი სცენ იმას, რასაც «ხალხოსნობის პრინციპს» უწოდებენ...

თუ მკითხველი ჩვენთან თანხმაა, ადვილათ მიხვდება — რა მიზეზის გამო ჩვენი ხალხი ახალმა სამართალმა არ დააკმაყოფილა. ეს მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ახალმა სამართალმა სახეში არ მიიღო „ხალხოსნობის პრინციპი", ცხოვრება. ჩვენ გლეხ-კაცობისათვის ახალი სამართალი უცხო და უცნობი იყო. მოულოდნელათ და მოუმზადებლათ გასტყვრა. რა მდგომარეობაში იყო გლეხ-კაცობა წინათ? — ბატონ-ყმობის დროს ჩვენი გლეხ-კაცობა იშვიათათ დაიარებოდა სასამართლოში და სრულებით არ იცოდა — თუ რა არის საქმის ერთ სასამართლოდგან მეორეში და მესამეში გადატანა. გაუჩნდებოდა გლეხ-კაცს საქმე, მიმართავდა თავის ბატონს, უფრო ხშირათ მედიატორებს. რადგანაც ხალხს არ ეჭირვებოდა „სამ-თავიან" სასამართლოში სიარული, საქმის გარჩევასაც დიდი ვაი-ვაგლახი და აქეთ-იქით ხეტიალი არ უნდოდა, კვირ-თვასი დროება ცუდ-უბრალოთ არ იკარგებოდა. ბატონმა და მედიატორებმა საქმის გარემოება, საფუძველი საჩივრისა კარგათ იცოდენ. ამ „ხალხის მსაჯულებ-" კარგათ

ქსმოდათ—ვინ მართალია, ვინ ტყუანი; კარგათ იცოდა იმისთვის, რომ საქმე მათ თვალ-წინ ხდებოდა, საქმის მოწამენი თითონ ისინი იყვნენ. თუ რომელიმე მოსამართლე ანუ მსაჯული მიდგომას და უსინდისობას გამოიჩენდა, თუ რომელიმე საქმე სიყალბით გადასწყდებოდა, მაშინ თითონ ხალხის განკიცხვა და იმის რისხვა იყო „აპელაციაც“ და „კასაციაც“. რასაკვირველია, მოსამართლე, მოშორებული „იურიდიულ ფორმალიზმს“, დამყარებული თავის სინდისზედ, სცდილობდა ხალხის რისხვა და განკიცხვა არ დაემსახურნა და საქმე გადაეჭრა ისე, როგორც საზოგადოების სინდისი და ხალხის ჩვეულება მოითხოვდა. მართალია, იმ დროსაც უსამართლობა ბევრჯერ ხდებოდა, მაშინაც ხშირათ „ბატონის პირველი მოჩივარი მართალი ეგონა“, მაგრამ ხალხი მაინც კმაყოფილი იყო სამართლისა, რადგანაც ეს სამართალი ხალხის ჩვეულებაზედ, იმის სინდისზე იყო დამყარებული. სამართალს საღმთო, წმინდა ხასიათი ჰქონდა. შედარებით ამისა, მოწამესაც საქმეში საღმთო მნიშვნელობა მიუძღოდა წინ. მოწმის ფიცი, სინდისი და პატიოსანი სიტყვა—აი რა იყო მაშინ საჭირო და რით კმაყოფილდებოდა გლეხი კაცი! «იურიდიული ფორმალიზმი», რომელიც ეხლა გლეხ-კაცობას ტვინს უპნევს, „კანცელიარული ბიუროკრატიზმი“ სასამართლოებში, რომელიც გლეხ-კაცობას ასე ძვირათ უჯდება, იმ დროს ხალხმა არ იცოდა. ამ ორ გვარი «საუნჯისა» გემო გალებული არ ჰქონდა. ფულის სესხებას, აღებ-მიცემობას., მამულის ყიდვაც კი და სხვა იურიდიული მოქმედებანი „დოკუმენტში“ არ საჭიროებდენ, საჭირო იყო პატიოსანი სიტყვა. ამ გვარ იურიდიულ შეხედულობას ჩვენ გლეხ-კაცობაში ეხლაც ხშირათ ვპოვებთ. ეხლაც ხშირათ გლეხ-კაცები

ებ-მიცემობას, სხვა-და-სხვა პირობას პატიოსანი სიტყვით

დ

ახერხებენ და საჭიროთ არ მიაჩნიათ დაწერილი საბუთი. ბევრ-ნი უსინდისოთ სარგებლობენ ამ გვარი გლეხ-კაცის მისანდო-ლობით, ბევრნი «კანონიერათ» და «სამართლის» ძალით ავიწ-როებენ მას. მაგრამ მაინც გლეხ-კაცობას ღრმათ უყვარს თავის სამართალი. სამართალი ღვთიურ საქმეთ მიაჩნია...

რა ცვლილება მოიტანა ახალმა სამართალმა? დააკმაყო-ფილა იმან ჩვენი გლეხ-კაცობა, თუ არა? ვისაც კი თვალი გა-დაუვლია ახალი ჩვენი სამართლისათვის, ადვილათ გაიგებს, რომ დედა-ბოძს, რომელზედაც ეს სამართალი დამყარებულია, შეად-გენს სისტემა ფორმალური დამტკიცებისა, იურიდიული ფორმალიზმი. სამართალი გიბძანებს, გინდა დაამტკიცო «საქმე» — დაამტკიცე ფორმალურათ; ამას ითხოვს სჯული და კანონი. ვალი გადაგიხდია — წარმოადგინე ბარათი, მამული შენია — მოი-ტანე დოკუმენტი, ფული მასესხე — მაჩვენე ვექსილი და სხვ. არ წარმოადგენ ბარათს, არ მოიტან დოკუმენტს, არ მაჩვენებ ვექსილს — „საქმესაც" ვერ დაამტკიცებ. ჩვეულობა, სინიდისი, პატიოსანი სიტყვა, თითქმის საჭიროთ აღარ არიან. ყველგან და ყოველთვის პირველ ადგილზედ სდგას ფორმალური და-მტკიცება. დაუმატეთ ამ ფორმალიზმს ძლიერ გაგრძელებული და ათ-ას-გვარათ დაპლართული სამართალი და მაშინ ცხადათ დაინახავთ, რომ ამ გვარი სამართალი ჩვენი გლეხ-კაცობის თანაგრძნობას ვერ მოიძენდა. გლეხ-კაცობა აღზრდილი იყო სი-ნიდისის და ჩვეულობის სამართალში, იმის პირველი და უკა-ნასკნელი საბუთი პატიოსანი სიტყვა იყო; ამის მაგივრათ ახალმა სამართალმა „დაწერილი ქაღალდი" მოსთხოვა ხალხს. ხალხს გზა აერია, აღარას ვერა გაიგო რა, საწყალი დარჩა ორ-წყალ-შუა და თავ-გზა არეული დაიარება სასამართლოში და დაეძებს სამართალს...

თუ თეორეთიკულად აიღებთ ახალ სამართალს და ან ამ სამართალს მისცემთ სხვა განათლებულ ხალხს, მაშინ საყვე-დურსაც თავი უნდა დაანებოთ. ჩვენი სამართალი ლიბერალური სამართალია და, ამის მხრით, ღვიძლი, თუმცა კი უმცროსი, ძმაა ფრანციცული პროცესისა; ეს პროცესი ხომ, როგორც გაგიგონიათ, ევროპაში სამაგალითოთ მიაჩნიათ. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ რაც კარგია ევროპაში, შეიძლება კარგი არ იყოს სხვაგან, მაგ. ჩვენში, და ეს სამართალზედ უფრო უნდა ითქ-ვას. ფორმალურ სამართალს ევროპაში დიდი ვნება არ მოაქვს; იქ დიდი ხნიდგან ხალხი აღზრდილია ამ სამართალში, იქ დიდი ხანია ხალხმა განვლო ის დრო და ჟამი, როდესაც სამართალი სინიდისის საქმე იყო, როდესაც სამართალს ღვთიური ხასიათი ჰქონდა. ჩვენში კი სხვა არის. ჩვენი გლეხკაცობა ვინ იცის, როდის დავარჯიშდება საკმაოდ, რომ ეხლანდელი სამართლისა გაიგოს რამე და გზა გაიკვლიოს სასამართლოის კანცელარიულ წესებში. ხმა ისმის გაზეთებში, რომ მთავრობას სწადია ზო-გიერთა იურიდიკული მოქმედებისთვის, როგორც, მაგ. ხელ-შეკრულობა, ვალ-დებულება, შეამციროს ფორმალიზმი და ამი-თი გააადვილოს საქმის წარმოება. თუ ეს ხმა მართალია, სჩანს თითონ მთავრობასაც გაუგია ის ხენა და ვნება, რომელიც ჩვენ სამართლის წრეს-გადასულ ფორმალიზმს მოაქვს ხალხისათვის.

დასავლეთი ევროპის დაბალ ხალხს ისე ზარალი არ ეძლევა იურიდიკული ფორმალიზმიდგან, როგორც ჩვენ გლეხ-კაცობას. ევროპაში ხალხი დიდი ხანია შეეჩვია თავის სამარ-თალს და კანონს, შეეჩვია ნელ-ნელა და ცოტ-ცოტათ. მაგალი-თებრ, გერმანიაში, სადაც ხალხმა უფრო არა იცოდა რა რომაე-ლების სამართლისა, ვიდრემდისინ საფრანგეთში, ხალხს ერთბა-შათ ძალა არ დაატანეს — ამა და-ამ სამართალს გაძღევთ და ის

უნდა იწამოვო, არა,—ხალხს პირველათ თავის ჩვეულება დარჩა და რომაელების სამართალს წყნარათ და მშვიდათ შეაჩვიეს. ჩვენი გლეხ-კაცობა ახალი სამართლისათვის სრულებით მომზადებული არ იყო. რომის და ფეოდალური სამართალი საჭირო და გამოსადეგია ისეთი საზოგადოებისა და ხალხისათვის, რომლის ცხოვრება გახსნილია და შინაარსით მდიდარი. ყველამ კარგათ იცის, თუ რა უბრალო და ღარიბი შინაარსით ცხოვრება აქვს ჩვენ გლეხ-კაცობას. ჩვენი ეხლანდელი სამართალი მეათედი ნაწილი რომ დაშთეს და დანარჩენი მოისპოს, თუ კი ეს მეათედი ნაწილი გონივრულათ იქნება შედგენილი, ისიც საკმაო ჩვენი გლეხ-კაცის ცხოვრებისათვის—ისე ღარიბი და უბრალოა იქ ცხოვრება! ჩვენ კი შემუშავებული ევროპიული სამართალი მოგვცეს, რომლისაც ცხოვრება ევროპის მიამგავს თუმცა ითხოვდა, მაგრამ სულ სხვა ნაირათ, ისე არა, როგორც ჩვენ მოგვივიდა. ევროპაში დაბალი ხალხი იმოდენათ არის გონება გახსნილი, თუ სწავლით, თუ ცხოვრებით, რომ ძრიელ ადვილათ ითვისებს რომულს და ფეოდალურ სამართალს; ცხოვრებაც ისე მდიდარია შინაარსით, რომ საჭიროებათ მოითხოვს ამ გვარ სამართალს. ჩვენში სულ სხვაა, თუმცა აქაც და იქაც სამართალი ერთი გვარისაა. თუ მკითხველი იმასაც არ დაივიწყებს, რომ სამართალი ჩვენში სხვა ენაზედ არის და ჩვენი ხალხი არა თუ გონებით გახსნილია, წერა კითხვაც არ იცის, მაშინ ცხადათ წარმოიდგენს გლეხ კაცობის გაჭირვებას...

დასამტკიცებლათ ჩვენი აზრისა მე აქ მოკლეთ განვიხილავ «კანონის წინაშე თანასწორობის» პრინციპს. როგორც მკითხველმა იცის, ახალმა სამართალმა აღვიარა თანასწორობა კანონის წინაშე, ყველა თანასწორათ დააყენა სამართლის წინ —დიდი და პატარა, თავადი და გლეხი, მდიდარი და ღარიბი.

ნასწავლი და უმეცარი. ეს თანასწორობა, რასაკვირველია, საჭირო იყო ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ და უამისოთ სამართალი თავის მიმზიდველობის ძალას დაკარგავდა. მაგრამ რა ნაყოფი მოუტანა გლეხ-კაცობას კანონის წინაშე თანასწორობამ? განა ხალხს შეასმინა და აჩვენა თავისი კაცური ღირსება, ზნეობით აამაღლა ხალხი? განა ნაყოფიერი იქნებოდა ეს თანასწორობა, როდესაც ხალხი ახალ სამართალს თავის სამართლად არ სცნობდა? და ან გინდ უკანასკნელათ — ეს თანასწორობა საკმაო იყო, როდესაც ხალხს ეკონომიური დამოკიდებულება («დროებით ვალდებულნი გლეხნი») ჰქონდა თავად-აზნაურობასთან და იმათივე ხალხი იყო? — თანასწორობისთვის საჭიროა თავისუფლება ეკონომიური თუ სხვა-გვარი. იქ, სადაც გლეხი «დროებით ვალდებულია» თავის ბატონისა, კანონის წინაშე თანასწორობას უფრო თეორეთიკული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაკტიკული, იქ თანასწორობა კარგი და მშვენიერი სიტყვა არის და არა განხორციელებული პრინციპი. ჩვენშიც ასე მოხდა: ძნელათ და ძვირათ გაბედავს გლეხ-კაცი თავის «ბატონის» წინააღმდეგ საქმის წარმოებას სასამართლოში და თუ კი იკისრებს ამ მძიმე ტვირთს, მაშინ რწმუნდება რომ სასამართლოში ერთი არა ყოფილან ის და მათი ბრწყინვალეება, რწმუნდება და ეს დარწმუნება გულს უკლავს და გონებას უფუჭებს... თანასწორობა კარგი რამ არის, მაგრამ იმაზედ დიდათ სხვა რამ უფრო საჭირო იყო, საჭირო იყო უფრო სამართალი ხალხის ენაზედ, მოსამართლენი, რომელთაც სცოდნოდათ ხალხის ცხოვრება, მისი ჩვეულებანი, მისი წარსული და აწმყო. თანასწორობა სარგებლობას მოუტანს ხალხს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი სამართალს და კანონს კანონათ და სამართლათ იცნობს. ყველამ კარგათ იცის — თუ რა შეხედულობისა არის ჩვენი გლეხ-

კაცობა თავად-აზნაურობაზედ. გლეხ-კაცს აქამდისინ სიმტკიცით სარწმუნოებათ მიაჩნდა ის აზრი, რომ «თავადების და აზნაურების სისხლი სულ სხვა არის". ჩვენი გლეხ-კაცი აღზრდილა თავად-აზნაურების მამა-მთავრულ მზრუნველობაში და ამ ზრუნველობის დაღი ეხლაც აზის შუბლზედ. „თანასწორობის» პრინციპისა იმან ჯერ არა იცის რა; იმას ახსოვს, რომ თავადი და აზნაური „ბატონია" გლეხისა და გლეხი ბატონის მონა. გლეხ-კაცს კარგათ ესმის—ბატონის და მონის შორის თანასწორობა არ შეიძლება,—ბატონს ძალა აქვს მონაზედ და სადაც ძალა არის, იქ რაღა თანასწორობა იქნება. ნამდვილათ ასე უცქერის გლეხ-კაცობა თავად-აზნაურობას და ამისთვისაც თანასწორობის პრინციპი დარჩა მშვენიერ სიტყვათ და ნაყოფი არა მოიტანა რა, არც შეეძლო მოეტანა, თუ არ დაივიწყებთ, რომ თანასწორობის გასაგებლათ ჩვენი გლეხ-კაცობა სრულებით არ მოამზადეს და ამ თანასწორობას წინ გზა არ გაუკვალიეს... ბევრნი არ დამთანხმდებიან და ღიმილით დამცინებენ: «როგორ ჰბედავ? თანასწორობის პრინციპი დედა-ბოძია ახალი იურისპრუდენციისა, რამოდენათ ხალხის ღირსებას ამშვენიერებს, იმის ზნეობას ზდის... და სხ... თქვენ კი...» დიახ, ბატონებო! ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ხალხის ჩვეულობა, უფრო დიდი დედაბოძია, ვიდრე მაღალნი პრინციპები, რომლებსაც საზღვარ გარეთ ვსესხულობთ, თანასწორობა კარგია, მაგრამ ეს თანასწორობა გონივრულათ მიანიჭეს გლეხ-კაცობას?—აი რა არის ჯერ გასაგები... ხალხის თვით მმართველობაც კარგი და სასარგებლო საქმეა, მაგრამ ჩვენ სოფლებში ხალხის ერთობა ერთიანათ გარდაიქცა და «თვით მმართველობის» ძალით მამასახლისებმა სასოფლო მაღაზიების ჭირნახული დუქნებში შესჭამეს. აქ თვით-

მმართველობა არის დამნაშავე? — არა! თვით-მმართველობა კარგია, მაგრამ ის ზარალის მეტს არას მოუტანს ხალხს, როდესაც თვით-მმართველობა ხეირიანათ არ არის გამართული ჩვენ გლეხ-კაცობაში. „კანონის წინაშე თანასწორობას“ ფესვი არა ჰქონდა გამდგარი, ხალხის ერთობა და აზრი არ აღზარდეს იმის მისაღებლათ. ჯეროვანი ნაყოფი არც ხალხმა მიიღო თანასწორობისაგან. შეცდომა იქნება ისიც არა ვსთქვათ, რომ მომავლისთვის თანასწორობას, რომელიც ახალმა სამართალმა მოგვცა, შეუძლიან ხალხის გულში აანთოს კეთილ-შობილური ლტოლვა, იმის გონებაში აღზარდოს მაღალი აზრები... ამისთვის საჭიროა — თუ რა ნაირი მოთავენი ეყოლება ჩვენ სამართალს და ეს მოთავენი ეცდებიან ჩვენი გლეხ-კაცობის განთავისუფლებას თავად-აზნაურობის ზნეობითის და მამა-მთავრული ზრუნველობისაგან, იმ ზრუნველობიდგან, რომელიც ბატონყმობამ შეგვძინა.

რა ნაირი გავლენა იქონია ახალმა სამართალმა ჩვენ გლეხკაცობაზედ ეკონომიურის მხრით? ყველა სამეფოში, სადაც კი ესმით სამართლის სარგებლობა, სცდილობენ სჯული და კანონი ხალხს თავათ დაუჯდეს, მდიდარს და ღარიბს ადვილათ შეეძლოს სასამართლოში მიმართვა და საქმის წარმოება. გონივრულათ გამართული სამართალი ხალხის მატერიალურ კეთილდღეობას, იმის ეკონომიურათ წარმატებას ხელს უნდა უწყობდეს და ეხმარებოდეს. რა არის უმთავრესი მიზეზი ინგლისის სამართლის უვარგისობისა? ურიცხვნი «ფორმალურნი მოთხოვნილებანი», რომელთა შესრულება საჭიროა საქმის წარმოებისათვის და ეს შესრულება მეტის-მეტ ძვირათ ჯდება და დროს. მკითხველს ვსთხოვთ, მოიგონოს ტიჩბორნის საქმე... როდესაც სამართალი წესს გადასულ კანცელიარულ ბიუროკრატიზმზედ

არის აშენებული, როგორც ის, ამ ჩვენ პრაქტიკულ საუკუნეში, უფრო ფორმალიზმს მისდევს, მაშინ სამართალი ძვირათ უღირს ღარიბ გლეხ-კაცობას. თეორეთიკულათ ახალმა სამართალმა აღიარა და იწამა ეკონომიური ინტერესი გლეხ-კაცობისა, მაგრამ საქმით კი სხვასა ვხედავთ. თუ მკითხველი წარმოიდგენს უწინდელს «სიტყვით» საქმის წარმოებას, მოიგონებს—თუ რა მალე, «ერთ წუთს», ასამართლებდნენ გლეხ-კაცობას ბატონი და მედიატორენი და შეადარებს უწინდელ მსწრაფელს სამართალს ეხლანდელი კანცელიარული საქმის წარმოებასთან, მაშინ ადვილათ დაინახავს—რა ეკონომიური შედეგი წარმოსდგა ახალი სამართლისაგან. ხშირათ მოსდება ხოლმე, რომ ერთი ძროხაზედ საქმის დაწყობა და გათავება ათ ძროხათ და მეტათ უჯდება გლეხ-კაცს! რამდენჯერ უნდა გადაიდოს საქმე, რამდენჯერ უნდა მოსცდნენ მოჩივარი და მოწმები და რამდენათ ძვირათ უჯდება გლეხ-კაცობას ეს კანცელიარული «ხვალ და ზეგ», ეს დაუსრულებელი ხეტიალი სასამართლოში?! აიღეთ საქმის დაწყობა. თუ რომელიმე მუხლი თხოვნისა თუ საჩივრისა არ არის შესრულებული, საქმის წარმოება არ შეიძლება. დაიწყობა წარმოება. ამ წარმოებას დიდი თავის მტვრევა და ვაი-ვაგლახი უნდა; თუ ერთი რომელიმე მუხლი დავავიწყდა, მაშინ მთელი საქმე ჩაიიფუშება. გათავდა საქმე ერთს სასამართლოში; მეორე «ინსტანციაში» გადააქვთ, მეორიდგან მესამეში. საქმეს კი დევნა უნდა. გომერის გმირსაც არ გამოუვლია ის წანწალი და ხეტიალი, რასაც ჩვენი გლეხ-კაცობა სასამართლოებში დასეტიალობს!... განა ჩვენმა გლეხ-კაცობამ იცოდა რამე სამთავიანი, „სამ ინსტანციანი“ სამართლისა?! თუ მკითხველი არ დაივიწყებს, რომ რაც ინსტანცია ზევით სდგას, საქმის წარმოება იქ უფრო გასაჭირია გლეხ-კაცისთვის, ცხადათ დაინახავს—რა ძვირათ უჯდება გლეხ-

კაცობას ახალი სამართალი გაჭირვება თუ გააბედვინებს გლეხს საქმის დაწყობას სასამართლოში... ის ყოველთვის არჩევს, ხშირათ ამჯობინებს საქმე შინაურულათ გაუთავოს მოწინააღმდეგეს, ის თავის «ადათს» და სინიდისს მაღლა აყენებს, ის თავის მამა-პაპურ ჩვეულებას უფრო მისდევს...

ნიკო ხიზანოვი

„იმედი" 1882.

# უფლება და კანონი ძველ საქართველოში

წარსულს წელიწადს ჩვენმა მწერლობამ აღძრა სჯა და ბაასი საზოგადობრივ განწყობილობაზედ ძველ საქართველოში. ვინც კი ჯეროვანი ყურადღებით აკვირდებოდა ამ მაღალ მნიშვნელოვანს საგანს, იმისთვის ცხადი იყო ერთი მოვლენა ჩვენი საზოგადოობრივი აზროვნობისა, სახელდობრ ისა, რომ ჩვენი მწერლობის ასპარეზზე დაუმალავად გამოვიდნენ წარმომადგენელნი ორი სხვა-და-სხვა გვარის მიმართულებისა, ლიტერატურული პარტიისა, როგორც ვსთქვით, ლიტერატურული ბრძოლის საგანს შეადგენდა საზოგადოდ ცხოვრების განწყობილობა ძველ საქართველოში, ხალხის ურთიერთობა ერთნი, სხვათა-შორის, ამტკიცებდნენ, რომ ჩვენც (ქართველები) ვიყავით რაიმე ძველ დროს . . . მეორენი — სულ სხვა თვალით უცქეროდნენ ჩვენს წარსულს და სასოებას ჰპოვებდნენ შემდეგში... ჩვენ აქ არ შევუდგებით საფუძვლების განხილვას ერთის და მეორის მიმართულებისას, ჩვენ მხოლოდ ერთს საზოგადო საყვედურს ვუძღვნით ბრძოლის მოთავე პირთა: მათ არ ინებეს სჯა ჯეროვან, ღირსეულ ნიადაგზე დაეყენებინათ. როდესაც მწერლობაში გაჩაღებულია ბაასი წარსული ცხოვრების ურთიერთობაზედ, მაშინ საჭიროა დაწერილი საბუთები, ხალხის უფლება და კანონი. არც ერთმა მებრძოლმა პირმა არ იტვირთა უფლების და კანონის განხილვა, მათზე

დამყარება დედა-აზრისა. აი რისათვის თვით ბრძოლას მიეცა უფრო დიალექტიური ხასიათი და საგანი ვერ განიმარტა, ვერ გამოირკვა. მკითხველმა რომ ცილი არ შემწამოს, აქ მე შემეძლო მრავალი მაგალითების მოყვანა, მაგრამ ერთიც საკმაო იქნება ვუჩვენო, სახელდობრ ისა, რომ ვითომც ჩვენი ხალხის სიკეთე ძველ დროში „მდგომარეობდა იმაში, რომ დამჩაგვრელს უღელს მონობისას მოკლებული იყო და სარგებლობდა იმისთანა განწყობილობით წოდებათა შორის, რომელიც ხალხს ამხნევებდა და ადვილად ატანინებდა გარეგან გაჭირვებათა“ («ივერია» 1881 წ. № VIII, გვ. 66). ჩვენ მწერლებს ხელში რომ აელოთ თუნდა მარტო ვახტანგის სამართალი და თვალი გადაევლოთ მისთვის, მაშინ სრულიად უარჰყოფდნენ იმ საოცარს იურიდიკულ პარადოქსს, რომელიც ამბობს — გლეხის და თავადის შორის მარტო ის განსხვავება იყო, რომ თავადი ბრწყინვალეობით იხსენიებოდა“, მაგრამ იმათ სამართლის განხილვა არ ინებეს და წინათვე დიალექტიკას დაადგნენ. ჩვენი უფლება და კანონი ცხადად გვიჩვენებენ, რომ საქართველოს წარსული ცხოვრება აშენებული იყო წოდებრივ სხვა-და-სხვაობაზე და გლეხი ყველაფრით განირჩეოდა თავადისაგან და სხვა წოდების წარმომადგენელისაგან. განსხვავება დაწერილი იყო არათუ მარტო კანონში, არამედ ცხოვრების სინამდვილე ამ განსხვავებას უჩვენებდა, ამტკიცებდა. ძველს ჩვენ სახელმწიფოში ვხედავთ ისეთივე მოვლენას, როგორც სხვა ხალხის ცხოვრებაში, სახელდობრ იმ მოვლენას, რომ მთელი ჩვენი სახელმწიფო განწყობილობა აშენებული იყო საზოგადოობრივ სხვა-და-სხვაობაზე. როდის განხორციელდა ეს სხვა-და-სხვაობა, წოდებრივი განსხვავება? მაშინ, როდესაც საქართველოს ხალხმა შექმნა ის კავშირი ანუ ძალა, რომელსაც სახელმწიფოს უწოდებენ. ჩვენში

სახელმწიფოს დაარსებას დიდი დრო მოუნდა, მაგრამ ქართველმა ხალხმა თავის კულტურული ძალით დაამყარა ბოლო დროს წესიერად განწყობილი სახელმწიფო და უჩვენა ყველას, რომ ეს მუშა-ხალხი ღირსია ისტორიული ხალხის სახელისა. სახელმწიფოს დაარსება იყო ხალხის ცხოვრების ნაყოფი, მისი სულიერი ძალის შედეგი. ფარნავაზმა განახორციელა მხოლოდ ის, რასაც ელოდა თვით ხალხი, რაც შეიმუშავა თვით ხალხის ცხოვრებამ. ტყუილად ჰგონია „ქართლის ცხოვრებას", ვითომც ფარნავაზმა სრულიად და ყველაფერში მიჰბაძა სპარსეთს, ჩვენს ნიადაგზედ გადმორგო სპარსეთის სახელმწიფო განწყობილობა („ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ, მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა", «ქართლის ცხოვრება», ნაწილი პირველი, გვ. 32). არა, სახელმწიფოს დაარსება იყო შედეგი ხალხის ცხოვრებისა და თვით სახელმწიფოს განწყობილობა გამოჭრილი ამ ცხოვრებაზე. პირველადვე, სახელმწიფოს დაარსების შემდეგ, ცხადათ გამოიხატა განსხვავება სხვა-და-სხვა წოდებათა შორის (Исторія Грузіи, кн. Баратова, тетрадь 1, стр. 25—26). ეს განსხვავება არ მოსპობილა ჩვენ სახელმწიფოში ერთს წუთსაც, მას ყოველთვის ვხედავთ სასტიკად განხორციელებულს ცხოვრებაში. თუ რა სასტიკი და უკიდურესი იყო ეს განსხვავება, სხვათა შორის, სჩანს იმ ფაქტიდგან, რომ ყოველივე კაცს მხოლოდ თავის წოდების ქალი შეეძლო შეერთო ცოლად «რამეთუ მოიყვანიან (ცოლთა) თვისთვისთა თანასწორთა, მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა, და უმცირესნი უმცირესთა», «ცოლნი თვისთა თანასწორთა ერთი». (გეოგრაფიული აღწერა საქართველოისა, ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, გვ. 6.22).

ჩვენ აქ გვსურს, შეძლებისამებრ, განვმარტოთ ჩვენი გლეხ-კაცობის უფლება და კანონი ძველად ჩვენ ქვეყანაში.

საჭიროდ მიგვაჩნია ეს დიდ შესანიშნავი საგანი მით უფრო, რომ აქამომდე ჩვენ მწერლობაში მის შესახებ მეტად ცოტა თქმულა და გარდა ამისა თვით გლეხ-კაცობაც ძლიერ საყურადღებო წოდებას წარმოადგენს. ჩვენ სამშობლოში გლეხ-კაცი იზიდავს ეხლა სულს და გულს ყოველი პატიოსანი კაცისას. ევროპაშიც მწერლობა დაბალ ხალხს, სოფლელს კარგს ადგილზე აყენებს, უქადის მას ნაყოფიერ და სასარგებლო მომავალს. რისთვის? მისთვის, რომ ევროპაში მაღალი წოდება წვრილმანდება, უძლურდება . თვით განვითარებული მესამე წოდება, ბურჟუაზია გაფუქსავატების გზას დაადგა. ნიშნები მისი გამოაშკარავდნენ. უკვე დაიბადა ახალი შტო მეცნიერებისა ( —— паталогія ), რომელიც გულ-მოდგინებით სწავლობს და აკვირდება ამ მოვლენას, მის მიზეზს. ჩვენ მხოლოდ ვუჩვენებთ ამ მოვლენას, მის გამორკვევა, განმარტება ჩვენს საგანს არ შეეხება აქ საკმაო იქნება ჯერ გამოვსთქვათ მარტო ის აზრი, რომ ზემოდ ნაჩვენები პატალოგიური მოვლენა, სხვათა-შორის, არის იმის მიზეზი, რომ უკანასკნელ დროს ევროპაში დიდი ყურადღება მიაქციეს დაბალი ხალხის ცხოვრების შესწავლას. ჩვენშიაც, ვგონებ, ანალოგიური მოვლენა იშვა, თუმცა ეს მოვლენა ჯერ ისე აშკარად არ გამოიხატა, როგორც ევროპაში. ჩვენშიაც მაღალი წოდება ნელ-ნელა ფუქსავატდება, უძლურდება . ოდესმე ძლიერი და ამაყი თავადობა დაძაბუნდა. ეს გახლავთ ნამდვილი ფაქტი, ყველასთვის ცხადი, ვინც კი ჩვენ ცხოვრებას აკვირდება, სწავლობს . . .
ჩვენ არ მიგვაჩნია ჭეშმარიტებათ ეს აზრი . . .
ჩვენ გვრწამს, რომ ავათმყოფის გამობრუნება, მისი მორჩენა, გასაღება შესაძლო არის. საჭიროა მხოლოდ

წესიერი, ჯეროვანი მკურნალება თვით ფიზიოლოგიურ-ისტორიული სკოლის (დრეპერ) საფუძვლები არ მიიღებიან ვითარცა ყოვლად შეუსწორებელი სინამდვილე, ჭეშმარიტება. არ არის მართალი, ვითომც ხალხი უნდა მოკვდეს და მაშასადამე ის წოდებაც, რომელმაც განვლო თავისი სიცოცხლის გზა, დღენი ჩვენში მაღალ წოდებას შეუძლიან თავის განკურნვა სნეულებისაგან, მისი დაკვეთა აუცილებელს მოვლენას არ შეადგენს. მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენში მომავალი გლეხ-კაცობას განავითარებს, დაბალი წოდება უნდა შეიქმნეს კეთილი-ცხოვრების ბურჯად. ამას გრძნობს ყველა, ამას ღაღადებს თვით ჩვენი მწერლობაც. საჭიროა ჩვენი გლეხ-კაცობის წარსული უფლებრივ მდგომარეობის შესწავლა. საჭიროა მით უფრო, რომ მხოლოდ ამ შესწავლის შემდეგ შევიტყობთ — თუ რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი მწერლობა, რა მიმართულება უნდა მიეცეს ჩვენ შეერთებულ ღვაწლს. სამწუხაროდ, ჩვენში ერთი დასი ინტელიგენციისა გუნდრუკს უკმევს ჩვენი გლეხ-კაცობის წარსულს, მის უფლებრივ ცხოვრებას, თუმცა ჩვენი გლეხ-კაცობის უფლება და კანონი მოშორებულნი უნდა იყვნენ გუნდრუკის კმევას. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ გვესმის მამულის შვილებისა მიზანი, მათი ლტოლვა. ჩვენ ბევრში თანაუგრძნობთ მათ, თუმცა პირ-და-პირ ვამბობთ, რომ ეგენი ამახინჯებენ ისტორიულ ჭეშმარიტებას. და ან რა საჭიროა ეს დამახინჯება? განა მას სარგებლობა მოაქვს? ჩვენ ვიწყობთ მით, რომ ვამბობთ: ჩვენი გლეხი იურიდიკულად იყო ყოველ მხრით დაჩაგრული არსება — დავიწყოთ თავიდგან... უფლებრივი მდგო-

მართობა ჩვენი გლეხ-კაცის ოჯახისა ბევრად ემგზავსება ძველი რომაელების ოჯახობის წყობილობას. როგორც რომში, ისე ჩვენში ოჯახი დაფუძნებული იყო ოჯახის მამის უსამზღვრო ძალაზე, უფლებაზე; ამ ძალას, უფლებას ემორჩილებოდნენ ოჯახის წევრნი. თვით ოჯახი, როგორც პირველ-დაწყებითი იურიდიკული კავშირი, აშენებული ოჯახის მამის დესპოტიურ უფლებაზე, ხელს ვერ უწყობდა კაცის ზნეობრივი ბუნების განვითარებას, მის აღზრდას. ამისთვის საქართველოში ვხედავთ იმავე მოვლენას, როგორც თითქმის ყოველი ხალხის ცხოვრებაში. ჩვენშიაც არ იყო გახსნილი ზნეობრივი პიროვნობა, ჩვენშიაც ყოველი წევრი ოჯახისა იურიდიკულად დათრგუნვილი იყო ოჯახის მამისაგან. თუ რა შორს მიდიოდა, თუ რა ვრცელი იყო ოჯახის მამის უფლება სჩანს იმიდგან, რომ მას სრული ნება ჰქონდა თავის შვილის გაყიდვისა, დაგირავებისა და სხ., ოჯახის წევრი ოჯახის მამის ხელში წარმოადგენდა ნივთს, რომელიც გამოსაყენებელი იყო სხვა-და-სხვა იურიდიკული მოქმედებისათვის. ოჯახის მამა ოჯახში იყო არა მარტო მამა, არამედ ძმაც (თუ მამა ცოცხალი არ იყო) და უკანასკნელ შემთხვევაში უფროს ძმას უსამზღვრო უფლება ჰქონდა უნცროს ძმაზედ; შეეძლო მისი გაყიდვა («თუ შვილი ან მამისაგან, ან ძმისაგან ან სხვის ვისგანმე ან გასყიდულა...» ვახტანგის სამართალი, მუხ. 136). გარდა ძმისა, მამისა, სხვა პირსაც შეეძლო ოჯახის მამობა, ჩამამავლობით უფროს ნათესავს. დედა-კაცი კი, როგორც რომში, ვგონებ, მოკლებული იყო ოჯახის მამობის უფლებას. ეს გარემოება გვიჩვენებს ორთა სქესის იურიდიკულ განსხვავებას. მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ კაცის გაყიდვის უფლება ჰქონდა მხოლოდ მაღალ წოდებას, თავად-აზნაურობას, სასულიერო წოდებას, არა,—რომაელების უფლების შინაარსი, ესრედ წოდე-

ბული «პატრია პოტესტასი» (ოჯახის მამის ძალა) მკაცრად, ფართოდ მოქმედობდა გლეხ-კაცობის ცხოვრებაში. ერთს ჩვენს შესანიშნავ იურიდიულ მოვლენას შეადგენს ის, რომ ბევრჯერ ჩვენ გლეხს თავისი გლეხები ჰყვანდნენ. ამ გვარი გლეხი (ნასყიდი, შეძენილი) არ იყო წევრი ოჯახისა, მაგრამ მაინც, იურიდიული ფიქციის ძალით, გლეხი ჰყიდდა თავის გლეხს, როგორც მისი ბატონი, უფროსი, როგორც «პატერ-ფამილიასი». საყურადღებო კიდევ ის არის, რომ ამ გვარი იურიდიული შეხედულობა ჩვენი გლეხ-კაცობისა მოქმედობდა დიდს ხანს; მაგ., 1808 წელს შუა მთის მონასტრის წინამძღვარმა იყიდა ორი გლეხი თავისი სახლობით გლეხ გუმცაძე და დალაქიშვილისაგან (Груз. Церк. Гуджари, Д. П. Пурцеладзе, стр. 86—88). ნასყიდი, შეძენილი გლეხი თვით გლეხის-პატრონის შეხედულობით შეადგენდა ნივთს, მოძრავ საგანს და არა სხვა რამეს. ოჯახის მამის უფლება მეტადრე დასავლეთ საქართველოში დიდს ხანს მოქმედობდა. აქ ამ ჩვენი საუკუნის პირველ წლებში ვპოვებთ მაგალითებს, რომ მამა გაჰყიდდა ხოლმე შვილს. მიზეზები გაყიდვისა სხვა-და-სხვანი იყვნენ: მაგ., 1811 წ. გოგიტა კაბახიძეს გაჭირვებამ გაასყიდვინა თავის ქალი (Груз. Крест. Грамоты и пр. Д. П. Пурцеладзе, стр. 118). თუმცა ჩვენს და რომაელების ოჯახის განწყობილობაში ვპოვებთ ბევრს მსგავსებას, მაგრამ მაინც ჩვენი უფლება უფრო ჰუმანიური და ზნეობითი ხასიათისაა, ვიდრე რომაელებისა: მაგ., რომაელს კანონი ნებას აძლევდა შვილების სიკვდილისას ზოგიერთა შემთხვევაში, ჩვენში ამ სასტიკ და ბარბაროსულ ზომიერებას მოშორებული იყო კანონი. ჩვენი ოჯახის მამის ძალა წევრის გაყიდვის, მისი დასჯის (მაგ., გალახვის) იქით არ მიდიოდა; ჩვენ ოჯახურ უფლებას ცხადად ეტყობა პოლიციური კეთილ-

წესიერების ხასიათი, მიმართულება; თვით ოჯახის მამას თავის განსაზღვრული მოვალეობანი ჰქონდა და, უკეთუ ის დააშავებდა რასმე კანონის წინაშე, პასუხის მგებელიც იყო («თუ მამამ შვილი მოკლას... მამის სისხლი და სამართალი არა დაიწერე-ბოდა და სჯულის კანონით უნდა გარიგდეს...», ვახტანგის სა-მართალი, მუხ. 78, იხილე აგრეთვე მუხ. 81—82»). თვით ქალი ოჯახში იურიდიულად არ იყო ისე დაჩაგრული, როგორც მაგ., რომში; ჩვენი კანონი ქალის პიროვნებას დიდს პატივსა სცემდა, თუმცა კი სრულიად ამორჩილებდა მას მამა-კაცს (ვახ-ტანგის სამართალი, მუხ. 62, 63, 64, 72 და სხ.) საზოგა-დოთ შეიძლება ითქვას ის დედა-აზრი, რომ ჩვენში ქალი არა იყო ისე დაჩაგრული, მოკლებული ყოველივე უფლებას, რო-გორც აზიის სხვა ხალხების ხელში, თუმცა ვახტანგის სამარ-თალი ქალის უფლებას საგრძნობლად ავიწროებს («მაგრამ მისის ენით მოადის არც ფიცი დაედება, არცა რა წაერთმის; თუ კაცს დაიმოწმებს მტყუარი არის და სხ.», მუხ. 216, იხილე აგრეთვე მუხლი 239).

საზოგადოდ ჩვენი საოჯახო უფლება, ოჯახის იურიდიუ-ლი განწყობილობა წარმოადგენს იმავე მოვლენას, რომელსაც ჩვენ თითქმის ყველა ხალხის ძველ ცხოვრებაში ვხედავთ. ძველ-მა უფლებამ არ იცოდა კაცის პიროვნების თავისუფლება, ზნე-ობითი ბუნება კაცისა არ ალიარა ძველმა კანონმა; ძველ დროს კაცი, როგორც თავისუფალი პიროვნება, არ იყო ცხოვრებაში გამოსული. ჰ. მენის სიტყვით, უწინდელი საზოგადოება შე-სდგებოდა ოჯახებიდგან (аггрегацiя родовъ) და არა განსაკუთ-რებული პირებიდგან (собранiе индивидовъ); ძველი საზო-გადოების ერთეულს შეადგენდა ოჯახი, აწინდელისას, განსაკუთ-რებული პირი, ინდივიდი. ამ საზოგადო კანონს ემორჩილება

ყოველი ხალხის წარსული ცხოვრება. ცხოვრების მიმდინარეობა, კაცის ზნეობითი ბუნების გაუმჯობესობა, იურიდიული მხრით, სხვათა შორის, გამოიხატა იმაში, რომ კაცის პიროვნებამ მიიღო ძვირფასი ღირსება, დაიმკვიდრა ადგილი კანონის და უფლების წინაშე. თვით სასტიკი და ბარბაროსული რომაელების საოჯახო უფლება, რესპუბლიკის დამხობის შემდეგ, შეიცვალა (Г. С. Мэнъ, Древнее право, его связь съ древней исторiей общества и его отношенiе къ новѣйшимъ идеямъ, стр. 106—115). ჩვენში, როგორც წინათაც ვუჩვენეთ, საოჯახო უფლება მოქმედობდა ამ საუკუნის პირველ წლებშიც: იმის შემდეგ, როდესაც შემოვიდა მთავრობა რუსეთის იმპერიისა და მის წესი და კანონი ჩვენში. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ საზოგადო მოვლენას, რომ ცხოვრების გაუმჯობესობა, ხალხის ცხოვრების ისტორიული მიმდინარეობა ასუსტებენ, ალაზათიანებენ ძველ საოჯახო უფლებას, მაშინ ჩვენი უფლების შესახებაც საზოგადოდ აზრი უნდა ითქვას, სახელდობრ ისა, რომ ჩვენში საოჯახო უფლებამ ბოლო დროს დაჰკარგა თავისი მკაცრი, სასტიკი ფორმა და იშვიათად მოქმედობდა ცხოვრებაში, თუმცა კი მოქმედობდა დიდ ხანს. რომელი დროიდგან და როგორ მოხდა ეს დიდი საყურადღებო მოვლენა, ჩვენ ჯერ არ ვიცით, რადგანაც ჩვენში არ არის დაარსებული უფლების ისტორია. საზოგადოდ კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ვახტანგის სამართალს (გამოიცა 1703 — 1709 წლების შუა) აშკარად ეტყობა ჰუმანიური სამართლიანობა, იგი უარ-ჰყოფს ბევრ მოთხოვნილებებს ძველი საოჯახო უფლებისას და სწორედ ასეც უნდა იყოს. რამდენადაც ჩვენ სახელმწიფოში სოციალური წარმატება ვრცელს და ფართო ადგილს იჭერდა, იმდენად ძველი საოჯახო უფლება, აშენებუ.

ლი ოჯახის მამის დესპოტიურ ძალაზე, ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ ჰკარგავდა თავის სამფლობელოის სხვა და სხვა ნაწილებს. კაცის პიროვნობა იძენდა უფლებას, ოჯახი, «პატერფამილიას» ჰკარგავდა მას. ამ მოვლენის მიზეზი, კიდევ ვიმეორებთ, იყო ჩვენი ხალხის კულტურული ძალა, მოძრაობა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ უფლებრივი პროგრესის მოძრაობაში სასულიერო წოდებას, ეკლესიას, ვითარცა ზნეობითი სწავლის წარმომადგენელს, მონაწილეობა არ მიუღია, არ შეუწყვნია, არ დახმარებია მას. წინააღმდეგ ამისა, ეკლესია-სულ სხვა მიზანს ელტოდა, ემსახურებოდა. სასულიერო წოდების შეხედულობით გლეხი იყო ნივთი, საგანი და ეს ნივთი კიდევ გამოდგებოდა თითქმის ყოველ იურიდიულ შემთხვევაში (გაყიდვა, დაგირავება და სხ.). ეს წოდება მოძრაობდა, ცხოვრებდა იმავე უფლებრივ მდგომარეობაში, როგორც სხვა წოდებანი ხალხისა და, რასაკვირველია, რომ ამ ჩვენი საუკუნის დამდეგს ხარბულად და იაფად ყიდულობდა გლეხ-კაცებს, თითო გლეხკაცს სამ თუმან ნახევრად (Груз. Церковные Гуджари, стр. 140, 127 და სხ.—აქ ჩვენ ძველი მარჩილი ეხლანდელ ფულზე ვიანგარიშეთ). თვით სასულიერო წოდება ემორჩილებოდა საოჯახო უფლებას თავის შინაურ ცხოვრებაში. მკითხველს ნუ ეგონება, ვითომც ეს წოდება სცდილობდა კაცის პიროვნობის თავისუფლებისათვის, განვითარებისათვის. მართალია, აქა-იქ ვხედავთ მაგალითებს, რომ ეკლესია ხალხს უკრძალავდა კაცების გაყიდვას (Гр. Цер. Гуджари, стр. 149, 152, 153), მაგრამ ეს შეადგენდა დროებით მოვლენას; მეორეც ესა, რომ ეკლესიას სწყინდა უფრო ის, როდესაც ჩვენ ქრისტიან გლეხს მიჰყიდდნენ ვისმე ურწმუნოს, მაგ., თათარს (როგორც ხშირი მოვლენა იყო სამეგრელოში). რომ ეკლესიას არაფრად მიაჩნდა

გლეხ-კაცების ინტერესები, სხვათა შორის, მტკიცდება იმ ფაქტიდგან, რომ ეკლესია (იმერეთში) კვირაში სამ დღეს თავის სასარგებლოდ ამუშავებდა გლეხს (Гр. Цер. Гуджари, стр. 116—117), ნახევრად უნაწილებდა შრომას. სად არის აქ ქრისტიანული შებრალება?! ასე და ამ გვარად ეკლესიაც ემორჩილება საზოგადო იურიდიკულ განწყობილობას.

რა იყო მიზეზი, რომ ზნეობრივი ბუნება კაცისა, მისი პიროვნება თუ სრულებიად დახშული არა, მაინც ძიელ იყო დაჩაგრული ძველ საქართველოში? რა გარემოებანი ეწინააღმდეგებოდნენ კაცის იურიდიკულად განვითარებას? ჩვენ არ ვეთანხმებით პატივ-ცემულის დ. პ. ფურცელაძის აზრს (Груз. крест. Грам. и пр.. предисловіе, стр III.), ვითომც ამას მიზეზი იყო ისა, რომ ჩვენი ცხოვრების დასაწყისს, საფუძველს შეადგენდა ქონება, მამული. უ. ფურცელაძის სიტყვით ჩვენში ყველას ნიშნავდა ქონება, სხვა რაიმეს არავითარიმე მნიშვნელობა არა ჰქონდა რა; ამისთვისაც კაცის ზნეობრივ პიროვნებას ადგილი არ ეჭირა ცხოვრებაში. ქულნი მოკლებულნი იყვნენ კაცის ღირსებას, რადგანაც ქონებასაც მოკლებულნი იყვნენ. გქონდა ქონება, მამული კაციც იყავი, არა — ყველა გვარი კაცობრიულ ღირსებასაც მიხდილი იყავი. ის გარემოება, რომ ძველ საქართველოში კაცის ზნეობრივი ბუნება დაჩაგრული იყო აიხსნება თვით საოჯახო უფლების განწყობილობით და არა მამულით, ქონებით. მამული აქ არაფერ შუაშია. საოჯახო უფლება მაშინაც მოქმედობდა, როდესაც კაცს (მაგ. ქულს, ბოგანოს) მამული არა ჰქონდა. რომაელმა არ იცოდა («პატერ-ფამილიასი») ოჯახის წევრის ზნეობრივი თავისუფლება, თუმცა ოჯახს ჰქონდა მამული. ყველა ხალხის ცხოვრებაში ვხედავთ საოჯახო უფლებას. ეს მოვლენა ბუნებრივია და ყოველ შემთხვევაში მოიპო-

ვება, ეგრეთვე მამისაც, რომელსაც ქონება არ შეადგენს ოჯახის საფუძველს. ჩვენშიაც ასე იყო. საზოგადო სოციალური კანონი ოჯახში (ოჯახის მამის გარდა, სხვა წევრი თავისუფლებას მოკლებული იყო) მოქმედობდა ჩვენ ცხოვრებაშიც. მეორეც ესა, რომ საოჯახო საფუძველი (родовое начало) ჩვენშიაც შეადგენდა იურიდიულ განწყობილობას (წინააღმდეგი შეხედულობისა უ. ფურცელაძე, იხ. იქვე გვ. II) და არა ცხოვრების სტიქიონს. ჩვენ უკვე ვუჩვენეთ, რომ საოჯახო საფუძველი საზოგადო სოციალური მოვლენაა ვგონებ, სამუდამოდ მიღებულია ის ჭეშმარიტება სოციოლოგიაში (См. Г. О. Мэна., стр. 97—100 и пр.), რომ ყველა ისტორიული ხალხის ცხოვრებაში მოიპოვება საოჯახო საფუძველი, ვითარცა იურიდიული წესდებულება. და ან რითი ამტკიცებს პატივცემული ავტორი თავის აზრს? ვგონებ—ვერაფრით. ავტორი არ გვიმტკიცებს—თუ რა მიზეზების გამო ჩვენი საოჯახო საფუძველი შეადგენდა გამორიცხვას საზოგადო სოციალური კანონიდგან (ვითომც იყო სტიქიონი და არა იურიდიული წესდებულება). ამ მიზეზების ჩვენება კი მეტად საჭირო იყო დედა-აზრის დასასაფუძნებლად.

თვით გარეგანი განწყობილობა უფლებისა და კანონისა ძველ საქართველოში ხელს ვერ უწყობდა, არ ესარჩლებოდა გლეხის მდგომარეობას, ამ მდგომარეობის გაუმჯობესობას. ეს გარეგანი განწყობილობა ზედ-გამოჭრილი იყო ცხოვრების პოლიტიკურ ორგანიზაციაზე, როგორიც იყო ეს ორგანიზაცია, ისეთი იყო უფლების და კანონის განწყობილობა. ძველი საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია იყო ფეოდალურ-მონარხიული. პირველადვე ორი ძალა სახელმწიფოსი გამოვიდნენ ასპარეზზე —ფეოდალობა და მეფობა. მთელი ჩვენი პოლიტიკური ისტორია შინაგანი ცხოვრებისა წარმოადგენს ერთს შეუჩერებელს,

ხან გრძლივ ბრძოლას ამ ორთა ძალათა შორის. თვით ეს ბრძოლა იყო სხვათა შორის, უმთავრესი მიზეზი იმ საყურადღებო მოვლენისა, რომ ჩვენმა სახელმწიფომ არ იცოდა ის უკიდურესი ფორმა მმართველობისა (абсолютизмъ, автократія), რომელსაც ვპოვებთ დასავლეთ ევროპაში. ფეოდალობა უჭერდა თავს მეფობას, მეფობა — ფეოდალობას. სახელმწიფოში ვერც ერთმა მათგანმა სამუდამოდ ვერ დათრგუნა მეორე. ამ პოლიტიკურ მოვლენას ვხედავთ ჩვენში რუსეთის მთავრობის შემოსვლამდის. იყო მესამე ძალა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მეფობის გავრცელებას, სახელდობრ ისა, რომ ჩვენი სახელმწიფო მეტად ხშირად იყო ხოლმე სხვა-და-სხვა ხალხის ხელქვეით. მკითხველი არ უნდა მოსტყუვდეს მით, რომ მეფე ჩვენში «თვით-მპყრობელად» იხსენიებოდა (ვახუშტი, გვ. 48.), ტიტული კიდევ არაფერს ნიშნავს, ბევრჯერ ის ცარიელი სიტყვაა. ჩვენშიაც თვით-მპყრობელობა ცარიელ ტიტულს შეადგენდა და არა მოქმედს პოლიტიკურ ძალას. უფლების და კანონის გარეგანი განწყობილებაც ფეოდალ-მონარხიული ფორმისა იყო. ამას ქვემოდ დავამტკიცებთ, ეხლა კი გამოვსთქვამთ იმ დედა-აზრს, რომ ყველა ისტორიული ხალხის ცხოვრებაში ვპოვებთ იმ მოვლენას, რომ უფლების და კანონის განწყობილება სრულიად ესაბამება, ეთანხმება პოლიტიკურ ორგანიზაციას (მეტადრე სისხლის სამართალი, კანონი)... როდესაც შეიცვლება სახელმწიფო მმართველობა, უნდა შეიცვალოს უფლების და კანონის გარეგანი განწყობილებაც. ამას ცხადად გვიმტკიცებს რომის ისტორია, თუმცა არა მარტო ეს ისტორია, არამედ სხვა ხალხის ისტორიაც. როდესაც რომში არსებობდა არისტოკრატიული რესპუბლიკა, შესაბამად მისა თვით სამართალი იყო განწყობილი (преторскій судъ); მოისპო რესპუბლიკა, დაარსდა იმპე-

რია—შეიცვალა უფლების და კანონის გარეგანი განწყობილება (президентскій Судъ) და სხ. (Беко. Организація уголовной юстиціи въ главнѣйшія историческія эпохи, стр. 41—80). საბერძნეთში ვხედავთ დემოკრატიას. ხალხს (დემოსს) ეკითხებოდა სახელმწიფო საქმეები, იგი განაგებდა ამ საქმეებს. შესაბამად ამ სახელმწიფო განწყობილობისა იყო განწყობილი თვით სამართალიც, უფლება და კანონი. ესრედ წოდებული ჰელიასტების სამართალი (судъ геліастовъ) სრულიად ეწყობოდა სახელმწიფოს ორგანიზაციას. როგორც სამართალი, ისე სახელმწიფო ხალხის ხელთ იყო (Беко, стр. 1—40, Аѳинская эпоха). ჩვენ სახელმწიფოში სულ სხვა მოვლენას ვხედავთ. აქ ხალხი (დაბალი წოდება) მოკლებული იყო გავლენას უფლების და კანონის განწყობილობაზე. როგორც ზევით გამოვთქვით—ამ განწყობილებას ფეოდალ-მონარხიული მიმართულება, ხასიათი ჰქონდა. ეს ხასიათი, ასე გასინჯეთ, ვახტანგის სამართალსაც აშკარად ეტყობა და, ვგონებ, ეს უკანასკნელი გარემოება სრულიად არღვევს იმ აზრს (ამ აზრისა არიან ზოგიერთა რუსეთის სწავლებულები), ვითომც ვახტანგის სამართალი გადმოღებული იყოს (თუმცა სულ კი არა) რომაელების უფლებიდგან, არა—ჩვენ სამართალს ზედ აზის ნაციონალური ბეჭედი. ჩვენი სამოქალაქო კანონები სწორედ რომ თავის სინამდვილით მათემათიკური ფორმულები არიან და ეს ფორმულები კიდევ მეტად ლაზათიანად გამოჭრილნი ჩვენ უფლებრივ ცხოვრებაზე. ჩვენი ხალხის გენია გამოითქვა ამ საკვირველ კანონებში, რომელთაც ძველ ისტორიაში ბევრი ხალხის სამოქალაქო უფლება ვერ უდრის ღირსებით. და რომ ეს კანონები ჩვენი ხალხის გენიას ნაყოფია, ამას ამტკიცებს თვით ვახტანგი. «არამედ ვინათგან ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიაგავს

სხვათა ქვეყნისა რიგთა და ჩვეულებათა...» (ვახტანგის სამართალი, შენიშვნა 204 მუხლის ქვემოთ). თუ თვით ვახტანგის სამართალს ფეოდალ-მონარქიული ხასიათი ეტყობა, მაშ უნდა დავასკვნათ, რომ უფლებრივი მდგომარეობა გლეხობისა სრულიად ეთანხმებოდა სახელმწიფო განწყობილებას. ვიდრემდისინ შევუდგებოდეთ ამ განწყობილების განხილვას, ჩვენ უნდა ვუჩვენოთ ერთი გარემოება, სახელდობრ ისა, რომ უფლებისა და კანონის განწყობილება ჩვენში სხვა იყო ესრედ წოდებული მამასახლისობითი მმართველობის დროს, ე. ი. იმ დროს, როდესაც ჯერ არ იყო დაარსებული წესიერად განწყობილი სახელმწიფო. იმ დროს თვით ხალხი ასამართლებდა, განსჯიდა ხოლმე საქმეებს. უფროსთა, ჭკვიანთა, გამოცდილთა დიდი ღირსება და ადგილი ეჭირათ სამართლის ასპარეზზე. თვით ხალხი ირჩევდა მსაჯულთ. ეს განწყობილობა არ იყო ფორმალურად აღიარებული, დაფუძნებული ისე, მაგ., როგორც იყო ათინაში დემოკრატიული სამართალი, არა,—მამასახლისობითი ეპოქის სამართალი ჩვეულების საქმე იყო, შეადგენდა ჩვეულებრივ მოვლენას. ამ გვარ მოვლენას თითქმის ყველა ხალხის ძველ ცხოვრებაში ვხედავთ, მაგ., ძველი გერმანელების ცხოვრებაში (ტაციტ).

ჩვენ სახელმწიფოში მეფე, ვითარცა წარმომადგენელი ხალხისა, იყო დასაწყისი უფლებისა, სამართლისა. მის ხელთ იყო კანონი. მას ხშირად მიმართავდა ყოველი ქართველი, განურჩევლად წოდებრივი ღირსებისა, სულ ერთია—თავადი თუ გლეხი; ყველა ითხოვდა მისგან საქმის განხილვას; მეფე კიდევ საქმეს ჯეროვან გზას უჩვენებდა. ასე იყო ჩვენში არა თუ მარტო მაშინ, როდესაც სახელმწიფო ტახტზე იჯდა რომელიმე სუსტი მეფე, „იწილო-ბაწილოს“ მოთამაშე, არამედ მაში-

ხაც, როდესაც სახელმწიფო კარს სახელმწიფო ღირსების და ტახტის უფლების სასტიკ დამცველს, როგორიც იყო ერეკლე II (Груз. Двор. Грамоты, стр. 23 და სხ. Д. П. Пурцеладзе). ეს მოვლენა (მეფესთან წარმოსდგებოდა სამართალი) საზოგადო მოვლენაა ყველა ხალხის კეთილად და წესიერად განწყობილს სახელმწიფოში. ჩვენშიც ამას ვხედავთ. ზოგიერთი უმეცარი იმ ფაქტიდგან, რომ ჩვენში დიდს და პატარას, გლეხს და დიდებულს გზა დაუბრკოლებლივ გახსნილი ჰქონდა მეფისადმი, ყველას შეეძლო მისთვის პირდაპირ საჩივრის მირთმევა, გამოჰყავს იმ ყალბს დასკვნას—ვითომც საქართველოს სახელმწიფო ტახტი ფიქციაა, ვითომც ჩვენი ხალხის კულტურულ ძალამ ვერ შექმნა სახელმწიფო. ამ გვარი შეხედულობა ამტკიცებს მხოლოდ ერთს—პოლიტიკური ანბანის უცოდინარობას. მეფეს ქვემოთ ადგილი ეჭირათ მსაჯულთ უხუცესს. „ამის (მსაჯულთ უხუცესის) ხელისა იყვნენ ყოველნი მსაჯულნი, მწენი და ხევის ბერნი, ხევის-თავნი და ესევე სჯიდა საბრძანოსა მეფისასა» (ვახუშტი, გვ. [illegible]) ამ დიდს ადგილს, ღირსებას დიდი ჭკუის კაცი ეჭირვებოდა. მაგ., 1785 წ. მეფე ერეკლემ ეს ადგილი მისცა გამოჩენილს მსაჯულს სოლომონ ლეონიძეს, ჩვენი წარსული ცხოვრების «ფაბრიციუს, კატონს». ამ მონარხიულ ელემენტს რომ თავი დავანებოთ და ფეოდალურზედ გადავიდეთ, აი რას ვნახავთ: მსაჯულთ უხუცესი იყო სატახტო ქალაქში, აქ განაგებდა ის საქმეებს, ასრულებდა სახელმწიფო თანამდებობას. ცალკე თემი ებარა ერისთავს, რომელიც იურიდიკულად ემორჩილებოდა მეფეს, სახელმწიფო ტახტს. ერისთავის უფლება და თანამდებობა, მისი იერარქიული ადგილი სახელმწიფოში განსაზღვრული იყო. „წესი ერისთავთა იყო მეფისა მიერ განწესება ქვეყანათა და ამის მიერ მოურნეობა, სა-

მართალი და ლაშქარნი მის ქვეყნისანი მის ქვეშ იყვნენ» (ვახუშტი, გვ. 12). ფეოდალი, ერისთავი, რომელიც სცხოვრობდა ნაზომებ ადგილს, ჰანაგებდა სამართლის საქმეებს გლეხკაცობისას. ხშირად მოხდებოდა, რომ მეფე უბოძებდა ხოლმე ფეოდალს სიგელს, სადაც დაწვრილებით იყო განმარტებული—თუ რა ჯარიმა უნდა გადახდეს ასეთი თუ ისეთი დანაშაულობისათვის, თუ რამოდენი ღირს სისხლი თვით ფეოდალისა. მაგ., 1455 წ. მეფე გიორგიმ მელქისედეთ სუცესს ასათ ვანნაძეს რვა-ასი-ათ-ასი ქირმანაული დაუნიშნა სისხლის თავად (Груз. Двор. Грам., стр. 1—2). ზევრჯერ მეფესაგან შიცემული სიგელი შეადგენდა მთელი სამართლის წიგნს, სადაც ყველა დანაშაულობა დათვასხებული იყო; ეს სამართლის წიგნი თემის კანონი და უფლება იყო, ადგილობრივი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი წიგნი განირჩეოდა მეორედგან; ზოგ მათგანში ერთი და იგივე დანაშაულის სისხლი ძვირი იყო, ზოგში იაფი. საყვირველია ერთი თვისება ამ «სამართლის წიგნებისა». მათში ფეოდალის შვილის გალახვა უფრო იაფად ღირდა, ვიდრე მდივნის იმავე ფეოდალის მენახირესი. მაგ., 1479 წ. ბაგრატ მეფემ უბოძა სიგელი ხუტუნა გებაშიძეს: შვილის გალახვისათვის დაუნიშნა ექვსი ათასი თეთრი, მენახირის გალახვისათვის—რვა ათასი თეთრი (Груз. Двор. Грамоты, стр. 39, იხილე იქვე, გვ. 37, 38, 44.—იურისტისთვის მეტად ძვირფასი სიგელები არიან). ამ სამართალის წიგნების, სიგელების ხასიათი ცხადად გვიმტკიცებს, რომ ჩვენშიც სამართლის ისტორია (სისხლის სამართალი) ემორჩილებოდა საზოგადო კანონს, სახელდობრ იმას, რომ ჩვენშიაც, როგორც სხვა ხალხის ცხოვრებაში, დანაშაულობას პირველად ჰქონდა კერძო მნიშვნელობა, დანაშაულობა შეადგენდა კერძო პირის ვნებას, ზარალს

და არა სახელმწიფოს, საზოგადოების წინაშე ბრალეულობას. შემდეგში ჩვენი სისხლის სამართალი სხვა გზას დაადგა, ხალხის იურიდიულ აზროვნობამ გამოიკვლია ის დედა-აზრი, ეხლა უკვე განათლებული ხალხის ცხოვრებაში აღიარებული, რომ სისხლის დანაშაულობა არა-თუ მარტო კერძო პირს აძლევს ვნებას, არამედ სახელმწიფოსაც, საზოგადოებასაც და მაშასადამე სისხლის სამართალი სახელმწიფოს საქმეა, იმის გამგეობაში უნდა იყოს. ეს ხასიათი ეტყობა ვახტანგის სამართალს, რომელიც შესდგა სხვა-და-სხვა ხალხის იურიდიულ ჩვეულებათაგან და რომელიც შეადგენს ჩვენი ხალხის აზროვნობის ნაყოფს. მკითხველი ნუ იფიქრებს — ვითომც დიდი კულტურული ძალა არ იყო საჭირო ზემოდ ნაჩვენები დედა-აზრის შემუშავებისათვის, მისი ცხოვრებაში განხორციელებისათვის. ვინც იცის სისხლის სამართლის ისტორია, იმისათვის ჭეშმარიტია, რომ მართლაც დიდი კულტურული ძალა იყო საჭირო აღნიშნული დედა-აზრის ცხოვრებაში განხორციელებისათვის. აგერა რამოდენი ხანია ოსეთში ევროპიული, რუსეთის სამართალი მოქმედობს, მაგრამ ეხლაც ოსებს ვერ გამოურკვევიათ ის დედა-აზრი, რომელიც დიდი ხანია ჩვენი ხალხის საკუთრებას შეადგენს. ეხლაც ოსებში სიკვდილი კაცისა მორიგებით თავდება, სისხლში რამდენიმე ძროხის, ფულის, იარაღის მიცემით. ეხლაც ვერ მიხვედრილან, რომ დანაშაულობა არღვევს საზოგადო ინტერესს და არ შეადგენს მარტო კერძო ზარალს, ვნებას. მეორე საყურადღებო მხარე ფეოდალური ელემენტისა ჩვენ სამართალში არის ის, რომ ბევრჯერ თითონ მეფე რომელიმე პირს აძლევდა მეტად დიდ უფლებას; ბევრჯერ ფეოდალური ელემენტი სჩაგრავდა მონარხიულს; მაგ. 1677 წ. მეფე ერეკლემ და მისმა მეუღლე ელენემ უბოძეს მდივანს ოსან ქობუ-

დაშვილის სოფელი ყიზილ-უღლუნი აი რა პირობით: თვით მეფეს ხელი არა ჰქონდა სოფელთან; მისი მოხელენი ვერ გაივლიდნენ იქ, ქობულაშვილს უნდა გადაეწყვიტნა და აღსრულებაში მოეყვანა მეფეს შესახებ საქმეები (Груз. Двор. Грам., стр. 9).

ჩვენმა სახელმწიფო უფლებამ იცოდა აგრეთვე საეკლესიო ანუ სასულიერო ფეოდალობა. ეკლესიას ჩვენში იურიდიულად მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, უდიდესი ვიდრემდისინ თვით საერო ფეოდალობას. პოლიტიკური მნიშვნელობა კი სასულიერო წოდებისა ვერ აღემატებოდა სახელმწიფო საერო ძალას, უფლებას. ამისთვის ჩვენი სახელმწიფო მოშორებული იყო თეოკრატიულ საფუძველს, პრინციპს. ეს პრინციპი ვერ აღორძინდა საქართველოში მის გამო, რომ დასაწყისიდგანვე ეკლესიამ შეადგინა განსაკუთრებული კავშირი, იურიდიული ერთეული, რომელიც ემორჩილებოდა საერო სახელმწიფო ძალას, მაგრამ არ იყო საკუთრება ამ ძალისა. თეოკრატია, როგორც პრინციპი, არსებობს მაშინ, როდესაც საერო და სასულიერო ძალა, უფლება ერთი პირის ხელთ არის (სულ ერთია — ფიზიკური იქმნება ეს პირი, თუ იურიდიული) და ეს პირი კიდევ ღვთაებრივ უფლებას მაღლა აყენებს ქვეყნიერზე. ჩვენში სახელმწიფო საერო დაწესებულება, კავშირი იყო, ისეთი ტიპისა, როგორც ევროპაში ვხედავთ სახელმწიფოებს. როგორც განსაკუთრებული წოდება, ეკლესია ტახტის ხელთ იყო. თუმცა კანონის ძალით კათალიკოზი სულის ხელმწიფე იყო („ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე სულისა"... ვახტანგი, მუხ. 25), თავის მნიშვნელობით და ღირსებით დაახლოვებული მეფესადმი, მაგრამ იგი მაინც მეფეს ემორჩილებოდა („ესე (ჯვარის მტვირთველი) მოაწვევდა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა

და შერისხვაცა ამის მიერ იყო მეფისაგან“, ვახუშტი, გვ. 20). შესანიშნავია ჩვენ სახელმწიფოში ის მოვლენა, რომ სასულიერო წოდებამ შემდეგში, მეთექვსმეტე საუკუნეს დასაწყისში, ხელი მოჰკიდა სამხედრო საქმეებსაც, უმთავრესი წარმომადგენელი ამ წოდებისა შეიქმნა სპასპეტად, ბრძოლის ველზე მტრებთან მეომრად ამის მიზეზი იყო „ლაღობა და ულონოება ერთა“ (ვახუშტი, გვ. 50). ხალხის ულონოება, გულის გატეხა აქ არაფერ შუაშია. უმთავრესი მიზეზი სასულიერო წოდების გაძლიერებისა, მისი უფლების გავრცელებისა იყო პოლიტიკური დამოკიდებულება, ხალხთა შორის უფლებრივი მდგომარეობა ჩვენი სახელმწიფოსი. პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა, თავისუფალი სახელმწიფო ტახტის დამორჩილება სხვა სახელმწიფოსადმი იყო იმის მიზეზი, რომ სასულიერო ფეოდალიზმმა ზემოდ თავი წამოჰყო და სამხედრო ძალა დაანარჩუნა (Груз. Крест. Грамоты стр. V, 81—94). ჩვენი პოლიტიკური ისტორია გვიმტკიცებს, რომ როდესაც სახელმწიფოს ძალა სუსტდებოდა, მაშინ ფეოდალები ძლიერდებოდნენ და არა იშვიათად სჩაგრავდნენ სახელმწიფო ტახტს. ამ საზოგადო მოვლენას სხვა სახელმწიფოებშიც ვხედავთ, მაგ. ევროპაში. ჩვენშიაც ასე იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხალხის პოლიტიკური სარწმუნოება უარ ჰყობდა თეოკრატიას და ამისათვის სასულიერო წოდება არასოდეს არ ყოფილა ჩვენში პოლიტიკური ძალა, რომელსაც დაემორჩილნოს სახელმწიფო ტახტი. რუსთავის ეპარქია მეტად ძლიერი იყო, მაგრამ ისიც კი ემორჩილებოდა ტახტს (Грузинскіе Цер. Гуджари, стр. Ш, 1—6; იხილე ეგრეთვე გვ. 15, 35). თვით ძლიერება ეკლესიისა, რელიგიური მიზეზების გარდა, დამყარებული იყო მატერიალურ, ეკონომიურ

საბუთზედ. ჩვენშიაც, როგორც ევროპაში, სასულიერო წოდება მარტო სულიერი საზრდოთი როდი იკვებებოდა, მისთვის საჭირო იყო ხორციელი საზრდოც არა ნაკლებ სულიერისა. თუ რა დიდს ლუკმას შეადგენდა ეს ხორცის საზრდო სჩანს, სხვათა შორის იმ ფაქტიდგან, რომ მცხეთის ეკლესიას 1683 წ. ჰქვანდა ათას ოც-და-ხუთი კომლი გლეხ-კაცი (იქვე, გვ. 112). თავის საკუთრება ეკლესიამ შემოიფარგლა. მის სამფლობელოში ფეხის გადადგმა არავის შეეძლო. ბევრმა კანონმა არ იცის ის უკიდურესი ცნება საკუთრებისა, როგორსაც ვპოვებთ ჩვენ საეკლესიო კანონში. საეკლესიო მამული ქრისტეს საკუთრება იყო (იქვე, გვ. 89). თვით მეფეს, ძლიერ ერეკლე მეორეს, არ შეეძლო ხელი ეხლო საეკლესიო მამულისათვის. აი რა უბძანა მან უფლისწულებს 1789 წ.: „არა თუ წართმევა, ვერც კი შემიძლიან შევეხო საეკლესიო მიწებსა“ (იქვე, გვ. 85). თუ ერეკლე ამას ამბობდა, აბა „იწილო-ბიწილოს“ ავტორი, იმის მემკვიდრე გიორგი რაღას იტყოდა, — „მე ეკლესიასთან ბრძოლა არ შემიძლიანო“ (იქვე, გვ. 35). მაშინაც კი, როდესაც ჩვენი სახელმწიფო ჰკარგავდა დამოუკიდებლობას, სასულიერო ფეოდალებს პატივისცემა არ აკლდათ. სპარსეთის შაჰი ულაქუცებდა ამ ფეოდალებს, აჯილდოებდა მათ, — რა მენაღვლება, ჩემი საქმე კი კეთილად წაიმართოსო. კათალიკოზიც ახვეწებდა ღმერთს ნადირშაჰის სულს, ლოცულობდა მის სახლობისათვის (იქვე, გვ. 113—114 და სხ.). ისიც არ უნდა დაივიწყოს მკითხველმა, რომ ყოველთვის კეთილდღეობაში არ იმყოფებოდა ეს ბედნიერი წოდება. იყო ისეთი დრო, როდესაც ერთი პირველთაგანი ჩვენი ეკლესია, სიონის ეკლესია საოცარს სიღატაკეში ჩავარდა. წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში ფინანსიური მდგომარეობა სახელმწიფოსი დიდს განსაცდელში იმყოფებოდა.

სიონის ეკლესიამ იკისრა ნაწილი სახელმწიფო ვალისა და ოც-და-ორ თუმნათ და ორ მანეთათ დააკირავა თითქმის ყველა საეკლესიო ნივთები, ჯვარი, ბარძიმი, სახარება, დუქნები და სხვა უძრავი მამული, დააკირავა იაფად, მაგ., ერთი დუქანი თერთმეტიის წლის ვადით თუთხმეტ მანეთად, ძვირფასად მორთული სახარება ოთხ მანეთად წელიწადში და სხ. (იქვე, გვ. 62 — 65.). მაგრამ რა გაეწყობოდა, როდესაც ის დრო (წარსული საუკუნე) ჩვენ ცხოვრებაში ისე გაჭირვებისა იყო, რომ თვით ტახტის მემკვიდრესაც გიორგის ოცი თუმანი არ მოეპოვებოდა, რის ვაი-ვაგლახით ისესხა მან ეს ფული მელიქ-შაქაროსაგან, თანაც ეხვეწებოდა — შენი ჭირიმე დამაცადე, მალე მოვცემ, არსად გამოთქვა, თორემ ჩვენი მოსისხლე იქნებით (Груз. Крестьянскія Грам. и пр., стр. 50). მაგრამ ჩვენ ფი-ნანსიურ მხარეს თავი უნდა დავანებოთ და უფლებრივს მივმართოთ.

სასულიერო წოდება, ეკლესია შეადგენდა დამოუკიდებელს საზოგადოებას თითქმის იმავე ტიპის და ფორმისას, როგორც დასავლეთს ევროპაში. ჩვენი სასულიერო წოდება იყო „სახელ-მწიფო სახელმწიფოში“. მას არა თუ მარტო თავის საკუთარი საეკლესიო უფლება და კანონი ეპყრა, არა — თავის სამფლობე-ლოში ის განაგებდა საერო საქმეებსაც, მას ჰქონდა თავის ქვე-შევრდომებისათვის საკუთარი საერო „წიგნი სამართლისა“. ბევ-ჯერ მეფეები უბოძებდნენ რომელიმე ეკლესიასა სოფლებს და სიგელებში უწერდნენ, რომ ნაბოძები სოფლები ყოველგვარი სახელმწიფო ხარკისაგან გაგვითავისუფლებია და ნება არა გვა-ქვს რაიმე მოვითხოვოთ მათგან (Церк. Гудж., стр. 102—103). ამ გვარ სოფლებში, ადგილებში სასულიერო წოდება თავისუფალი ბატონი იყო; იგი განაგებდა ყველა გვარ საქმეებს,

მის ხელთ იყო უფლება და კანონი საეროც და საეკლესიოც. ვერც ერთს მოხელე პირს სახელმწიფოსას ვერ შეეძლო მუნ გავლა და საქმის განგეობა (იქვე, გვ. 78—79, 81). მკითხველმა ისიც არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენი სასულიერო ფეოდალები ემორჩილებოდნენ საზოგადო უფლებას, რომელიც ყველასთვის დასავალებელი იყო, ყველას შეეხებოდა. გარდა ამ უფლებისა ჩვენ ვხედავთ ადგილობრივ უფლებასაც. ეს უკანასკნელი წარმოსდგებოდა ადგილობრივი ჩვეულებიდგან, იყო ჩვეულებრივი უფლება (обычное право). სივრცე ამ ჩვეულებრივი უფლებისა მეტ-ნაკლები იყო, ე. ი. ერთს ეკლესიას დიდი უფლება ჰქონდა თავის სამფლობელოში, მეორეს ნაკლები აქაც იმ მოვლენას ვხედავთ, რომელსაც საერო ფეოდალობაში. ეს უკანასკნელი გარემოება კიდევ უფრო ღრმად გვამტკიცებს იმ აზრზე, რომ ჩვენი სასულიერო ფეოდალობა მიაგავს ევროპიულს. ფეოდალური განწყობილება, ჩვეულებრივი უფლება ეკლესიისა ისე ძლიერი იყო, რომ თითქმის ყველა ეპარქიას თავის საკუთარი კანონები ჰქონდა, მისი უფლებრივი მდგომარეობა იყო განსაკუთრებული; ამ გვარ ეპარქიაში ვხედავთ თავის სამოქალაქო და საეკლესიო სისხლის სამართალს, მაგ., სამთავისის ეპარქიაში. სისხლის სამართალი ამ ეპარქიისა (იქვე, გვ. 49.) ბარბაროსული ხასიათისაა. იმ დროს (XVII საუკ.), რომელსაც ეს სამართალი ეკუთვნის, დასავლეთ ევროპაშიაც სისხლის სამართალი საერო და საეკლესიო ერთს და იგივე ბარბაროსულ სურათს წარმოადგენდა: რასაკვირველია, რომ სამთავისის ეპარქიის სამართალი კუდიანობისა და მკითხაობისათვის ცხვირს სჭრიდა დამნაშავეს („ცხვირით გახეიბრება“). ვინც ნათესავთან იმრუშებდა მას ქვით ჩაქოლავდა და სხ. არა თუ სამართალი, თვით ფინანსიური განწყობილებაც ჩვეულებრივ უფლებაზე

იყო დამყარებული. ამ გვარ მაგალითს წარმოგვიდგენს წილკანის ეპარქია (იქვე, გვ. 22—24). აქ გარდა იმისა, რომ განმარტებულია ჯარიმა ყველა დანაშაულობისათვის, ეგრეთვე ნაჩვენებია ხარჯი, რომელსაც სოფელი ხდიდობდა მღვდლის სასარგებლოთ: კომლზე იყო ერთი ძროხა ან ცხვარი, ერთი კოდი პური, ერთი ლიტრა ქერი, სამი აბაზი ფული, ერთი მოჯამაგირე წელიწადში, გარდა ამისა ქუდზე კაცი ვალდებული იყო წელიწადში ერთხელ მოსმარებოდა მღვდელს სამუშაოდ და თითოეულს კომლს წელიწადში ერთხელ უნდა დაეპატიჟნა იგივე მღვდელი. ზემოდ ნაჩვენებს ფეოდალურ სისხლის სამართალს ცხადად ეტყობოდა ერთი მიმართულება, სახელდობრ ისა, რომ ეკლესია შეკრებილ ჯარიმას თავის სასარგებლოდ ხმარობდა; სამართალი ემორჩილებოდა ფისკალურ ფინანსიურ მიზანს. იურიდიკული მხრივ ეს მიმართულება გვიჩვენებს, რომ, ეკლესიის შეხედულობით, დანაშაულობას აქვს სამოქალაქო კერძო ხასიათი, იგი შეადგენს ზარალს კერძო პირისას და არა საზოგადოვნებას.—როგორც საერო სამართალი, ისე საეკლესიო ამტკიცებს ზემოდ ნაჩვენებს საზოგადო კანონს.

ეპარქია კიდევ არაფერი. თუ რა შორს ჰწევდა ფეოდალობა, სჩანს იქიდგან, რომ ცალკე პატარა სოფელსაც კი თავისი საკუთარი უფლება და კანონი ჰქონდა. სოფელი აკურა (იქვე, გვ. 71—73) გვიჩვენებს ამის მაგალითს. ეს სოფელი ეკუთვნოდა მოურავს და მონასტერს, შეადგენდა თავისი ორგანიზაციით პაწაწინა სამფლობელოს, სადაც სამართალი, მმართველობა, კეთილ-წესიერება და სხ. გასაკუთრებული იყო. უმეტეს ნაწილად საეკლესიო სოფლები განთავისუფლებულნი იყვნენ ყოველ გვარ სახელმწიფო ხარკიდგან; იშვიათად იხდიდნენ თათრის და სამხედრო ხარკს. ეს იყო მათი მოვალეობა სა-

ხელმწიფოსადმი.. რაც შეეხება დანაშთენს, სოფელი ეკლესიის საკუთრებას შეადგენდა, მმართველობა, ადმინისტრატიული განწყობილება სასულიერო ფეოდალის ხელთ იყო. ეპისკოპოზი ნიშნავდა მამასახლისს საეკლესიო სოფელში. მკითხველი ნუ იფიქრებს რომ საეკლესიო გლეხ-კაცობა კეთილ-დღეობაში იმყოფებოდა. ზემო ნაჩვენები წილკანის ეპარქიის მაგალითი გვიჩვენებს, რომ სასულიერო წოდება ანგარებას არ იყო მოშორებული და ერთგულად ემსახურებოდა თავის ჯიბეს. არა ერთისა და ორის მაგალითის ჩვენება შეიძლება ამ ანგარების დასამტკიცებლად. შეწუხებული გლეხ-კაცობა მიმართავდა ხოლმე მეფეს საჩივრით და მეფე სანუგეშოდ მხოლოდ ამ სიტყვებს ეუბნებოდა: „საქართველოში არაოდეს არა ვის გაუგონია, რომ ვინმემ თავიდგან აიშოროს საეკლესიო ხარჯის მიცემა“ (ერეკლე მეორეს პასუხი ურბნისელებისადმი): გლეხ-კაცობაც ითმენდა. — სრული მორჩილება დაბალი პირისა მაღლისადმი, დიდ-პატარაობა წოდებრივი და პიროვნული ფეოდალური განწყობილობის აუცილებელი შედეგი იყო. ამ პრინციპზედ აშედა ჩვენი სისხლის სამართალი, რომელიც (სამართალი) აშკარად გვიჩვენებს — თუ რა დიდი განსხვავება იყო გლეხს და თავადის შორის. ამ განსხვავებას შემდეგი კოპწია და ლაზათიანი ფორმულით გვიხატავს ჩვენი წარჩინებული გეოგრაფი: რამეთუ სისხლნიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ, ზეიდამ ქვეით ნახევრად ანუ ქვეიდამ ზევით ერთი ორად“ (ვახუშტი, გვ. 14.). ამ სამართალს ღირსეული სასჯელიც თან მოსდევდათ, სასჯელიც ფეოდალურად იყო განწყობილი, კანონიც მაღალ წოდებას ესარჩლებოდა. შემდეგს წერილში ჩვენ ვრცლად განვიხილავთ სისხლის სამართალს და ვუჩვენებთ მკითხველს — თუ რა მიმართულებისა არიან ვახტანგის კანონები; აქ მარტო სასჯელის ფორ-

მჟღას მოვიყვანთ: «ხოლო უკეთუ უმაღლესმან მოკლის უმცირესი დაუურვის სისხლი, ხოლო უმდაბლესმან თუ მოკლის უმაღლესი, დაუურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა» (ვახუშტი, გვ. 16).—

ნიკო ხიზანოვი.

(გაგრძელება იქნება)

---

# უფლება და კანონი ძველ საქართველოში.

(გაგრძელება*).

რადგანაც შეიძლება ახლაც აღმოჩნდნენ ზოგიერთი პირნი, რომელნიც ეჭვს შემოიტანენ და იტყვიან, რომ ვითომც ვახტანგის სამართალი სასამართლოებში და ცხოვრებაში სახმარებელი წიგნი არ იყო, იგი არ შეადგენდა მომქმედს სამართლის წიგნს, საჭიროა მოკლედ მაინც განვმარტოთ და ვუჩვენოთ მკითხველს —ვახტანგის სამართალი ცხოვრებაში სახმარებელი წიგნი იყო, თუ არა.— ჯერ ისევ 1840 წ. ერთმა წევრმა «Совѣта Главнаго Управленія Закавказскаго Края» უ. ლელევობიტოვმა წარმოსთქვა აზრი, რომ ვითომ საქართველოში, დაუმორჩილებლობის დროს, ვახტანგის სამართალი არც საქვეყნოდ გამოცხადებული ყოფილა და არც სახმარებელი წიგნი სახელმწიფო სასამართლოებისათვის და კერძო პირებისათვის (Сборникъ матеріаловъ для описанія Тифлисской Губерніи, издаваемый при Канцеляріи Тифлисскаго Губернатора, подъ редакціею правителя оной К. Л. Зиссермана, т. I, вып. I, стр. 247). რაზედ დაასაფუძნა უ. ლელევობიტოვმა თავის უსაფუძვლო აზრი,

*) იხილე «იმედი» №№ XI და XII, 1882 წ.

რომელიც მთელი „რჩევის“ აზრად შეიქმნა? მან არავითარიმე ისტორიული ან იურიდიული მოსაზრება და საფუძველი არ მოიყვანა, მან მხოლოდ მთელი სამართლისაგან ამოგლიჯა ერთი მუხლი, სახელდობრ 205, და მარტოდ-მარტო ამ მუხლზედ დაამყარა თავისი შეხედულობა. ორ-ას მეხუთე მუხლიდგან მხოლოდ ის სჩანს (აი პირველი სიტყვები ხსენებული მუხლისა: „ამ შეკრებულის სასამართლოს წიგნისა ასრე იქნებოდეს და ამ წესით იხმარდენ: ერთის ჩანთით მდივან-ბეგისაგან დაბეჭდილი სალაროში ებარებოდეს, როდესაც სასამართლოდ დასხდებოდენ... როდესაც სამართალი გარდასწყდებოდეს, წიგნს ისრევ მდივან-ბეგი დაბეჭდევდეს და სალაროში მიაბარებდეს»...), რომ ვახტანგის სამართალი, მდივან ბეგისაგან დაბეჭდილი, სალაროში იყო შენახული და მას ხმარობდნენ როდესაც საჭიროება მოითხოვდა. უ. ლელკობიტოვს კი გამოჰყავს ის ყალბი დასკვნა, ვითომ ვახტანგის სამართალი მარტო სახელმწიფო დარბაზს ამშვენებდა, მოქმედი სამართალი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე გადატანილი იქმნებოდა უმაღლეს ინსტანციაში და მაშასადამე იგი სამართალი ნამდვილი ხალხოსნურს ხასიათს მოკლებული იყო. დაახლოვებითი შესწავლა 205 მუხლისა სულ სხვა გვარ დასკვნამდინ მიგვიყვანს. განმარტება ამ მუხლისა მხოლოდ ერთს ამტკიცებს, სახელდობრ იმას, რომ ვახტანგის სამართალი საყოველთაოდ დასავალებელი წიგნი იყო, მით და არა სხვა რაიმე წიგნით ხელმძღვანელობდნენ თვით დიდ ინსტანციაშიც. და რომ ჩვენი აზრი უტყუარი საფუძვლიანია, სჩანს ახლად გამოცემული იადგარებიდგან. ბევრს მაგალითებს რომ არ გავყვეთ, ჩვენ ერთს დავასახელებთ. 1772 წ. სარდალ დავით ორბელიანმა მირზაშვილების საქმე გარდასწყვიტა. განაჩენში პირ-და-პირ მოხსენებულია: „ვადის შესახებ ვახტანგის კა-

ნონი ამას-და-ამას ამბობსო" (Крест. Грам., ст. 25.). იაღ-გარებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ მარტო იმითაც შეგვიძლიან დავარღვიოთ უ. ლელკობიტოვის აზრი, რომ თეიმურაზ მეფის დროს და მისი ბრძანებით (ეს სჩანს ვახტანგის სამართლის ხელთ-ნაწერიდგან, რომელიც პარიჟის ბიბლიოთეკაშია. Сборникъ матеріяловъ, К. Л. Зиссермана, т. I, вып. I, стр. 249) შეადგინეს ზანდუკი მუხლთა წიგნის ადგილად სახმარებლად სასამართლოებში.

ლელკობიტოვი რომ განუტევოთ, თვით ჩვენ მწერლობაშიაც კი შეხვდებით იმ აზრს, ვითომ ზოგიერთნი მუხლნი ვახტანგის სამართლისა მკვდარი ასონი და სიტყვანი იყვნენ, სხვა არაფერი («ივერია» 1881 წ. № 8, გვ. 69 — «რანი ვიყავით გუშინ?» — აქ ავტორი დაჯერებით ამბობს: „ბევრი გარემოება, წინედ ნაჩვენები და შემდეგ მოსახსენებელი, გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ მკვლელობის შესახებ ჯარიმის დიდი განსხვავება ჩვენში ეკუთვნოდა უმოქმედო კანონებსა, უძლურს ძველ დაწესებულებათა"... ცოტა ამ სიტყვების ზემოდ პუბლიცისტს მაგალითათ მოჰყავს ინგლისის კანონები. გამოუსადეგარი მაგალითია, იმიტომ რომ ინგლისის კანონები აქ არაფერ შუაშია და აი რისათვის: ვახტანგის სამართალი „კოდექსია", ინგლისელებს კი აქამომდე კოდექსი არ მოეპოვებათ. მთელი მათი სამართალი დამყარებულია „განაჩენებზე" და ეს უკანასკნელნი შეადგენენ კანონებს. ყველა იურისტმა იცის, რომ «კოდექსი» სხვაა და ინგლისელების «განაჩენები» კიდევ სხვაა. Древнее право, Г. С. Мэнъ, стр. 10—11. ბევრნი არიან ბოროტი ენისა, რომელნიც იმასაც ამტკიცებენ, რომ ინგლისის არისტოკრატიას განზრახ არ უნდა სამართლის წიგნის, «კოდექსის» შედგენა, რადგანაც მღვრიე წყალში თევზს მარჯვედ იჭერსო.

და განა ცოტა არის ამის მაგალითები?) ჩვენ ძრიად საჭიროდ მიგვაჩნია «ივერიის» პუბლიცისტის აზრის დარღვევა იმიტომ, რომ ფეოდალური ხასიათი ჩვენი კანონებისა ამ წერილში უფრო უმეტესად „მკვლელობის ჯარიმის დიდს განსხვავებაზე“ უნდა დავამყაროთ. ეს განსხვავება საზოგადო იურიდიული მოვლენაა ფეოდალურ წეს წყობილებისა და ჩვენშიაც მას აშკარად ვხედავთ. —

თუ უ. სვიმონიძემ თავის სიტყვებით მხოლოდ ის უნდა განმარტოს, რომ ვახტანგის დროს მკვლელობის დიდი ჯარიმა ფეოდალების შესახებ აღარ იყო მომქმედი იურიდიკული ნორმა, ის სრულს ჭეშმარიტებას აღვიარებს და ჩვენც მასთან თანხმა ვართ, თანხმა ვართ იმის გამო, რომ ჩვენ ორთავეს თვით ვახტანგი გვემოწმებს. „არიან ზოგნი თავადნი და აზნაურნი, ძველთაგან ხელმწიფეთაგან სისხლის განაჩენები აქვსთ; ამის ჩვენ არ დაგვიწერია, ამიტომ რომ არიან თავადნი მაშინდელს დიდებაზე ისევ მოუშლელნი იყვნენ, და არიან ზოგნი ჩამომცხრობილნი იყვნენ და ზოგნი მდაბალნი ამაღლებულნი იყვნენ... მაგრამ მე ასე მგონია იმ ძველს განაჩენებზედ სამართალი ძნელი იყოს, ამიტომ რომე მაშინ ქართველი ბატონი დიდი ხელმწიფე ყოფილა, დიდი ალაგი ჰსჭერია და მისს თავადთაც მამული და მორჭმა ბევრი ჰქონიათ, ამიტომ ის განაჩენები უბრძანებიათ; ახლა მაშინდელზედ ქართველ ბატონსაც ბევრი აკლია ადგილი და მის თავადი მამულზედ დამცრობილა, გაყრილან და მისი სიდიდე თვითანვე დაუჩაგრავთ, იმ განაჩენით იმას სისხლი როგორ აელების და ან მიცემას როგორ შეიძლებს ვინმე; რაც ახალი სისხლები გაგვიჩენია, ვექობ, ესეც კმარ იყოს...“ (ვახტანგის სამრთალი, მუხ. 23.— ამ მუხლს, ჩვენის აზრით, სრულებით არ ეწინააღმდეგება ოც-და-მეთოთხმე-

ტე მუხლი, რომელშიც სწერია: „ეს სისხლის განაჩენები რაც დაგვიწერია ძველად დადებული დაგვიწერია, თორემ სხვისა არა დაგვირთავს რა“. 34 მუხ. ვახ. სამართ. ხსენებული მუხლით ვახტანგი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ძველად, როგორც ეს ჩვენ ვუჩვენეთ მკითხველს პირველ წერილში, საქართველოს ფეოდალებს სისხლის საკუთარი განაჩენები ჰქონდათ და თვით სისხლის დენა «ჩინებისა მათისაებრ» დამყარებულ იყო ჩვეულებრივ უფლებაზედ). ვახტანგმა სისხლის ძველი განაჩენები მოსპო და მოსპო იმიტომ, რომ ამას ითხოვდა თვით ცხოვრება, ეკონომიური მდგომარეობა მაშინდელი საქართველოსი და სხ. იმის სიტყვებიდგან ცხადათ სჩანს — თუ რა ნაირად იყო მის დროს ფეოდალების ეკონომიურ კეთილ-დღეობაზე. აი ამიტომ რაც შესაძლო იყო წინად, ის უნდა მოსპობილიყო ვახტანგის დროს. დიდი ჯარიმა უწინდელი დროისა მკვდარ ასოდ დარჩებოდა, თუნდაც სამართლის წიგნში მოქცეულიყო და რადგანაც ვახტანგი სწერდა ცოცხალს, მომქმედს წიგნს, აბა რა საჭირო იყო მკვდარი ასოებით მისი აჭრელება. ამ გვარ მკვდარ ასოებს, როგორც უკვე გამოვსთქვით, ძველი განაჩენები შეადგენდნენ. აი ნიმუშათ ორი ამ განაჩენებთაგანი: დასავლეთ საქართველოში 1477 წ. მეფე დავითმა აზნაურ მაღრაძეს უბოძა იადგარი და ამ იადგარის „განაჩენის“ ძალით, ვინც მაღრაძის ოჯახის კაცს ან ქალს მოჰკლავდა, ჯარიმა უნდა გადაეხადა 400,000 (ოთხასი ათ ასი ძველი კირმანეული*); გარდა ამისა, ცალკე, შეწუხე-

---

*) ძველი კირმანეული აწინდელი უზალთუნის ფასისა იყო. ასე ამბობს დ. პ. ფურცელაძე, თუმცა არავითარიმე საბუთი არ მოჰყავს. ვახტანგი, რომელიც იხსენიებს ,,შაურს‘‘, ,,უზალთუნს‘‘, ,,აბაზს‘‘ ,,ასლანს‘‘, ,,მისხალს‘‘, ,,ფლურს‘‘, ,,ხუთ-აბაზს‘‘, ,,თუმანს‘‘, ,,გიორგაულს‘‘ არ ამბობს თუ რა ფასისა იყო კირმანეული (მუხ. 15.).

ბისათვის იმავე დამნაშავეს უნდა გარდაეხადნა 20,000 კირმანეული. ბაგრატ მეფემ 1478 წ. განუახლა გიორგი და მახარობელა გალაჴნდაძეებს სიგელი და ჯარიმა დაუნიშნა 420,000 (ოთხ-ას-ოცი ათ-ასი) ძველი კირმანეული და გარდა-ამისა 900 (ცხრაასი) კირმანეული შეწუხებისათვის (Двор. Грамоты, стр. 36, 37, 38). ქვემოდ განვმარტავთ და აქ მხოლოდ გაკვრით ვიტყვით, რომ ჯარიმა მარტო იურიდიული ნორმა როდი იყო ჩვენში; იგი იყო, თუ შეიძლება ესე ვსთქვათ, ეკონომიური ფორმულაც — ჯარიმა ჰხატავდა, ღირსების გარდა, რომელიმე წოდების წარმომადგენელის ეკონომიურ კეთილ-დღეობას, დოვლათის, სიმდიდრის რაოდენობას. ვახტანგის დროს ფეოდალების (და იქნება გლეხ-კაცების, თუმცა ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ ამის მასალა ხელთ არა გვაქვს) ეკონომიურმა კეთილ-დღეობამ იკლო და აი რისათვის ვახტანგმა „რაც ახალი სისხლები გააჩინა, ისიც ჴმარ იყო“.

ყოველივე ზემოდ მოხსენებული მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ვახტანგმა „ახალი სისხლები“ გააჩინა და გააუქმა ძველი „განაჩენები“, იადგრები. მან პრინციპულად სრულიადაც არ უარჰყო სისხლების დიდი განსხვავება. განსხვავება მაინც დიდი დარჩა (ესრედ წოდებული «დიდებული თავადის» სისხლი ღირდა ათ-ას-ხუთ-ას ოც და-თექვსმეტი თუმანი, გლეხ-კაცისა კი თორმეტი თუმანი, ვახ. სამ. მუხ. 26, 33) და ეს მიუცილებელიც იყო ფეოდალურ წეს-წყობილებაში. მკვლელობის სისხლის ჯარიმის დიდი განსხვავება ჩვენ სამართალში ისეთი შეურყეველი იურიდიული ნორმაა, რომ მის დაურღვეველად, ვგონებ, არარაიმე საბუთი არ მოიპოვების..

ვახტანგს რომ სდომნოდა ჯარიმის განსხვავების მოსპობა, მოსპობდა კიდეც, რადგანაც ის ადგენდა კოდექსს და არ აგროვებდა ძველ «განაჩენებს», იადგრებს. და რომ ეს ჩვენი აზრი ჭეშმარიტია, აი ამის საბუთიც. პირველად ისა, რომ ვახტანგმა თავის სამართალში მარტო ის იურიდიული ნორმები შეიტანა, რომელნიც მაშინდელი დროისათვის, ცხოვრებისათვის საჭირონი იყვნენ, რომელთაც თვით ცხოვრების წეს-წყობილება მოითხოვდა და მეორე — ის სრულიადაც არ შეუდგა ყველა ნორმების შეკრებას და მათ შეტანას თავის სამართალში; მან ჯერ ბევრი ისეთი რამ გაუშვა, რაც ცხოვრებაში მაშინაც მოიპოვებოდა მომქმედ იურიდიულ ნორმად, თორემ ისეთს რას შეიტანდა სამართალში, რაც «ეკუთვნოდა უმოქმედო კანონებსა, უძლურს ძველ დაწესებულებათა». სწორედ, ვახტანგმა ბევრ მოქმედ იურიდიულ ნორმებს ყურადღება არ მიაქცია. ამისათვის, ჩვენდა სამწუხაროდ, იმას სამართლის წიგნს მეტად აშკარად ეტყობა ნაკლი, ნაკლი ფრიად საგრძნობელი იურიდიული მეცნიერებისათვის, რომელიც, ვგონებ, ოდესმე უნდა დაარსდეს ჩვენ სამშობლოში, რადგანაც ეს ჩვენი პატარა სამშობლო შესანიშნავია, სხვათა-შორის, თავის კანონებით... თვით ვახტანგი არ მალავს, რომ იმან ბევრი რამ დააკლო თავის სამართალს („კაცის შუღლი და სიკვდილი თუ რასაც ფერის მიზეზი ბევრი არის, თუ სულ დაგვეწერა, ველარას თავს გაუვიდოდით და არც იქნებოდა...“ მუხ. 116 და კიდევ: «მრავალფერი არის (ქურდობა), ყველას ცალკე დაწერა არ იქნებოდა და გრძლად მოვიდოდა», მუხ. 150 და სხ.). თავის წინასიტყვაობაში ის ძველებური ქართველის გულ-წრფელობით ამბობს: „მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია, არც ვიჩემებ, რომ არა აკლდეს რა: ბევრი ისეთი საჩივრები არის და მოვა, რომე

ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისწვდების კაცის გონებაჲ.
(იხ. წინა სიტყვაობა ვახტანგის სამართლისა.)

შემდეგ ამ კერძო მოსაზრებისა ჩვენ დედა-კითხვას უნდა მივმართოთ და დაბოლოვებით დავასკვნათ — თუ რა ვრცელი მომქმედობითი ძალა ჰქონდა ვახტანგის სამართალს. ვახტანგის სამართალი, მთელი თავისი შინაარსით, იყო ცოცხალი სამართალის წიგნი, ყოველ ადგილას სახმარებელი, უკანასკნელი ინსტანციიდგან უმაღლესამდინ. ამის დასამტკიცებლად ჯერ ის საბუთი მოგვყავს, რომ რუსეთის მთავრობამ, შემდეგ საქართველოში შემოსვლისა, ამ უკანასკნელში ჰპოვა ვახტანგის სამართალი მომქმედ წიგნად. თვით ვახტანგიც თავის წინა-სიტყვაობაში პირ-და-პირ ამბობს, რომ მან ისურვა სამართლის წიგნის შედგენა ცხოვრებაში სახმარებლად. თუ ეს ასეა, მაშ რა არის, გარეგანის მხრით, ვახტანგის სამართალი და რომელი მიზეზების გამო გამოწვეული იქნა მისი შედგენა? — ჩვენის აზრით, ეს სამართლის წიგნი არის ჩვენი კანონების კოდიფიკაცია, ერთად შეკრება. კანონების კოდიფიკაციას მოითხოვდა საჭიროება და ამ საჭიროებას წინ გაუძღვა მართლაც რომ ნამდვილი მამულის შვილი ვახტანგი. საჭიროება კი წარმოსდგა იმ საზოგადო მიზეზებიდგან, რომელნიც სხვათა ხალხების ცხოვრებაშიაც მოიპოვებიან. სხვაგანაც და ჩვენშიაც ფეოდალებმა ხელთ იგდეს სამართალი და ეს უკანასკნელი თავის მონოპოლიათ გახადეს. კანონები იმათ იცოდნენ, სამართალი იმათ ეჭირათ და რაც უნდოდათ, იმას შვრებოდნენ. სხვათა შორის, ერთი უმთავრესი მიზეზი კოდექსის შედგენისა ყოფილა ის გარემოება, რომ მაღალ წოდებას კანონების და სამართლის ძალით, შევიწროებაში ჰყოლია დაბალი ხალხი (Древнее право, Г. С. Мэнъ, глава первая, Древнiе Кодексы). ჩვენის აზრით, ამ მიზეზის

გამო, უფრო უმეტესად, გამოწვეულ იქმნა ჩვენი კანონების კოდიფიკაცია. ფეოდალური განწყობილება ჩვენი სამართლისა ნებას აძლევდა ფეოდალებს სამართლის სახელით მრავალი უსამართლოება ჩაედინათ. თვით სამართლის ცოდნა მონოპოლიათ შეიქმნა; ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ამ ცოდნამ კასტიური ხასიათი, მიმართულება მიიღო. მონოპოლისტებათ იყვნენ, გარდა თვით ფეოდალებისა, ვახტანგისაგან ეგრედ წოდებულნი «ჭკუათა მყოფელნი», «მოხუცებულნი კაცნი» (ის. წინა-სიტყვაობა ვახ. სამართ.), რომელნიც ძლიერ ხშირად აბრუნდებდნენ სამართლის სასწორს. ეს კარგად იცოდა ვახტანგმა. «იყო ქვეყანა ესე ქართლისა ყოვლითურთ კეთილითა შემკული და შემზადებული, ხოლო ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ჟამთა თვით სიბრძნით და თავის თვისით სჯიდენ და განაგებდენ, ვიეთმინე მოყვსობით, ვიეთმინე მეგობრობით, ვიეთმინე მორიდებით, ვიეთმინე ღვთის ურიდებლობით და ვიეთმინე მიღებითა ქრთამთათა, ვითარცა ენებათ ეგრეთ სჯიდენ“ (წინასიტყვაობა ვახტანგის სამართლისა); და კიდევ: „ამით უფრო ვიქმენით წიგნისა ამისა მიზეზ, რათა აღარავინ განდრეკოს სასწორსა სამართლისასა ქრთამით, გინა მოყვსობით და ან სხვათფრივ რითმე მიდგომითა» (იქვე). თავის სამართლის წიგნით ვახტანგმა ისევე გააკეთა, რაც უფრო უკანასკნელ დროს შეასრულა მაგალითებრ სპერანსკიმ და თავის ღვაწლით ბოლო მოუღო «ჭკუათა მყოფელთა» მონოპოლიას, სამართალი და კანონი აქციარა ხალხის საკუთრებათ.—

ჩვენ ვსთქვით, რომ სამართლის წიგნის შედგენას მოითხოვდა საჭიროება. ამას ზედ უნდა დავუმატოთ ვახტანგის აზრი და შეხედულობა სამართალზე. ჩვენი წარჩინებული იურისტი, მზგავსად ძველი რომის იურისტებისა, მაღალი აზრისა და შე-

ხედულობისა იყო სამართალზე. ვახტანგი როდი ბძანდებოდა უსულო და უგულო «ასომჭამელი» ჩვენი ძველი კანონე-ბისა, ის როდი იყო მარტო გამოფიტული და გულ-გამხმარი თეორეტიკი, არა—ვახტანგს მთელს ბუნებაში უღელავდნენ კე-თილ-შობილურნი გრძნობანი და თავ-განწირული სამსახური ხალხისათვის. ამისათვის არის, რომ მას მაღალი ზნეობითი, ღვთიური შეხედულობა ჰქონდა სამართალზე, ეს უკანასკნელი ზეციურ საქმედ მიაჩნდა. „ღმერთი, ყოვლის დამბადებელი თქვენგან სამართლის უფროსს არას ითხოვს“... «უსამართლობა ამ სოფელს კაცს უძეოდ ამოფხვრის და გარდაავლინებს... ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფლის წარსწყმენდს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს“ (მუხ. 1. იხილე აგრეთვე მუხ. 3, სადაც ღრმა აზროვანი და მაღალ-კეთილ-შობილური შეხედულობა მსაჯულზე ისეთს შთაბეჭდილებას ჰკრებს მკითხველზე, რომ საჭირო იყო ზოგიერთი სიტყვები მესამე მუხლისა ოქროს ასოებით დაწერილნი ყოფილიყვნენ სასამართლოს კარებზე). ამ გვარი აზრის და გრძნობების კაცი გულ-გრილად ცქერას ვერ დაუწყებდა მაშინდელს უსამართლოებას და, ვგონებ, მარტო ესეც საკმაო უნდა იყოს უ ლედკობიტოვის და მისი მსგავსი „წევრების“ შეხედულობის დასარღვევლად. სწორედ, ჩემო მკითხველო, ვახტანგმა კარგად იცოდა მაშინდელი იურიდიული პრაქტიკის სენი და თვით სამართალს შთაბერა ღვთიური სული, გამაცხოველებელი ძალა, სამართალი დააყენა იმ ზნეობით სიმაღლეზე, რომელზედაც ჯერ არის რომ იგი იდგეს...

ზემოხსენებულით ჩვენ ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ ვითომ ვახტანგს არ ესმოდა ქვეყნიური მიზანი სამართლისა, კაცობრიული მისი შთამოქმედება, ვითომ ჩვენი მაშინდელი სამარ-თალი იმ წერტილზე იდგა, სადაც ღვთიური ელემენტი უფლე-

ბისა სძლევს ქვეყნიურ უფლებას. როგორც ამბობს უფალი მენი, აღმოსავლეთის ხალხების კოდექსებს (Мэнъ, гл. I. Древнie Кодексы) ერთი და იგივე ხასიათი ეტყობათ, რელიგიური ხასიათი. პირველადვე აღმოსავლეთში სამართალი «კერპთა ქურუმების» საკუთრებათ შეიქმნა და ამ საკუთრებათ დარჩა ბოლომდინ; იურიდიკული აზრი ხალხისა ღვთიურ უფლებას ვერ გასცილდა, რელიგიური ელემენტი სამართლის საფუძვლად დარჩა. ამგვარი ხასიათი აღმოსავლეთის ხალხების კოდექსებისა მხოლოდ ერთს ამტკიცებს — იურიდიული აზროვნობის სიღატაკეს, არა-განვითარებას. ამ სიღატაკეს ზედ ერთოდა სხვა მიზეზებიც და უმთავრესად ის მიზეზი, რომ აღმოსავლეთში სახელმწიფო პრინციპად აღვიარებული იქმნა თეოკრატია და «კერპთა ქურუმების» წოდება პირველ და მეპატრონე წოდებათ. სასულიერო წოდებას სამართლის შეკრებით ხალხი დამონებული ჰყავანდა და მუდმივ იმას ღაღადებდა, რომ სამართალი ღვთიური, ზეციური მოვლენაა. აქ საჭიროა ისიც დავუმატოთ, რომ, როგორც ამტკიცებს იურიდიული მეცნიერების ისტორია, ყოველივე ხალხის სამართლის შთამოება, დასაწყისი ღვთიური ხასიათისა ყოფილა. თვით რომაელების კანონებმა მომდინარეობა დაიწყეს ღვთიური უფლებიდგან, მათი შთამოებაც ზეციური იყო. (Духъ Римскаго права на различныхъ ступеняхъ его развитія, Рудольфа Іеринга, ч. 1, стр. 227—250 и пр.). შემდეგში იურიდიული აზრი ირყევა, ნელ-ნელა შორდება ღვთიურ უფლებას და ელტვის ქვეყნიური ცხოვრების მიზანს. ეს არის საზოგადო კანონი იურიდიული აზროვნობის განვითარებისა. ამ კანონს ემორჩილებოდა ჩვენი ხალხის იურიდიული აზროვნობის მოძრაობა და ეს აშკარად ეტყობა ვახტანგის სამართალს, რომელიც, წინააღმდეგ აღმოსავლეთის კოდექსებისა, მოშორებულია

რელიგიურ ხასიათს. ვახტანგის დროს ჩვენი იურიდიული აზრი ისეთს სიმაღლეზე იდგა, რომ ხალხმა გარკვევით იცოდა — თუ რა მიზანი უნდა ჰქონდეს სამართალს. მართალია, ვახტანგის სამართალში აქა იქ ჰპოვებთ ისეთს ნორმებს, რომელთაც ეტყობათ რელიგიური ხასიათი, მაგრამ ეს კიდევ ჩვენ წინააღმდეგს არ ამტკიცებს, რადგანაც ნაწყვეტები მოსესისა ჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ევროპის ძველ კოდექსებშიც. ცალკე გამოკვლევას რომ არ შევუდგეთ (და არც საკმაო მასალა გვაქვს ჯერ ხელში), ჩვენი დედა-აზრის დასამტკიცებლად, გარდა საზოგადო კანონისა, იმის დასაბუთებაც საკმაო იქნება, რომ ჩვენმა სახელმწიფო წყობილობამ არ იცოდა თეოკრატია, ვითარცა პრინციპი და სასულიერო წოდებას თავის საკუთარი კანონები ჰქონდა.*) ამისათვის ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ძველ საქართველოში იურიდიული აზრის მოძრაობა, მიმდინარეობა იმავე გზას და კანონს ადგა, როგორც ევროპაში და არა როგორც საზოგადოდ აღმოსავლეთში. სამწუხაროდ, ჯერ შეუძლელია ნაბიჯ-ნაბიჯ ამ მოძრაობის სურათის დახატვა. დაბეჭდილი მასალა მეტად ცოტა არის ამ გვარის შრომისთვის. გარდა დაწერილი

---

*) საკვირველია, რომ ამისთანა მცოდნე თავის საგნისა, როგორც გამოჩენილი პროფესორი გეტინგენის უნივერსიტეტისა, რუდოლფ იერინგი, მთელი აღმოსავლეთის ხალხის უფლებაზე ერთ-ნაირად სჯის. აი ის რას ამბობს: «религiозно возбужденное чувство в о с т о к а внимаетъ этому голосу Божества повсюду, во всѣхъ отношенiяхъ и повелѣнiяхъ какъ права, такъ и нравственности; сферы права, нравственности и религiи здѣсь совсѣмъ не достигаютъ самостоятельноси, идея божественной воли ставитъ всѣхъ ихъ на одну линiю» (Духъ Римскаго права, ч. I, стр. 228).

სიგელებისა, იადგრებისა, მეტად დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენ უფლებას იურიდიული ჩვეულებების შეკრება. მაგრამ ამაზედ ვინ ზრუნავს?—ორიოდე სიტყვაც ვახტანგის სამართლის გარეგნობაზე როგორც სხვა ძველ კოდექსებს, ვახტანგის სამართალსაც ერთი საზოგადო ნაკლულევანება ეტყობა — იგი არ არის სისტემატიურად დაწერილი. სისხლის სამართლის ნორმები და სამოქალაქო კანონები ერთი-ერთმანეთში არეულ დარეულნი არიან. გარდა ამისა, სამართალში ყოველ-გვარის უფლების ნორმებს იპოვნათ. აქ შეხვდებით სამხედრო უფლების ნორმებს („თუ ხელმწიფეს ლაშქრიდამ კაცი წაუვიდეს და მტერს მიუვიდეს... თავად ხელმწიფის მოწყალებაზედ ჰკიდია, თუ არა და ფეხის მოკვეთა ჯერ არს“... მუხ. 220) პოლიციური უფლებისას და სხ...

პირველ წერილში მკითხველს ვუჩვენეთ, რომ გარეგანი აგებულობა ჩვენი სამართლისა ფეოდალო-მონარხიულ ყალიბზე იყო ჩამოსხმული. ფეოდალო-მონარხიული ხასიათი არათუ მარტო ჩვენი სამართლის გარეგან მხარეს ეტყობა, არამედ შინაარსსაც. ამას გვიმტკიცებს ვახტანგის სამართალი. არსებითი კუთვნილება ფეოდალო-მონარხიული წეს წყობილებისა, სხვათა შორის, არის ესრედ წოდებული სისხლის ღირსება, განსხვავება. ყველა წოდების წარმომადგენელს სდის სისხლი ღირსების შესაფერად. და ეს სისხლის დენა კიდევ, გარეგანის მხრით, გამოიხატვის ჯარიმების სისტემაში, მათ რაოდენობაში (Система Композицій, ძველ რუსებს „ვირა“, «პენია», ძველ ფრანკებს «ვერგელდ» და სხ.). ყოველ დანაშაულობას, ბრალეულობას, რომელიც, ასე თუ ისე, არღვევს, უარ ჰყოფს კერძო პირის, საზოგადოების და ხელმწიფის უფლებას, ზედ აკერია თავის ჯარიმა. და რადგანაც თვით და-

ნაშაულებანი მრავალ-გვარნი არიან. ჯარიმაც თვითეული დანაშაულობისათვის სხვა არის. ამისთვის ყველა დანაშაულობა ანუსხულია, დაფასებული. ეს კიდევ არაფერი. ჯარიმის განსხვავება, მისი რაოდენობა, „კომპოზიციის სისტემა" მაშინ უფრო აშკარად გამოიხატვის, როდესაც დანაშაულობა ეხება ასეთის თუ ისეთის წოდების წარმომადგენელს. სადაც წოდებრივი განწყობილებაა, იქ ხომ მეტ ნაკლებობა, დიდ-პატარაობა დედა-ძარღვია ცხოვრებისა. ჯარიმაც ამ დიდ-პატარაობაზე არის გამოჭრილი, წოდებრივი განსხვავების ყალიბზე ჩამოსხმული. მკითხველი შესცდება, თუ იფიქრებს, რომ ჯარიმას ვითომ მხოლოობითი საფუძველი მოეპოვება — პოლიტიკო-სოციალური. არა, მას სხვა საფუძველიც ქვეშ უდგია, ეკონომიური საფუძველი, ცალკე პირის, წოდების შეძლება, სიმდიდრე. აქ პოლიტიკო-სოციალური და ეკონომიური საფუძვლები ერთი-ერთმანეთთან შეკავშირებულნი არიან. თქვენი სისხლი რომ ბევრი ღირდეს, ამისათვის საქმეა როდია მარტო თქვენი წოდება, საჭიროა ეგრეთვე წოდებრივ ღირსებასთან ეკონომიური შეძლებაც. ამისათვის ჯარიმას რაოდენობა ჰხატავს არა თუ მარტო კაცის ან წოდების ღირსებას, არამედ კაცის და წოდების ეკონომიურ კეთილ-დღეობასაც—გარემოება, რომელიც ამტკიცებს აწინდელ მეცნიერებაში მიღებულ ჭეშმარიტებას, რომ იურიდიული წეს-წყობილებას მჭიდრო კავშირი აქვს ეკონომიურ ცხოვრებასთან. ჯარიმას ეკონომიური (და არა მარტო იურიდიული) ბუნება ვახტანგსაც კარგად ესმოდა. ამისათვის მან «ახალი სისხლები» გააჩინა, რომელნიც იმ დროისათვის კმარ იყვნენ. ზემოდ ჩვენ დავინახეთ, რომ, ამ შემთხვევაში, ვახტანგი ხელმძღვანელობდა ეკონომიური მოსაზრებით. ამას ისიც უნდა ზედ დაუმატოთ, რომ ახალი ჯარიმა ვახტანგმა, სხვათა-შორის, ეკონომიურ საფუძველზე

დაამკვიდრა. მაგალითებრ, „დიდებული თავადი“ პირველი ღირსების (შემდეგ მეფისა და კათალიკოზისა) ფეოდალი იყო, მაგრამ ამ ღირსებისათვის ცალიერი „დიდებულობა“ როდი კმაროდა, საჭირო იყო ეკონომიური შეძლებაც. («დიდებული თავადი ეს არის: გაუყრელი ერთი თავი თითონ არაგვის ერისთავი, გაუყრელი ერთითავი თითონ ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთითავი თითონ ამილახორი, გაუყრელი ერთი თავი, თითონ ორბელიშვილი, როცა გაუყრელი ყოფილა ციციშვილიც...» ვახ. სამ., მუხ. 35.) მაშასადამე, ჩვენი ჯარიმა მარტო იურიდიული ნორმა როდი იყო, ის იყო ეკონომიური ფორმულაც, ე. ი. ჯარიმის რაოდენობა, სისხლის ფასი, ეკონომიურ კეთილ-დღეობასაც ჰხატავდა და თუ, მაგ., გლეხი კაცის სისხლი მარტო თორმეტი თუმანი ღირდა (ვახ. სამ., მუხ. 33.), ეს იმას ნიშნავდა, რომ გლეხ-კაცი თვით ეკონომიურად მეტად დაჩაგრული იყო. მაგრამ ამას ხომ შემდეგში გამოვიკვლევთ. რასაკვირველია, მკითხველი ჩვენ აზრს ისე არ გაიგებს, ვითომ ვახტანგის ჯარიმა არითმეტიკული პროპორციაა. არა, ჯარიმა ჩვენშიც და სხვაგანაც (სადაც უფლებამ იცის «კომპოზიციის სისტემა») ხატავდა წოდების შუათანა სიდიდეს ეკონომიური კეთილ-დღეობისას (средняя величина экономическаго благосостоянія), მარტო ამას და არა სხვა რამეს, და ეს ხომ სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ძველ საქართველოში გლეხ-კაცთა შორის ბევრი არ მოიპოვებოდნენ ისეთნი, რომელნიც ეკონომიური კეთილ-დღეობით მაღლა იდგნენ არა თუ «ცალმოგვიანს» — თვით „გადიდებულ“ აზნაურშვილებზედაც. ჩვენ აქ ვუბნობთ ჯარიმის ეკონომიურ, „საშუალო სიდიდეზე». ხსენებულ ეკონომიურ ბუნებას ჯარიმისას ყველგან ვხედავთ. მას ღაღადებს სხვა ხალხების უფლებრივი ისტორია და ჩვენ ვერ

წარმოგვიდგენია — რა მიზეზის გამო საქართველოში ჯარიმა მარტოდ-მარტო იურიდიული ნორმა უნდა ყოფილიყვეს...

იურიდიული მხრით რომ ავიღოთ, უნდა დავასკვნათ, რომ ვახტანგის ჯარიმა სრულებითაც არ არის აშენებული (წინად კი იყო; ეს საზოგადო კანონია) ესრედ წოდებულ «შურის ძიების უფლებაზე» (право мести), როგორც მაგ., ჯარიმა იყო ძველ ფრანკების კანონებში (Беко, Франкская эпоха, Мальбергъ, стр. 136) ჯარიმა მაშინ არის დამყარებული „შურის-ძიების უფლებაზე“, როდესაც ხალხი, სხვათა-შორის, ხელმძღვანელობს უფრო ჩვეულებრივი უფლებით, როდესაც ხალხს არ მოეპოვების წესიერად გამართული და დადგენილი სახელმწიფო და როდესაც მისი იურიდიული აზრი მეტად უკანასკნელ ხაზზე სდგას. ჩვენში არც ერთს ამ გარემოებას არა ვხედავთ. ხალხს ჰქონდა თავის აზრის განვითარებით შემუშავებული «სამართლის წიგნი», კოდექსი; მან კარგა ხნის წინათ განვლო ჩვეულებრივი უფლების სამფლობელო; სახელმწიფოც წესიერად ჰქონდა განწყობილი; იურიდიული აზრიც ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებული. თუ ეს ყველა ასეა, ჩვენ ჯარიმას შურის ძიების ხასიათი არც ექმნებოდა და მართლაც არა ჰქონია. და ეს უკანასკნელი გარემოება ღრმად გვამტკიცებს იმ აზრში, რომ ვახტანგის ჯარიმას ზედ აყუდა სახელმწიფო ეჭედა, მიუცილებელი და დასავალებელი ძალისა იყო. ამითი ჩვენ ის უნდა გამოვსთქვათ, რომ რასაც ჯარიმა ითხოვდა (იმის რაოდენობა ხომ განმარტებული იყო), უეჭველად ყველას ის უნდა გადაეხადა. თვით სახელმწიფო ამას ბძანებდა და ვაი იმის ბძანებას ვინ სად წაუვიდოდა. აქ შენიშვნას მოგვცემენ: „ჩვეულება უმტკიცეს არის კანონისა“, ჩვეულებრივი უფლებაც მიუცილებელი ძალისა არის. რატომაც არა, როდესაც ხალხს ჩვეულებრივი უფლების მეტი ხელთ არა უჭი-

რავს რა რატომაც არა ზოგიერთა იურიდიულ შემთხვევაებში, მაგრამ ჩვენ მაინც იმ აზრზედ ვსდგევართ, რომ ჯარიმა «შურის ძიების უფლებაზედ» აშენებული უფრო კაცს ესარჩლება, მას ინდობს. ამას ცოცხალი მაგალითით განვმარტავთ. ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთა მთებში «შურის-ძიების უფლება» არსებობს და ხალხიც ხელმძღვანელობს მით. ვსთქვათ ერთმა კაცმა მეორეს დაუშავა რამე დამნაშავეს ხან დიდს ჯარიმას გადაახდევინებენ ხოლმე და ხან ნაკლებს, ვისაც როგორ შეუძლიან (ამის მაგალითები ჩვენ თითონ ბევრი გვინახავს) მაგრამ როდესაც ჯარიმა თვით კანონში დაწერილია, იმის რაოდენობა აღვიარებულია დაწერილი სამართლით, მაშინ კანონს ვერ წაუხვალ, რასაც გიბძანებენ, მიუცილებლად უნდა გადაიხადო, თუნდა სულიც ამოგძვრეს... მეორე შენიშვნაც, რომელიც ფრიად საჭიროა. თუ ჯარიმა ეკონომიური ფორმულაც არის, მაშ რისათვის იყო ჯარიმა მონის მკვლელობისათვის, როდესაც მონას არა ვითარიმე საკუთრება არა ჰქონდა, საკუთარი ცალი ფულიც არ მოეპოვებოდა, — ასე გვკითხავენ. საქმე იმაშია, მკითხველო, რომ თვით მონა ეკონომიური ძალა იყო, მონების რიცხვი ეკონომიური კეთილდღეობის რაოდენობას ნიშნავდა. მაშასადამე, თქვენი შენიშვნა უფრო ამტკიცებს იმ აზრს, რომ ჯარიმა ეკონომიური ფორმულაც არის...

თუ მკითხველი ჩვენთან თანხმაა, იმან ერთი რამ უნდა დაიხსომოს, სახელდობრ ისა, რომ ჩვენი ჯარიმის რაოდენობა წოდებრივი ღირსების და ეკონომიური კეთილდღეობის დიდს განსხვავებას გვიმტკიცებს...

ვიდრემდისინ ჩვენ სხვა-და-სხვა წოდებათა ღირსების და მათ ჯარიმის აღწერას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება ერთს გარემოებაზე მივაქციოთ. ფეოდა-

ლო-მონარხიულ სახელმწიფოში გლეხ-კაცობა მეტად ქვემოდ
სდგას, მას ბევრი არა ეკითხვის რა და ზოგიერთს შემთხვევა-
ში ხომ სულ არაფერი. თავის სამართლის წიგნის შედგენის
დროს ვახტანგმაც არა ჰკითხა რა გლეხ-კაცობას და ან რას
ჰკითხავდა, მას არა რა მოეთხოვებოდა. სამართლის შედგენა
ფეოდალების ჩაუვარდათ ხელში. მათ გვერდით მოუსხდნენ მკი-
თხველისაგან ცნობილნი „ჭკუათა მეოფელნი", „მოხუცებულნი".
ვახტანგი თავის წინა-სიტყვაობაში პირ-და-პირ ამბობს: «ნუ რა-
ვინ ჰგონებთ, რამეთუ თვით თავით თვისით რასამე ვყოფდეთ,
არამედ თანაყოფილთა (აქ დაწვრილებით ჩამოთვლილნი არიან
უპირველესნი ჩვენნი სასულიერო და საერო ფეოდალები) და
კითხვითა ჭკუათა მეოფელთა და მოხუცებულთა კაცთა.." (წი-
ნასიტყვაობა ვახ. სამართლისა).—როგორც გარეგნობით, ისრე
შინაარსით ვახტანგის სამართალი ბევრით მიემსგავსება სხვა
ფეოდალო-მონარხიული სახელმწიფოს კოდექსებს, მაგ., ძველი
ფრანგების კოდექსს (Салическіе и рипуарскіе законы)—გა-
რემოება, რომელიც ერთს კიდევ ამტკიცებს იმ აზრს, რომ სა-
მართლის გარეგანი აგებულობა ზედ-გამოჭრილია სახელმწიფო
წეს-წყობილობაზე. აქ ვხედავთ იგივე „კომპოზიციის სისტემას",
იგივე წოდებრივულად განწყობას დანაშაულებათა და სასჯელთა,
თითქმის ბევრად ერთ-ნაირს სასჯელებს და დამტკიცებებს (ордаліи).
ვახტანგის «მდულარე» (მუხ. 8) და მისვე «მანთი» (მუხ. 9) სი-
ტყვა-სიტყვით იმეორებენ სალიური კანონის მდულარეს და
მანთს (Беко, ст. 135—142. აქ უ. ბეკოს ისე ვრცლად აქვს
ამოწერილი სალიური და რიპუარული კანონები, რომ ადვილად
შეიძლება მათი შედარება ჩვენ კანონებთან.). რასაკვირველია, ეს
ერთ-სახობა, მგზავსება მარტო იმას გვიჩვენებს, რომ ჩვენი
იურიდიული ისტორია საზოგადო კანონს ემორჩილებოდა და

ფეოდალო-მონარხიულ სახელმწიფოში სამართალიც შესაბამად იყო განწყობილი. იმ დროს, როდესაც ფრანკების სალიური და რიპუარული კანონები მოქმედობდნენ, ცხოვრება ფეოდალო-მონარხიულად იყო განწყობილი; კანონიც ამ ყალიბზე ჩამოისხა. ჩვენშიაც ამას ვხედავთ და არა სხვა რასმეს.

შესანიშნავ მოვლენას ჩვენი წარსული ცხოვრებისას შეადგენს ის ფაქტი, რომ არათუ მთელი ცხოვრება წოდებრივულად იყო განწყობილი, არამედ თვით წოდება, როგორც იურიდიული ერთეული, სხვა-და-სხვა ნაწილებად იყოფოდა; ყოველ წოდებაში რამოდენიმე ნაწილი მოიპოვებოდა და ეს ნაწილიც თითქმის ცალკე განსაკუთრებულს წოდებას წარმოადგენდა. სხვა წოდებათა რომ ჯერ თავი დავანებოთ და გლეხ კაცობა ავიღოთ, აქ შევხვდებით იმ მოვლენას, რომ თვით გლეხ-კაცობა, როგორც წოდება, მრავალ-გვარი იყო და ასეთი თუ ისეთი წოდების და ღირსების გლეხ-კაცს თავისი საკუთარი ადგილი ეჭირა. ჯერ ვახტანგის სამართალი მოსთვლის სხვა-და-სხვა გვარ გლეხ-კაცობას და ვახტანგის სამართალიც რომ არ იყოს, ძველმა იადგრებმა და სიგელებმაც იციან სხვა-და-სხვა ღირსების გლეხ-კაცობაგ., ჩვენში იყო «ნასყიდი გლეხი» (Крест. Грам. ст. 9), «დამოუკიდებელი» (იქვე გვ. 25. — „დამოუკიდებლობას“ გლეხი შეიძენდა ოც-და ათის წლის ვადის გატარებით), „თავის-თავის გამყიდველი“ (იქვე გვ. 41) და სხ. აღნიშნული მოვლენა ცხადად გვიჩვენებს — თუ რა შორს მიდიოდა ჩვენში ერთი კაცის განსხვავება მეორესაგან, თუ რა ღრმად ჰქონდა ცხოვრებას ძვალში და რბილში გამჯდარი ფეოდალური წეს-წყობილება. ანალოგიურ მოვლენას ვპოვებთ თვით დასავლეთ ევროპაშიაც, ჩვენის აზრით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უპირველესს სიკეთეს ჩვენი გლეხ-კაცობის იურიდიული მდგომარეობისას შე-

ადგენდა ის, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა არ იყო მიწის საკუთრება, მიწაზე მიკრული, როგორც ამას ვხედავთ ზოგიერთს ადგილას ევროპაში (Беко, ст. 127). იქნება ამ განსაკუთრებული განსხვავებით აიხსნებოდეს ის საზოგადო მოვლენა, რომ ჩვენში გლეხ-კაცი ასე ადვილად და იაფად ჰყიდდა თავის თავს («თავის-თავის გამყიდველი გლეხი») გლეხ-კაცი რომ მიწის საკუთრება ყოფილიყო, როგორც ევროპაში ფეოდალური ეპოხის დროს, მაშინ თავის თავის გაყიდვა ადვილად ვერ მოხერხდებოდა. ეს უნდა ვიქონიოთ სახეში, იმიტომ რომ ეს გარემოება მეტად ბევრს საყურადღებო მოვლენებს აგვიხსნის. თვით ჩვენი „მამული-შვილების" აზრი, რომ ძველ საქართველოში გლეხი ძლიერ არ იყო დაჩაგრული და ადვილად იტანდა ფეოდალურ უღელს, ვგონებ, ჩვენგან დასახელებული მიზეზით უნდა აიხსნას. სხვა არა რაიმე მიზეზი მას არ მოეპოვება. მაგრამ, რაც უნდა იყვეს, ფეოდალური უღელი მეტად მძიმეთ აწვა გლეხ-კაცს კისერზე, იგი თავისუფლად ვერა ჰსუნთქავდა იმ შენობაში, რომელსაც ძველი საქართველო ეწოდების და ეს რომ ნამდვილია, აი თვით იმ შენობის დაწყობილებაც თავისი ზნეობრივი და უფლებრივი ჰაერით:

მართლაც და როდესაც კაცი სწავლობს ვახტანგის სამართალს, მეტადრე ამ სამართლის იმ თავს, რომელსაც ეწოდების «კარი თუთრისა გარიგებისა», მას თვალების წინ უდგია დიდი სოციალური შენობა, რომელიც თავიდგან ბოლომდის ნაწილ-ნაწილად არის განყოფილი. შენობის შუა ადგილას სდგას ერთი დიდი კიბე და რამდენსაც ზევით ფეხს ახდგამთ კიბის საფეხურზე, იმდენად დიდს ღირსებას, დიდს უფლებას შეეყრებით. თუ ზევიდგან მოდიხართ კიბეზე ქვევით, მაშინ ყოველი ნაბიჯის შემდეგ უფლებასაც აკლდება და ღირსებასაც. შენობას

ზემოდგან დასცქერიან მეფე და კათალიკოზი—«სჯულის ხელმწიფე» («მეფისა, კათალიკოზისა... არა დაგვიწერია რაი, უკანასკნელი სიტყვები 33 მუხლისა.). ამ შენობის კიბე ზემოდგან ქვემომდინ და ქვემოდგან ზემომდინ სხვა-და-სხვა ფასის „სისხლებით" არის აღწერილი. კიბის ზემოდ სისხლი მეტად ძვირია, ქვემოდ კი ნაკლები. კიბის საფეხურებზე ჩამომწკრივებულნი არიან შენობის მცხოვრებელნი «ჩინების მათისაებრ» და რადგანაც გლეხს ყველაზედ უკანასკნელი ადგილი უჭირავს, ამისათვისაც იგი ამ შენობაში ყველაზედაც ქვემოდ სდგას, რასაკვირველია, ესეც „ჩინისა მისისაებრ." კიბეზე დანთხეულს სისხლებს ბაჟი ადევთ (таксація крови). ბაჟი ზემოდგან მოსდევს და რამოდენიც ქვემოდ მოიწევს, იმოდენად უფრო და უფრო სიდიდე აკლდება.

პირველი ადგილი უჭირავთ «დიდებულთ თავადთა». მათ სისხლის ფასი გახლავთ ათ-ას-ხუთ-ას-ოც-და-თექვსმეტი თუმანი (ვახ. სამართ., მუხ. 26),—დიდებულ თავადს თან მოსდევს «შუა თავადი» თავის სისხლის ფასით — შვიდ-ას-სამ-ოც-და-რვა თუმნით (იქვე მუხ. 27); შუა თავადის ქვემოდ კიდევ თავადი ბრძანდება, «მესამე თავადი», ესეც საკმაო ბაჟით—ამის სისხლი ღირს სამ-ას ოთხმოც-და-ოთხი თუმანი (მუხ. 28). კიბის პირველი სამი საფეხური, როგორც ვხედავთ, უჭირავთ საერო ფეოდალებს. ესენი შეადგენდნენ ჩვენს ძველს არისტოკრატიას, ოდესმე ამაყს, თუმცა ეხლა კი მეტად დაუძლურებულს ყურებ-ჩამოყრილს. მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ სასულიერო

ფეოდალებიც საკმაოდ გვყვანდნენ. ეს უკანასკნელნი საერო ფე-
ოდალებზე ნაკლებნი როდი იყვნენ და ზოგიერთს შემთხვევაში
ხომ მათზედ მაღლაც იდგნენ. სასულიერო ფეოდალები
უსხედან გვერდით საერო ფეოდალებს და მათაც ძვირფასი
სისხლი სდით „ჩინებისა მათისაებრ“ (მუხ. 26, 27, 28). უ-
დიდესი ფეოდალების ქვემოდ ჩამოსხდარან ეგრედ წოდებულნი
აზნაურშვილები სამ-ნაირი ყაიდისა—«გადიდებულნი», «შუა აზ-
ნაურიშვილები» და «ცალმოგვიანი აზნაურნი.» მათი სისხლების
ბაჟიც საკმაოა (მუხ. 29, 30, 31). აზნაურშვილებს შემო-
ჭხვევიან შუათანა წარმომადგენელნი სასულიერო წოდებისა და
უწარჩინებულესნი გვამნი უწინდელი ვაჭრებისა, ბურჟუაზიისა,
თუ კი ეს სიტყვა აქ გამოდგება. ვაჭრები ოთხ „ჩინათ“ იყო-
ფიან და აბა უჩინოსა როგორ იქნებოდა მრავალ-გვარ ჩინიან
ძველ საქართველოში. ვახტანგის სამართალმა იცის «დიდებული»,
დიდი ვაჭარი, მოქალაქე (მუხ. 30), „მეორე ვაჭარი“ (მუხ.
31), „მესამე ვაჭარი“ (მუხ. 32) და „მეოთხე ვაჭარი“ (მუხ.
33). ეს უკანასკნელი იმავე ფასისა იყო, როგორისაც გლეხ-
კაცი. სულ დაბლა ადგილი ეჭირა გლეხ კაცს. მისი სისხლი
ღირდა მარტო ...თორმეტი თუმანი. . . . , ასე გასინჯეთ
„მსახურიც“ კი თავზე ესკუპა (მუხ. 32). საკვირველია, რომ
სალიური კანონი მონას სისხლს უფრო ძვირად აფასებდა, ვი-
დრემდისინ ჩვენი კანონი გლეხ-კაცისას. მონა დაფასებული
იყო ოც-და-თოთხმეტ ოქროს სოლიდათ (Беко, ст. 141),
ჩვენებურ ფულზე რომ ვიანგარიშოთ, თოთხმეტ თუმნათ.
მშვენიერი ფორმულით აქვს ვახტანგს გამოხატული სისხლის
ბაჟი. «გლეხის სისხლზე ერთიორად მსახურისა არის, მსახურ-
ზედ ერთი ორად ცალ-მოგვის აზნაურშვილისა, ცალ-მოგვზედ
ერთი ორად დიდი აზნაურისა, დიდს აზნაურზედ ერთი-ორად

დაბალის თავადისა, დაბალს თავადზედ ერთი ორად შუა თავადისა, შუას თავადზედ ერთიორად დიდებულისა» (მუხ. 33) ძველი საქართველოს წოდებათა წარმომადგენელების იურიდიული განსხვავება მარტო ჯარიმის რაოდენობით როდი იხატებოდა. საქმე იმაშია რომ ეს განსხვავება სისტემატიურად გატარებულია კანონის მთელ სამართალში. ჩვენ აქ ამ სამართლის ორს მხარეს ავიღებთ—ჯარიმის ფორმას და პროცესსიალურ დამტკიცებას. ის კიდევ არაფერი, რომ ჯარიმის რაოდენობა სხვა იყო დიდებულისათვის და სხვა გლეხკაცისათვის. თვით ჯარიმის ფორმაც პირველისათვის სხვა იყო და მეორესათვის კიდევ სხვა. მაგ., «დიდებული თავადის» სისხლში უნდა გებოძათ ოქრო, ვერცხლი, თვალი, მარგალიტი; თუ თითონ ინებებდა, შეეძლო მიეღო იარაღი, პირუტყვი, რვალი (ვახ. სამ. მუხ. 22). გლეხკაცს ოქროს და მარგალიტს ვინ აღირსებდა. იმის სისხლში გაჩენილი იყო ძროხა, ცხვარი, ცხენი, იარაღი, სახლის სახმარი რგინა, რვალი (მუხ. 18; იხილე აგრეთვე მუხ. 19, 20, 21).

წოდებრივი განსხვავება სამოქალაქო პროცესშიც აღიარებული იყო. საზოგადო მოვლენა, რომელსაც ვხედავთ ძველ კოდექსებში და რომელიც იხატება მით, რომ სისხლის სამართალი და სამოქალაქო კანონები არ არიან განსაკუთრებულნი და გაცალკევებულნი, ჩვენ სამართალსაც აშკარად ეტყობა. აქაც სისხლის სამართლის ნორმები და სამოქალაქო კანონები ერთიერთმანეთში არეულნი არიან, მათ ერთი და იგივე მიმართულება აქვსთ. ეს ამტკიცებს მხოლოდ ერთს — კანონის დროს ჩვენი ხალხის იურიდიული აზროვნობა დასრულებით ანუ დაბოლოვებით არ იყო შემუშავებული, განვითარებული და თუმცა ჯეროვან სიმაღლეზე იდგა, მაგრამ მაინც განვითარება, წინ მოძრაობა საჭიროა. უეჭველია, რომ

აზრი განვითარდებოდა, რადგანაც ის სწორე გზას ადგა, მაგრამ თავისუფალ მოძრაობას ფრთები შეჰკვეცეს... დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ, ჩვენი იურიდიული აზრის ორგანიული ზრდა მოიშალა, ხალხის გონებამ სხვა კანონებს მიმართა.— ჩვენ ვსთქვით, რომ წოდებრივი განსხვავება სამოქალაქო პროცესშიც იყო. აი ფაქტიც: სადავო მამულის ასეთი თუ ისეთი სიდიდე თხოულობდა ასეთი თუ ისეთი ღირსების, «სისხლის» კაცს; დიდი იყო მამული, მოფიცარიც დიდი უნდა ყოფილიყო, თუ პატარა მამული იყო, მოფიცარიც პატარა «სისხლისა» უნდა ყოფილიყო... „თუ დიდი რამ მამული არის, თითონ ის საპატიო კაცის შვილი უნდა აფიცონ, თუ უდაბლე რამ არის აზნაურშვილი უფიცონ, კიდევ მის უდაბლესზე მსახური, მათ ქვეითზედ გლეხი იქმნების... ჯვრ ფასი დაადვან და მერე მოფიცარნი ისე შეაგდონ» (ვახ. სამ. მუხ. 12). ასე გაშინჯეთ, რომ მოწმების რიცხვი, რაოდენობა „სისხლის ღირის“ კანონზე იყო ამოყვანილი,— დიდებულისათვის ცოტა, სხვებისათვის ბევრი, „ზინებისა მათისაებრ“ (მუხ. 37). სამოქალაქო პროცესში რომ გაუშვათ და სისხლის სამართლის პროცესი ავიღოთ, აქაც წოდებრივ განსხვავებას შევხვდებით. მაგ., დამტკიცებათა სისტემაში (система доказательствъ) მეოთხე ადგილი უჭირა ხრმალს (მუხ. 6.— აქ შევნიშნავთ მკითხველისათვის, რომ ჩვენი „ხრმალი“ წააგავს დასავლეთ ევროპის ფეოდალების „დუელს“. Беко; Феодальная эпоха, ст. 161—199), მაგრამ ხრმალისათვის საჭირო იყო სისხლი, ღირსება. შუა თავადს დიდებულისათვის დიდებულისავე სისხლი რომ შეეწამა, „მათში ხრმალი ხომ არ მოხდების“ (მუხ. 38, იხილე აგრეთვე მუხლი 39, 40 და სხ.).

პროცესიალური მხარე რომ განვუტეოთ და მივმართოთ დასჯას, იქაც ერთს და იმავე მოვლენას შევხვდებით—სამართალი ესარჩლება ფეოდალებს და სასტიკად სდევნის დაბალ წოდებას. ამ გვარი გარეგანი აგებულობა დასჯათა სისტემისა ლოგიკური დასკვნა იყო თვით ჩვენი კანონების ფეოდალური მიმართულებისა. აქ ახალი არა არის რა—ჩვენშიც იმას ვპოვებთ, რასაც სხვაგან, სადაც კი დიდ-პატარაობა აღვიარებული ყოფილა ცხოვრების დედა-ძარღვად, სადაც ცხოვრება ჩამოსხმული ყოფილა წოდებრივი განსხვავების ყალიბზე. ავიღოთ, მაგ., კაცის დამახინჯება, ჭრილობა. ჩვენმა კანონებმა იცოდნენ ერთიც და მეორეც (მუხ. 44—48). მაგრამ დიდი განსხვავება იყო—დასჭრიდი გლეხს, თუ თავადს. გლეხი კაცი რომ დაგეჭრათ, „ჭრილობა ქერის მარცვლით გამოზომონ, რამდენიც ქერის მარცვლის ზომა დადგეს, მარცვალზე ერთი ძროხა გლეხისას დადებული“. ჭრილობის ჯარიმა ზევით იწევდა, დიდებულობა მატულობდა, რამდენიც გლეხს თავს ანებებდით, და დიდებულის ერთი ქერის მარცვლის ოდენა ჭრილობაში ოც-და-ხუთი თუმანი და ექვსი მინალთუნი იყო (მუხ. 49). ძროხა ორ მინალთუნად ჩავარდების (მუხ. 49.), ხუთი აბაზი მინალთუნს შეადგენდა (მუხ. 16.); მაშასადამე ერთი ქერის მარცვლის ოდენა ჭრილობისათვის გლეხს ეკუთვნოდა ერთი ძროხა ან ათი აბაზი, დიდებულისათვის კი იმ გვარივე ჭრილობაში უნდა მიეცათ ოც-და-ხუთი თუმანი და ექვსი მინალთუნი.

ავიღოთ ახლა ქურდობა. ვახტანგის კანონებმა იციან ქურდობის ეგრედ წოდებული კვალიფიკაცია «ქურდობა ყველა სწორე არ არის», მუხ. (150—153), მაგრამ კვალიფიკაცია როდი სჯერდებოდა თვით ქურდობის ასეთს თუ ისეთს იურიდიულს თვისებას. იგი ქურდობა, გარდა იურიდიული კვალიფი-

კაციისა. ამოყვანილი იყო წოდებრივი დიდ-პატარაობაზე. ჩვენი კანონის ძალით «ნაქურდალიც შვიდეულად უზღოს და რასაც გვარისა არიან, ნახევარ-ნახევარი სისხლი სხვა გარდაუხახადოს» (მუხ. 151). ამას ბრძანებდა კანონი, როდესაც «საპატიო კაცის შვილს» ან აზნაურს მოჰპარავდნენ. გლეხ-კაცისთვის რომ მოეპარათ, შვიდეულად კი არა, მარტო ერთი-ორად უნდა ეზღოთ („თუ ეს მოხაპარი გლეხისა არის ერთი-ორად გლეხს მიეცემის“ მუხ. 154). თუ რა შორს უწევდა წოდებრივი დიდ-პატარაობა, გვიმტკიცებს ეგრედ წოდებული მიხდომა (მუხ. 50—61). მიხდომასაც თავის იურიდიული და წოდებრივი კვალიფიკაცია ზედ ეკრა, მაგრამ მარტო იმითი როდი კმაყოფილდებოდა ჩვენი მიხდომა. ამ უკანასკნელის (მიხდომის) საზღაური დიდი იყო იმ შემთხვევაში, როცა ისეთს გლეხს მიუხდებოდნენ, რომელიც ბატონის სასახლესთან იყო, იდგა. «თუ ასეთს გლეხს დაესხას, რომე ასლოს იყოს სასახლეზედ, მის ბატონის ნახევარი სისხლი და იმ გლეხისა, რაც მოკვდეს და დაიჭრას, ორკეცი სისხლი და წანალებიცა მისცეს» (მუხ. 52.).

მკითხველისათვის მეტი არ იქნება იმ აზრთანაც გაცნობა, რომ ჩვენმა კანონებმა იცოდენ ეგრეთვე განსხვავება უფროს-უმცროსობისა — გარემოება, რომელიც ცხადად ხატავს ჩვენი სამართლის სულს, მიმართულებას. «თუ უმცროსს უფროსისათვის უქნია, ის უფრო მძამეა და თუ უფროსს უმცროსისათვის უქნია, ის უფრო მსუბუქია და თუ სწორს სწორისათვის უქნია, ის სწორია» (შენიშვნა 61 მუხ. ქვემოდ);“ თუ აზნაურმან ანუ გლეხმან მისგან უფროსი კაცი მოკლას, ერთინახევარი სისხლი მისცეს» (მუხ. 75. აქ ფიზიკურ უფროს-უმცროსობაზე არის სჯა).

ზემოდ მოხსენებული საკმაოდ მიგვაჩნია ჩვენი დედ-აზრის დასამტკიცებლად. ჩვენ ბოლომდისინ არ მივყვებით ვახტანგის კანონებს მით უფრო, რომ სხვა დროს კიდევ გვექნება სჯა ამ კანონებზე. შემდეგ წერილში პირ-და-პირ გლეხ-კაცზედ მოველაპარაკებით მკითხველებს.

ნიკო ხიზანოვი.

(დასასრული შემდეგში)

# ჩვენის გლეხ-კაცობის ისტორიიდამ.

(შენიშვნები ბატონ-ყმობაზედ)

ძველს საქართველოში ფეოდალურ წეს-წყობილებასთან ერთად არსებობდა ეგრედ წოდებული ბატონ-ყმობა, რომელსაც თავისი გარეგანი აგებულება და ფორმა ჰქონდა, თავისი განსაკუთრებითი სული, მიმართულება. ბატონ-ყმობა, როგორც იურიდიული დაწესებულება, დამყარებული იყო ორს ძალაზედ. ერთს ძალას შეადგენდა დაწერილი კანონი, მეორეს—ჩვეულებრივი უფლება. დაწერილი კანონი, როგორც ნაყოფი ფეოდალური ცხოვრებისა, უფრო ჩაგრავდა გლეხ-კაცობას და ესარჩლებოდა მაღალ-წოდებას. სულ სხვა ხასიათისა იყო ჩვეულებრივი უფლება; ეს უკანასკნელი ხელს უწყობდა გლეხობას, უმსუბუქებდა მძიმე უღელს, რომელიც, კანონის ძალით, კისრად ედო. კანონის და ჩვეულებრივის უფლების ამ ნაირის ხასიათიდგან წარმოსდგა ის ორ-გვარი უკიდურესი შეხედულობა ბატონ-ყმობაზე, რომელსაც ეხლაც ხშირად მისდევენ. თუ ერთნი ამტკიცებენ, რომ ბატონ-ყმობა ისე მოქმედობდა, როგორც კანონი ბძანებდაო, მეორენი სულ წინააღმდეგს აზრს ღაღადებენ—კანონი ცხოვრებაში თავის სიმკაცრეს ჰკარგავდაო, ბატონ-ყმობა ჰუმანიურის ხასიათისა იყო და სინამდვილე არ ეთან-

ხმებოდა დაწერილს უფლებასაო.[1]) საჩვენები უკიდურესობა წარმოსდგა უმთავრესად იმ მიზეზისაგან, რომ დაივიწყეს კავშირი, რომელიც არსებობს კანონის და ჩვეულებრივის უფლებას შორის. ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, დაწერილს კანონს გვერდით უდგა ჩვეულება, რომელიც ხშირად იურიდიულ სინამდვილეს ცოტად თუ ბევრად სხვა მიმართულებას აძლევდა, ასუსტებდა კანონის დამჩაგვრელს ძალას, ბარბაროსულ ხასიათს. მეორეს მხრით, თვით კანონებშიც მოიპოვებოდნენ ისეთი მუხლნი, სადაც პიროვნული და ზნეობრივი თავისუფლება გლეხისა აღიარებული იყო, სადაც ყმაც კაცად იყო ცნობილი. ამას შემდეგში ვუჩვენებთ და ეხლა შევნიშნავთ მხოლოდ, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, როდესაც ბატონ-ყმობის კანონებზედ გვაქვს სჯა. ხშირად ერთი მუხლი კანონისა წინააღმდეგია მეორესი, მეორე მესამესი და სხვ.[2]) კანონებიდგან რო-

[1]) Густавъ Калантаровъ, Крѣпостное право въ Грузіи, გვ. 1—3. აქ ავტორი, რომელსაც ჩვენი ბატონ-ყმობა ქვეყნიურ ჯოჯოხეთად მიაჩნია, გადაჭრით ამბობს, რომ ბატონ-ყმობა ისე მოქმედებდა, როგორც კანონი ბრძანებდაო. წინააღმდეგის შეხედულობისა არის თ. ა. ჯამბაკურიან-ორბელიანი; ამის აზრით—«მებატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისათვის». იხილე მისი თხზულება, გვ. 77.

[2]) აი მაგალითიც: «ვისაც შერისხდეს ღმერთი და თავის ბატონი მოჰკლას, ან დაჭრას, ამისი სისხლი არ გაჩნდების, ამისათვის, რომ ყმისა ყველა ბატონისა არის“.... (ვახტ. სამართ., მუხ. 258;) ამას ეწინააღმდეგება იმავე სამართლის 231 მუხლი, სადაც ლაპარაკია სამემკვიდრეო საკუთრებაზე: «ვინ მოკვდეს და დარჩეს ცოლი და შვილი, ამას უკან შვილიც მოკვდეს და დარჩეს დედა-კაცი, მამულთან ხელი არა აქვს, ბატონისა არის.. და თუ შვილი ისევა ჰყავს, მამულს ვერავინ წაართმევს, შვილის არის....»

მელიმე მუხლის ამოღება და მასზე დამყარება საზოგადო დასკვნისა, შეცდომა იქნება; საჭიროა მთლად კანონების მიმართულების, მათი სულის შეგნება. მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება პირუთვნელი და უტყუარი საზოგადო დასკვნა, ნამდვილი იურიდიული სინტეზი.

თუ რა შეცდომა წარმოსდგება აჩქარებისა, მარტო ერთის რომელიმე მუხლით ხელმძღვანელობისაგან, ამას გვიჩვენებს სახელმწიფო რჩევის წევრი და სენატორი ბარონი განი. ხსენებული ბარონი 1837—1841 წ. იმყოფებოდა საქართველოში. მაშინ მთავრობას ჰსურდა ზოგიერთა ცვლილება შემოეღო სამოქალაქო მმართველობაში, და სენატორმა განმა წარუდგინა სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს წერილი, იმ ზომათა შესახებ, რომელნიც უნდა წინ წასძღოლოდნენ ახალს სახელმწიფო მეურნეობას (ფინანსიურ სისტემას); ეს მეურნეობა უნდა შემოეღოთ საქართველოში. ბ. განი თავის წერილში ამტკიცებდა, რომ საქართველოში ბატონ-ყმობა არა ყოფილაო და ვასსალობა, რომელიც წარმოსდგა ფეოდალური წეს-წყობილობისაგან, მხოლოდ უკანასკნელი მეფეების დროს გარდაიქცა ყმობათაო [3]. რაზედ დაამყარა ბარონ განმა თავისი დედა-აზრი, საზოგადო დასკვნა? მან მეტად ადვილი საშუალება იხმარა— სომხური სამართლიდგან ამოგლიჯა ერთად-ერთი 171 მუხლი [4]) და მაზედ დააფუძნა თავისი შეხედულობა, თუმცა ამ

[3]) К. Л. Зиссерманъ. Сборникъ матеріаловъ, т. I, вып. I, стр. 265.

[4]) ...«პატრონ-ყმობა ამისი (კაცისა) ნდომებითა იქმნა მიწისა და წყლისა და ვისაც, არა აქვს მიწა და წყალი, ის კაცი აზატია, სადაც უნდა წავიდეს არ არის სამართალი ხელმწიფეთაგან და თავადთაგან ძალად დაჭერა და დაყენება ერთის ადგილს, გინდა და არა აქ იყავო». სომხური სამართალი მუხლი რ ო ა.

შეხედულობისათვის უნდა მოეძებნა სხვა და-სხვა ისტორიული და სოციოლოგიური საბუთები, რადგანაც ამას ითხოვდა საგნის უაღრესი მნიშვნელობა. ხსენებულ მუხლიდგან მხოლოდ ის დასკვნა გამოდის, რომ ვისაც არა ჰსურს სხვის მიწით და წყლით ისარგებლოს, ის თავისუფალია და სადაც უნდა წავა, იგი აზატია. თუმცა საქართველოს მაშინდელი მთავარ-მმართებელი გენერალი გოლოვინი ბარონ განის აზრს უარ-ჰყოფდა ცალკე წერილში, [5]) მაგრამ ამ უკანასკნელის ხმა მაინც ძლიერი იყო. ბარონ განის აზრმა დიდი შთაბეჭდილება იქონია მმართებლობის წრეებში. სასტიკად მიჰყვეს ხელი შეესწავლათ და განემარტათ სხვა-და-სხვა კითხვები წოდებათა შესახებ. მთავრობას ეწადა თავისუფალ მხვნელ-მთესველ გლეხთა წოდების დაარსება. [6]) სამწუხაროდ, თვით ჩვენი თავად აზნაურობა წინ აღუდგა მთავრობის კეთილს განზრახვას, გზაზე გადაეღობა სასარგებლო საქმეს, და უფრო სამწუხარო ის იყო, რომ ამ საქმეში ჩვენი კეთილ-შობილური წოდება ხელმძღვანელობდა ვიწრო პირადი სარგებლობით, წოდებრივი ანგარიშით, საზოგადო საქმე, საერთო კეთილი კი ავიწყდებოდა. ჩვენმა თავად-აზნაურობამ მიართვა ცალკე წერილი თავის საჭიროებაზედ სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს, როდესაც ეს უკანასკნელი საქართველოში მოვიდა და ამ წერილში, წინააღმდეგ ბარონ განისა, ამტკიცებდა, რომ სომხურ სამართალს საქართველოში ძალა ჰქონდა მარტო სომხებისთვის, და ვახტანგმა შემოიღო იგი

---

[5]) Сборникъ матеріаловъ, стр. 265—267., იხილე აგრეთვე Сборникъ статистическихъ свѣдѣній о Кавказѣ, т. I. стр. 14—15.

[6]) Сборникъ матеріаловъ, стр. 268—269.

იმ განზრახვით, რომ უფრო ბლომად გადმოესახლებინა სომხები სპარსეთიდგან და ოსმალოდგან, სადაც მათ სდევნიდნენ. თავად-აზნაურობა, რასაკვირველია, მართალს ამბობდა, როცა ამტკიცებდა, რომ ბატონ-ყმობა კანონიერი შვილი იყო ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, თუმცა კი სცდებოდა იმაში, ვითომ სომხურ სამართალს ძალა და მნიშვნელობა არა ჰქონია ქართველთათვის. ამ სამართლით ხელმძღვანელობდნენ ქართველი მსაჯულები იმ შემთხვევაში, როდესაც თვით ვახტანგის სამართალი რომელიმე იურიდიულ ფაქტზე არას იხსენიებდა, არას ამბობდა [7]. აქ საჭირო ის კი არ არის—რამოდენად მართალი იყო ჩვენი კეთილ-შობილური წოდება თავის იურიდიულ სჯაში, არამედ ის, რომ ამ წოდებამ გაიმარჯვა, რადგანაც თვით მთავრობამ უარ-ჰყო ბარონ განის აზრი და განმარტა, რომ არ შეიძლება დასკვნის დაფუძნება მარტო ერთს 171 მუხლზე, რადგანაც სხვა მუხლნი სომხური სამართლისა ეწინააღმდეგებიან ხსენებულს მუხლს. [8]) ბარონ განი გატაცებული იყო მაღალის აზრით, წმინდა გრძნობით. იმის მყოფობის დროს

---

7) Сборникъ матеріаловъ, стран. 252, примѣч.

8) მაგ., მუხლი ლ ბ «ვინცა ვინ თავის-თავის ხელთ მქონე მივიდეს ვისთანაც საყმოდ და თქვას კაცთა წინაშე თუ შევქნილვარ ყმა ამისით, ვისაც აყმო თავისი თავი თვითონ თუ იყოს კაცი იგი ოცის წლისა დაკარგოს თავისი თავი ხელთ მქონებიდამ... თუ ფასიც რამ გაუღია და შეუსგამს შეუჭამია დარჩა იგი კაცი ყმად მას კაცსა, ვის წინაც ეს რაც ქნას და თქვასა». იხილე ეგრეთვე მუხ. ლ გ, სადაც ქალის შეეძლო მოახლეედ მისცემოდა სხვას იმ პირობით, რომ მოახლეედ გამყოლი ოცის წლისა უნდა ყოფილიყო. См. Сб. Матер., стр. 253. Сбор. статист. свѣд., стр. 7, სადაც ჩამოთვლილნი არიან მუხლნი, რომელნიც არღვევენ 171 მუხლს.

საქართველოში, დაბალს წოდებას ზედმა გაულიმა, შეიძლებოდა ეს ღიმილი სიხარულად გადაქცეულიყო, მაგრამ თვით თავად-აზნაურობა გაჭირვებაში ჰხედავდა თავის-თავს, შეღავათს მოელოდა იმიდგან, რომ ყმები სრულიად მორჩილნი ყოფილიყვნენ ბატონებისა და დაუყოვნებლივ ეხადათ მათ სასარგებლოდ მრავალ-გვარი ხარჯი. კიდეც ამიტომ გენერალი გოლოვინი სწერდა უმაღლესს მთავრობას, რომ უფრო მეტად განემტკიცებინათ ბატონების უფლება, ჩვენი ბატონ-ყმობა რუსეთის წესზე, იქაურ ბატონ-ყმობის კვალზე დაეყენებინათ; ამ გვარი მოქმედება უშველის მაღალ-წოდებას და დააკმაყოფილებს მისს კანონიერს სურვილს, მოთხოვნილებათაო.[9])

მკითხველი თვითონაც ჰხედავს, რომ ბარონ განი სცდებოდა. ჩვენმა უფლებამ, სამართალმა ძველადგანვე იცოდა ბატონ-ყმობა, რომელიც იყო შედეგი ფეოდალურის სახელმწიფოისა. ეს ბატონ-ყმობა, როგორც აღიარებული ისტორიული ფაქტი, როგორც განხორციელებული იურიდიული მოვლენა, შეტანილ იქმნა ვახტანგის მიერ მის კანონებში და ეს კანონები ხომ უკლებრად ცხოვრებიდგან იქმნენ ამოღებულნი, უტყუარად ჰხატავდნენ მაშინდელს ისტორიულს სინამდვილეს. გარდა ამისა, ვახტანგმა თავის კანონთა კრებაში მხოლოდ ის იურიდიული წესები შეიტანა, რომელნიც ძველ დროიდგანვე შეკავშირებულნი იყვნენ ხალხის ცხოვრებასთან, მის ჩვეულებასთან. ხსენებულ კანონთა კრებაში ვრცლად არის ნაჩვენები რა გზით, რომლის საშუალებით არსდებოდა ყმობა; მაგ., ჩვენმა კანონმა იცის ბოძება მეფისაგან (ვახტ. სამ.,

---

9) Сбор. Статист. свѣд., стр. 14—15, Матер. Зиссер., стр. 265—267.

მუხლი. 233), შეუძლებელ მოვალეს ყმად აყვანა («ესეც იქმნების, მოვალეს რომ კაცი ვერ აუვიდეს, საქონელი არა ჰქონდეს, კაცი მიეცემის იმ საქმით, რომ ურჯულოზედ არ გაყიდოს» მუხ. 142), უკანონო შვილს შეეძლო თავის ძმებს ჰყმობოდა და სხ. მაგრამ როდის დაარსდა ყმობა, რომელ უკანასკნელ მეფეების დროს, როგორც ჰფიქრობს ბარონი განი, გადაჭრით არ შეიძლება ითქვას, თუმცა კი ყმობა მოიპოვება ჩვენში მეცხრე საუკუნეშიაც[10]). აქ შევნიშნავთ, რომ თვით სიტყვას «ყმა» სხვა-და-სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, იგი ნიშნავდა მეფის ერთგულს, წინად «ყმას» უწოდებდნენ თავის-თავის გამყიდველს; ხოლო შემდეგში ამ სიტყვით იხსენიებდნენ ყველა იმ პირებს, რომელნიც სხვების დამოკიდებულების ქვეშ იმყოფებოდნენ[11]).

რადგანაც ჩვენი წარსული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრება ფეოდალურ წესზე იყო გამართული, ამისათვის თვით გლეხ-კაცობის იურიდიული აგებულობაც საზოგადო ფეოდალურ წესს ეთანხმებოდა; როგორც სხვაგან, მაგ., დასავლეთის ევროპაში, სადაც ფეოდალიზმმა შექმნა სხვა-და-სხვა გვარი გლეხ-კაცობა, ისე ჩვენში დაბალი წოდება, გლეხობა დას-დასად იყო დაყოფილი: თვითეულს დასს თავის ადგილი ეჭირა სახელმწიფო შენობაში, თავისი უფლება და ვალდებულობა ჰქონდა შემოხაზული. როგორც სხვა წოდებაში, ისე გლეხობაშიც განხორციელებული იყო დიდ-პატარაობა, იურიდიული უფროს-უმცროსობა (თუ ასე შეიძლება ითქ-

---

[10]) Крѣпостное право въ Грузіи, стр. 23, Г. Калантарова.

[11]) ibid, стр. 21.

ვას) და როდესაც ერთი გლეხი განსხვავდებოდა მეორესაგან თავის უფლებით, მაშინ ამ განსხვავებას თავისი საბუთი ჰქონდა და საბუთიც სხვა-და-სხვა ნაირი იყო. ფერადად აჭრელებულს გლეხობას თავს დასცქეროდნენ მსახურნი, რომელნიც შეადგენდნენ ცალკე წოდებას; ეს წოდება იყო შემაერთებელი ხიდი გლეხობის და მაღალ-წოდების შორის. მსახურის სისხლი ერთი-ოდად ძვირი იყო უბრალო გლეხის სისხლზე (მუხ. 32 ვახტ. სამ.), მას შეეძლო აზნაურობა მიეღო ბატონისაგან. დანაშთენი გლეხობა ოთხს წრეში იყო მოთავსებული, ოთხს ნაწილად განყოფილი. პირველს ნაწილს ეკუთვნოდენ: შემოხიზნულნი, უცხოეთელნი, რომელნიც სცხოვრებდნენ ბატონების მამულზე და საბატონოს ხდილობდნენ, როგორც დროებით ვალდებულნი გლეხნი. მათი დასაკუთრება არ შეიძლებოდა, რადგანაც საბატონოს ძლევის გარეშე, იგინი მოშორებულნი იყვნენ ყოველგვარ დამოკიდებულებას. მეორე დასს შეადგენდნენ ისეთნი გლეხნი, რომელნიც დიდი ხნიდგან დასახლებულნი იყვნენ ბატონის მიწაზე; ეს მიწა, მამული, თუმცა ბატონის საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ გლეხის ხელში იყო სარგებლობა და მფლობელობა. ჯანი და ღონე ჩაღვრილი ჰქონდა ამ გვარ მამულში; სამართალიც და ჩვეულებაც თხოულობდა, ეს მამული მისთვის უმიზეზოდ არ გამოეწირა ბატონს. კიდეც ამიტომ ამ მამულზე გლეხს ჰქონდა სამემკვიდრო უფლება. მესამე ადგილი ეჭირათ მონებს, ნასყიდს გლეხებს, მეოთხე—ყმებს [12]). გლეხ-კაცობის ამ გვარი დანაწილება, დას-დასად დაყოფა მიაჩნიათ უმთავრეს მიზეზად მისი დაჩაგვრისა, შევიწროებისა. გლეხ-კაცობა არ წარმოად-

---

[12]) Крѣпостное право, стр. 20—21.

გჳნდა ერთიანს სხეულს, ერთს შეერთებულს ძალას, კიდეც ამიტომ ვერ შეეძლო აჯანყებულიყო ფეოდალების წინააღმდეგ, როდესაც აჯანყებას ითხოვდა გარემოებაო, ასე ამბობენ მრავალნი, ასე ამბობს თვით ყალანთარაშვილიც.[13]) მაგრამ ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა მართლა დაჩაგრული იყო და მერე მოიძებნოს მიზეზი — თუ რისათვის საქართველოს გლეხ-კაცობის ისტორიამ არ იცის ჟაკერია და სხვა ამ გვარი ნაყოფი დასავლეთის ევროპის ფეოდალიზმისა. —

საქმე ის არის, რომ, როგორც უკვე შევნიშნეთ, თვით ჩვენი კანონი აღიარებდა გლეხ-კაცის ზნეობრივს და პიროვნულს თავისუფლებას. ჩვენს კანონებში დიდის ზოლით არის გატარებული ეგრედ-წოდებული პოლიციური მზრუნველობა (**полицейская опека**), ის სახელმწიფო გამგეობის სისტემა, რომელიც წარსულს საუკუნეს დაგვირგვინდა დასავლეთის ევროპის სახელმწიფოში (Polizeistaat). კანონების გარდა ამ მზრუნველობას უფრო ხშირად ვპოვებთ ჩვეულებაში. გლეხი, კანონის და ჩვეულების ძალით, როდი იყო რომაელების «servus», რომელიც შეადგენდა მოძრავს ნივთს. არა, სახელმწიფო ზრუნავდა გლეხ-კაცობაზე, იფარავდა მას. «.... ეს ამიტომ დავსწერეთ, რომ ნურა-კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა, ექვს წელიწადს სხვაგან დაჰყოფს, მოვა, ხელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგებათ» (ვახტ. სამ., მუხ. 201) უკეთუ ბატონი ცუდად მოეპყრობოდა ყმას, «ძალას დაატანდა», ყმას შეეძლო სხვა ბატონს შეხიზნოდა, დაეყო მასთან ოცდა-ათი წელიწადი და სრულებით განთავისუფლებულიყო მოუ-

[13]) ibid.

სკენარი ბატონისაგან (იქვე, მუხ. **202**; თრიალეთზე წასულისათვის ვადა თორმეტი წელიწადი იყო—«თრიალეთზე ქართველის ბატონის სახასოშიდ თორმეტის წლის წასული რომ მოუვიდეს, აღარ მისცემენ»). არა თუ მარტო კანონში ვპოვებთ მზრუნველობას გლეხ-კაცობაზე, არამედ მართებლობის კერძო განკარგულებაშიაც. ამ გვარის მზრუნველობით აიხსნება, მაგ. ის საყურადღებო ფაქტი, რომ **1765** წელს მეფე ირაკლი მეორემ ბრძანება გამოსცა, რომ ტყვეობიდგან დაბრუნებული გლეხი თავისუფალი იყო და ვინც ჰსურდა, იმას ეყმობოდა.[14]) ეს მზრუნველობაც რომ არ ყოფილიყო, მაინც არც თვითონ გლეხი გახლდათ ისე ღრმად დაჩაგრული, ყოველ პროტესტის ძალას მოკლებული, როგორც ჰფიქრობენ. მართალია, ჩვენმა ისტორიამ არ იცის ისეთი ჯგუფად გლეხების აჯანყება, როგორსაც ვხედავთ პუგაჩოვის დროს რუსეთში და სხ., მაგრამ ეს კიდევ არაფერს ამტკიცებს. ჯგუფად აჯანყება იმას მოგვითხრობს, რომ მთლად გლეხობა შევიწროებული და დაჩაგრული ყოფილა და, თუ ჩვენში ამ გვარს აჯანყებას არა ვპოვებთ, უფრო იმიტომ, რომ მთლად გლეხობა, როგორც წოდება, სახელმწიფოსა და მაღალის წოდების მზრუნველობის ქვეშ იყო. კერძოდ, ცალ-ცალკე გლეხი ჩვენშიც ხშირად იჩაგრებოდა, მაგრამ პროტესტსაც იჩენდა. და თუ გლეხს «ძალას დაატანდნენ», მას ადვილად შეეძლო მოეკლა თავისი შემაწუხებელი ბატონი, გაექცია კიდეც მთელი სახლობა მისი და გაქცეულიყო სამზღვარ-გარედ. ამ გვარი მოვლენა ხშირად ხდებოდა

---

[14]) Д. П. Пурцеладзе. Груз. Крестьян. Грамоты, стр. 17.

და გარემოებაც ხელს უმართავდა გლეხობას.[15] კიდეც ამიტომ ბატონი იძულებული იყო ადამიანურად მოპყრობოდა თავის გლეხებს, კაცურად მოქცეოდა მათ. ურთი-ერთობრივი სათნოება, ნდობა—აი საფუძველი, რომელზედაც ამოყვანილი იყო ის დაწესებულება, რომელსაც ბატონ-ყმობა ეწოდებოდა და რომ ეს სათნოება, ნდობა იყო ნამდვილი ფაქტიური ძალა უფრო აშკარად მტკიცდება ჩვეულებით. მაგალითად, ჩვეულება ითხოულობდა, რომ ბატონი შიმშილობის დროს შესწეოდა თავის გლეხებს. ამ უბედურობის გამო მთელი წლის განმავლობაში სოფელი განთავისუფლებული იყო ყოველ-გვარ ხარჯისაგან; აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მტერი აოხრებდა სოფელს, აოხრებულს სოფელს არა რაიმე გარდასახადი არ მოეთხოვებოდა, ვიდრე მცხოვრებლები არ მოკეთდებოდენ და სხ.[16] ურთი-ერთობრივს სათნოებას, ნდობას, მკვიდრს კავშირს თხოულობდა სახელმწიფოს საჭიროება, პოლიტიკური ინტერესი და არა თუ მარტო მეფეები, არამედ უმაღლესნი მოხელენიც კი ფხიზლად, სასტიკად ზრუნავდნენ, ეს სათნოება, კავშირი არ შერყეულიყო. ღრმად სცდება ბ. ყალანთარაშვილი,[17] როდესაც ამბობს, რომ ჩვენს მეფეებს ვითამ ძალა არა ჰქონდათ კანონები აღსრულებაში მოეყვანათ. არა, მეფეე-

[15] Крѣпостное право, стр. 31—32. აქ ბ. ყალანთარაშვილს ჩამოთვლილი აქვს ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობდენ გლეხს თავი დაეხსნა შევიწროებისაგან. ავტორის სიტყვით აღმოსავლეთ საქართველოში გლეხი უფრო დაჩაგრული იყო, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. რადა?—ცალიერი სიტყვების გარდა არა რაიმე საბუთი არ მოჰყავს.

[16] Крѣпостное право, стр. 25, 46.

[17] ibid, стр. 23, 26.

ბი და მათი შვილები თვით უდიდეს ფეოდალებსაც კი ნებას არ აძლევდნენ კანონის წინააღმდეგ მოეხდინათ რაიმე. 1781 წელს გლეხმა სვიმონ პეტრიაშვილმა იჩივლა მეფის მემკვიდრეს გიორგისთან (უკანასკნელი მეფე საქართველოსი), აბელ ანდრონიკაშვილმა ორი ქალი მომტაცა და მოახლებათ წაიყვანაო, ერთი კიდევ გააუპატიურა და ორსულად არისო. მეფის შვილმა ბძანება მისწერა მოურავს რევაზს: გაიგე ეს ამბავი და თუ მართალი გამოდგეს, პეტრიაშვილი თავის სახლობით ჩამოართვი ანდრონიკაშვილს და სახელმწიფო მამულზე დაასახლე. უთხარ, «მამაძაღლს» აბელს ანდრონიკაშვილს, რომ თუ წინააღმდეგობას გასწევს, მიწასთან გაასწორებთ. ეს კარგად იცოდეს იმან. [18]) რასაკვირველია, ბატონისაგან ყმის დაჩაგვრა ხშირს მოვლენას შეადგენდა, მაგრამ თვით ბატონ-ყმობაც ხომ ამ დაჩაგვრას ნიშნავდა, ამ მოვლენას მოასწავებდა. საქმე ის არის, რომ ძველი ჩვენი გლეხობა ისე არ იყო დაჩაგრული, როგორც შემდეგში და არ იყო იმიტომ, რომ ბევრი გარემოება ეხმარებოდა მას, ხელს უწყობდა. და რომ ყოველივე ეს მართალია, სჩანს იმ ფაქტიდგანაც, რომ 1832 წელს საქართველოს მთავარ-მმართებელმა ბარონ როზენმა შეამოწმა ზნეობითი და ეკონომიური კეთილი განწყობილება ბატონების და ყმების შორის, რომელიც ძველს ჩვეულებაზე იყო აშენებული. უმაღლესმა მთავრობამ მოსთხოვა ბარონ როზენს აზრი, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო გლეხების გარდასახადი. მთავრობას ეწადა შეეცვალა გლეხების ეკონომიური დამოკიდებულება და ეს უკანასკნელი რუსულის ბატონ-ყმობის კვალობაზე,

---

[18]) Грузин. Крест. грам., стр. 38; იხილე ეგრეთვე გვ. 29, 45; 31. 79 და სხვანი...

წესსზე დაყენებისა. თავის პასუხში 11 თებერვლიდგან 1832 წ. ბარონ როზენმა მოახსენა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ გლეხ-კაცობა კმაყოფილია თავის ძველებური ჩვეულებისა და ეკონომიური დამოკიდებულების შეცვლა რუსულ წესსზე საჭირო არ არისო [19]); მარტივი სახელმწიფოებრი ცხოვრება, მოშორებული ბიუროკრატიულს სენს, ბუნებრივი სახელმწიფო-მეურნეობა, რომელიც ეკონომიურად ისე არა სჩაგრავს გლეხობას, როგორც ფულებრივი მეურნეობა—აი, სხვათა შორის, მიზეზი გლეხ-კაცობის კეთილ-მდგომარეობისა. მართალია, პირველი შეხედვით მკითხველს ეგონება, რომ გლეხობას დიდი გადასახადი ედვა, რადგანაც თვით გადასახადი მრავალ-გვარი იყო [20]), მაგრამ, ჩვეულების ძალით, გლეხი გარდასახადს აძლევდა შეძლებისა გვარად და ისიც ფულით არა, და ეს გარემოება დიდს შეღავათს უშვრებოდა მას. ყოველსავე ამას ზედ უნდა დაუმატოთ განსაკუთრებითი თვისება მეფის უფლებისა [21]). ეს თვისება ამხნევებდა გლეხ-კაცობას, რადგანაც ამ თვისების ძალით მეფე იყო დაბალი წოდების მფარველად. კიდეც ამიტომ ხშირად თუ გლეხს დაუშავებდნენ რასმეს, პირ-და-პირ მეფესთან მიდიოდა საჩივლელად. მეფის ბძანებით საჩივარიც მალე თავდებოდა. ზემოხსენებულით ჩვენ სრულებითაც არ ვუკმევთ გუნ-

---

[19]) Сбор. матер., стр. 275—280.

[20]) Грузин. Церковн. Гуджари, стр. 78—79, 110 და სხ.

[21]) შემდეგ მშვენიერის სტრიქონებისა მეფის უფლების თვისებაზე («ივერია» № 8, 1881 წ., წერილი, «რანი ვიყავით გუშინ?», გვ. 73—75,) რომელნიც ეკუთვნიან ბატონ ი. სვიმონიძეს, ჩვენ აქ მეტად მიგვაჩნია განმეორებით ამ უფლების თვისებაზე ბაასი.

დროვს ჩვენის გლეხ-კაცობის წარსულს მდგომარეობას. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ეს მდგომარეობა არ იყო ისე ცუდი, როგორც ჰგონიათ ბევრს და იქნება ჩვენი გლეხობის ყოფა-ცხოვრება უფრო ცუდი არა ყოფილიყვეს, ვიდრე დასავლეთის ევროპის ზოგიერთა სახელმწიფოებში, მაგ., საფრანგეთში; რომლის დაბალს წოდებაზე აი რას სწერდა მეჩვიდმეტე საუკუნეს მწერალი ლაბრუერი: «სოფლებში ერთგვარს პირუტყვებს ჰხედავ,—ბინძურებს, გამხდრებს, შიშვლებს, მზით დამწვრებს; ისინი დაჰკრობიან მიწას, დიდის გაჯირვებით სჩიჩქნიან მას, მცენარეების ღეროს და ფესვებს დაეძებენ საჭმელად. იმათ თითქმის არ შეუძლიანთ ადამიანურად ხმის ამოღება; მხოლოდ მაშინ, როდესაც ფეხზე წამოდგებიან, თქვენ შენიშნავთ, რომ ისინი ადამიანები არიან, ნამდვილი ადამიანები!..» [22])

ღირს-შესანიშნავია ერთი მოვლენა გლეხ-კაცობის ცხოვრებაში. ძველს საქართველოში დაბალი წოდების კაცი ხშირად თვითონ ეძებდა ბატონს, ყმად აძლევდა მას თავის თავს. ანალოგიურ მოვლენას ვხედავთ ევროპაში. იქ ეგრედ წოდებულნი უმამულო ვილლანები ყმებად ეძლეოდნენ ზოგიერთა ძლიერ ფეოდალებს იმ მიზეზის გამო, რომ ეს უკანასკნელნი მფარველობას უწევდნენ მათ, შეწუხებისაგან იხსნიდნენ. [23]) დასავლეთ ევროპაში ამ მოვლენის პირველი და უკანასკნელი მიზეზი არეულ-დარეულობა, უწესოება იყო, რომელიც თან მოჰყვა ფეოდალობას. იქ სუსტს და უძლურს ძლიერისთვის უნდა მიემართა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაანადგურებდნენ. ჩვენშიც,

---

[22]) Организація Уголовной юстиціи Беко, стр. 311—312.

[23]) ibid, стр. 168—169.

რასაკვირველია, ფეოდალურ ანარქიას ადგილი ჰქონდა, მაგრამ აქ ბატონი, ფეოდალი იზიდავდა თავისკენ გლეხს უფრო თვით ბატონ-ყმობის ხასიათის, მიმართულების ძალით, მით რომ ბატონი ხშირად «პატრონი» იყო თავის გლეხისა[24]). არეულობა არ იყო უმთავრესი და მუდმივი მიზეზი. მემკვიდრე გლეხი, რომელსაც არავინ და არა აწუხებდა რა, პირობას აძლევდა ბატონს, გეყმობი და შენ კანონიერად, სამართლიანად მამკვიდე, ჩემზედ ძალა არ იხმაროვო (მაგალითად, დავით ზბითელის წერილი ბახუტა თულაშვილისადმი, Крест. Грамоты, стр. 49 და სხ.) საკვირველია, რომ შემდეგში, აწინდელი საუკუნის 20 წწ. დასაწყისში ურთიერთობითი დამოკიდებულება თავად-აზნაურობის და გლეხ-კაცობის შორის ძირეულად შეიცვალა. გლეხ-კაცმა დაჰკარგა ძველებური სათნოება, ნდობა და ხელი მიჰყო რომ თავი როგორმე დაეხსნა ბატონისაგან. მეტად გახშირდა საჩივარი, დავი-დარაბა—არა, მე ამის ყმა, ამის კაცი არა ვარო. ამის მიზეზათ ის მიაჩნდათ, ვითომ ბატონებმა ყმების კუთვნილობის დაწერილი საბუთები დაჰკარგეს არეულობის დროს საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელ წლებში და ეს შეიტყეს ყმებმაო; ამას იმასაც უმატებდნენ, რომ პოლიცია თავის მოქმედებით აქეზებდა გლეხ-კაცობასაო. რადგანაც გლეხ-კაცობა თავისას არ იშლიდა, მთავარ-მმართებელი თ. ვორონცოვი იძულებული იყო მოეხსენებინა ეს გარემოება ხელმწიფისათვის, რომლის ბძანებით დაწესდა, რომ გლეხს არ გაებედნა თავისუფლების ძებნა მარტო იმის მიხედვით, რომ ბატონს ხელთ არა ჰქონდა დაწერილი საბუთი; თუ ჰსურდა თა-

---

24) Крѣпостное право въ Грузіи, стр. 21

კი განთავისუფლებისა, უნდა დაემტკიცებინა, რომ ან თვითონ, ან მამა მისი და ან პაპა წინად თავის-უფალნი ყოფილან. [25]) მთავრობა სცდილობდა ყმების მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. 18 მარტს 1825 წელს და 6 სეკტემბერს 1826 წ. გამოიცა ორი ბძანება, რომლის ძალით უკეთუ მებატონე ზომას გარედ ხარჯს გარდაასხდევინებდა ყმას, შეუბრალებლად მოეკიდებოდა მას, ერთის სიტყვით, რაიმე ბოროტ-მოქმედობას იქმოდა, მაშინ მთავრობა მის მამულს, ყმებს თავის მზრუნველობის ქვეშ აიყვანდა (опека) [26]), მაგრამ გლეხ-კაცობა მაინც თავისას არ იშლიდა, დავას არ სტოვებდა. რისთვის? უმთავრესი მიზეზი ამ მოვლენისა იმაში უნდა მოიძებნოს, რომ უწინ თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა ერთს საზოგადოებრივ სხეულს შეადგენდნენ, ორგანიულად იყვნენ შეკავშირებულნი. ბატონი ესაჭიროებდა გლეხში, გლეხი ბატონში. დამოუკიდებელი სახელმწიფო, გარემოცული მტრებით, თხოულობდა წოდებრივს კავშირს, სათნოებას წოდებათა შორის და კიდეც ეს კავშირი, სათნოება მკვიდრად იყო განხორციელებული. შემდეგ 1801 წ. ბატონ-ყმობის ხასიათი, მიმართულება შეიცვალა. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ თვით მთავრობამ გამოსცა ზემოხსენებული ბძანება (უქაზი) ყმების სასარგებლოდ. ბძანება, რასაკვირველია, საჭირო არ იქნებოდა, თუ კი გლეხ-კაცობა გაჭირვებაში არა ყოფილიყო.

რაც ჟამი და დრო გადიოდა, იმდენად crescendo ისპობოდა, იფუშებოდა მკვლებური განწყობილება ბატონსა და ყმას შორის. 1823 წ. მთავრობამ ისურვა გამოეკვლია ეკო-

---

25) Сбор. статист. свѣд. стр. 32—33.

26) Сбор. матер., стр. 278.

ნომიერი მდგომარეობა ყმებისა, რაოდენობა მათის გადასახა-
დისა. ეს კითხვა აღიძრა იმის გამო, რომ, როგორც შევნიშ-
ნეთ, ყმებმა გამართეს საჩივრები თავისუფლების მოსაპოებლად.
მთავრობას ეწადა შეეტყო თუ რამოდენად შევიწროებულია გლეხ-
კაცობა. გენერალ ერმოლოვმა, საქართველოს მთავარ-მმართე-
ბელმა, წინადადება მისცა «საქართველოის უზენაეს მმართებ-
ლობის საზოგადო კრებასა», რათა მას მოეწვია თავად-აზნა-
ურობის წინამძღომელნი და გამოჩენილნი მებატონენი და მა-
თის დახმარებით გამოეკვლია—რამოდენს გადასახადს აძლევდნენ
მებატონეებს თავისუფლების მძიებელნი გლეხნი. სამის წლის
შემდეგ (1826 წ. 30 აპრილს) «საზოგადო კრებამ» მოახსე-
ნა გენერალ ერმოლოვს, რომ საქართველოში ყმების გადასა-
ხადი გადაჭრილი და განსაზღვრული არ არის, თუმცა ეს გა-
დასახადი დიდია და მრავალ-ნაირი. ამასა «საზოგადო კრება»
იმასაც უმატებდა, რომ შეიძლება ისე დაწესდეს, რომ თავის-
უფლების მძიებელნი ყმანი, რომელნიც ღალას და კულუხს არ
იხდიან, სამ დღეს ემსახურონ ბატონს კვირაში, ხოლო ისინი
კი, ვინც ღალა-კულუხს აძლევენ, ორ დღესა. კრებამ წარუდ-
გინა ერმოლოვს სხვა-და-სხვა გადასახადის სია. ამ სიიდგან
სჩანს, რომ გლეხი ყველაფერს აკეთებდა თავის ბატონისათვის,
ყველაფერს აძლევდა მას. [27]) «საზოგადო კრების» აზრი უმე-
დეგოდ დასტოვეს, მაგრამ საქმე კი ამითი არ გათავდა. 1831
წელს საქართველოში მოვიდნენ რევიზორებათ გრაფი ქუთაი-
სოვი და მეჩნიკოვი. ამათ განიხილეს «საზოგადო კრების»
შრომა, გადაწყვეტილება და პასკევიჩ-ერივანსკის ნება-დართვით
მოახსენეს ხელმწიფეს—საქართველოშიაც ისეთი ურთიერთობა

[27]) Сбор. матер. стр. 274—275.

დაარსებულიყო, როგორიც რუსეთში იყო მებატონეთა და გლეხთა შორის. ამ აზრს წინააღუდგა ბარონ როზენი, რომლის შეხედულობა ამ საგანზე უკვე იცის ჩვენმა მკითხველმა.

1847 წელს «მთავარ-სამმართველოს რჩევა» (Совѣтъ Главнаго Управленія) შეუდგა პროექტის შედგენას, რომელსაც სახელად ეწოდებოდა: «Систематическій сводъ отношеній помѣщиковъ къ крестьянамъ и обратно». ეს პროექტი წარუდგინეს თ. ვორონცოვს, რომელმაც, შემდეგ განხილვისა, წარმოსთქვა, რომ პროექტი უფრო დიდს უფლებას აძლევს ბატონს, ვიდრე ძველად ჰქონდა მას მინიჭებულით. ვორონცოვს ჰსურდა გაეგო — რა შეხედულობისა იყო თვითეული მაზრის თავად-აზნაურობა. ამისათვის მან უბრძანა თავად ბებუთაშვილს მაზრის კომიტეტები დაეარსებინა. როდესაც კომიტეტები დაარსეს და მათ მოსთხოვეს წარედგინათ მთავრობისათვის შენიშვნები პროექტზე, მაშინ აშკარად აღმოჩნდა მტრობა თავად-აზნაურობისა გლეხ-კაცობისადმი. პროექტში ჩართულნი იყვნენ ზოგიერთა ლიბერალური ზომანი, წესები გლეხ-კაცობის სასარგებლოდ. ეს მეტად არ ესიამოვნა თავად-აზნაურობას. სამწუხაროდ, დიდი ანგარება გამოიჩინა გორის მაზრის თავად-აზნაურობამ. აი ნიმუშად ზოგიერთა ზომანი, რომელნიც უარ-ჰყო გორის მაზრის ეგრედ წოდებულმა მაღალმა წოდებამ. პროექტის მეთერთმეტე მუხლი თხოულობდა, რომ უკეთუ ბატონი მოჰკლავდა თავის გლეხს, მოკლული გლეხის ოჯახი და მისი გაუყრელნი ძმანი ყმობიდგან უნდა განთავისუფლებულიყვნენ და სახელმწიფო გლეხებად შერიცხულიყვნენ. მეხუთე მუხლის ძალით, თუ ბატონი ახლად გააშენებდა სოფელს, გლეხნი ექვსი წლის განმავლობაში თავისუფალნი იყვნენ სახელმწიფო გადასახადისაგან (ამას ით-

ხოვდა ძველებური ჩვეულებაც, (Крѣпост. право, стр. 46). მეთერთმეტე მუხლის ძალით, როდესაც ცალკე გლეხი, მთელი ჯალაბობა ან სოფელი უნდა გასყიდულიყო ვალში, თვით გლეხს ან სოფელს შეეძლოთ დანიშნული ფასი წარედგინათ და თავისუფლება მოეპოვათ, თუ სხვა მსყიდველი არ აღმოჩნდებოდა. გორის მაზრის თავად-აზნაურობამ უარ-ჰყო ეს მუხლნი იმ მიზეზების გამო, რომ ჩემი სასარგებლონი არ არიანო. [28]) არც სიღნაღის მაზრა ჩამორჩა უკან გორის მაზრას. იქაური თავად-აზნაურობა თხოულობდა ნება მოგვეცით გლეხები დავაგიროვოთ საქართველოს გარდა სხვაგანაცაო და არა მარტო «პრიკაზშიო» (Приказъ общественнаго призрѣнія), საჭიროა ჩვენს ქალებს მზითევში მთელი სოფლები გავატანოთ და ნება გვქონდეს იმერეთშიც ვიყიდოთ გლეხები და იქიდგან გადმოვასახლოთო. [29]) ცოტად ადამიანური გრძნობა გამოიჩინა თბილისის მაზრის თავად-აზნაურობამ. [30]) თვით თ. ვორონცოვმა უფრო ლიბერალურად შეჰხედა პროექტს; ამის კეთილ-შობილური აზრი და გრძნობა უჩვენებდა საზოგადოებას, რომ მთავრობა ზნეობით და გამჭრიახობით დაშორებით მაღლა იდგა ჩვენს თავად-აზნაურობაზე. სამწუხაროდ, საქმე ვერაფრით ვერ დაბოლოვდა, რიდგანაც თ. ვორონცოვმა დაასკვნა, რომ ვიდრე მამულები არ გაიმიჯნება და თავად-აზნაურობა ფორმალურად არ დაამტკიცებს ღირსებას, შეუძლებელია ურთი-ერთობრივის დამოკიდებულობის შეცვლა,

---

[28]) Сбор. матер. стр. 282—292.
[29]) ibid, стр. 293.
[30]) ibid, стр. 291.

ბატონ-ყმობის ახალს წესსზე დადგენა[31]). მკითხველი თვითონაც ჰხედავს ჩვენი თავად-აზნაურობის მოქმედებას, მის ზნეობრივს სახეს. საყურადღებო და ღირსშესანიშნავი ის არის, რომ გორის მაზრა იყო უდიდესი ბუდე ფეოდალებისა, ყმების რიცხვი ამ მაზრაში უფრო მრავალი იყო, ვიდრე სხვაგან[32]) და აი სწორედ ამ მაზრის თავად-აზნაურობამ გამოიჩინა მტრობა გლეხობისადმი, გვიჩვენა ვიწრო წოდებრივი ანგარიში, პირადი სარგებლობა.

სულ სხვა ნაირი კავშირი, ერთიერთობა სუფევდა ძველს საქართველოში. ეს მკითხველს უკვე ვუჩვენეთ, აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ თვით არისტოკრატიასაც კარგად ახსოვდა ძველებური სათნოება და ბატონ-ყმობის გაუქმების წინად თითონვე აღვიარებდა თავის პირით, რომ ბევრი მაგალითები მოიპოვება ბატონს თავი შეეწიროს ყმისათვისაო[33]). ყოველივე ეს მართალია, თუმცა კი, მეორეს მხრით, მართალი არ იყო გენერალ-ლეიტენანტი თ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელიც ჰფიქრობდა, რომ საქართველო უბატონ-ყმოდ ვერ გასძლებდა და უეჭველად მალე დაემხობოდა.[34]) ბატონ-ყმობა ჩვენში, როგორც მოვიხსენიეთ, ძველს იურიდიულს დაწესებულებას შეადგენდა, ამ დაწესებულებას თავისი ისტორიული raison d'ètre მოეპოვებოდა, მაგრამ იგი როდი იყო ისეთი ძალა, რომლის გარეშე სახელმწიფოის, ხალხის არსება არ შეიძლებოდა. ეს

---

[31]) ibid, стр. 295.

[32]) Сбор. статист. свѣд., стр. 37.

[33]) Зиссерманъ, Сбор. матеріаловъ. вып. II, стр. 347 и слѣд.

[34]) ibid, стр. 359.

ავიწყდებოდა ჩვენს თავად-აზნაურობას, როდესაც სჯა დაიწყო იმაზე—მამულით თუ უმამულოდ უნდა განთავისუფლებულიყო გლეხი. საკვირველი რამ იყო ეს სჯა. თავად-აზნაურობას ეგონა, რომ რადგანაც ბატონ-ყმობა უძველესი დაწესებულებაა, რომელმაც შეაკავშირა ორი წოდება, ამისათვის კავშირი მოისპობა, თუ გლეხს საკუთარი მიწა მისცეს და ისე გაანთავისუფლესო. თავად-აზნაურობის ლოგიკით, გლეხ-კაცობას რომ საკუთარი მამულები მისცემოდა, ეს წინააღმდეგი იქნებოდა ზნეობრივის კანონისა, სინიდისისა, ეს მოსპობდა კეთილს განწყობილებას მათ და გლეხთა შორის, დასთესდა მტრობას, შუღლს. ერთის სიტყვით, თავად-აზნაურობა ზნეობრივი პრინციპით ამართლებდა თავის აზრს, რომ გლეხს საკუთარი მიწა არ უნდა მიეცესო [35]). შესანიშნავი რამ არის ეს ეგრედ-წოდებული ზნეობრივი პრინციპი, ყველასთვის ყველაში და ყოველთვის გამოსადეგი! რასაკვირველია, თავად-აზნაურობას სრული ნება ჰქონდა ელაპარაკა, რომ თუ გლეხს საკუთარს მამულს მისცემენ, ამითი შემცირდება უიმისოდაც არა-სანატრელი ეკონომიური კეთილ-დღეობა მაღალის წოდებისა და ნება ჰქონდა მით უმეტეს, რომ ეს კეთილ-დღეობა დაბალი ფასისა იყო, მარლაც და თავად-აზნაურობა ვალით იყო სავსე. [36]) მაგრამ რო-

---

[35]) ibid, стр. 347, აგრეთვე 352—353.

[36]) თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ჰყვანდა დაგირავებული «პრიკაზში» 1 ივნისს 1864 წლამდე გამოტანილს ფულში 30,714 სული ყმა, კაცი და ქალი. ეს ყმები დაფასებულნი იყვნენ თავიანთ მამულებით 2,042,100 მ. სულ ემართა ვალი თავად-აზნაურობას 1,810,840 მ. მეოთხედი ნაწილი მამულებისა პრიკაზში იყო დაგირავებული, ცოტათი კიდევ მეტი, ასე რომ მთელს გუბერნიაში ითვლებოდა 16,409 კომლი, პრიკაზში იყო დაგირავებული, 1864 წ. 4,848 კომლი. Сборникъ статист. свѣд. стр. 36—40.

დესაც თავად-აზნაურობა ბუნებრივ მიზეზებთან (естественныя причины) იხსენიებდა ზნეობრივ მიზეზებსაც (нравственныя причины) და ამბობდა, რომ გლეხს არ უნდა მიეცეს საკუთარი მიწა, მაშინ ერთს ფაქტს ამტკიცებდა, სახელდობრ იმას, რომ საუკუნოდ მოისპო უწინდელი კავშირი ბატონსა და ყმას შორის.

ზემოდ მოხსენებულიდგან საკმაოდ სჩანს, რა დიდი ცვლილება მოხდა ჩვენს ბატონ-ყმობაში, რა ღრმად შეიცვალა მისი ხასიათი, მიმართულება შემდეგ 1801 წლისა. ახლად დაარსებული რუსეთის მთავრობა, შეძლებისამებრ, სცდილობდა, ასე თუ ისე, შეღავათი მიეცა გლეხ-კაცობისათვის, მაგრამ საქმეს ვერა უშველა-რა. შემდეგ რუსების შემოსვლისა, საქართველოში სულ სხვა ცხოვრება დაიწყო და ბატონ-ყმობა, როგორც ნაყოფი ხანგრძლივის ისტორიულის ცხოვრებისა, უეჭველია, უნდა დაშლილიყო სხვა გარემოებათა, სხვა პირობათა გავლენის ქვეშ და კიდეც დაიშალა, კიდეც განჰქრა ძველებური «ბატონობა—პატრონობა». მთავრობა, როგორც გარეგანი ძალა, აქ არაფერს შუაში იყო. როგორც ვსთქვით, მთავრობა კიდეც სცდილობდა ცოტად თუ ბევრად ჰუმანიურად განეწყო ბატონყმობის საქმე. ამითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მან 1808 წელს, სასულიერო პირნი გაანთავისუფლა ყმობის უღელიდგან, რადგანაც ყმობა სასულიერო წოდების ღირსების დამამცირებელიათ და, გარდა ამისა, წინააღმდეგიც რუსეთის კანონებისა; 1832 წ. მოქალაქეებს აღუკრძალა ყმების ყოლა და სხ. [37]).

თუმცა ჩვენი უფლება დიდს და საპატიო ადგილს აკუთნებდა სასულიერო წოდებას და თავი ამ წოდებისა, კათალიკოზი სუ-

---

37) Сбор. матеріаловъ, вып. I, стр. 258.

ლის ხელმწიფეთ იყო მიღებული (ვახტ. სამ. მუხ. 25), მაგრამ მაინც მეფეს სრული ნება ჰქონდა მღვდელი ყმად ებოძა ეკლესიისათვის, [38]) თავადისათვის ერთგულს სამსახურში, [39]) ასე რომ არათუ მარტო ეკლესიას ჰყვანდა მღვდლები ყმებათ, არამედ თავადებს და აზნაურებსაც; მეფის მოძღვარიც კი ხშირად ყოველ-გვარ სახელმწიფო და საბატონო ხარჯს იხდიდა. ეს გარემოება სრულებითაც არ უშლიდა სასულიერო წოდებას კეთილ-დღეობაში ყოფილიყო. თვით მეფე და კერძო პირნი უხვად სწირავდნენ ეკლესიას ყმებს; მთელ სოფლებთან ეკლესიას ებოძებოდა ხოლმე ქორები და მიმინოები, რადგანაც სასულიერო ფეოდალებისათვისაც მიუცილებლად საჭირო იყო ნადირობა. [40]) ეკლესია არა თუ მარტო ქრისტიანებს იყვანდა ყმებად, არამედ ურიებსაც, რომელთაც, სხვათა შორის, ხარჯად ედოთ ქრისტეს შობის თვეში წმინდა სანთელი მიეტანათ ეკლესიაში (ცხინვალელ ურიას დანიელას წელიწადში ხუთი ლიტრა წმინდა სანთელი ჰქონდა შეწერილი) [41]); არც თათრების ყმობას ერიდებოდა ეკლესია. (1797 წელს ალავერდის სობოროს ს. მუღანლოში ოორზე სამოც-და-რვა კომლი თათარი ჰყვანდა ყმად; თათრები ყოველ წელიწადს რამდენსამე ტომარას და თითო ხალიჩას აძლევდნენ სობოროს; ასე გასინჯეთ, ხალიჩა ხაოიანი არ უნდა ყოფილიყო) [42]). საზოგადოდ რომ ითქვას, საეკლესიო ყმანი უფრო კარგს მდგომარეობაში იყვნენ,

---

38) Церковные Гуджари, стр. 9, 79 და სხ.
39) Груз. Двор. Грам. стр. 7, Д. Пурцеладзе.
40) Церков. Гуджари, стр. 53.
41) ibid, стр. 110.
42) ibid, стр. 20.

ვიდრე საერო ფეოდალებისა. უმთავრესი ამის მიზეზი ის იყო, რომ ხშირად მეფეები ყოველ-გვარ სახელმწიფო ხარჯისაგან ანთავისუფლებდნენ საეკლესიო ყმებს, [43]) ხანდისხან თხოუ-ლობდნენ მათგან ეგრედ წოდებულს თათრების და სამხედრო გარდასახადს, [44]) იშვიათად ნადირობისას. სასულიერო წო-დებას საქართველოში მაღალი ადგილი ეჭირა, დიდი პატივი ეპყრა ხელთ, ძლიერი გავლენა ჰქონდა; ამისათვის მეფე ესარ-ჩლებოდა საეკლესიო გლეხს მაშინაც კი, როდესაც ეს გამოსარჩ-ლება წინააღმდეგი იყო ასეთის «დიდებულისა», როგორც მაგ. გოგია ამილახვარი[45]). კიდეც ამიტომ გლეხ-კაცობა ეკლესიას უც-ქეროდა როგორც «მფარველს», «დამცველს», მიესწრაფვებოდა მისკენ. საზოგადო მოვლენა იყო, რომ გლეხი უფრო ადვი-ლად კისრულობდა ეკლესიის ყმობას, ვიდრე თავადისას ან აზ-ნაურისას. თუ საერო ფეოდალს თავისი ყმა შევიწროებაში ჰყავდა, უკანასკნელს შეეძლო შეხიზნოდა ეკლესიას, რომელიც იღებდა მას თავის მფარველობაში. [46]) ეკლესია და მეფე—აი ორი პირი, რომელნიც უფრო იზიდავდნენ გლეხ-კაცობას. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ საერო ფეოდალები შედარებით უფ-რო ცუდად ეპყრობოდნენ ყმებს, ვიდრე ეკლესია. მართალიც არის. ეკლესია უფრო მდიდარი იყო და არ აწუხებდა ყმებს დიდის გარდასახადით; ზნეობით და სწავლა განათლებით სა-სულიერო წოდება მაღლა იდგა საერო ფეოდალებზე, რადგანაც ეს სწავლა-განათლება სასულიერო-წოდებრივის მიმართულებისა

---

[43]) ibid, стр. 13, 22, 27, 103 და სხ.

[44]) ibid, стр. 36, 37.

[45]) ibid, стр. 99 და სხ.

[46]) Церков. Гуджари, стр. 45.

იყო; გარდა ამისა ხსენებული წოდება უფრო ზომიერად სცხოვრებდა და სხ. [47]) მზრუნველობა, რომელსაც მისდევდა თავად-აზნაურობა გლეხ-კაცობის შესახებ, ეკლესიისათვისაც შეადგენდა საჭირო საგანს და უფრო დიდს, რადგანაც ეს მზრუნველობა ეკლესიის პირდაპირი სამღრთო მოვალეობა იყო. ამ გვარს საეკლესიო ბატონ-ყმობას ის შედეგი მოსდევდა, რომ საერო ფეოდალები იძულებულნი იყვნენ კარგად მოჰკიდებოდნენ ყმებს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, ყმებს შეეძლოთ დაეტოვათ ბატონები და შეხიზნოდნენ ეკლესიას. [48]) მაგრამ მაინც საეკლესიო გლეხ-კაცობაც ემორჩილებოდა ფეოდალურს უღელს და ეს უღელი ყოველ შემთხვევაში დიდს და მძიმე ტვირთს შეადგენდა. და რომ ეს ჭეშმარიტებაა, სჩანს იმ კანონებიდგან, რომელნიც შეეხებოდნენ გლეხ-კაცობის პიროვნულს და ქონებრივს უფლებას.

როგორ და რა ნაირად იხატებოდა ზნეობრივი არსება გლეხ-კაცისა? კანონის ძალით გლეხი შეადგენდა ბატონის საკუთრებას. ამისათვის ბატონს დიდი უფლება ჰქონდა მინიჭებული გლეხის პიროვნობაზე; ეს უფლება ყველაფრის ნებას აძლევდა მას, გარდა სიკვდილისა და გასხეიბრებისა; «უსჯულმწიგნოდ კაცს თავისის ყმის სიკვდილი და გასხეიბრება არავის ხელმწიფებისა» (ვახტ. სამ. 95 მუხლი). სიკვდილის და გასხეიბრების ნება ჰქონდა ბატონს მხოლოდ ხელმწიფის «დასტურით». აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი კანონი სრულს დესპოტიურს ძალას არ ანიჭებდა ბატონს; უდანაშაულოდ ბატონს როდი არა შეეძლო-რა, რადგანაც მაშინაც კი «თუ კაც-

[47]) Крѣпостное право въ Грузіи, стр. 14—15.
[48]) ibidem.

მან თავისი ყმა ან მოკლას, ან გაასხეიბროს, თუ დანაშაულზედ უქნია, მით ბატონისაგან და კათალიკოზისაგანაც საწყენი არის» (მუხ. 95) და ეს იმიტომ, რომ «თუ ბატონი გაუწყრების, სულს გარდა ყველაზე ხელი მიუწვდება» (მუხ. 160). რადგანაც «სულის გარდა ბატონს ყველაზე ხელი მიუწუვდებოდა», ამისთვის ხელმწიფის უდასტუროდ გლეხის სიკვდილს ან გასხეიბრებას ცუდი შედეგი ჰქონდა ბატონისათვის. თუ გასხეიბრებულმა «კიდევ მისი ყმობა ინდომა, მამულს ვერ მოუშლის და სისხლიც უნდა მისცეს და თუ იმის ყმობა აღარ ინდომა, სისხლი არ უნდა გამოართვას, თავის ცოლ-შვილით ვისთანაც უნდა მივა, უწინდელი პატრონი ვეღარას მიედავების». მოკლულის გლეხის ძმები და ნათესავები, მისი სახლობა თავისუფალი იყვნენ მკვლელის ბატონის უღლიდგან («ძმას და სახლის კაცს თუ არ სიკვდილისათვის გასხეიბრებისათვის ვერავინ გამოართვამს» მუხ. 95.) მაშასადამე, თვით ის ზარალი, რომელიც მიუცილებლად თან მოსდევდა გლეხის სიკვდილს და გასხეიბრებას, ასუსტებდა იმ უფლებას, რომლითაც აღჭურვილი იყო ბატონი. თუ სიკვდილისა და გასხეიბრების ნება ჰქონდა ბატონს, რასაკვირველია, ჯარიმის გადახდევინებისა და ჯოხით გალახვისაც ექნებოდა (71 მუხ. ჩვეულებათა) და ყმას ჯერც შეეძლო ვერსად ეჩივლა. სულ სხვა იყო, უკეთუ ყმა რასმეს დაუშავებდა ბატონს. «ვისაც შერისხდეს ღმერთი და თავის ბატონი მოკლას, ან დაჭრას, ამისი სისხლი არ გაჩნდების, ამისათვის რომე ყმისა ყველა ბატონისა არის» (მუხ. 258); მაგრამ მოკვლას ვილა იტყვის, როდესაც გლეხი უბრალო შეურაცხყოფისათვის სასტიკად ისჯებოდა, ასე რომ «თუ ყმამ ბატონს გაჯავრებით ან ჯოხი ჰკრას, ან ხელით სცემოს, ხელი მოჰკვეთოს, ან იმ კაცს ხელის ფასი წაერთოს;

თუ ან გაჯავრებით პირისპირ შეაგინოს, ენა მოეჭრას, ან ენის ფასი წაერთოს» (ვახ. სამ., მუხ. 259.) ასეთი უთანასწორობა იყო განხორციელებული სისხლის სამართალში, უთანასწორობა, რომელიც შეადგენდა მიუცილებელს შედეგს ფეოდალურის წეს-წყობილებისას. ესევე უთანასწორობა სისტემატიურად გატარებული იყო მთლად ჩვენს კანონებში და იქამდის მიდიოდა, რომ ყმა ბატონის ხელში ალებ-მიცემობის საგანს შეადგენდა. ასე, რომ ბატონს, კანონის ძალით, შეეძლო გლეხი დაეგირავებინა, გაეყიდნა («თუ კაცმან სოფელი, ან გლეხი იყიდოს თავადისაგან ან აზნაურისაგან, ხელმწიფესაც უნდა დაეკითხა, მაგრამ უკითხავადაც სყიდულა და არც ხელმწიფე გამოკიდებია...» მუხ. 162 ვახ. სამ.) და რადგანაც ყმა ბატონის საკუთრება იყო («პატრონმა რომ ყმას თავი დაახსნევინოს...» იქვე მუხ. 260), უკანასკნელს სრული უფლება ჰქონდა მოეშორებინა ი-ი თავის კერასათვის და მოსამსახურეთ წაეყვანა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ სამაგიერო უნდა დარჩენილიყო გლეხის ოჯახში, რათა ოჯახი არ დაეცეს, გლეხ-კაცის მეურნეობა არ შემცირდესო; გარდა ამისა ბატონი გარდასახადს ვერ მოსთხოვდა ოჯახს, ვიდრე მოსამსახურე მასთან იმყოფებოდა. აქ ღირსია შესანიშნავად ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოში ბატონს შეეძლო მოახლეების გამოყვანა მარტო ზოგიერთა და არა ყველა ოჯახიდგან. [49]) ამ პიროვნულს შევიწროებას, სხვათა შორის, ისიც უნდა ზედ დაერთვას, რომ გლეხს არა ჰქონდა სრული თავისუფლება ერთი ადგილიდგან სხვაგან გადასახლებისა, თუმცა კი, მეორეს მხრით, გლეხი არ იყო მიწის კუთვნილება, მიწაზედ დაკრული კანო-

---

[49]) Сборникъ матеріаловъ, вып. I, ст. 306—307.

ნი (ვახტ. სამართ. მუხ. 199 და 200) მართალია, ნებას არ აძლევდა გლეხს თავისუფლად გადასახლებისას, მაგრამ ისეთს პირობებს კი უდებდა, რომ გლეხისათვის ადვილი საქმე იყო ერთის ბატონისაგან მეორესთან მისვლა, მასთან შეხიზნვა. როგორც ვიცით, ეს შეხიზვნა ჩვეულებრივს მოვლენას შეადგენდა. მასში მოიპოვება ერთი უმთავრესი მიზეზი იმ ფრიად საყურადღებო გარემოებისა, რომ გლეხი არ ეჩაგვრინებოდა ბატონს და ბატონიც იძულებული იყო არ დაეჩაგრა იგი.

პიროვნულს უფლებას რომ თავი დავანებოთ და ქონებრივს მივმართოთ, აქაც იმავე სურათს შევხვდებით. აქაც გლეხი დაჩაგრულია, აქაც მისი უფლება მეტად მკრთალი და სუსტია ბატონის უფლებასთან შედარებით. გლეხის პიროვნული და ქონებრივი უფლება ერთს და იმავე წერტილზე სდგას, ერთისა და იმავე ღირსებისაა; რამოდენადაც გლეხი შევიწროებულია პიროვნულად, იმოდენად ქონებრივად არის შევიწროებული; აქ სუფევს სრული ჰარმონია, თანასწორობა. მაგრამ, როგორც ზევით შევნიშნეთ, თვით კანონის მუხლნი გლეხის ქონებისა, და საკუთრების შესახებ, გარკვეულნი არ არიან, ერთი-ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან. ხან კანონი კატეგორიულად ბძანებს: «ყმისა ყველა ბატონისა არის» (მუხ. 258; ბატონს სულს გარდა «ყველაზე ხელი მიუწვდების» (მუხ. 160), «ნასყიდი ყმა ვერც კალს აიღებს, ვერცარავის მისცემს, ამისათვის რომე არა აქვს-რა» (ბერძული სამართალი, მუხლი რდვ), ზოგჯერ კი თავის ბძანებას სტყუვნობს, სულს სხვას ღაღადებს, წინააღმდეგს ჰქადაგებს; და რომ ყოველივე ეს მართალია, სჩანს იქიდგან, რომ «თუ კაცი ამოვარდეს..., რაც საქონელი დარჩეს მალი-გორად გაიყონ (მოვალეებმა).... მაგრამ საქართველოს რიგით ბატონიც წაიღებს» (ვახტ. სამ.

მუხლი 137), «თუ ქალის მეტი არა დარჩეს-რა და საქონე-ლიც დარჩეს, ცოტა რამე სარჩო იმ ქალს უნდა მიეცეს და სხვა მოვალეებს მალი-გორად გაუყონ» (იქვე, მუხ. 138), «ვინ მოკვდეს და დარჩეს ცოლი... და თუ შვილი ისევ ჰყავს მამულს ვერავინ წაართმევს, შვილისა არის» (იქვე მუხლი 231). მაშასადამე გლეხს ჰქონდა საკუთარი «საქონელი», რომელსაც მოვალეები მალი-გორად გაიყოფდნენ, ჰქონდა «მამული», რომელსაც შვილს «ვერავინ წაართმევს» და სხვ. სამწუხაროდ, ჩვენში იურიდიულ კითხვებს არ მისდევენ, [50]) გიდეც ამიტომ გადაჭრით ჯერ-ჯერობით არა ითქმის-რა გლეხ-კაცის საკუთრების უფლებაზე (право собственности), დაბეჯითებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ გლეხს ჰქონდა სამემკვიდრო უფლება (наслѣдственное право), უფლება სარგებლობისა და მფლობელობისა, საკუთრება კი არა ჰქონია. თვით სამემკვიდრო უფლებაც შემცირებული იყო, რადგანაც სამკვიდრებელი გაყი-შვილზე გადადიოდა და არა ქალზე. და რადგანაც გლეხის უფლებაზე გვაქვს სჯა, სახეში უნდა ვიქონიოთ ის განსხვავებაც, რომელიც ქონებრივ უფლებამ იცოდა. ჩვენშიც, როგორც სხვაგან, ქონება იყო მამა-პაპეული და მონაგები (родовое и благопріобрѣтенное), უძრავი და მოძრავი. პატრონს მამა-პაპეულ და უძრავს მამულზე უფრო დი-

---

[50]) თუ არ ჩავსთვლით ასეთს ყოვლად უვარგისს და უგვანო ნაწარმოებს, როგორიც არის, მაგალითად, ფურცელაძის «Краткое систематическое изложеніе уголовнаго законодательства Вахтанга VI, Царя Грузинскаго, съ показаніемъ достоинства и недостатковъ его» Тиф. 1864 г. ნეტავი ვისთვის არის საჭირო ეს ვითომ და განმარტება და ისიც ღირსებისა და ნაკლულევანებათა ჩვენებით??..

დი უფლება ჰქონდა, ვიდრე მონაღვაწს და მოძრავზე. ეს უკანასკნელი, მონაღვაწი და მოძრავი მამული მთლად გლეხს ეკუთვნოდა. მაგრამ სულ სხვა იყო, როდესაც საქმე უძრავს მამა-პაპეულს მამულზე მივარდებოდა; აქ გლეხის ნება არაფერს ნიშნავდა, მისი უფლება მეტად მცირე იყო, არც ყიდვა და არც გასყიდვა არ შეეძლო მას, რადგანაც «თავადის ყმა ნურას იყიდის... თავადისა და ვინგინდას კაცის ყმა თვისის პატრონის უბეჭდოდ ნურც რას გაყიდის, თორემ მისი მებატონე არ იყაბულებს, მამულს თვითონ დაიჭერს და ფასს მიმსყიდველს ასთხოვს» (ვახ. სამ. მუხ. 163) ასე ბრძანებდა კანონი მამა-პაპეულის მამულის შესახებ; კეთილ-შეძენილი, მონაღვაწი მამული, როგორც შევნიშნეთ, გლეხის საკუთრებას შეადგენდა, გლეხს როგორც ჰსურდა, ისე მოიხმარდა. პატრონს, მაგ., ნება ჰქონდა ცუდის ყოფა-ქცევისათვის, ურჩობისათვის წაერთვა მამა-პაპეული მამული ერთის გლეხისთვის და მეორესთვის მიეცა, მაგრამ კეთილ-შეძენილს ანუ მონაღვაწს მამულს კი ვერ შეეხებოდა; სამწუხაროდ, შემდეგ 1801 წლისა ჩვენის გლეხკაცობის ქონებრივს უფლებაში შესამჩნევი ცვლილება მოხდა, მეტად საზარალო და მავნებელი ამ წოდებისათვის. ამ ცვლილების მიზეზი იყო გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა თავად-აზნაურობისა, რომლის სიღარიბე თან-და-თან მატულობდა. ჩვენ ვამბობთ იმაზე, რომ ახალმა ცხოვრებამ თავად-აზნაურობას ურიცხვი ვალი შესძინა. საჭირო იყო მაღალ წოდებას გლეხ-კაცებისათვის მიემართა და მიმართა კიდეც. ამის გამო ძველი განსხვავება მამა-პაპეულის და მონაღვაწის მამულის შორის მოსპეს, თუმცა ამ განსხვავებას სამირკვლად ედგა ჩვეულება; ეს ორ-გვარი მამული ერთი-ერთმანეთში აურიეს. და რადგანაც პატრონების ვალს გადახდა უნდოდა და ამისათვის არა

კმაროდა მამა-პაპეული მამული, გლეხის მონაღვაწ მამულსაც მიჰყვეს ხელი, დაუწყეს მას გასყიდვა. [51]) თუ რა ნაირად შესცვლიდა ეს განკარგულება გლეხის მეურნეობას, ამას მკითხველი თვითონაც მიხვდება. მაგრამ ამას როდი დააჯერეს გლეხობა. რუსეთის მმართებლობის შემოღების შემდეგ, კანონად დაიდო, რომ გლეხს ნება არა ჰქონოდა უძრავი მამული ეყიდნა; თუ იყიდდა, ბატონის ვალში წაართმევდნენ. ეს კიდევ არაფერი—გლეხს არ შეეძლო ბატონისათვის ეჩივლა, ესა-და-ეს მამული ჩემი საკუთრებაა და არა ბატონისაო, ამ გვარს საჩივარს სასამართლოში არ ღებულობდნენ. [52])—ამითი ვათავებთ ამ წერილს და ზოგიერთა საგნებს ვსტოვებთ იმ განზრახვით, რომ იმათზე ოდესმე ცალკე მოველაპარაკოთ მკითხველებს.

ნიკო ხიზანაშვილი.

---

[51]) Сбор. матеріаловъ, стр. 316—317.
[52]) ibid, стр. 312.

## «ივერიის» ეკონომისტი.

(„ივერია 1882 წ. №№ VII და VIII, შინაური მიმოხილვა, გვ. 178—190).

ხალხის ეკონომიური ცხოვრება, თავის ისტორიულ მდგომარეობაში, ემორჩილება მკვიდრს და მტკიცე კანონს. ეს კანონი თხოულობს განვითარებას, ეკონომიური ცხოვრების ფართო და ვრცელს სამფლობელოს შესაბამად ახალ მოთხოვნილებათა, საჭიროებათა, რომელნიც იბადებიან ცხოვრებაში. ხალხის ცხოვრების საზოგადო პროგრესიულ მიმდინარეობას ნაბიჯ-ნაბიჯ თან მისდევს ეკონომიური განვითარება. თვით ეკონომიური ცხოვრება ხალხისა ერთი შტოა საზოგადო სოციალური ცხოვრებისა და ამ უკანასკნელთან ორგანიულად შეკავშირებული, გადაბმული. ასეთი შეხედულობა სუფევს ახლა მეცნიერებაში, თუმცა წინად, მაგ., ძველ ქვეყანაში, როგორც ეკონომიურ სწავლას, ისე ეკონომიურ ცხოვრებას, კერძო, ოჯახური ხასიათი ჰქონდა. ძველმა ფილოსოფოსებმა არ იცოდნენ ნამდვილი შინაარსი ეკონომიური სწავლისა. მხოლოდ ახალმა მეცნიერებამ გამოიკვლია ის ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენ ვუჩვენეთ. ამ ჭეშმარიტებას გვიმტ-

კიცებს ისტორია ეკონომიური მეცნიერებისა, რომელიც, (ისტორია), მეორეს მხრით, ღაღადებს, რომ ხალხის ცხოვრებაში არსებობენ სხვა-და-სხვა დროს მრავალნი ეკონომიურნი მიმარლებანი, ერთს დროს უფლება ეკუთვნის ერთს რომელიმე სისტემას, მეორე დროს—მეორე სისტემას და სხ. ამ მოვლენას ვხედავთ არა თუ მარტო ცხოვრებაში, არამედ თვით მეცნიერებაში, ეკონომიურ სწავლაში. ამ ზღუდეშიც თეორიას წინაუძღვის ცხოვრება, აზროვნებას—სინამდვილე. როგორც ეკონომიური ცხოვრება ხალხის, ეგრეთვე აწინდელი ეკონომიური მიმართულება თეორეთიული სწავლისა დაარსდა შემდეგ იმისა, როდესაც გამოიცვალნენ, მოისპენ უწინდელი სისტემები, რომელთაც ეხლა მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვსთ. გამორკვეული, ცხოვრებაში აღიარებული და განხორციელებული სისტემა თითქმას ყველა ხალხის ცხოვრებაში მოიპოვება. ეკონომიურ მეცნიერებამ იცის სისტემა რომაელების, ბერძნებისა, სპარსელებისა, ინდოელებისა; ევროპაში ვხედავთ მერკანტილიზმს, კოლბერტიზმს, ფიზიოკრატების სწავლას და სხ. ყოველ სისტემას თავის დროებითი მნიშვნელობა აქვს. იგი იცვლება მესაფერად ცხოვრებისა, უტოვებს სამოღვაწეობლოს თავის მიუცილებელს მემკვიდრეს.—ეკონომიურ ცხოვრების საზოგადო განწყობილებას თავი რომ დავანებოთ და ავიღოთ კერძო ეკონომიური მოვლენა, მაგ., მიწის მფლობელობა; საკუთრება, აქაც ყველა ხალხის ცხოვრება გვიჩვენებს განსაზღვრულს სისტემას, ასეთს თუ ისეთს მიწის საკუთრების და მფლობელობის აგებულებას. ძველი გერმანელებს არა ჰქონდათ მიწა განსაკუთრებული, მათ არ იცოდნენ—რა არის მიწის საკუთრება. ყოველ წლივ უფროსნი ოჯახს უნიშნავდნენ საკმაოდ მიწას, რომელიც ოჯახს მეორე წლობით ჩამოერთმევოდა. ინდოეთში,

როგორც გვიამბობს ნაბური, მთელი მიწა ჩვეულებრივ საკუთა-
რებას შეადგენდა. უწინდელ საქართველოში, საკუთრება დაწყებულა
შემდეგ, როდესაც დაარსდა სახელმწიფო. ჩვენ მაგალითების მო-
ყვანას არ გავაგრძელებთ და გავიმეორებთ მხოლოდ იმ აზრს,
რომ თითქმის ყველა ხალხს აქვს საკუთარი, განსაზღვრული სი-
სტემა მიწის მფლობელობისა, საკუთრებისა ..

ეკონომიურ ცხოვრებას რომ თავი დავანებოთ და ხალ-
ხის საზოგადო ცხოვრება განვიხილოთ, ამ ზედაშიც
ვპოულობთ იმ განვითარების კანონს, რომელიც არსებობს ეკო-
ნომიურ ცხოვრებაში. ხალხის სოციალური ცხოვრება შესდგება
სხვა და-სხვა ხანებიდგან, პერიოდებიდგან. თვით სოციალური
პროცესი, სხვათა-შორის, წარმოადგენს ერთი ხანიდგან გადა-
სვლას მეორეში, მეორედგან—მესამეში და სხ. ხალხის ცხოვ-
რების შეიცავს, მაგ., სამონადირო ხანას, სამწყემსოს და სხ. იმ
დროიდგან, როდესაც ხალხი ესახლება ერთს ადგილას, ბინას
იჩენს, მიწის მუშაობას ხელს ჰკიდებს, იწყობა კულტურული
ცხოვრება მაგრამ, როგორც ითხოვს ეკონომიური განვითა-
რების კანონი კერძოდ და სოციალური პროცესი საზოგა-
დოდ, ხალხის ცხოვრება რომ ჩერდება მიწის მუშაობაზე
„მიწა და გუთანი“ არიან მხოლოდ პირველ დაწყებითნი ფაქტო-
რები ეკონომიური ცხოვრებისა, ისეთნი, როგორც ნადირობა,
მწყემსობა და თუმცა შემდეგშიაც საპატიო ადგილი უჭირავთ
ცხოვრების მოედანზე, მაგრამ სხვა ფაქტორები გამოდიან სცე-
ნაზე და ბევრჯერ კი უკანასკნელნი იჭერენ პირველს ადგილს,
უპირატესობას. არც შესაძლებელია, რომ „მიწა და გუთანი“
შეადგენდნენ ყოველთვის და ყოველგან დასაბამს და დასაწყისს
ეკონომიური ცხოვრებისას, დასაბამად და დასაწყისათ, პირ-

ზედ-დაწყობითი ფაქტორებათ იგინი არიან მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით ხალხის ცხოვრება მარტივია, ხალხის ეკონომიური საჭიროებანი, მოთხოვნილებანი მცირედნი. რამოდენად ხალხის საზოგადო განვითარება წინ მიდის, იმოდენად ეს საჭიროებანი, მოთხოვნილებანი ვრცელდებიან, მრავლდებიან, უწინდელ მოთხოვნილებათ ემატებიან სხვანი, ახალნი. ეს ეკონომიური მოვლენა არის შედეგი ზემოხსენებულის განვითარებისა, რადგანაც ეკონომიურ მოვლენათ მჭიდრო კავშირი აქვსთ საზოგადო სოციალურ მოძრაობასთან. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ იმ აზრისა, ვითომ არ შეიძლებოდეს ხელოვნობით, განზრახვით ხალხის მარტივ ცხოვრებაში შეტანა ისეთი ეკონომიური მოთხოვნილებებისა, რომელნიც არ შეადგენენ პირ-და-პირ ნაყოფს მარტივი ცხოვრებისას, ჩვენ ბევრს მაგალითებს ვხედავთ «ეკონომიური პოლიტიკისას», ჩვენ ვამტკიცებთ მხოლოდ იმ აზრს, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში მიწის მუშაობა თან-და-თან, ნელ-ნელა ჰკარგავს უწინდელს თავის დიდს მნიშვნელობას და საპატივო ნაწილს მოვლობელობისას უხებლიედ უთმობს სხვა ეკონომიურ ფაქტორებს, მაგ., ქარხნულ მრეწველობას, ვაჭრობას და სხ. ამას ცხადად ამტკიცებს ეკონომიური მეცნიერების ისტორია. არც შესაძლებელი იქნებოდა თვით ეკონომიური პროგრესი, თუ ცხოვრების ბურჯათ, დასაბამათ და უმთავრესად ვაღიარებთ „მიწას და გუთანს“. ეს პროგრესი კი-არა, ერთ ხაზზე გაჩერება იქნება.

„ივერიის“ ეკონომისტს, შინაურ მიმომხილველს ჰგონია, რომ ჩვენი ხალხის (სხვა ხალხისაც) ბედნიერება და სიკეთე დამყარებული უნდა იყვნენ «მიწის მუშაობაზე»; «კიდევ ვიტყვით (ბძანებს კიდეც ჩვენი ეკონომისტი!), რომ ჩვენი ძალ-

ლონე, ჩვენის ცხოვრების და ვითარების ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე — მიწა და გუთანია... სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი... საქმე მიწაა და გუთანი» («ივერია» 1882 წ. №№ VII და VIII, გვ. 179). როდესაც ეკონომისტი თავ-მოწონებით და დაჯერებით ამბობს ამ სიტყვებს, მას არ მოჰყავს არავითარი საბუთი; ეკონომიური მოსაზრება ტეზისის დასამტკიცებლად, თუმცა საბუთი და მოსაზრება ძლიერ საჭირონი არიან. საქმე იმაშია, რომ ეკონომისტს არ ესმის ის სწავლა, ის თეორია, რომელსაც ქადაგებს, მან არ იცის, რომ იგი (სწავლა) დიდი-ხნის ხავს-მოკიდებულია და დაობებული. მიმომხილველს ალბად დავიწყებია, რომ მისი თეორია კაცმა შეიძლება იპოვნოს მეცნიერების არქივში და არა აწინდელ პოლიტიკურ ეკონომიაში. შორს რომ არ წავიდეთ, ძველ ფილოსოფოსების სწავლას რომ ავცილდეთ, დავიწყოთ იქიდგან, რომ ისევ ჩეტარ-ხსენებულის ჰენრიხ მეოთხეს მინისტრს სიულლის მიწის მუშაობა მიაჩნდა ძუძუთ, რომლითაც იზრდება სახელმწიფო. მიწის მუშაობის შემდეგ პირუტყვთ მოშენება იყო, მისი აზრით, მეორე ძუძუ სახელმწიფოსათვის. სიულლის სწავლა განიმეორეს ფიზიოკრატებმა კენეს პირით. კენე ბძანებდა კიდევ, რომ ხალხის სიმდიდრეს შეადგენს «წმინდა შემოსავალი» მიწისა და სხვა კი არაფერი. აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ კენეს სწავლა იყო უარ-ყოფა ცალმხრივი მერკანტილური სისტემისა და თითონ კეთილ-შობილი ქიმი-ეკონომისტი არ ასცდა იმ შეცთომას, რომელსაც ებრძოდა — ცალმხრივ შეხედულობას ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაზე. შემდეგმა ცხოვრებამ გაამტყუვნა როგორც სიულლის, ისე ფიზიოკრატების სწავლა. საფრანგეთის ეკონომიურ ცხოვრებაში, მიწა-გუთნის გარდა, დიდი მნიშვნელობა მიე-

ცაო სხვა ეკონომიურ ფაქტორებსაც. ამ ფაქტორების ასპარეზზე გამოსვლით ხაიერ-ნეიმა, როგორც ჩვენ მკითხველსაც ეცოდინება, არა თუ დაჰკარგა რამე, არამედ დიდად ისარგებლა; მიწა ბუნების გვერდით მოუძღვნენ ახალნი ფაქტორები; მათ შეკავშირებამ ააღორძინა, ააყვავა ეკონომიური მდგომარეობა სახელმწიფოსი, მთელი ხალხის. რისთვის და როგორ მოხდა ეს საყურადღებო მოვლენა? ხალხის საზოგადო ეკონომიური ცხოვრება შეიცავს სხვა და-სხვა ფაქტორებს, ელემენტებს, რომელთ შორის არსებობს შინაგანი კავშირი, ჰარმონია, მართალია, ბევრჯერ ამ კავშირს, ჰარმონიას ვითომც ვერ ვხედავთ, ბევრჯერ ის იფარება, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც ჩნდება, ასულდგმულებს სხვა-და-სხვა ეკონომიურ ფაქტორებსა, ელემენტებსა. მიწის მომუშავების განვითარება ზედ-მოქმედობს სხვა ეკონომიურ ფაქტორებზე, აუმჯობესებს მათ, აძლევს ძალას; მეორეს მხრით, სხვა ეკონომიურ ფაქტორებსაც (მაგ., რომელიმე შემუშავებითი მრეწველობა) ზედ მოქმედება აქვსთ «მიწა-გუთანზედ». მაგალითი შინაგანი კავშირისა, ჰარმონიისა ეკონომიურ ფაქტორებთა შორის შეიძლება მკითხველმა დაასახელოს ერთი და ორი. ამ გვარ მაგალითებს ეკონომიური სინამდვილე წარმოადგენს მრავალს. ზოგიერთა ეკონომისტებს (მაგ., ფ. ბასტიას «ეკონომიური ჰარმონიები») ჰგონიათ, რომ, როგორც ეკონომიური ფაქტორების შორის, ეგრეთვე მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის სუფევს ჰარმონია და ეს უკანასკნელი არის მიზეზი, რომ ეკონომიური სიკეთე, ბევრად თუ ცოტად, სამართლიანად იყოფა, იფინება საზოგადოებაში. მკითხველს ეცოდინება ის შმაგიანი პოლემიკა, რომელიც ოდესმე გაიმართა პრუდონის და ბასტიას შორის, ეცოდინება, რასაკვირველია,—რომელი მათგანი დარჩა გამარჯვებული. ზოგნი კიდევ ბასტიას იქით მიდიან

და ამტკიცებენ რომ ჰარმონია სუფევს სხვა და სხვა ხალხების ეკონომიურ ცხოვრებაში და მთელი კაცობრიობის ეკონომიური ცხოვრება აშენებულია ამ ჰარმონიაზე. ამ სწავლის თვალით რომ შევხედოთ ეკონომიურ ფაქტორებს, უნდა დავასკვნათ, რომ ჰარმონია სუფევს არა თუ მარტო ერთი ხალხის ეკონომიური ცხოვრების ფაქტორების შორის, არამედ ამ ქვეყნე-ლთა და სხვა ხალხების ეკონომიურ ფაქტორების შორის. უეჭველია, ამ ჰარმონიას ცოტად თუ ბევრად უშლიან ხალხთა შორის ბაჟი, ტარიფი, პროტექციონიზმი, ასეთი თუ ისეთი მიმართულება ნაციონალური ეკონომიის და სხ. ჩვენ ხალხთა შორის ჰარმონიის განხილვას არ გამოუდგებით. ჩვენ გვინდა ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ეკონომიურ ფაქტორების შორის არსებობს ჰარმონია. აწინდელი ეკონომიური პროგრესსა ეკონომიისა. სხვათა შორის, დაფუძნებულია ამ ჰარმონიის ცხოვრების კანონთა განხორციელებაზე, მის ხელის შეწყობაზე. რომელი და რა ხარისხად მოხმარებოდა ეს პროგრესი, თუ „მიწა გუთანი“ იქნებოდა მხოლოობითი ეკონომიური ფაქტორი? და ან რომელი ხალხის ცხოვრებაში გვხედავთ ამ პროგრესს, თუ კი სადმე მარტო „მიწა გუთნისათვის მოუკიდნია ხელი?—

შემდეგ იმ ნეტარების, რომელიც „მიწა გუთანს“ თან მოსდევს, ჩვენი ეკონომისტი, რასაკვირველია, დიდს უბედურებას თითქმის ქვეყნიურ მწუხარებას უქადის იმ ხალხს, რომელსაც წარმომადგენლებსაც მიწა, შრომების მიერ განწირული, მოკრეგებული არა აქვთ «ივერიის» ეკონომისტის სიტყვებით, რომელმაც ერთხელ ეს ვერ მოახერხა, გაქარწყლდა და მტვრად აიგავა„დიდს ისრაელს*), დიდს საბერძნეთს, დიდს რომს ამითი მო-

*) „ივერიის“ ეკონომისტს ალბად დავიწყებია, რომ ებრაელებს

ქლთ ბოლოდ.* თუმცა დიდს ისრაელს, დიდს საბერძნეთს, დიდს რომს სრულებითაც არ მიელთ ბოლო იმ მიზეზით, რომელსაც გვიწერს ჩვენი ნეტარ-ხსენებული ეკონომიური თეორიის მქადაგებელი, თუმცა დიდი უმეცრება იქმნება რომელიმე ხალხის ბოლოს დაცემა აიხსნას მარტო იმით, რომ მცხოვრებლებს, შემდეგობისამებრ, არა ჰქონდათ მიწა მორიგებული,

მაგრამ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ მხოლოდ მიწის განაწილება და მორიგება არ არის ყოვლად გამკურნელი მალამო ხალხის კეთილ-დღეობისათვის. საქმე იმაშია, რომ, მიწის გარდა ეკონომიურ ცხოვრებაში მოქმედებენ, პიროვნულ სხვა ფაქტორებიც და ხალხის ბედნიერებისათვის, «არა ბოლოს მოღებისათვის,» არა ნაკლებად საჭიროა ამ ფაქტორებისაც სამართლიანად განწყობა,

მაგ. ძველ ქვეყანაში (ვიტყვით რომი, საბერძნეთი) ხალხის ეკონომიური აგებულობა, განწყობილება მარტო იმითი კი არ იყო ცხოვრების დამამხობელი, რომ არსებობდა (რომში) ესრედ წოდებული სისტემა ლატიფუნდიისა (როდესაც ერთს პირს დიდი მამული აქვს და ბევრი ხელცარიელად რჩება), არა — უმთავრესი მიზეზი იყო მიწის შემუშავება მონების ხელით და ვიწრო-წოდებრივი ხასიათი, მიმართულება ყოველგვარი მრეწველობისა. ლატიფუნდიას მაინცრე რიგათ დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია,

---

უფრო სამართლიანად ჰქონდათ გაწყობილი მიწის საკუთრება და მფლობელობა ვიდრემდისინ აწინდელ ევროპიელებს. მათი მიწის საკუთრება და მფლობელობა ბევრით მოგვაგონებს რომაელების „ემფიტევტიკურ უფლებას“. ორმოცდა ათის, ე. ი. იუბილეის შემდეგ გამყიდველს თავის მამული უნდა უკანვე მისცემოდა. (წიგ. ლევიტელთა, XXV). ეკონომისტო, არც მანგრე ხელის აღება ვარგა „დიაკვნურს“ სწავლაზე. —

თუმცა კი ერთი კლასიკური მწერალი იძახდა: „ლატიფუნდიამ სრულად მოუღო რომს!“ რასაკვირველია, ზემოდ ნაჩვენების გარდა, სხვა გარემოებანიც იყვნენ, მაგრამ ამათზე აქ არას ვი-ტყვით. ძველს ქვეყანას რომ თავი დავანებოთ და ახალი ავიღოთ, მაინც ისევ ჩვენი აზრი მართალი გამოდგება. მიწა - მამული საფრანგეთში პატარ - პატარა ნაწილებად დაიყო, თითქმის ყველამ, ქალაქის მცხოვრებლებმა და სოფლელებმა, შეიძინა მამული. თვით ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსმა აღიარა კანონად ეს მიწა-მამულის დანაწილება, «შემლებისამებრ ყიდვა - გაყიდვა» წინააღმდეგ საფრანგეთისა, ინგლისში ვხედავთ ლატიფუნდიას; თვით ინგლისელების «მაიორატობა» ამ ლატიფუნდიის დასაცველად არის დადგენილი. და ვითომ რაო? ნუ თუ «ივერიის» ეკონომისტს ჰგონია, რომ ინგლისი «მიწასთან გასწორდება, გაქარწყლდება და მტვრად აიგვება», საფრანგეთი კი სამოთხედ გარდაიქცევა, თუ კი ჯერ არ არის გადაქცეული?! აბა ამისთანა აბსურდს როგორ ვუმღვ-ნით ეკონომისტს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს აბსურდი ლოღიკური დასკვნაა იმის ფილდოლიზმიდგან. რუსეთში (ბევრს ადგილას) გლეხობას მიწის საკუთრება აქვს. იქ ვხედავთ საზოგადო მფლობელობასაც. უმთავრესი მიზეზი ჩვენი ეკონომისტის შეცდომილებისა უნდა მოვძებნოთ იმაში, რომ იგი ესარჩლება დაწვრილებულს თეორიას და ეს კიდევ არაფერი—სრულიად ვერ ზომავს სიღრმეს და სიგანეს ამ თეორიისას. მას რომ ეს სიღრმე და სიგანე გაეზომა, უეჭველია, საბუთებსაც მოიყვანდა: თითონ ეხლაც ეკონომიურ მეცნიერებაში ბევრი მოპაექრეებიან მწერლები, რომელნიც ორ ნაწილად, პარტიად განიყოფებიან: ერთი პარტია ამტკიცებს და, რასაკვირველია, საბუთებიც მოჰყავს, რომ უფრო სასარგებლოა, რო-

დესაც დიდი მამული შეადგენს კერძო პირის საკუთრებას, მე-
ორე პარტია აღიარებს სულ წინააღმდეგ სწავლას — მიწა
რომ წვრილ-წვრილ ნაწილად იყოს ხალხშიო, უფრო
კარგი იქნებაო. ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ კითხვის
ასახსნელად საჭიროა ჯერ იმის განმარტება — როგორი
იყო იურიდიული აგებულება მიწისა ხალხის ცხოვრებაში;
მერე შეიძლება მკითხველს ვუწინასწარმეტყველოთ, რომ
მარტო ამ გვარი საკუთრების აგებულობა გადაჭრით ვე-
რა ჰსნის ეკონომიურ პრობლემას. რადგანაც ეკონომიურ ცხო-
ვრებაში მოქმედობენ სხვა ფაქტორებიც, იგინიც უნდა განიწყ-
ონ წესიერად, სამართლიანად. მხოლოდ ამ გზით შეიძლება
დამყარდეს სანატრელი ეკონომიური წყობილება.

ჩვენ ვამბობთ, თქვენ მხოლოდ მაშინ დარწმუნ-
დებით, რომ ჩვენ დროის ფიზიოკრატების სწავლა აღარ
გამოდგება და, სულ ცოტა, ნაცარ-ქექიაობს ის, რომელიც მას
ორთავე ხელებით ეჭიდება...

მიწის და ფულის შემდეგ ეკონომისტი სჯის ვაჭრობაზე,
ბაასობს სიმდიდრეზე. სამწუხაროდ, აქ ეკონომისტის აზრები
დაულაგებელნი, არეულ დარეულნი არიან. იგი არა ჰსნის — რა
არის ვაჭრობა, რა არის სიმდიდრე. აქ მკითხველი ვერაფერს
გაიგებს, რაც უნდა ეცადოს, ვერ გაარკვევს — რომელ სკოლას
ეკუთვნის «ივერიის» ეკონომისტი.
არც ერთი ტერმინი, არც ერთი ცნება ეკონომიური მას განსა-
ზღვრული არა აქვს. მაგ., ეკონომისტს რომ შეესწავლა — რას
ნიშნავს ცნება «სიმდიდრე», მას რომ ესმოდეს ამ ცნების ის-
ტორიული თავ-გადასავალი და აწინდელი ელემენტები «სიმდი-
დრისა», ეკონომისტმა რომ იცოდეს ბუნება ვაჭრობისა, რომ
იცოდეს — რა არის შინაგანი ვაჭრობა, რას ნიშნავს ხალხთა

მიწის გაჭრობა და სხ., აბა ამას ხომ აღარ იტყოდა: «გაჭრობაც, რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისათვის — იმოდენად, რამოდენადაც იგი ეხმარება საქონელს*) იქიდამ, საცა მეტია, იქ, საცა უჭიროთ და ამ გზით შრომის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგან; ხოლო გაჭრობა, წესიერადაც გაწყობილი, ამის მეტს სამსახურს ვერ გაუწევს ადამიანსა». აბა მეტი სამსახური რაღა საჭიროა, თუ კი გაჭრობა «შრომის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგან»! ჩვენი ხალხიც ამ სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ელტვის; ოღონდ კი ისე იყოს, როგორც ეკონომისტი გვაუწყებს ან ვინ არ იცის — რამოდენი სიმდიდრე მოფინეს და მოარიგეს ინგლისელებმა ინდოეთში! და თქვენ, უგუნურნო ეგვიპტელნო და უგუნურესო არაბო, რისთვის აჯანყდით, რათ არ შეისმინეთ «ივერიის» ეკონომიური ჭეშმარიტება, რომ ევროპიის გაჭრები მოარიგებდნენ თქვენ სამშობლოში სიმდიდრეს!? —

„რადგანაც ისტორიამ და ჩვენთა მამა-პაპათა მხნეობამ და თავგანწირვამ ეს ორი ძვირფასი განძი (ისევ მიწა და გუთანი!) ჩვენთვის შეურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს (განა მარტო ამ ორი საგნით?), ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინწამდგმული ბიჯი ამ ორ საგნის მიმართ. ჩვენთვის

---

*) სჩანს, „ივერიის" ეკონომისტს „საქონელი" და „სიმდიდრე" ერთი და იგივე ცნებათ მიუღია. თუ მას სიტყვა „საქონელი" მიაჩნია როგორც ნივთიერი ნაწარმოები, მაშინ მომხრეებსაც იპოვნის, მაგრამ ისეთ მომხრეებს, რომელთაც ეხლა მნიშვნელობა არა აქვსთ იმ ცნების განმარტების შესახებ, რომელზედაც ვლაპარაკობთ. —

დიდის ყურადღების ღირსი უნდა იყოს. უეჭველია, რომ დიდის ყურადღების ღირსი უნდა იყოს, მაგრამ დიდი შეცდომილება იქნება ჩვენის მხრით, თუ ჩვენ დიდს ყურადღებასაც არ მივაქცევთ ეგრეთვე სხვა ეკონომიურ ფაქტორებსაც. უკანასკნელნი მოქმედობდნენ ჩვენ წარსულს ცხოვრებაში: იგინი გვერდით უდგნენ მიწა-გუთანს, მასთან ჰქონდათ კავშირი, შეერთებული ძალით მოჰყავდათ მოძრაობაში მთელი ორგანიული აგებულობა ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა, წვრილად გამოწყობა მათი მეტად საჭიროა, არა ნაკლებ «მიწა-გუთანისა,» და „ივერიის“ ეკონომისტის ლაღადება

, რომელიც ითხოვს, მიწა-გუთნის გარდა, სხვა ეკონომიური ფაქტორების აღორძინებას და ჩვეულებრივ იმ გზით, რომელიც დროებით თვით ხალხის კეთილდღეობას აზიანებს. ამ ნაირი ზიანი მოაქვს, მაგ., პროტექციონიზმს დიდს ბაჟს, რომელსაც ადებს საქონელს, გასასყიდლად წამოღებულს უცხო ადგილიდან და სხ., მაგრამ ეს დროებითი დანაშაულობაა. ადვილად შესანდობელია, რადგანაც ამას კეთილი და სასარგებლო მიზანი უდევს წინ. ჩვენ იმას არ ვამბობთ, ვითომ ყველა ეკონომიური ფაქტორის შექმნა და აღორძინება შეიძლებოდეს ხალხის ცხოვრებაში, არა ამის წინააღმდეგს ამბობს თეორია და სინამდვილეც. იქმნება კიდეც ჩვენში, სხვა და სხვა გარემოებათა და მიზეზებით მეოხებით, უპირატესობა უნდა დაჩნდეს «მიწა-გუთანსა», მაგრამ მარტო უპირატესობა და ეს ხომ არ რაცხავს სხვა ეკონომიურ ფაქტორებს, მათ აღორძინებას ხომ არა სთქვამს შეუძლებლად. რუსეთში უპირატესობა ეკუთვნის ერთს ეკონომიურ ფაქტორს —მიწა-გუთანს, მაგრამ რაო? იქ შეუჩერებლივ ცდილობენ სხვა ფაქტორების აღორძინებას, ცდილობენ და კიდეც აკეთებენ სა-

ქმეს. ჩვენ კი ჩვენთვის სხვა რამე რისთვის არის საჭირო, თუ კი ღმერთმა «მიწა გუთანი» შეგვარჩინა. ხვნა-თესვა, ღამის მეხრეობა — ჯერ ამაზე ზევით არ მიდის ჩვენი ეკონომიური იდეალი!

ნ. ხ—ი.

# საფუძვლები სახალხო განათლებისა.

## I

რაც ჩვენ მწერლობაში სახალხო განათლებაზედ მსჯელობა და ბაასი ყოფილა, იმდენი არც ერთ საგანს წილად არ რგებია. სწორედ რომ სახალხო განათლებაზედ ხმის ამოღება დროების უსაჭიროეს მოთხოვნილებათ შეიქნა. ვისაც კი აიღებთ— უმეცარს თუ მეცნიერს—ყველა სცდილობს კეთილი სახელი და «მამულის-შვილობა» ამ საგანზედ ბაასით დაიმსახუროს. ეს წმინდა საქმე ჩვენში მოდათ გადაიქცა, ამ მოდის წინ უკეთესი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა კეკლუცობს, პრანჭიაობს და სხვებს თავს აწონებს. ამ საზოგადობრივ მოვლენას ერთი კარგი და საქებარი მხარე აქვს. ეს მოვლენა გვიჩვენებს, თუ რა გზაზედ სდგას ჩვენი საზოგადობრივი აზრი, რას ელტვის ჩვენი ეროვნული გრძნობა... სჩანს, რომ ჩვენმა საზოგადოებამ გამოიღვიძა თვალები მოიფშვნიტა, აქეთ იქით ცქერა და-

იწყო და ბოლო დროს გაიგო, თუ რა უფრო საჭიროა ჩვენი განათლებისათვის. მაგრამ ის კი ძრიელ სამწუხარო და მავნებელია, რომ ასეთი მძიმე და საფუძვლიანათ შესწავლის ღირსი კითხვა, როგორც სახალხო განათლებაა, საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის სასიამოვნო მასლაათის საგნად გარდაიქცა და კეკლუცობის ფერი დაედო. ეს პირ-და-პირ გვიჩვენებს — თუ რა უღირსობა და უწესოებაა ჩვენ საზოგადოების აზროვნებაში. ხშირად შევხვდებით, რომ ერთსა და იმავე ადგილას ერთი და იგივე პირი ათ ნაირათ შესცვლის თავის მსჯელობას სახალხო განათლებაზედ: პირველად ასე გგონიათ, ვითომც ჩვენში აზრების ბრძოლაა და ნამდვილი წადილი ჭეშმარიტების ძებნისა და იმის მიღებისა. არა, თუ დინჯათ გასინჯეთ ეს საზოგადოებრივი აზრის მოძრაობა, იმაში უთავ-ბოლო ლაპარაკის მეტი არა გამოჩნდება რა.

მეორე მოვლენა ჩვენ ცხოვრებაში სახალხო განათლების შესახებ მდგომარეობს იმაში, რომ ყველგან და ყოველთვის ვხედავთ ასრეთ წოდებულს ეროვნულ თუ პატრიოტულ შეხედულობას. ყველა ჩვენგანი ერთსა და იმავეს ამტკიცებს: ხალხის განათლება ხალხის ენაზედ უნდა იყოსო. ამ საანბანო აზრის დასამტკიცებლად ბევრი მელანი დაიღვარა, ბევრს კალამს მოსტყდა წვერი, მაგრამ ეხლაც თითო-ოროლამ ძლივს გარკვევით იციან საფუძვლები ამ ჭეშმარიტებისა. უმეტესი ნაწილისათვის ეს ჭეშმარიტება გაზეპირებულ ფორმულათ შეიქნა, დოღმატათ გადაიქცა. თუ რა ისტორიული ანუ იურიდიკული საფუძვლები აქვს ამ დოღმატს, ამ ფორმულას — ამას არ დაეძებენ. ეს ვითომც საჭირო არ არის — ხომ ვიცით შეურყეველი და ძალ შემოსილი დოღმატი, მეტი რაღა საჭიროა! მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ამ დოღმატიურ შეხედუ-

ლობამ დიდი ვნება მოიტანა ჩვენში. ყველა ჩვენგანმა გაიზეპირა ჭეშმარიტება და საფუძვლების შესწავლას კი ყური არ უგდო. ამისთვისაც თითონ ჭეშმარიტებამ ცხოვრებაში დაჰკარგა თავისი გამაცოცხლებელი ძალა და ის ნაყოფი არ მოგვცა ჩვენ, რომელსაც მოველოდით. ან რა ჯეროვან ნაყოფს მოიტანს ის ჭეშმარიტება, რომელიც ერთის მხრით კეკლუცობის მასალათ აქვს საზოგადოების უმეტეს ნაწილს მიღებული და, მეორეს მხრით ამ ჭეშმარიტებას უყურებს, როგორც დოღმატს და არა ისეთ ჭეშმარიტებას, რომლის გასაგებრად ჯერ საფუძვლები არიან ღრმად შესწავლის ღირსნი. თუ მართალია, რაც ზემოთ ვსთქვით, ჩვენ ეხლა პირ და-პირ ამ საფუძვლების განხილვას შევუდგებით.

## II

სახალხო განათლება ძველმა ბერძნულ-რომაელმა ქვეყანამ არ იცოდა და არც შეიძლებოდა, რომ სცოდნოდა. მკითხველი, რომელიც აღზრდილია იმ აზრში, რომ ძველი ათინა და რომი იყვნენ უმთავრესი წყარო კაცობრიობის განათლებისა, ჩვენს აზრს გაიკვირვებს. მკითხველს უთუოდ ისე ჰგონია, რომ სახალხო განათლება პირველად დაიწყო დემოკრატიულ ათინაში და იქიდგან მერე რესპუბლიკურ რომში გადავიდა. შემცდარი ბრძანდები, ჩემო მკითხველო. სახალხო განათლება მხოლოდ მაშინ შეიძლება ცხოვრებაში დაარსდეს, როდესაც საზოგადოებრიული თუ სახელმწიფო ცხოვრება აშენებულია იმ საძირკველზედ, სადაც სწავლის თავისუფლება ყველა წოდებას აქვს მინიჭებული. შორს წასვლა საჭირო არ არის. ავიღოთ ჩვენი ცხოვრება. სა-

სახალხო განათლება ჩვენში თან მოჰყვა ბატონ-ყმობის მოსპობას. ბატონ-ყმობამ არ იცოდა პიროვნული თავისუფლება და ამისთვისაც არც სახალხო სკოლა იცოდა. უკანასკნელი დაარსდა მაშინ, როდესაც პიროვნული თავისუფლება ცხოვრების კანონათ შეიქნა. ამისთვისაც ისტორია გვიჩვენებს, რომ სახალხო განათლება მაშინ შეიძლება, როდესაც ყველა საზოგადოების წევრს პიროვნული თავისუფლება აქვს მინიჭებული და იმ თავისუფლებით სარგებლობს. თუ ერთს რომელიმე წოდებას სახელმწიფოში თუ ხალხში აქვს თავისუფლება და სხვა გვარი უფლება, დანაშთენს კი ქვემდებარეობის, მონობის და მორჩილების მეტი ხელში არა უჭირავს რა, მაშინ სახალხო განათლების გაჩენა ცხოვრებაში სრულებით შეუძლებელი საქმეა. როგორც ზემოთ ვსთქვით, ბერძნულ-რომაულმა ქვეყანამ არ იცოდა, რა იყო სასახალხო განათლება, რადგან იმ ქვეყანას პიროვნული თავისუფლებისა სრულებით არა გაეგებოდა რა. მართალია, ბერძენნიც და რომაელნიც გონებით განვითარებულნი იყვნენ, სავსენი ყოველგვარი განათლებით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ძველ განათლებას არისტოკრატიული ხასიათი ჰქონდა, საზოგადო-წოდებრივული მიმართულება. ძველ ქვეყანაში ასრეთ წოდებული დაბალი ხალხი მოკლებული იყო ყოველ-გვარ თავისუფლებას და სწავლა-განათლებას. მეორეც ესა, რომ ძველ ბერძენს თუ რომაელს გარკვევით ესმოდა მარტოთ-მარტო პოლიტიკური სახელმწიფოს თავისუფლება; ის ამ თავისუფლებას მეტათ მაღლა აყენებდა, მეტათ ძვირ-ფასად რაცხდა. ბერძნის თუ რომაელისთვის საჭირო იყო მარტო ის, რომ იმას ნება ჰქონოდა თავისუფლათ ელაპარაკნა სახელმწიფო საქმეზედ და მონაწილეობა მიეღო იმ საქმეებში. კერძო ცხოვრებაში თავისუფლებას ის საჭიროდ არა რაცხდა. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მაშინ-

დელი პოლიტიკური თავისუფლება ერთს რომელსამე და რამდენსამე წოდებას შეიცავდა და არა მთლათ ხალხს. უმრავლესი ნაწილი ხალხისა, დაბალი ხალხი მოკლებული იყო როგორც პოლიტიკურ, ისე პიროვნულ თავისუფლებას და წარმოადგენდა ერთს მრავალ-წევროვან წოდებას, რომელსაც ერთათ-ერთიღა უფლება ჰქონდა—მონება!

როგორც ვსთქვით, ძველმა ქვეყანამ პიროვნული თავისუფლება არ იცოდა. პირი, პიროვნება მსხვერპლი იყო სახელმწიფოსი. ყოველივე კერძო კაცი სცხოვრებდა იმისათვის, რომ ის საჭირო იყო სახელმწიფოსთვის, იმის მიზნების შესასრულებლათ. სახელმწიფოს გარეთ ყველა, დიდი თუ პატარა, გვაროვანი თუ უბრალო ჩამომავლობისა, თავის კერძო ცხოვრებაში, ნამდვილათ მონა იყო. ამ გვარი პოლიტიკა—სოციალური წყობილება არა თუ მარტო ცხოვრებაში იყო განხორციელებული, არა—მეცნიერება და ფილოსოფიაც იმას ასწავლიდენ და ქადაგებდნენ. იმ დროს, როდესაც ბერძნებმა და რომაელებმა გასაკვირველათ შეიმუშავეს სახელმწიფო ცხოვრების უკეთესნი წყობილებანი, პიროვნული თავისუფლებისა კი ვერა გაიგეს რა და დაბალი ხალხის მონება შეურყეველ ჭეშმარიტებათ აღვიარეს. არისტოტელი ამტკიცებდა, რომ მონება საჭიროა და კანონიერი მიზეზი ამ საჭიროებისა კაცის ბუნების განსხვავებაშიაო!

თუ მკითხველი არ დაივიწყებს იმ აზრს, რომ სახალხო განათლებისათვის საჭიროა პოლიტიკურ თავისუფლებასთან პიროვნული თავისუფლებაც, მაშინ ადვილათ გაიგებს, რომ ის განათლება ევროპაში დაარსდა უკანასკნელ დროს, გერმანიაში რეფორმაციის შემდეგ, ჩვენში დაშორებით უფრო გვიან, თითქმის ამ უკანასკნელს დროს, ბატონ-ყმობის მოსპობის შემ-

დეგ. პირველად რეფორმაცია იყო მშობელი სახალხო სკოლისა. მაგრამ სახალხო განათლების შესახებ რეფორმაციას უფრო ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. რეფორმაციისაგან დაწყობილი საქმე განაგრძელა კრიტიკულმა მეთვრამეტე საუკუნემ, რომელმაც თავიდგან ბოლომდისინ გადმოაბრუნა ძველი ცხოვრების საფუძვლები, შეუბრალებლათ დაფუშა და შემუსრა უწინდელი წესები და ცხოვრების წყობილება, ფართო და მკვიდრი ადგილი მისცა კაცის პიროვნობას, სამუდამოთ უარ-ჰყო წოდებრიული მიმართულება. მეთვრამეტე საუკუნის კრიტიკას ხელში ეჭირა ხალხის და არა ერთი რომელიმე წოდების თავისუფლება, საზოგადობრივი და პიროვნული თავისუფლება. პირ-და-პირი შედეგი ამ გვარი მიმართულებისა უნდა ყოფილიყო სახალხო განათლება და სწორედ ასეც მოხდა. მეთვრამეტე საუკუნემ დაარსა სახალხო განათლება და იმას საზოგადოქვეყნიური მიმართულება მისცა. წინათ, ამ კრიტიკულ მოძრაობამდის, ევროპაში სახალხო განათლებას, როგორც ძველ ბერძნულ-რომაულ ქვეყანაში, ჰქონდა წოდებრიული მიმართულება.*) როდესაც ევროპის აზროვნობამ გამოიკვლია, რომ სახელმწიფო უნდა იყოს მთელი ხალხისთვის და არა რომელიმე წოდებისათვის, მაშინ ამ გამოკვლევის შედეგათ აღმოსნდა სახალხო განათლება.

წინათ თეორეთიკულ პედაგოგიას ისეთი მიმართულება

*) გამოჩენილი შტეინი, ერთი ღრმათ მცოდნე პირთაგანი ხალხის თვით-მმართველობისა, სამს ნაირათ გაჰყოფს ხალხის განათლებას: საოჯახო წყობილებას შეჰფერის ფიზიკური აღზრდა, წოდებრიულს—ხელოსნური, პროფესიონალური, სახელმწიფოს—სახალხო.

ავტ.

ჰქონდა, როგორც ცხოვრებას შეეფერებოდა — თეორია ნაბიჯით მისდევდა პრაკტიკას, ცხოვრებას. მეთვრამეტე საუკუნეში იყო, როდესაც გამოჩენილმა ჟან-ჟაკ რუსსომ გასაოცარი სითამამით და მჭერ-მეტყველობით სამუდამოთ დამარხა ძველი პედაგოგიური სისტემა, შეუპოვრათ და მკაფიოთ აჩვენა ყველას სახალხო განათლების საჭიროება. ერთხელ აღძრული კითხვა აღარ შეჩერებულა ერთ წუთსაც. რუსსოდგან დაიწყო ახალი ხანა აზროვნებისა...

თუ მკითხველი თანხმაა ჩვენთან ამაზედ, უნდა დაგვეთანხმოს, რომ სახალხო განათლებისათვის საჭიროა პიროვნული და საზოგადო-პოლიტიკური თავისუფლება. მხოლოდ ამ გვარ თავისუფლებამა შობა ევროპაში სახალხო განათლება და როდესაც ის თავისუფლება არ იყო, მაშინ არც სახალხო განათლება ყოფილა. ამ მიზეზის გამო სადაც გონივრულათ უნდათ გამართვა სახალხო განათლებისა, იქ საფუძვლათ უნდა მიიღონ თავისუფლება, რომელიც ჩვენ ვუჩვენეთ, და ამ საფუძველზედ დადგან მკვიდრი და ფართო შენობა, სადაც მთელი ხალხის თუ ერის გონება უნდა მოძრაობდეს. ამ აზრის სიმართლეს გვიმტკიცებს ისტორია და ისტორიულ კანონს ხომ ვერსად წაუვალთ.

## III

...ეს ყველასთვის ცხადია. ვერც ერთი მოწინააღმდეგე, თუ კი იმას გულ-წრფელობა ექნება, ამის უარს ვერ იტყვის. ყველას ჩუმათ თუ აშკარათ, სწამს ამ აზრის ჭეშმარიტება, ყველა ბანაკის კაცს დოღმატათ მიაჩნია ეს ჭეშმარიტება, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ყველა ბანაკს თუ პარტიას თავისე-

ზურათ ესმის და მიაჩნია თავისუფლება, ეს თავისუფლება უნდა და საჭიროთ მიაჩნია თავისთვის, — სხვებისათვის კი ენანება და შურს. სამწუხაროთ, აქედგანაც წარმოსდგა ის პრინციპიალური კითხვის დამახინჯება, რომელმაც სახალხო განათლებაში გაიდგა ფეხი. ერთნი ამტკიცებენ, რომ ყოველივე წოდებას განათლების თავისუფლება უნდა ჰქონდეს, მეორენი — ამ გვარი თავისუფლება უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს, რომელიც ვითომც ხალხის გონების მფარველი და მზრუნველია და ამ გონების მოძრაობის გამგებელი, მესამენი ითხოვენ კიდევ, რომ საზოგადოთ ხალხს უნდა ჰქონდეს თავისუფლება განათლებისა და არა სახელმწიფოს ან რომელიმე წოდებას. ამ გვარ არეულს პრინციპიალურ კითხვას თავისი მიზეზი და საბუთები აქვს. იყო დრო (ევროპაში, საშუალო საუკუნოებში) როდესაც ხალხის (და არა სახალხო) განათლებას წოდებრიული მიმართულება ჰქონდა იმ დროს განათლება თითქმის მარტო მონასტრებში მოიპოვებოდა და არისტოკრატული მონასტრული ბეჭედი აჯდა. იყო ერთი დროც (მეთერთმეტე საუკუნიდგან საფრანგეთის დიდ აჯანყებამდინ), როდესაც სახელმწიფომ ჩაულაპა როგორც ცალკე კაცის პიროვნება, ისე საზოგადო წოდებანიც. მაშინ თავისუფლება მარტო სახელმწიფოს ეჭირა ხელში. ამ გვარ სისტემას უწოდებენ პოლიციურ სახელმწიფოს სისტემათ. უკანასკნელათ, მეთვრამეტე საუკუნის ნახევარს, თეორეთიკულათ და იმავე საუკუნის დასასრულს საქმითაც დაიწყო ახალი მიმართულება განათლების მიმდინარეობაში, — ამ გვარი ისტორიული გარემოება იმის მიზეზი, რომ ჯერაც ვერ გამოურკვევიათ გადაწყვეტით და ვერ დათანხმებულან — თუ როგორ უნდა დაეწყოს სახალხო განათლება: ყოველივე პარტია თავის ისტორიულ ტრადიციას და უფლებას მისდევს, არა უნდა

რა შოაკლოს თავის უფლებას. ზემოთ ნაჩვენები ისტორიული გარემოება არის მიზეზი, რომ ჯერაც ვერ არის საზოგადო აზრათ მიღებული ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ სახალხო განათლება უნდა იყოს თითონ ხალხისათვის და არა რომელიმე წოდებისთვის თუ პოლიტიკური პარტიისათვის, ან არა და— სახელმწიფოს მიზნების შესასრულებლათ. რომელიმე «პარტიული» შეხედულობა სახალხო განათლებას ამახინჯებს, ნამდვილ მიმართულებას უკარგავს; ასე არის ჩვენ დროს ევროპაში და წინათაც ასე ყოფილა. აქ მოიპოვება მიზეზი, სხვათა-შორის, იმ მოვლენისა, რომ აქამომდე დემოკრატია ასე დაჩაგრულია ევროპაში...

საკვირველია, ყველა ითხოვს სახალხო განათლების თავისუფლებას, ისიც, რომელსაც სხვა შემთხვევაში თავისუფლება ჯოჯოხეთად მიაჩნია, და ისიც, რომელიც ქვეყნიურ სამოთხეს ამ თავისუფლებაში ჰპოვებს. ყველა ითხოვს, მაგრამ ყველას კი პირველათ სახეში აქვს ასეთი თუ ისეთი წინათ-შედგენილი შეხედულობა, რომელიმე პოლიტიკური სისტემა, ისტორიული თუ პოლიტიკური ტრადიცია. ნამდვილი სახალხო განათლებისა კი არავის უნდა გაიგოს... თუ ეს ასე არ არის, მაშ რისთვის მოხდება ხოლმე, რომ რომელიმე ლიბერალი, მაგ. ავსტრიელი, ყვირის — ნემეცურ სკოლაში თავისუფლება უნდა იყოსო და, როდესაც იმას შენიშვნას მისცემენ — მაგნაირი თავისუფლება სლავიანების სკოლისათვისაც საჭიროა, უარს ამბობს!... ამ გვარი «ხამელეონობა» სახალხო განათლების საქმეში მეტად მავნებელია. ხალხის თუ ერის გონების თუ გრძნობების დამახინჯებაზედ ძნელი და საშიში არა არის რა იაფათ არც ერთ სახელმწიფოს თუ წოდებას არ დასჯდომია ხალხის გონების და იმის გრძნობების გარყვნა და დამახინჯება და ამას, ვგონებ

ხედავს ავსტრო-ვენგრია, რომელსაც სლავიანების აჯანყება მილშიც კი ელანდება! განა უფრო სასარგებლო არ იქნებოდა, რომ სახალხო განათლება ეროვნულ თუ ხალხოსნურ ნიადაგზედ იყოს აშენებული და ხალხის საჭიროება ჰქონდეს მიზნათ? მაგრამ, ამბობენ: «სახალხო განათლება უნდა ხელს უწყობდეს სახელმწიფოს თვით-დაცვას; ეს არ მოხერხდება, თუ ეროვნებას ადგილი ექნება სახალხო განათლებაშიო». ეს აზრი სრულებით ყალბია. სახელმწიფოს ერთობა, სახალხო განათლების დამახინჯებით, ამ განათლების დამონავებით რომელიმე პოლიტიკური სისტემისადმი და ეროვნობის უარ-ყოფობით არავის შეუნახავს. ამ გვარ მოქმედებას სულ წინააღმდეგი შედეგი ჰქონია. აიღეთ იგივე ორთავიანი ავსტრო-ვენგრია. ნეტარ ხსენებული მეტერნიხის სისტემა იმაში მდგომარეობდა, რომ დაეცვა სახელმწიფოის ერთობა; სისტემა სდევნიდა თავისუფლებას, ეროვნობას ყოველ-გვარ საზოგადოებრივ მოვლენაში. ამ გვარმა პოლიტიკამ კინაღამ ბოლო არ მოუღო სახელმწიფოს. საწყალი ავსტრია სიკვდილიდგან თითონ რუსეთმა გამოიხსნა...

## IV

ზემოთ მოყვანილი აზრები გვარწმუნებენ, რომ სახალხო განათლება დაფუძნებული უნდა იყოს თავის საკუთარ კანონებზედ. არც ერთ გარეგან მიზეზს არ უნდა მისდევდეს. იმის მიზეზი ხალხის სულიერი თუ ბუნების გაუმჯობესობაში უნდა იხატებოდეს. სახალხო განათლება მთელი ერის თუ ხალხის, როგორც საზოგადოებრივი სხეულისა, ფიზიოლოგიური მოვ-

ლენაა*). ამ მოვლენას თავის საკუთარი კანონები აქვს, თავის მიზანი. თუ ეს კანონები და მიზანი შესცვალეს, მაშინ თითონ ფიზიოლოგიური მოვლენაც დამახინჯდება, თავის ძალას დაჰკარგავს და საზოგადობრიული სხეული, ე, ი. ერი ავათ-მყოფი შეიქნება. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ როგორც ყოველივე კერძო კაცი შეიძლება საღათაც იყოს და ავათაც, ეგრეთვე მთელი ხალხი თუ ერი შეიძლება ავათ-მყოფიც იყოს და კარგათ-მყოფიც. ერთსა-და-იმავე შემთხვევაში თითქმის არავითარიმე ფიზიოლოგიური ან პატალოგიური გარჩევა არ არის. მეცნიერება საზოგადოების ცხოვრებისა (общественна наука) ეხლა ამ ჭეშმარიტებას მისდევს და ჩვენც ეს უნდა ვიქონიოთ სახეში, როდესაც სახალხო განათლებაზედ ვლაპარაკობთ. თუ სახალხო განათლება საზოგადობრივი სხეულის ბუნებითი, ფიზიოლოგიური მოვლენაა, მაშ პირველი კანონი ამ განათლებისა უნდა იყოს ხალხოსნური, ეროვნული მიმართულება. მხოლოდ მაშინ განათლების კანონი დააკმაყოფილებს, ერთის მხრით, ისტორიულ ჭეშმარიტებას, მეორეს—ხალხის სულიერს, ზნეობითს არსებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სახალხო განათლება პირ-და-პირ ტყუვილ გზაზედ იქნება დაყენებული!!

ყოველივე ცალკე კაცი უნდა აღიზარდოს ისე, როგორც იმის ბუნება ითხოვს... ამ აზრის დასამტკიცებლათ ჩვენ შეგვიძლიან ბევრი საბუთების წარმოდგენა, მაგრამ აქ მარტო ერთს საბუთს მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას. არ მოიპოვება ისეთი ხალხი თუ ერი, რომელსაც ერთი რომელიმე კარგი მხარე არა ჰქონდეს, რომელიმე ღირსებით მაღლა არ იდგეს სხვა ხალხზედ. რაც უნდა დავიწყებული და თვალ ყურ

---

*) იხილე ფრანცის ,,სახელმწიფო ფიზიოლოგია‘‘,

ავტ.

მოშორებული ერი აიღოთ, თუ კი იმის ვინაობასა დ ცხოვრებას დააკვირდებით, უეჭველად ერთს მაინც ისეთს თვისებას იპოვნით, ზნეობითს, თუ გონებითს, რომლითაც ის მარგალიტივით გამოსჭვრიტავს... ეს ობოლი მარგალიტი ყოველივე ისტორიული ერისა, ეს ხალხის «გენია» დიდათ პატივ-საცემი და ყურადღების ღირსია და ხატავი იმ სახელმწიფოსაც, რომელიც ამ პატივცემას და ყურადღებას არ ივიწყებს!... სახელმწიფოს სარგებლობა ითხოვს ყველა ერის განათლებას, რადგანაც ამითი იმას ძალა და პროგრესიული მოძრაობა ემატება. სახელმწიფოსათვის, ყოველ შემთხვევაში, მეტათ საჭიროა ისეთი სახალხო განათლება, რომელიც სხვა-და-სხვა ერის კარგ ღირსებას და თვისებას წინ წააყენებს, ასპარეზზე გამოიყვანს და მოქმედ ძალად გახდის. ეს მაშინ შეიძლება, როდესაც თითონ განათლება «ეროვნულ ნიადაგზედ» მკვიდრათ იქნება აშენებული!...

ამ ბოლოს დროს ეს შეცდომა გაასწორეს ზოგიერთ ევროპიის სახელმწიფოებმა და, სხვათა შორის, თითონ მრავალეროვანი ავსტრიაც კი მიხვდა, რომ «სლავიანების ნემეცებათ გადაკეთებით» კარგი არა დაიბადება-რა. ამ სამეფომ თავი დაანება მეტერნიხის სისტემას, რომელსაც შიშის და ელდის მეტი არა მოჰქონდა რა. ისტორიულ ჭეშმარიტებამ და მეცნიერებამ გზა გაიკვლიეს და ნელა-ნელა ადგილს იჭერენ ცხოვრებაში. ეროვნობის თავისუფლება, სახალხო განათლებაში თუ სხვა-გვარ ცხოვრების მოვლენაში, რომელიც ამ მეცნიერების ნაყოფია, მაგარი, თუმცა კი წყნარი, ნაბიჯით საზოგადო ასპარეზისაკენ მიემურება... ეს ახალი ძალა იზიდავს საზოგადოების უმეტესი ნაწილის წარმომადგენელების სულსა და გულს,...

## V

როგორც ზემოთ ვსთქვით, უკანასკნელ დროს .. უწინდელმა გერმანიის პოლიციურ მეცნიერებამ დაკარგა თავის გავლენა სახელმწიფოს ცხოვრებაში. ეს პოლიციური მეცნიერება, როგორც მკითხველსაც ეცოდინება, ყველგან და ყოველთვის იმას ჰქადაგებდა, რომ სახელმწიფო რაც უნდა მრავალ-ეროვანი იყოს, ერთს საკუთარს და თვით-მყოფს პირს წარმოადგენს და ამისათვის ყველა ერი, როგორც ნაწილი სახელმწიფოსი, ყოველ შემთხვევაში მორჩილი უნდა იყოს ამ უკანასკნელისა. ამ მეცნიერებამ, რომელსაც მეტადრე გერმანიაში ბევრი სახელგანთქმული მომხრენი ჰყავდნენ, სრულებით არ იცოდა, ანუ, უმჯობესია ვსთქვათ, არა სურდა სცოდნოდა, ეროვნული თავისუფლება სახალხო განათლებაში; სრულს მორჩილებას თხოვდა სახელმწიფოსადმი, ყველა ერს ერთის ალღით ზომავდა, ერთ კალაპოტში აყენებდა. სად იყო ეროვნული თავისუფლება, ერის თვით-მოქმედება?! თუმცა ამ თავისუფლებას და თვით-მოქმედებას თხოვს როგორც ბუნება, ისე ისტორიული კანონიც! მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ზემოხსენებული პოლიციური მეცნიერება პირ და-პირ ცხოვრების საჭიროებისგან წარმოსდგა, კანონიერი შვილი იყო ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობისა და ამისათვისაც თუ უწინ ჰქონდა რამე ფაქტიკური მნიშვნელობა, ეხლა ისტორიული ტრადიციის მეტი არა მოეპოვება რა. როგორც ვიცით, ფეოდალიზმმა ევროპაში აურივ-დაურივა სხვა და-სხვა ერის თუ ხალხის წოდებანი, უწესოება და წოდებრივი ბრძოლა სჯულათ და კანონათ დასდო. ამ გვარი მდგომარეობა დიდ-ხანს ვერ გასტანდა და

არც ხან-გრძლივი სიცოცხლის ძალა ჰქონდა. ვერც თითონ ხალ-
ხი შეუწყობდა ამ გვარ ცხოვრების წყობილებას, ანუ, უმჯობე-
სია ვსთქვათ, ამ უწყობილებას და უწესობას. ფეოდალიზმს
თან მოჰყვა პოლიციური სახელმწიფო, რომლის პირველი
მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ ხალხის სულიერი თუ სხვა
უფლება და მორჩილებინა ერთი ძალისათვის, რომელსაც მაშინ
სახელმწიფო ძალას უწოდებდნენ. ამ ძალის ავლა-დიდება მორ-
ჩილება იყო. ერმა უნდა თავი დაანებოს თავისუფლებას და
მსხვერპლათ შესწიროს თავი სახელმწიფოს, როგორც თვით-
მპყრობელ პირსა—აი რას თხოულობდნენ მაშინ და რას ქა-
დაგებდნენ პოლიციური მეცნიერების წარმომადგენელნი! პოლი-
ციური სახელმწიფო (полицейское государство) ხალხის ცხოვ-
რებაში დაუკითხავათ ერეოდა და ყოველთვის მორჩილებას ით-
ხოვდა. ამ მიმართულებამ სრულებით დაამახინჯა ხალხის სული,
იმის ბუნება, ავათმყოფობა გაუჩინა მთელს ხალხის სხეულს.
პოლიციურ სახელმწიფოს შემდეგ დაარსდა ასრეთ წოდებული
კანონიერი ანუ თავისუფალი სახელმწიფო (правовое госуд-
арство). უკანასკნელმა თავის სახელმძღვანელო პრინციპათ ერის
თავისუფლება მიიღო, თუმცა სრულებით კი არა და თუმცა
სხვა-და სხვა ადგილას მეტნაკლებათ. ამ მეტ ნაკლებობას ყველა
ევროპიის სახელმწიფოში ვხედავთ და ეს ერთს სასარგებლო
და მიბაძვის ღირსს მაგალითს გვიჩვენებს—სადაც ხალხის გა-
ნათლება უფრო ფართო თავისუფლებაზედ არის დაფუძნებუ-
ლი, იქ სახელმწიფოც და ხალხიც მთელს და საღს სხეულს
წარმოადგენს; მაშასადამე, ეროვნული თავისუფლება თითონ სა-
ხელმწიფოს საჭიროებამ და ცხოვრების მიმდინარეობამ გამოი-
ყვანა ასპარეზზედ და თუ სახელმწიფოს სიმრთელე და იმის
კეთილ-დღეობა, როგორც ისტორია გვიჩვენებს, ამ თავის-

უცვლელობაზედ არის და კიდეც უნდა იყოს დამოკიდებული, თითონ სახელმწიფოს პირველი ვალია—ჯეროვანი ადგილი მისცეს მას ცხოვრებაში. რომ ცხოვრებაში განხორციელდეს და მკვიდრათ დამყარდეს. უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩავრაცხოთ ისტორიული ტრადიცია, ის შეცდომილება, რომელიც ძველ ბერძენ-რომაელებიდგან მომდინარეობს...

## VI

თუ მკითხველი დაჰკვირვებია სახალხო განათლებას ევროპის გონებით დაწინაურებულ და განვითარებულ სახელმწიფოებში, ადვილათ დაინახავდა იმ განრჩევას, რომელიც ამ განათლებას ეტყობა პირველივე შეხედულობით სხვა-და-სხვა სახელმწიფოში. საზოგადოებრივ ცხოვრებას, სახელმწიფოს წყობილებას და საზოგადოთ ისტორიული ცხოვრების მოძრაობას ღრმათ დაუსვამს თავის ბეჭედი სახალხო განათლებისათვის. ამ მიზეზის გამო ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ ასეთი თუ ისეთი სისტემა სახალხო განათლებისა მთელ დასავლეთ ევროპაში და გადაწყვეტით ვსთქვათ—ამა და-ამ ხალხს თუ სახელმწიფოს ეს-და-ეს სისტემა აქვს. მთელი დასავლეთი ევროპიის სახალხო განათლება შეიძლება სამ გვარ სისტემის ჩარჩოში მოთავსდეს. თვითოეულ ამ სისტემას თავის ფერი და მიმართულება აქვს, თავის ბეჭედი აზის. ერთი სისტემა ეკუთვნის ფრანცუზებს და თავის გარკვეულ გზას ადგია. ამ სისტემის სული ადმინისტრატიული ცენტრალიზაციაა; ამისათვის შეგვიძლიან სახელათ ვუწოდოთ მას «ადმინისტრატიული ცენტრალიზაციის სისტემა». ასე გასინჯეთ, სახალხო განათლება საფრანგეთში ადმინი-

სტრატიული უფლების ანუ მეცნიერების საგანია. მკითხველს ეცოდინება, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი და ისტორიული ცხოვრება წარმოადგენს ერთ შეუჩერებელ მოძრაობას. აქ ნელ-ნელა და შეუჩერებლათ სახელმწიფო სხვა-და სხვა წოდებათა თავისუფლებას ხელში იგრეფდა, თავის ძალის და ძლიერების გავრცელებას მისდევდა და კიდეც შეასრულა ეს საქმე. ბოლო დროს სახელმწიფოს უფლება ერთ დიდ ძალათ გადაიქცა და ამ ძალამ ჩაყლაპა ხალხის თავისუფლება. სახალხო განათლებასაც ამ ისტორიული განათლების გავლენა ეხლაც აშკარათ ეტყობა. აქაც ყოველ შემთხვევაში სახელმწიფოს ეკუთვნის ხელმძღვანელობა და მზრუნველობა, საზოგადოების თვით მოქმედებაზე თითქმის ყურადღება არ არის მიქცეული. მესამე რესპუბლიკას ვითომც უნდოდა გაესწორებინა ეს შეცდომილება, მაგრამ ვერ მოახერხა, როგორც შემდეგში დავინახავთ. ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, ვიდრემდისინ საფრანგეთი განთავისუფლდება თავის ისტორიული ხუნდიგან, რომელსაც სახელათ ცენტრალიზაციის სისტემა ეწოდება...

სახალხო განათლების მეორე ტიპიურ მიმართულებას ვხედავთ ინგლისში. აქ ისტორიული მოძრაობა სულ სხვა ნაირი იყო. თუ საფრანგეთში ცხოვრებამ ხალხი პირ-და-პირ ცენტრალიზაციასთან მიიყვანა, ინგლისში სრულებით წინააღმდეგი მოვლენა მოხდა. ინგლისის ხალხის ცხოვრება, ისტორიული გარემოების მეოხებით, მკვიდრათ დაემყარა საზოგადოებრივ თავისუფლებაზედ და პირველათვე ეს ცხოვრება შეუჩერებლათ ამ თავისუფლებას ელტოდა. ამ მიზეზას გამო სახალხო განათლებასაც ხალხოსნური მიმართულება მიეცა. ინგლისის სახალხო განათლება წარმოადგენს საზოგადოებრივ თავისუფლების სისტემას. აქ პირველი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების თაოსნო-

ბას, იმის თვით-მოქმედებას. სახელმწიფო არ ჩხირ-კედელაობს და არ ეკვეტება საზოგადო საქმეში. რამოდენიმე წლის წინათ აქაც სახელმწიფომ დაიწყო ხელის ფათური სახალხო განათლებაში, მაგრამ საზოგადოებრივი თავისუფლება ისევ შეურყეველათ სდგას.

მესამე და უკანასკნელი სისტემა უნდა მოვძებნოთ გერმანიაში. ეს გონებით დავარჯიშებული მხარე ბუდეა სახალხო განათლებისა. დასაწყისი სოფლის სკოლისა აქ იყო რეფორმაციამ შობა სახალხო სკოლა და ამ სკოლის მამა-მთავარი ბრძანდებოდა ლიუტერი, სახელოვანი ლიუტერი, რომელმაც სამუდამოთ დაამეგობრა და ძმობილები გახადა ორნი უწინდელნი მტერნი — ეკკლესია და სახელმწიფო. სახალხო განათლებასაც მეგობრობის დაღი დაესვა, სახელმწიფო ეკლესიური მიმართულება მიეცა. გერმანიაში სახალხო სკოლა ხალხისა კი არა, სახელმწიფოსი და ეკლესიისაა. ამ შეკავშირებულ ძმებს და მეგობრებს სკოლა უზრდის ერთგულ მოსამსახურეთა «იქ (ე. ი. გერმანიაში) სუფევს ავტორიტეტობის პრინციპი, რომელიც ყველგან ეკვეტება; იქ ყოველისფერი სავსეა მორჩილების გრძნობით ძალის წინ, იქ ვითომც ხედავთ უსამზღვრო დამოუკიდებლობას აზრის სამფლობელოში, მაგრამ კი შეხვდებით პასიურ მორჩილებას მოქმედებაში, — კანონის, ჭეშმარიტების, სამართლის მორჩილებას კი არა, ძალის წინ მოდრეკას: იქ დესპოტიურათ უფლებს ბრძანება» (გიპპო, საზოგადოებრივი განათლება გერმანიაში, 1874 წ.). აი რა გზას ადგია და რა მიმართულებას ემსახურება სახალხო განათლება გერმანიაში!...

ნიკო ხიზანოვი

(დასასრული შემდეგში.)

# საფუძვლები სახალხო განათლებისა.

(გაგრძელება*)

## VII

სახალხო განათლებას, როგორც ყოველ სხვა-გვარ სოციალურ დაწესებას, თავისი ისტორია აქვს. ეს ისტორია გვიხატავს ჩვენ ორ-ნაირ უნუგეშო სურათს. პირველი სურათი გვიჩვენებს—თუ რა დიდ-შეურაც-ყოფაში ყოფილა სახალხო სკოლა და რა ბევრს დროს და ჟამს გაუვლია, ვიდრემდისინ საზოგადოება და განსაკუთრებით სახელმწიფო მიხვედრია ამ სკოლის უსაჭიროესობას და დიდ მნიშვნელობას. მეორე სურათი თვალ-წინ წარმოგვიდგენს სამწუხარო მოვლენას — სახალხო სკოლა დიდ-ხანს მსხვერპლათ შეწირული ყოფილა რომელიმე წოდებისათვის და სახელმწიფოისათვის და ამ მიზეზის გამო იმას ვერ შეუსრულებია თავისი სამღვთო ვალი. თუ პირველს სურათს ეხლა ჩვენ ევროპაში იშვიათათ ვხედავთ, ნაცვლად ამისა მეორე სურათი ყოველ-ნაბიჯზედ თვალ-წინ გვიდგება. სახალხო

*) დასაწყისი იხილე „იმედის" მეხუთე ნომერში 1882 წლისა.

სკოლა ეხლაც მოკლებულია თავის საკუთარს შინაგანს ძალას, მნიშვნელობას და ემორჩილება რომელიმე წოდების თუ სახელმწიფო მიზანს, რომელსაც ამ მიზანს არავითარიმე კავშირი არა აქვს სახალხო სკოლის დანიშნულებასთან. სახელმწიფოს თუ რომელიმე წოდების—სკოლაზედ გავლენა და ზედ მოქმედება შეიძლება იმოდენათ, რამოდენათაც ამით სკოლა სახალხო ხასიათს არა ჰკარგავს. არავინ არ ამბობს, რომ სახელმწიფოს საქმე არ იყოს სახალხო სკოლის დაწესება, იმათი დახმარება და სხ. ჩვენ იმას ვითხოვთ მხოლოდ, რომ სკოლა არ უნდა იყოს იარაღი, სახსარი, რომლის ძალითაც სახელმწიფოს შეეძლოს თავისი, ბევრჯერ მავნებელი და ეგოისტური, მიმართულება გაავრცელოს ხალხში. ნემცები ხშირათ იძახიან: „სადოვასთან (1866 წ.) სასოფლო მასწავლებელმა გაიმარჯვა!" ეს და კიდევ შემდეგი გამარჯვება (1870 წ.) არა გვგონია, თუ სასარგებლოთ დაუჯდათ ნემცებს. დააკვირდით იმათ შინაურ ცხოვრებას... აი რა ვნება შეიძლება მოიტანოს სახალხო სკოლამ, როდესაც ის ნამდვილ ხალხოსნურ ნიადაგზედ არა სდგას!...

თუმცა თითქმის ყველგან ევროპაში სახალხო სკოლა უბრალო იარაღია სახელმწიფოსთვის, მაგრამ ამ უკანასკნელს (სახელმწიფოს) მარტო უკანასკნელ დროს ხელი შეუწყვია სკოლისთვის. „პირველ ეპოხას, ამბობს ლორენც შტეინი*), რომელიც იწყობა წიგნის ბეჭდვის შემოღებიდგან, სახელმწიფო ხელს უწყობდა მარტო სპეციალურ და უმაღლეს განათლებას უნივერსიტეტებში და გიმნაზიებში; მხოლოდ მეთვრამეტე საუგუნიდგან სახალხო განათლება შეიქნა სახელმწიფოს მზრუნვე-

*) Ученіе объ управленіи и право управленія. Соч. Лоренца Штейна, стр. 129 и 130.

ლობის საგნათ; ამ დროს აღიძრა აზრი მთელი განათლების ერთობისა და ეს განათლება სახელმწიფოს ძალის ზრუნველობის ქვეშ ჩავარდა. მეცხრამეტე საუკუნე შეადგენს მესამე ეპოხას. ამ დროს სახალხო განათლება გახდა ხალხის თვით-მმართველობის საქმეთ სახელმწიფოს ზედამხედველობის დახმარებით. ამ გვარი განყოფილება სახალხო განათლების მოძრაობისა, ცოტა არ არის, ვერ ეთანხმება ისტორიულ სიმართლეს. მაგ., არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მეთვრამეტე საუკუნეს ინგლისში სახალხო განათლება მართებლობის ზრუნველობის ქვეშ იყო. ამ სახელმწიფოში სახალხო განათლება სულ სხვა გზას ადგა და მისდევდა.*) ეგრეთვე საფრანგეთზედაც სულ სხვა უნდა ითქვას. სახალხო სკოლა აქ მეცხრამეტე საუკუნეშიაც ადმინისტრაციის საქმეა-თვით-მართველობას მნიშვნელობა ბევრი არა ჰქონია-რა. ასე გაშინჯეთ, ჟულ-ფერის კანონმაც კი ბოლო ვერ მოუღო იმ ცენტრალიზაციის და ადმინისტრატიულ მეურნეობას, რომელიც საფრანგეთის მმართველობის სულს შეადგენს. საქმე იმაშია, რომ სახალხო განათლების ისტორია სხვაა, პოლიტიკური ცხოვრებისა კიდევ სხვაა, თუმცა იმათში კავშირი არის. შტეინმა, ჩვენის აზრით, პოლიტიკური ცხოვრების ეპოხები შეადარა სახალხო განათლების ისტორიას. აი რაშია შეცდომილება.

როგორც წინათაც ვსთქვით, სახალხო განათლების ხასიათი და მიმართულება საზოგადოთ შეკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან, ხალხოსნობის ბეჭედი აზის. აიღეთ საფრანგეთი. აქ საერო ზნეობას უჭირავს პირველი ადგილი ხალხის აღზრდაში (უკანასკნელი კანონის ძალით); გერმანიაში კი პროტესტანტუ-

*) Полицейское право, проф. Андреевскаго, т. 2 стр. 293 и 294.

ლი კატეხიზმო არის დასაბამი და დასაწყისი ზნეობითი სიბრძ-ნისა! .. ეს კიდევ არაფერი. სახალხო განათლების მიმართუ-ლებაზედ დიდი გავლენა ჰქონია და აქვს კიდეც საზოგადო ხალხის განათლებას (образованность народа) — შტეინის სი-ტყვით), იმის შეერთებულ აზრვას, რადგანაც იმათ შორის მჭიდრო კავშირია. ამ კავშირს ისტორია ცხადათ გვიჩვენებს. მაგ., იმ დროს, როდესაც ხალხის ჭაზრვაში სუფევდა თეოლო-გიური მიმართულება (ქრისტიანობის შემდეგ), სახალხო განათ-ლებასაც (ეს განათლება მაშინ ნაწყვეტ-ნაწყვეტათ და აქა იქ მოიპოვებოდა) ამ გვარი მიმართულება ჰქონდა. კლასსიციზმის აღმოჩენის შემდეგ სახალხო განათლებასაც კლასსიკური მიმარ-თულება მიეცა (შეტადრე გერმანიაში რეფორმაციის შემდეგ) და სხ.

ჩვენ დროს საზოგადო აზრვას არა აქვს გამოკვლეული ერთი განსაზღვრებული მიმართულება, აქ ჩვენ ვხედავთ სხვა-და სხვა მიმართულებათა და იმათ შორის ბრძოლას. აზრვა არ არის დამდგარი ერთ გზაზედ: თეოლოგიური, მეტაფიზიკური თუ სხვა მამართულება ერთი ერთმანეთში არიან არეულნი და ამითი აიხსნება ის უწესოება და პრინციპიალური ბრძოლა, რო-მელსაც ჩვენ არათუ მარტო კაცობრიობის ჭაზრვის ველზედ, არამედ სასალხო სკოლის ასპარეზზედაც კი ვხედავთ. ერთი მწე-რალი, რომელიც ყურადღების ღირსია, ლებბოკი ამბობს, რომ ესლაც კი მოიპოვება ასრეთ წოდებული ფეტიშიზმი ევროპიულ აზრვაში. — ამ ფეტიშიზმს, რომელიც ველური ხალხის აზრვის შინაარსს შეადგენს, გვიჩვენებს ჯადოიანობა, ფეტიშიზმის შესა-ფერი გონებითი გასხნა. თუ ასეთი არეულობა და განუსაზღვ-რელობა არის საზოგადო აზრვის სფერაში, მაშ რაღათ უნდა გვაკვირდეს ჩვენ სხვა-და-სხვა მიმართულებათა ბრძოლა სახალ-

ხო სკოლის გელზედ... მეორეს მხრით მონტესკიეს სიტყვე-ბისა არ იყოს, არ არის ჩვენ აღზრდაში ჰარმონია. ჩვენში კერძო პირი სხვაა და საზოგადო მოქმედი პირი კიდევ სხვა. ძველ საბერძნეთში ასე არ იყო. იქ კაცი ჰარმონიულათ იზრდე-ბოდა, ერთსა და იმავე მიზანს ელტვოდა, ერთს დანიშნულებას მისდევდა. ფილოსოფია, ცხოვრება და რელიგია იმას ერთ ნაი-რათ ხელს უწყობდნენ. როგორც ჩვენში, რელიგია კაცის ბუნე-ბას არ ამცირებდა და არ სთრგუნავდა. ბერძნების ღმერთები იგივე კაცები იყვნენ, როგორიც ბერძნები, მხოლოდ უფრო დი-დი ღირსებით შემკობილნი. ამისთვისაც ბერძნების მითოლო-გიას ნაყოფიერი და სასარგებლო გავლენა ჰქონდა განათლება-ზედ...

## VIII

სახალხო სკოლის თავ-გადასავალი ისევ ძველი ბერძნებიდ-გან უნდა დავიწყოთ. ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, რომ იმათ სახალ-ხო სკოლა არ მოეპოვებოდათ. დემოკრატიულ ათინაში ტყვეებს და იმათ შვილებს გიმნასტიკური ვარჯიში, რომელიც ერთს უ-მთავრეს სწავლის საგანს შეადგენდა, აკრძალული ჰქონდათ. სპარტაში კი ილოტებს და სხვა — არა თავისუფალ პირებს ამ ვარჯიშობის ნებას, როგორც მოწყალებას, ხანდისხან აძლევდნენ. სწავლა განათლება თავისუფალ მოქალაქეებს ეკუთვნოდა. უმე-ტესი ნაწილი ხელოვნება და მუშაობა, რომელიც ითხოვდა ფი-ზიკურ ძალას, წილათ ნარგუნები ჰქონდა დაბალ ხალხს და ტყვეებს. ქსენოფონტის აზრით ზოგიერთა ხელობანი აფუ-ჭებენ კაცის სხეულს, სახელმწიფო საქმეებისათვის დანიშნულს

დროს აკარგვინებენ, მეგობრებთან მუსაიფობას აცდენდენ და ამისათვის თავისუფალ მოქალაქეს ეს ხელობები უნდა დასტოვოს. პლატონ ფილოსოფოსი დასჯას უქადიდა იმ მოქალაქეს, რომელიც კი ვაჭრობას დაიწყობდა. მთელ ცხოვრებას ყველაგვარ სფეროში ერთი და იგივე მიმართულება ეტყობოდა, არისტოკრატიული წოდებრივი. ამ მიმართულებას ვხედავთ სახალხო ეკონომიაში და მეურნეობაში,*) განათლებაში და ზნეობით ცხოვრებაში. პირველი შეხედულობით იქნება მკითხველს ეგონოს კიდეც, ვითომც სპარტაში ლიკურგის კანონმა ერთობა და თანასწორობა შემოიღო, მაგრამ ეს შეცდომილებაა. მართალია, სპარტაში ყველა ბავშვები ერთად სწავლობდნენ, მაგრამ ყველა წოდების ბავშვები კი არა, მარტო თავისუფალი მოქალაქეების ბავშვები. თითონ «ხალხს» ეს უგანასკნელი მოქალაქეები შეადგენდნენ, როგორც რომში (populis romanus) საზოგადოების უმრავლესი ნაწილი ჩავარდნილი იყო საშინელი უმეცრების უფსკრულში.

რომაელებზედაც ეს უნდა ითქვას, რაც ბერძნებზედ, რომელსაც სახელად მონება ეწოდებოდა: აქაც ყველგან ვხედავთ წოდებრივ მიმართულებას, განათლებაში თუ ეკონომიურ წყობილებაში. როგორც მკითხველსაც ეცოდინება, განათლება გადმოიღეს ძველი ბერძნებიდგან. ამისთვისაც რომაელების განათლებას ბერძნული ხასიათი და მიმართულება ჰქონდა..

ძველ წარმართულ ქვეყნის შემდეგ დაარსდა ახალი, ქრისტიანული ქვეყანა. აქ არც საჭიროება ითხოვს და არც ადგილია ვუჩვენო — რა მიზეზის გამო დაიმხო და შეიმუსრა ძველი წარ-

---

*) «l'agriculture était encore une proffession Seruile» p 35.

მართული ქვეყანა. გავარჩიოთ ის თეორიები, რომლებიც ისტორიულ მეცნიერებაში ირიცხებიან ამ საგნის შესახებ მარტო საჭიროა და საკმაოც იქნება.—ვუჩვენოთ მკითხველს ის განსხვავება, რომელიც განსაზღვრავს და განყოფს ერთი ერთმანეთისგან ამ ორს ქვეყანას—წარმართულს და ქრისტიანულს. წარმართულს ქვეყანას ცხოვრების საფუძვლად მიაჩნდა მონება. ბორონულ თავისუფლების უარის-ყოფა, წოდებრივი განწყობილება. წინააღმდეგ ამისა ქრისტიანულ ქვეყანამ ცხოვრების საფუძვლად მიიღო ერთობა, თანასწორობა, [illegible] და სხვა გვარი თავისუფლება, უარ ჰყო კასტიური, წოდებრივი ცხოვრების განწყობილება. ამ მხრით, როგორც სოციალური სწავლა (თუ ასე შევხედავთ ქრისტიანობასა), ქრისტიანობა იყო სრულიად წინააღმდეგი ძველი ქვეყნისა. ამ უკანასკნელი ქვეყნის გამაცოცხლებელი ძალა, ბევრის მხრით ნაყოფიერი და სასარგებლო, ბოლო დროს დასუსტდა და ახალი დროისათვის ვეღარ ივარგა. მიუცილებლივ საჭირო იყო სხვა საძირკვლის ჩადგმა და კიდეც სხვა საძირკველიც ჩადგა. საჭირო იყო ახალი სოციალური წყობილება, დამყარებული სიმართლეზედ და ჭეშმარიტებაზე. ამ გვარი წყობილება ცხოვრებაში დაარსა ქრისტემ. გადაავლეთ თვალი ქრისტეს სწავლას.—ყველა მხრიდგან მოისმის დამატკბობელი ხმა წმინდა ჭეშმარიტებისა — ძმობის, ერთობის, თავისუფლებისა!...

მართალია, რომ თითონ ქრისტე არ ქადაგებდა სახალხო განათლების საჭიროებას და სკოლის გამართვას, მაგრამ ამ გვარი საჭიროება პირ-და-პირ ლოღიკური დასკვნა იყო იმ სწავლისა, რომელსაც ქრისტე ემსახურებოდა. იქ, სადაც ერთობა და თანასწორობა შეიქნა ცხოვრების ხელთ-მძღვანელობათ, სახალხო სკოლას არსებობის უფლება მიეცა. საჭირო იყო მვე-

ლეპური წოდებრიული მიმართულების მოსპობა. როდესაც ეს მიმართულება მოისპო, მაშინ სახალხო სკოლა დაიბადა თავის-თავათ. პირველადვე ქრისტიანობას თავისი საკუთარი საქმეები ბევრი ჰქონდა; შინაგანი თუ გარეგანი მტრები მოსვენებას არ აძლევდნენ და სახალხო განათლებისათვის არ ეცალა. პირველი ქრისტიანული სასწავლებელი რელიგიური განათლების მისაღებათ გაიხსნა მეორე საუკუნეს დამლევს, ქ. ედესაში*). მესამე საუკუნეში ამ გვარ სასწავლებელს რომის იმპერიის ყველა ქალაქებში ვპოვებთ. სასწავლებელს მიზნათ ჰქონდა სარწმუნოების დაცვა და გავრცელება. მაშინ ამას თხოულობდა ქრისტიანობის საჭიროება.

შემდეგ დასავლეთის რომის სახელმწიფოს დამხობისა ხალხთა დიდ გადასახლების დროს, მთელ ევროპაში ისეთი საშინელი არეულ-დარეულობა შეიქნა, ისეთი უწესობა ჩამოვარდა, რომ კინაღამ ძველი განათლების უკანასკნელი ნაშთნიც არ აღმოიფხვრა — სახალხო განათლების გაუმჯობესობას და გავრცელებას ვინღა იტყოდა. ან სად იყო ისეთი ძალა, რომელიც ამ საქმეს წინ გაუძღოლოდა. თითონ სასულიერო წოდება, მაშინდელი მხოლოობითი წარმომადგენელი სწავლა განათლებისა, საშინელს და გასაოცარს გონების სიღატაკეში იმყოფებოდა. ამ წოდებას თავისი პირველ-დაწყებითი მოვალეობა არც ესმოდა და არც გაეგებოდა. თუ რა საკვირველი უმეცრება იყო მოფენილი სასულიერო წოდებაში — ცხადათ სჩანს იმ ფაქტიდგან, რომ 747 წ. კრებამ დაადგინა, რომ მღვდლებმა სამღვდლო ნათლისღების ასასრულებლად «მრწამს ერთსა ღმერთსა» და «მამაო ჩვე-

*) Окольскій, отношеніе государства къ народному образованію, стр. 53.

ნოა მაინც უნდა იცოდენო*). თუ ამ მდგომარეობაში იყო სასულიერო წოდება**), დაბალი ხალხის მდგომარეობა რაღა იქნებოდა? ..

## IX

სახალხო განათლების განწყობილება თითონ ხალხის ცხოვრების განწყობილებაზედ არის დაფუძნებული. ამის მხრით მათ შორის სრული კავშირია. ლორენც შტეინის აზრით, სახალხო განათლება მხოლოდ სახელმწიფურ დაწყობილებას ეკუთვნის.***) ეს აზრი მართალიც არის. სახელმწიფო არის ისეთი იურიდიკული კავშირი, სადაც ყოველი კერძო წევრი ჰგრძნობს ხალხის ერთობას და ამ ერთობას ემსახურება. სადაც სახელმწიფური ცხოვრება არ არის (სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს ფორმა სახელმწიფოსი), იქ არც ის უმაღლესი და შემაერთებელი ძალაა, რომელსაც სახელმწიფოს ძალას უწოდებენ და რომელსაც ყველანი ემორჩილებიან. სახალხო განათლება შე-

---

*) Окольскій стр. 61.—

**) მღ. დიმ. ჯანაშვილი (ისტორიული სურათები გვ. 86—87 „ივერია" 1882 წ. № 3 მარტი) ამბობს, რომ მეექვსე საუკუნეში საქართველოს სასულიერო წოდება გ ა ნ ა თ ლ ე ბ უ ლ ი იყოო. ამის დასამტკიცებლათ იმას მოჰყავს ის აზრი, რომ ცამეტი წმინდა მამანი ქართველები იყვნენ და მაშინდელმა სასულიერო წოდებამ მონაწილეობა მიიღო „მწვალებლობის განხილვაშიო". არც ერთი და არც მეორე საბუთი მისაღები არ არის. სხვით კი ვერაფრით ამტკიცებს ავტორი თავის აზრს...

***) Л. Штейнъ, стр. 129 и пр.

იძლება მაშინ, როდესაც ხალხი დაიწყობს ნამდვილ სახელმწიფურ ცხოვრებას, როდესაც ხალხის ერთობის იდეა გარეგან იურიდიკულ ფორმას მიიღებს. — დიდმა დრომ და ჟამმან განვლო, ქრისტიანობის შემდეგ, ვიდრემდის ევროპაში სახელმწიფოები დაარსდებოდნენ. თვითოეული ევროპიული ხალხის ცხოვრება ვინ იცის რამოდენათ გადაბრუნდა, ამ ცხოვრების ჩარხმა რამდენჯერ აღმა-უკუღმა იტრიალა, სინამდის სახელმწიფო გამოჩნდებოდა. სახელმწიფოთ გაჩენას დიდი და ხან-გრძლივი ცხოვრება და გამოცდილება უნდა. რომის იმპერიის დამხობის შემდეგ, ევროპის ხალხთა ეს ცხოვრება და გამოცდილება დასჭირდათ დ ბოლოს დროს ძლივ-ძლიობით სახელმწიფოს ღირსნი გახდნენ. მთელ საშუალო საუკუნოების განმავლობაში (თუ პატარა რესპუბლიკებს თავს დავანებებთ) სახელმწიფოს ვერა ვპოვებთ. იურიდიკული კავშირი ხალხისა, ყველასთვის და თვითოეულისათვის საჭირო და დასავალდებულო, მაშინ ევროპამ არ იცოდა. ნაცვლად ამ გვარის კავშირისა არსებობდა წოდებრივი დაწყობილება (сословная организація). ყოველივე წოდება შეადგენდა იურიდიკულად განსხვავებულს ერთეულს, რომელსაც თავისი უფლებანი ჰქონდა დ განირჩეოდა სხვა ერთეულებისაგან. არ იყო ისეთი ძალა, კავშირი (სახელმწიფო), რომელსაც შესძლებოდა სხვა და-სხვა წოდებათა შეერთება დ დამორჩილება. ეს ძალა შემდეგში იშვა, საშუალო საუკუნოების შემდეგ. უწესობა და არეულობა — აი ცხოვრების შინაარსი მაშინდელი დროისა. რადგანაც ხალხის ერთობა არ იყო აღიარებული, სახალხო სკოლაც აქა იქ თუ მოიპოვებოდა და წოდებრივი წყობილება ჰქონდა. სასულიერო წოდება იყო სწავლა-განათლების წარმომადგენელი*). ამ წოდებას

*) მკითხველი ნუ დაივიწყებს, რომ აქ ჩვენ მარტო დასავლეთი

თავისი საკუთარი მიზანი და აზრი ჰქონდა. იმას სურდა ხალ-ხის დამონავება, თავის ბატონობის გავრცელება და მარტო თა-ვის კეთილ-დღეობა, განათლება და სწავლა აღმოირჩია სახსრათ და საშუალებათ. საფრანგეთ ეკლესიამ დოღმატათ გაიხადა ხალ-ხის უმეცრება, რადგანაც ეს უმეცრება იმისთვის სასარგებლო იყო და წყობას აძლევდა ხალხი ეცარცვა და ეყვლიფა. თუ რა უსინდისოთ მოქმედებდა მაშინდელი ეკლესია, გვიმტკიცებს ის ფაქტი, რომ საფრანგეთ ეკლესია საეროთ პირებს ნებასაც არ აძლევდა წერა-კითხვა ესწავლათ და, როგორც სწავლული ოგო-ლსკი ამბობს, გვართოვანმა ბარონებმაც კი არ იცოდნენ თავისი გვარის მოწერა.

თითონ სახალხო ენა დავიწყებაში იყო. მოშორებული ხალხის ენას, განათლება ხალხის საჭიროებათა არ ითვლებოდა. სწავლა-განათლების სამფლობელო ეჭირა ლათინურ ენას. სასულიერო წოდებაც სასარგებლოთ რაცხდა ამ ენას და ხელს უწყობდა. ამ ენაზედ ხალხისათვის განათლების მიღება უფრო საძნელო იყო, ვიდრე სამშობლო, დედა-ენაზედ და ეკლესიასაც მეტი არა უნდოდა-რა. თუმცა ისევ კარლო დიდი თხოუ-ლობდა მღვდლებს ხალხისთვის სამშობლო ენაზედ ექადაგნათ, მაგრამ სასულიერო წოდებამ სახალხო ენაზედ ქადაგება 1118 წ. დაიწყო, ეს სხვა ქვეყნებში უფრო გვიან მოხდა, მაგ., ჰოლან-

---

ევროპის სასულიერო წოდებაზედ და საფრანგეთ ეკლესიაზედ ვლაპარა-კობთ. მართმადიდებლობა, ცოტათ თუ ბევრათ, მოშორებული იყო სა-ფრანგეთ ეკლესიის სენს და ბიწიერებას. ბიზანტიის ეკლესია წინათვე დოღმატებს გამოუდგა და ამისთვის იმას უფრო ღვთის-მეტყველური მიმართულება აქვს. საფრანგეთ ეკლესია კი წინათვე პოლიტიკაში გაე-რია...

ლშაში მეთოთხმეტე საუკუნის დამლევს*): აქ 1384 წ. გეერტ გროტემ შეადგინა საზოგადოება, რომელიც შემდეგში მთელ ჩრდილოეთ გერმანიას მოედო და რომელიც ცდილობდა დაბალ ხალხში წერა-კითხვის გავრცელებას და ამ საქმისაგან სამღვთო წერილის შესწავლას სამშობლო ენაზედ. ლათინურ ენაზედ განათლების მიღება სამღვთოთ კაცს შეადგენდა. საშიში იყო ამ ენის წინააღმდეგი ლაპარაკი და სხვ. როდესაც 1695 წ. გამოჩენილმა თომაზიმ ლექციების კითხვა დაიწყო ნემეცურ ენაზედ, ყველა სწავლულები წინააღმდეგნი გაუხდნენ და სიბრაზისაგან არ იცოდნენ, რა ექნათ — ასე მკვიდრათ ეპყრა ლათინურ ენას განათლება! რასაკვირველია, რომ სახალხო სკოლა და განათლება, რომელიც ითხოვს სამშობლო დედა-ენას, წარმატებაში არ იქნებოდა, თუ რამოდენათ სიცოცხლე მოკლებული იყო სახალხო სკოლა, სჩანს იქიდგან, რომ თითონ რეფორმაციის მოთავე პირნი ითხოვდნენ ამ სკოლაში პირველ საგნათ ლათინური ენა ყოფილიყო!...

ერთი დაბრკოლებაც, რომელიც უშლიდა სახალხო განათლებას, არ უნდა დაივიწყოს მკითხველმა. სამუალება და მასალა ძრიელ ძვირათ ღირდნენ. წიგნები ძნელი საშოვარი იყვნენ. სურვილიც რომ დიდი ყოფილიყო, შეძლება არ იყო კაცს სწავლა მიეღო, თუ არა მდიდარს. პირველათ საშინელი სიღარიბე ხალხისა, მეორეთ საშინელი სიძვირე წიგნებისა და წერილებითი კუთვნილებისა — აი ერთი იმ დაბრკოლებათაგანი, რომელნაც სახალხო განათლებას წინ უდგნენ და თავისუფალი მოძრაობის ნებას არ აძლევდნენ. ისე გასაჭირი და საძნელო იყო მაშინ განათლების მიღება, რომ თითონ პირველ ნასწავლებსაც

---

*) Окольскій, стр. 93.

კი აკლდათ კარგი კალმები და მელანი*) წიგნის ბეჭდვამ და სტამბამ ბოლო მოუღო ამ გასაჭირს საქმეს. გუტენბერგის მოგონება სწორეთ რომ რევოლიუცია იყო განათლებაში, სტამბა იარაღი, რომელმაც განათლების არისტოკრატიული ხასიათი და მამართულება მოსპო და ეს განათლება საყოველთაო სამკვიდრებლათ გადააქცია. თუ უწინდელ მწიგნობრობას წოდებრიული ხასიათი ჰქონდა, ახალის სტამბის შემდეგ დემოკრატიული მიეცა, რადგანაც დაბეჭდილი ფურცელი (როგორც ამბობს ერთი მწერალი) მარტო მასწავლულის კაბინეტში არ ჩერდება, ღარიბი კაცის ქოხშიც გზას იკვლევს...

## X

როგორც ზემოთ ვსთქვით, მთელი განათლება, სახალხო თუ უმაღლესი, ხელში ეპყრა საფრანგეთ ეკლესიას. მეცნიერება მოსამსახურე იყო ამ ეკლესიისა. ყველა-გვარ სწავლაში ცოტაოდნათ მაინც თეოლოგიის და ღვთის მეტყველებას იპოვნიდით. პოლიტიკაში გინდათ თუ ფილოსოფიაში, ისტორიაში თუ ბუნებით მეცნიერებაში, ყველგან ეკლესიას ჰქონდა ფეხი გამდგარი, ყველგან სწავლა-განათლება ამ ეკლესიას ემორჩილებოდა. თუ რომელიმე კუთხეში გამოჩნდებოდა მამაცი და შეუპოვარი მწერალი, იმასაც მალე ხმას ჩააკმენდინებდა ეკლესია, ამ

*) Окольскій, стр. 87. გამოჩენილ მწერალს, გუმანისტ ერაზმ როტერდამიელსაც კი არა ჰქონდა საკმაოთ კარგი კალმები. მეგობარმა რეიხლინმა გაუგზავნა იმას სამი კალამი. ერაზმს მეტად გაეხარდა და მადლობა შეუთვალა, მაგრამ ესეც არ დაავიწყდებია: „ჩემს მეგობარსაც გაუგზავნე ინგლისში, მეტად დამავალებო".

გვარი მდგომარეობით მეტათ ხეირიანათ სარგებლობდა სასულიერო წოდება, მაგრამ დროებით კი. მოწინავე ნაწილი საზოგადოებისა შიშის ქვეშ ეჭირა; დაბალი ხალხი უმეცრებაში იყო ღრმათ ჩაფლული და შემწეობას არსაიდგან ხედავდა. ამ უმეცრებას თითონ ეკლესია ხელს უწყობდა, რადგანაც იმის სარგებლობა ამას მოითხოვდა. რას და როგორ სარგებლობდა ეკლესია თავის მდგომარეობით? იმისი გულითადი წადილი და სანატრელი საქმე ბიწიერება და ზნეობითი გარყვნილება იყო. ეხლანდელი მკითხველი ძნელათ წარმოიდგენს იმ ზნეობითი გახრწნილებას, სისაძაგლეს, ან არებას, ცუდ ყოფა-ქცევას, სხვა-დასხვა კაცის ღირსების დამამცირებელ მოქმედებას, რომლებითაც მაშინ მთელი სასულიერო წოდება სავსე იყო, პაპიდგან დაწყობილი სოფლის მოძღვრებამდინ სწორეთ რომ ძნელათ დასაჯერია! რეფორმაცია იყო ისტორიული პროტესტი ამ გვარი საფრანგე ეკლესიის გარყვნილებისა. თუ უკანასკნელი სახალხო განათლებას თავის ბიწიერების დასაფარავათ ხმარობდა, პირველი (რეფორმაცია) ამ განათლების გაუმჯობესობას შეძლებისამებრ, ეხმარებოდა. ისტორიამ არ იცის ისეთი დრო, რომ საფრანგე ეკლესია გულ-წრფელათ დახმარებოდეს სახალხო სკოლას და ამ სკოლისთვის ნაყოფიერი ღვაწლი დაეთესნოს. ამ ეკლესიას ყველგან და ყოველთვის ხალხის სულის და გულის დამონავება სურვებია და ამ მიზანისთვის შეუწირავს თავისი შრომა. აი რა არის მიზეზი იმ შფოთიანი და გესლიანი შეტაკებისა, რომელსაც ჩვენ ხშირათ ვხედავთ საფრანგეთში, როცა სახალხო განათლებაზედ ჩამოვარდება სჯა პარლამენტში. სამწუხაროთ, არც ძრიელ ბევრი კარგი რამე რეფორმაციაზედ ითქმის. ამანაც სახალხო სკოლას ხალხოსნური ანუ ხალხისათვის სასარგებლო ხასიათი მოაკლო, ყალბ გზაზედ დააყენა და

უნაყოფოდ გახადა. ამითი და მარტო ამითი აიხსნება ის უნუგეშო მოვლენა, რომ იქ (გერმანიის და განსაკუთრებით პრუსიის), სადაც სახალხო განათლება ძრიელ გავრცელებულია, ეს განათლება ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობას კი არა, ეკლესიის და სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება. საიდგან წარმოსდგა ამ გვარი სამწუხარო მოვლენა? —იქიდგან, რომ სახალხო სკოლა გერმანიაში რელიგიური მოძრაობის საქმე იყო, რეფორმაციისა. და ეს რეფორმაცია გიდევ თავის დასაცველად და კეთილ-დღეობის შემაგრებისათვის სახელმწიფოს ეხარჩებოდა, იმას ამოეფარა იღლიაში, იმის მფარველობას ეძებდა. თუ ასეც არ ყოფილიყო, ის ხალხში ფე-სვებს ვერ გაიდგამდა. ხალხის გონების და აზროვნების დამორჩილება იყო პირველი და უკანასკნელი სახსარი ამ გვარი ურთი-ერთ შორის კავშირისა და ამისთვისაც რეფორმაციამ სახალხო განათლება მთლად მსხვერპლად შესწირა თავის-თავს და სახელმწიფოს. ხალხი ხელ-ცარიელი დარჩა. სკოლაში ეს ხალხი პრუსსიის მეთოდით სახელმწიფო-ეკლესიურ განათლებას ღეჭავს და გარეთ კიდევ ფეხებს აფრატუნებს და გმირათ ემზადება... ეს ორი მაგალითი საფრანგე ეკლესიისა და რეფორმაციისა, ცხადათ გვიჩვენებენ, რომ ეკლესია განდევნილი უნდა იყოს სახალხო განათლების სამფლობელოდგან, სადაც იმას ადგილი არა აქვს. ეკლესიამ ამ საქმეში თავისი უნიჭობა და მაკერძვა დაამტკიცა და გამოააშკარავა კიდეც. საზოგადოებამ ეს უნდა ჩაინერგოს გულში...

რაც უნდა ითქვას, მაინც ჯეროვანი სიმართლით უნდა განვსაჯოთ რეფორმაცია. მარტინ ლიუტერი იყო მამა-მთავარი სახალხო სკოლისა. პირველად იმან მაღლა ამოიღო ხმა ამ სკოლის საჭიროებაზედ და ცხადათ უჩვენა კაცობრიობას — თუ

რა დიდს ზნეობითს ძალას შეადგენს ეს განათლება „მე რომ არ ვიყვე (ამბობს ლიუტერი) ღვთის სიტყვის მქადაგებელი, ვისურვებდი სახალხო სკოლის მასწავლებელი ვყოფილიყავ და გარდაკვეთით არ ვიცი, ამ ორში, რომელი უფრო მაღლა სდგას;“ ხალხმა არ იცის, განაგრძობს იგივე ლიუტერი, რომ ის ღმერთთანაც და თვის მოქალაქეებთანაც ვალდებულია ყველა ბავშვი, რაც უნდა მცირე ნიჭისა იყოს, აღზარდოს და სკოლაში მისცეს. ქრისტიანობა ამისათვის არის ასე დამყარებული, რომ ის არ ზრუნავდა ბავშვებზედ; ბავშვების აღზრდიდგან უნდა დაიწყოს ეს აღმოშობის საქმე“.*) 1524 წ. ლიუტერმა გამოსცა თავისი შესანიშნავი წერილი, რომლითაც მიმართა ყველა ქალაქის მოხელე პირებს. აი რას ამბობს ის თავის წერილში: „პატრონებო, გახსოვდეთ, რომ უფალი ცხადათ გვიბრძანებს —ბავშვებს განათლება მივსცეთ; მცხოვრებლების სიმდიდრე, მაღლგომელნი სიმაგრენი, მდიდრულნი დარბაზნი, ჩინებულნი თოფხანები (არსენალები) ქალაქის კეთილ-დღეობას არ შეადგენენ; იმის ნამდვილი სიკეთე, ძალა, აცხოვარება მდგომარეობენ ნასწავლთა, გახსნილთა და კეთილზედ დაყენებულთა მოქალაქეთა უმრავლესობაში“.**) ასე და ამ გვარათ მარტინ ლიუტერს გარკვევით ესმოდა სახალხო განათლების საჭიროება და მისი მნიშვნელობა.

ლიუტერი იყო პირველი პირი, რომელმაც სახალხო განათლებაში მოსპო წოდებრივი პრინციპი (არ დაივიწყოთ — მარტო გერმანიაში) მკვიდრათ დაარსა და განახორციელა ის აზრი, რომ სწავლა განათლება ყველასთვის და არა მარტო რო-

*) Лавлей, народное образованіе, стр. 101.

**) Лавлей ib, стр. 100.

შედიმე წოდების კაცისათვის საჭირო არის. როგორც ზემოთაცა ვსთქვით, საფრანგეთ ეკლესია ამ აზრის წინააღმდეგი იყო და სკოლას მარტო სასულიერო წოდებას აკუთვნებდა. ამისთვისაც ლიუტერი მტრულად უყურებდა მაშინდელ საფრანგეთ ეკლესიის სასწავლებელს, საიდგანაც ბიწიერების მეტი არა ვრცელდებოდა რა. „თუ რომ საჭირო იქნებოდა უმაღლესი და მონასტრების სკოლები ისეთვე მდგომარეობაში დარჩნენ, როგორც ეხლა არიან, მაშინ მე უფრო ვისურვებდი, არც ერთმა ბავშმა არა დროს არაფერი ისწავლოს და მუნჯი დარჩეს. ამისთვის ჩემი აზრი, სურვილი და თხოვნა ის არის, რომ ეს „ვირული დაწესებანი" (ослиныя учрежденія), ეს „სკოლები ეშმაკისა" საუკუნოთ დაიღუპონ ქვესკნელში, ან არა და — გადაკეთდნენ ჭეშმარიტ-ქრისტიანულ სკოლებათ"... „სატუსაღო, ჯოჯოხეთი — აი რა იყვნენ უწინდელნი სკოლები", ამბობს ლიუტერი.

ლიუტერმა ძალე კარგათ იცოდა, რომ სკოლაში ყაზარმული სულისა და გულის შემხუთველი წესები მეტად მავნებელნი არიან საქმისთვის. იცოდა, რომ ყოველთვის საჭიროა თავისუფლება სწავლაში, მაგრამ ყაზარმული სენის მოსასპობლათ იმანაც ვერა გააკეთა რა. იმან წინათვე უარ-ჰყო თვით-მოქმედება საზოგადოებისა სკოლის საქმეში, რადგანაც კავშირი დაიჭირა სახელმწიფოსთან და ამ უარ ჰყოფის შემდეგ რაღა თავისუფლება მოსჯერხდებოდა სკოლაში, თუმცა ეს თავისუფლება ლიუტერს ესმოდა. სკოლა ჩავარდა სახელმწიფოს პოლიციურ მზრუნველობაში, რომელ მდგომარეობაშიაც ეხლაც არის. XVI და XVII საუკუნოებში ისეთივე სურათებს ვხედავთ ლიუტერისაგან გაჩენილ სკოლებში, როგორც იმის წინათ, საშუალო სა-

უკუნოებში*) იგივე ჯალლათები სკოლაში, იგივე ცემა-ტყეპა, იგივე ფორმულების და სიტყვების გაზეპირება, როგორც წინათ.

ლიუტერის მნიშვნელობა სახალხო განათლებაში მით უფრო მეტია და საყურადღებო, რომ ის თხოულობდა მარტო რელიგიურ სწავლას კი არა, საეროსაც; თხოულობდა, რომ ხალხისათვის ესწავლებინათ როგორც საღვთო წერილი, ისევე ფიზიკა, მატემატიკა, არითმეტიკა, გიმნასტიკა და სხვ. თუ ყველა ამასთან მკითხველი იმასაც არ დაივიწყებს, რომ ლიუტერი

---

*) მეტი არ იქნება აქ ჩვენ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ მაშინდელი სწავლა-განათლებისა. ჟ. მიხაილოვს მოჰყავს ბაზედოვისაგან აწერილი შვაბელი რექტორი, რომელსაც უმსახურნია ორმოცდა თერთმეტი წელიწადი და სამი თვე. აი ღვაწლი ამ ნეტარ-ხსენებული რექტორისა: этотъ ректоръ въ пятьдесятъ-одинъ годъ и три мѣсяца своей педагогической дѣятельности далъ: 911,527 ударовъ палкою; 124,010 ударовъ розгами; 20,989 ударовъ линейкою по рукамъ; 136,715 ударовъ рукою; 10,235 ударовъ въ зубы; 7,905 оплеухъ; 1,115,800 щелчковъ по головѣ; 22,763 удара книгою; 777 разъ ставилъ на колѣни на горохъ; 613 разъ ставилъ на колѣни на трехугольное дерево; 5,001 разъ надѣлъ колпакъ съ ослиными ушами; 1,706 разъ приказалъ держать розги; у него было 903,000 ругательныхъ словъ, изъ коихъ часть принадлежала народному языку, часть же била придумана имъ самимъ». Дѣло, № 2 1873 г. 114 стр. «Первоначальное образованіе въ Пруссіи» Михайлова.—

ყველაზედ წინათ მიხვდა სახალხო განათლების მოვალეობას როგორც ბიჭებისთვის, ისე ქალებისთვის, მაშინ ადვილათ დაგვეთანხმება, რომ ის იყო პირველი დამაარსებელი ახალი სკოლისა.

ასე, ამ გვარათ ლიუტერის სკოლა შესდგა ორი უმთავრესი ნაწილიდგან, — საერო და ეკლესიურისაგან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეკლესიურ ელემენტს უფრო დიდი ადგილი ეჭირა სკოლაში: ლიუტერი იყო რელიგიური რეფორმატორი. სოციალური ცხოვრების გაუმჯობესობა, მაშინდელი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების და წყობილების გადაკეთება მას ფიქრათაც არ მოსვლია. ამისთვის ის სრულებით არც ვარგოდა და არც მომზადებული იყო. რეფორმატორმა თავი შესწირა სარწმუნოებას, ხალხის განთავისუფლებას რომის პაპის და საფრანგე ეკლესიის უღელისაგან. ამ წინადადების შესასრულებლათ მან სახალხო სკოლას მოჰკიდა ხელი და სამირკველი ამ სკოლის შენობისა იმან ჩადგა დაბადების და სამღვთო წერილის თავისუფლათ შესწავლაში: დაბადებიდგან დაიწყო ლიუტერმა თავისი ისტორიული მისსია და ამ დაბადებას აქცევდა ის ხალხის თვალ-ყურს როგორც სკოლაში, ეგრეთვე ეკლესიაში. სკოლასაც ეკლესიური ფერი დაედო. ეს სკოლა იყო (ასე ვსთქვათ) წინ მიმავალი ლაშქარი საფრანგე ეკლესიასთან საბრძოლველათ.

— ეკლესიურ მიმართულებას დაერთო სხვა მიმართულება — კლასსიკური. როგორც მკითხველმაც იცის, სახელოვანი რეფორმატორი სცხოვრობდა იმ დროს, როდესაც კლასსიკური განათლება ევროპაში და განსაკუთრებით გერმანიაში აყვავებული იყო; რეფორმაცია უკან მოჰყვა ასრეთ წოდებულს „აღმოჩენის ეპოხას“. ბერძნულ-რომაული სიბრძნე — აი რითი იზრ-

დებოდა მაშინ ევროპის აზრი! ვინც კი ციცერონის ლექსის წერას შეისწავლიდა და სახელს „Ciseronianus" დაიმსახურებდა, ის იყო უბედნიერესი შვილი თავის მამულისა. ლიუტერიც კლასიციზმს სხვაზე ნაკლებათ პატივის-ცემას არ აძლევდა. ამისთვისაც სკოლას იმან მისცა ლათინური მიმართულება. ამითი, რასაკვირველია, განათლებას თავისი გამაცხოველებელი ძალა მოაკლდა, ხალხის დახმარება ველარ შეიძლო და სრულებით ცრუ და მავნებელ საქმეს შესწირა თავი. სკოლა იმის მაგივრათ, რომ სახალხო ნემეცურ გზას დასდგომოდა და თავისი სამღვთო-ვალი, ხალხის ცხოვრების განვითარება და გაუმჯობესობა შესრულებინა, — მავნებელ და ყალბ საქმეს ემსახურებოდა. სკოლა ხალხს გამოჰგლიჯეს ხელიდან და კლასსიციზმს შესწირეს მსხვერპლათ. რეფორმაციამ უარ-ჰყო ხალხოსნობა, არა-სრულიად იწამა-იგი. მეორე ნაკლულევანება რეფორმაციისა გამოიხატება იმაში, რომ ის უფრო ქალაქს და არა სოფელს ემსახურებოდა. მაშინათვე ბურჟუაზს დარჩა ბურთი და მოედანიც. მთავრობაც და ეკლესიაც ხელს იმას უწყობდნენ, იმისთვის სცდილობდნენ. სკოლებს და სასწავლებლებს უფრო იმას უმართავდნენ. კეთილ დღეობა ბურჟუასი მაშინვე შეურყეველათ დაარსდა. მამა ლიუტერს დაბალი ხალხი არც მაგრე რიგათ უყვარდა და არც ახსოვდა. სკოლებიც უფრო ქალაქებში შენდებოდა. სოფლებში მღვდლის თანაშემწენი „კისტერები" დაბალ ხალხს უფრო სამღვთო წერილს აღეჭინებდნენ და იმასაც უნიჭოთ, უცოდინრათ. საერო სწავლა, ალაგებული თეორეტიკულათ, როგორც საჭიროება, თუ სრულებით განდევნილი არა იყო, მაინც ჯეროვან

ყურადღებას მოკლებული იყო. აი ნამდვილი სურათი რეფორმაციის სკოლისა!*)

# XI

რეფორმაციამ გამოიწვია ისტორიის ასპარეზზედ რელიგიური რეაქცია. ეს იყო საფრანგე ეკლესიის საქმე. საშინელი ბრძოლა ასტყდა ამ ეკლესიის და რეფორმაციის შორის. უამისობაც არ შეიძლებოდა. ახალ-მოძრაობას, მეტადრე როდესაც ეს ჩვეულებრივ მდგომარეობას და მიღებულ ცხოვრების განყოფილებას არღვევს, ყოველთვის უკან მოსდევს რეაქცია. ეს რეაქცია ყოველ გვარ ისტორიულ მოძრაობაში მოიპოვება, რეფორმაციასაც თან მოჰყვა. საფრანგე ეკლესიამ კარგათ იგრძნო და დაინახა, რომ სამუდამოთ მნიშვნელობას და გავლენას დაჰკარგავს, თუ თავს არ უშველა, საქმეს ხერხიანათ და გონივრულათ ხელი არ მოჰკიდა. პოლიტიკური «მაკიაველიზმი» და სხვა სიბრძნე ამ ეკლესიას კარგა ჰქონდა გაზეპირებული და იცოდა, თუ როგორ და რა ნაირათ უნდა მტერთან ბრძოლა.

---

*) თუ რა სამწუხარო მდგომარეობაში იყო საერო სწავლა მაშინდელ დროს (XVI ს.), სჩანს შემდეგი ფაქტიდგან: ვიტტენბერგის უნივერსიტეტის დოცენტმა — მათემატიკოსმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც სტუდენტებს ამხნევებდა და უმტკიცებდა მათ, რომ არითმეტიკის დასაწყისნი ადვილათ შეიძლება კაცმა შეისწავლოს და, თუმცა გამრავლება რიცხვისა და განყოფა ცოტათი არ იყოს, რომ ძნელი არიან, მაგრამ მაინც, როგორც იქნება, იმასაც შევისწავლითო. Окольскій 114 стр.

ამაყი და თავმოყვარე ეკლესია ბრძოლის ველს რეფორ-მაციას დაუთმობდა, თუ არ შეებრძოლა და ომი არ დაეწყო. მა-ღალ ტრაგიკულ სურათს წარმოადგენს ეს ბრძოლა! ამ ბრძო-ლის ველზედ რეფორმაციამ წინ გაიძღოლა სკოლა. საფრანგე ეკლესიამაც ამას მოჰკიდა ხელი და ამ იარაღით შეიმოსა. ერ-თი და იგივე იარაღით შეჭურვილნი მტრები გავიდნენ ბრძოლის ველზედ... აქ ერთი რამ კიდევ უნდა დაუმატოთ. საფრანგე ეკ-ლესიამ არ იკმარა იარაღათ მარტო სახალხო სკოლა. ჭკუით და გონებით ბრძოლა თავის მტრებთან ისეთი კეთილ-შობილუ-რი და კაცის თუ საზოგადოების ღირსების ამამაღლებელი საქ-მეა, რომ გარყვნილი და ზნეობით დაცემული საფრანგე ეკლესია მარტო განათლების იარაღს არ დასჯერდებოდა. სხვა რამეც უნდა მოეგონა, სხვა ფარ ხმალიც უნდა ეშოვნა. სწორედ რომ ასეთ ნაირათ მოიქცა ეს ეკლესია. იმან ცეცხლს და სისხლსაც მიჰმართა. სკოლა, განათლება და ამასთან ცეცხლი და სისხლი —აი საფრანგე ეკლესიის მაშინდელი იარაღი, აი რითი იყო ის მაშინ აღჭურვილი. სკოლას ხელი მოჰკიდეს იეზუიტებმა, ცე-ცხლი და სისხლი წილათ ერგოთ დომინიკანცებს. 1538 წელს გამოჩენილმა იგნატე ლოიოლამ დააწესა „საზოგადოება იესო-სი." ეს საზოგადოება საშინელი და დაუცხრომელი მტერი იყო ახალი რელიგიური მოძრაობისა — რეფორმაციისა. პირველათვე ამ საზოგადოებამ ხელი მიჰყო სკოლების გახსნას და ბევრით-აჯობა და წინ გაუსწრო რეფორმაციას, როგორც სკოლური წესების გაუმჯობესობით, ისე მეთოდის განკეთილებით და სხ. თუ რა კარგათ გააუმჯობესეს იეზუიტებმა სკოლის საქმე, ჩანს იქიდგან, რომ, როგორც უ. ოკოლსკი ამბობს, გამოჩენილი ფილოსოფოსი ბეკონ ვერულამიელი ძრიელ მადლიერი იყო იეზუიტური სკოლებისა და აქებდა მათ. სკოლები კარგს მდგო-

მარტოობაში იყვნენ, სინამდვილეში რეაქცია განგრძელდებოდა, და შემდეგ ამ რეაქციისა ისინი დაეცნენ, რადგანაც თვალ ყურს აღარ ადევნებდნენ მას. დომინიკანცების მოქმედება სულ სხვა იყო. იმათ დროშაზედ ეწერა სისხლი, ცეცხლი, ხმალი, ინკვიზიცია და ასრედ წოდებული „auto—da—fé"—ები. იმათი იარაღი და იარ-ხმალი დიდს და უწყალო ომი, რომელიც იმათ რეფორმაციას გამოუცხადეს. გაი შფოთდება და ძრწუნდება, როდესაც თვალწინ დომინიკანცების მოქმედებანი წარმოუდგებიან!... მაგრამ საქმე იმაშია, რომ აზრებთან ბრძოლა სისხლით და ცეცხლით არ გამოდგება. ახალი აზრის შემუსვრა და ძირიანად ამოგდება არ შეიძლება. რამდენსაც აზრს სდევნით, იმოდენად იმას უფრო დიდი ძალა ემატება, უფრო თან-და თან ვრცელდება. დროებით აზრის დამახინჯება შეიძლება, მაგრამ იმისი აღმოფხვრა კი არა. დამახინჯება ხომ, როგორც წინათაც ვსთქვით, დიდათ საშიში და მავნებელი საქმეა. ეს დამახინჯება არის უმთავრესი მიზეზი იმ რევოლიუციებისა, რომლებიც ასე გახშირდნენ ჩვენ დროს. მიეცით თავისუფალი მოძრაობა აზრს, ნუ გაუხდებით იმათ მტრათ და მორწმუნეთ, რომ საქმე ძრიელ კარგათ წავა. ინკვიზიცია და „აუტო-და-ფე" (ცეცხლით დაწვა) აზრს ვერ მოჰკლავენ სამუდამოთ და ვერც მოჰკლეს, რეფორმაციამ წინ გაიძღოლა თავისი სკოლა და დაადგა თავის გზას. ბრძოლამ, რომელიც მოხდა რეფორმაციის და საფრანგეთ ქვეყნის შორის, ერთი სასარგებლო და ხელ-სამძღვანელო მასალები დასკვნა გვიჩვენა. ეს დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ ზნეობითი ძალის და ავტორიტეტის მოსაპოებლად სახელმწიფოს თუ რომელიმე საზოგადოებისათვის საჭიროა სახალხო განათლება, სკოლა. უკედა გაცის თუ ხალხის ძალა ამ სკოლაში იზრდება. ეს აზრი ნელნელა გა-

ვრცელდა და ბოლო დროს, მეთვრამეტე საუკუნეში, თუ ყველგან არა, ზოგიერთა სახელმწიფოებში მაინც, მართებლობამ ამ აზრს მაგრათ ხელი მოჰკიდა და მოქმედების პროგრამმათ გაიხადა. მაგრამ აქ უნდა შევჩერდეთ და უკან დავიწიოთ.

ოც და-ათ წლოვანმა ომიანობამ ცოტა-ხანს შეაჩერა სახალხო განათლების საქმე და დიდი ვნება მოუტანა მას. გადაავლეთ თვალი ამ ოც-და-ათის წლის ისტორიას. ყველგან სიჰსილი და ცეცხლი, ყოველ-ადგილას ხალხის გოდება და ტანჯვა... ვიღას ეცალა და ახსოვდა სახალხო სკოლა! შემდეგ ამ ომიანობისა პროტესტანტულ სახელმწიფოებში და მეტადრე პრუსსიაში დაიწყო ენერგიული და შეუჩერებელი ზრუნვა სახალხო სკოლების გაფრთხილებაზედ. პრუსსიის ისტორია მართლაც რომ საკვირველია, აქ წინათვე სკოლას მოჰკიდეს ხელი და მართლაც რომ ამ სახელმწიფოს ძლიერება ამ სკოლაზედ აშენდა. „ჩრდილოეთის დათვი“ (ასე უწოდებს ისტორიკოსი კარლეილი ფრიდრიხ ვილჰელმს I) ახირებული კაცი იყო. თავში დაზიანებულ კაცსავით ქუჩებში დარბოდა, ყველა საქმეში ერეოდა, ეკვიატებოდა; ხელიდგან ჯოხს არ მოიშორებდა. ახოვანს კაცს არ გაუშვებდა, ოღონდ ენახა სადმე. თუ ვერ იყიდდა მას, მოიპარავდა მაინც. ტანოვანი კაცები იმას ჯარისთვის ესაჭიროებოდა. ცოლშვილს მაძღრისად პურის ჭამას უშლიდა და ტანს-ფეხს ისე ღარიბულად აცმევდა, რომ იმის ცოლს და ქალებს კარზედ გამოსვლაც კი ეთაკილებოდათ და სირცხვილათ მიაჩნდათ.*) რა საქმისთვის ხმარობდა ფრიდრიხ ვილჰელმ I ფულებს? რისთვის ჰკლამდა ცოლ-შვილს შიმშილით? იმის სურვილი და წადილი

*) Михайловъ, Дѣло № 1, 73 г. стр. 144, 145.

ჯარის და სკოლების გავრცელება, გამრავლება იყო. იმან თავის სიცოცხლეში 1800 სკოლა დააარსა.

ჯარი და სკოლა—აი პოლიტიკური ტრადიცია, რომელსაც პრუსსია ერთგულათ ემსახურებოდა და ემსახურება ეხლაც. შესანიშნავი და საყურადღებო ის არის, რომ, რაც უნდა რეაქცია მომხდარიყო პრუსსიაში, ეს რეაქცია სახალხო სკოლას არ უშლიდა. თითქმის ყველა ბანაკის „სახელმწიფოს კაცი“ სკოლის გულის შემატკივარი მომხრე და მეგობარი იყო. ამან განაძლიერა უწინდელი პაწაწკინტელა პრუსსია. ყაზარმა და სკოლა, მაგრამ იგივე ყაზარმული სკოლა—აი რა იყო ამ გაძლიერების მიზეზი. ფრიდრიხ დიდმა განაგრძო თავისი მამის საქმე.

პოლიციურ სახელმწიფომ სული და გული შეხუთა. ცხოვრება და თავისუფლება ვერ სუნთქავდნენ, ჭაერი არ იყო. „სახელმწიფო მე ვარო“, „ჩემს უკან თუნდაც წარღვნაო“—ამას ამბობდენ თითონ ხელმწიფენი. საფრანგეთ ეკლესიაც ტაშს უკრავდა, ბანს აძლევდა პოლიციურ სახელმწიფოს. მაგრამ არც თავის ტრადიციას აკლებდა ხელს. თუ რა საშინელს ბიწიერებას მიაღწია ეს ეკლესია, სჩანს იმ ფაქტიდგან (ეს ფაქტი მოგვყავს ლუი ბლანის ისტორიიდგან), რომ თითონ უმაღლესი პირები სასულიერო წოდებისა რძეში ბანაობდნენ—პირის სახე და კანი გაგვითეთრდებაო და ქალებს მოვეწონებითო. თუმცა „მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი,“ მაგრამ სასულიერო წოდება ამ განსხვავებას არ დასდევდა... მოთმენა აღარ შეიძლებოდა. გაჩნდა კრიტიკული ანალიზი... რადგანაც პოლიციური სახელმწიფო და ეკლესია იყვნენ უმთავრესნი მიზეზნი მაშინდელი ცხოვრების უვარგისობისა, ამისათვისაც იმათ, უფრო იმათ შეეხო ეს ანალიზი. მთელი მეთვრამეტე საუკუნის გონებითი მოძრაობა ორ დიდ ნაწილად განიყოფება. საუკუნის პირველ ნა-

ხევარს მეფობდა ვოლტერი, მეორე ნახევარში რუსსო. აზრის ბელადები ესენი იყვნენ, მეთვრამეტე საუკუნის კრიტიკული ანალიზი ამათ შორის გაიყო. მკითხველმა კი არ იფიქროს — ვითომც მარტო ვოლტერი და რუსსო მოქმედებდნენ. არა, იმათ უკან თუ გვერდით მისდევდა მთელი ლაშქარი და ამ ლაშქარს კიდევ წინ მიუძღოდა შრომა კრიტიკული ანალიზისა. თითქმის თვე არ გავიდოდა ისე, რომ ახალი თხზულება არ გამოსულიყო. თხზულება, რომელიც ეკლესიას და პოლიტიკურ სახელმწიფოს აქეთ-იქით აქანებდა და სიკვდილს უმზადებდა. ვოლტერს წილად ერგო ეკლესია, რუსსოს — პოლიტიკური სახელმწიფო. ღრმათ დაარსდა ის აზრი, რომ „ხალხი" და მხოლოდ ხალხი არის ძალა სახელმწიფოსი. ვოლტერმა ბოლო მოუღო სასულიერო წოდებას და მაშასადამე იმ აზრს ემსახურა, რომ სახალხო განათლება ეკლესიის ხელში არ უნდა იყოს. იმან შემუსრა სასულიერო წოდებრივი პრინციპი სახალხო სკოლისა. ძნელად შეიძლება მოიპოვებოდეს ღირსებით შემკული კაცი იმ საქმისთვის, რომელსაც ვოლტერი ემსახურებოდა, როგორც ვოლტერი იყო. ეს მრავალ გვარ ნიჭიანი კაცი ფილოსოფოსიც იყო, ცეცქიც...... რა გინდა რომ ის არ იყო. იქნება ბევრმა პარადოქსათ მიიღოს ჩვენი აზრი, მაგრამ ჩვენ მაინც იმას ვიტყვით, რომ, ევროპას რომ ეს კაცი არ გასჩენოდა, იქნება ეხლაც სახალხო განათლება ეკლესიას და სასულიერო წოდებას სჭეროდა ხელში... მკითხველი, რომელსაც გაუზეპირებია ის ფორმულა, დოღმატი, რომ ისტორიული პროგრესის კანონი აქეთ იქით არ უხვევს, ფატალისტიკურათ ერთს ბილიკას ადგია, — არ დამეთანხმება და სიცილს დაიწყებს... რაც უნდა იყოს, ვოლტერმა მოუღო ბოლო ეკლესიურ წოდებრიულ მიმართულებას სახალხო სკოლაში. აი როდის დაარსდა

საერო მიმართულება, საერო ზნეობა სკოლაში, რომლის გულისათვისაც ეხლა საფრანგეთში გასაოცარი თავის-მტვრევა არის... რაც ლიუტერმა ვერ შეასრულა, ის ვოლტერმა გააკეთა.

რუსოს ასპარეზი სულ სხვა იყო. განათლების სიყალბე, სახელმწიფოს პოლიტიური უღელი — აი ის რას ებრძოდა. პოლიტიურ უღელმა ჩაყლაპა მთელი თავისუფლება, ხალხი და სახელმწიფო ერთის და იგივეს ნიშნავდნენ. საჭირო იყო ამ ვეშაპის დამხობა. ეს საქმე რუსომ მშვენივრათ იკისრა. რუსოს ემილი სწორეთ რომ ყუმბარა იყო. ხალხი, ხალხოსნობა, დემოკრატია — აი რუსოს იდეალი. ამის თხზულება რობესპიერს სტოლზედ ედო და იმაზედ აშენებდა კონსტიტუციას......

ნიკო ხიზანოვი.

(გაგრძელება იქნება)

# საფუძვლები სახალხო განათლებისა.

(გაგრძელება*)

## XII.

წარსულმა საუკუნემ მეცხრამეტე საუკუნეს ანდერძათ დაუტოვა ცხოვრებაში განხორციელება იმ პრინციპების და პრობლემებისა, რომელნიც ეხლა ცოტად თუ ბევრად ცხოვრების ასპარეზზე მოქმედებენ. თითქმის ყველაფერი, რაც კი რამ კარგია ჩვენ საუკუნეში და რასაც კი თანაუგრძნობს უკეთესი ნაწილი კაცობრიობისა, მეთვრამეტე საუკუნის საქმე იყო, ამ საუკუნის ფილოსოფიის ნაყოფი. ამ ფილოსოფიამ კიდევ იმოდენა პრობლემები შობა, ისეთი მძიმე და ძნელად შესასრულებელი ანდერძი დაუწერა მომავალს და შემდეგ საუკუნეებს, რომ დიდ ხანს კიდევ ანდერძი ანდერძათ დარჩება და არა შესრულებულ ფაქტად. ჩვენ დროს, უმეტეს ნაწილად, ფილოსოფია იმეორებს ისევ იმ პრინციპებს, რომელნიც წარსულ საუკუნეში გამოითქვნენ. რა იყო ამ პრინციპების უპირველესი შინაარსი? რა იდეალებს ელტოდა, ემსახურებოდა წარსული საუკუნე სოციალური ცხოვრების წარმატებისათვის, გაუმჯობესობისათვის? ამ კითხვებზედ პასუხის მიცემა მოკლეთ, რომელიმე ფორმულით, ერ-

---

*) დასაწყისი იხილე „იმედის“ მეხუთე ნომერში 1882 წლისა.

თი-ორი სიტყვით არავის არ დააკმაყოფილებს. აქ ვრცლად და დალაგებით უნდა სჯა, ცნობა, მაგრამ ეს ჩვენ საგანს აგვაცი-ლებს. ვინც კი დააკვირდება, დააფიქრდება მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიას, ის ნამდვილად დაინახავს იმის ღაღადების უპირ-ველეს შინაარს. ეს შინაარსი ამ ფორმულით ისახება: კაცის პიროვნების თავისუფლება და კაცობრიობის წარმატება (ИНДИ-ВИДУАЛИЗМЪ И КОСМОПОЛИТИЗМЪ). ბუნებითი უფლებანი ცალკე კაცისა, საზოგადო პროგრესი კაცობრიობისა — აი ის უმაღლე-სი და მეტად კეთილ-შობილური პრობლემა, რომლის ცხოვ-რებაში განხორციელებას გულ-მხურვალედ და აღტაცებით ღაღა-დებდა და ქადაგებდა წარსული საუკუნე. ზოგიერთს სწავლუ-ლებს ჰგონიათ, რომ წარსულ საუკუნეში არ იცოდა ხალხოსნო-ბაა, ამ ხალხოსნობის პრინციპი. ეს დიდი შეცდომილებაა, ჩვე-ნის აზრით. საგანს რომ არ ავცილდეთ, ჩვენ აქ მარტო იმას ვიტყვით, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელიც ღვიძლი შვილი და მემკვიდრე იყო წარსული საუკუნის ფი-ლოსოფიისა, არა ნაკლებ კაცის პიროვნების განთავისუფ-ლების და კაცობრიობის წარმატებისა მისდევდა ხალხოს-ნობის პრინციპის განხორციელებას, ამ პრინციპის ცხოვრების სინამდვილეთ გადაქცევას. ზოგიერთს სწავლულების აზრით, ხალხოსნობა შემდეგში იშვა, როგორც რევოლუციის სწავლის რეაქცია, მაგრამ სინამდვილე, ისტორია ამ აზრს ამტყუნებს. მაშასადამე, ზემოდ გამოსატულს ფორმულას მესამე სიტყვაც, ცნებაც უნდა დაუმატოთ — ხალხოსნობა.

თუ რა ღრმად დაჩაგრული იყო ხალხი პოლიტიკურად, ეს ჩვენმა მკითხველმა გარკვევით იცის იმ ფაქტიდგან, რომ წარ-სულ საუკუნეში პოლიტიკური სახელმწიფო დაგვირგვინდა, მი-რონ-ცხებული, ნათელ-ღებული შეიქნა, მიახწია თავის უპირველეს

დიდებამდინ. სხვა ზღუდეში, სტყურაში რომ გადავიხედოთ, იქაც პირველად თვალ-წინ პიროვნების დ᾽ ხალხის დაჩაგვრა წარმოგვიდგება, არა რაიმე სხვა. აიღეთ თუნდა ეკონომიური წყობილება, მდგომარეობა. აქაც უსამართლობა—და საკვირველი ის არის—უსამართლობა დამყარებული კანონზე, სამართალზე, კანონიერი უსამართლობა და არაფერი სხვა—აი შინაარსი მაშინდელი ეკონომიკისა. საშინელი სიღარიბე დაბალი ხალხისა, ცხოვრება ისეთი, რომელიც უფრო ეკადრება საქონელს და არა ისეთ მაღალ ზნეობით არსებას, როგორიც კაცია. სიმდიდრე და გარყვნილება მაღალი საზოგადოებისა—აი თავს ზარ-დამცემელი სურათი მაშინდელი ეკონომიური სინამდვილისა. კაცის გრძნობა შეკრთება, ღელავს, როდესაც ამას თვალ-წინ წარმოუდგება მაშინდელი ეკონომიური ურთიერთობა. ფიზიოკრატებმა აშკარად აჩვენეს, ერთის მხრით, ეს უსამართლო ურთიერთობა, მეორეს—თუ რა მოვალეობა აწევს სახელმწიფოს, მართებლობას. ეკონომიურ ზღუდეს რომ თავი დავანებოთ და ხალხის განათლებას შევხედოთ, აქაც მარტო ხალხის დაჩაგვრას დავინახავთ და სხვას არაფერს, აქაც „უსამართლო სამართალი" წარმოგვიდგება. პოლიტიური სახელმწიფოსათვის, «განათლებული დესპოტისათვის» პირველად და უკანასკნელად საჭირო იყო უმაღლესი განათლება და არა სახალხო განათლება. ამისათვის «განათლებული დესპოტი» ხელს უწყობდა, ეხმარებოდა მარტო უნივერსიტეტებს და აკადემიებს და ეს უკანასკნელნი კიდეც ამშვენებდნენ სახელმწიფო ტახტს, გუნდრუკს უკმევდნენ დესპოტს. უმაღლესი განათლების მეცენატობა, მეტადრე საფრანგეთში, დესპოტის იდეალათ შეიქნა, კერპათ გადაიქცა. თვითონ დესპოტები ფილოსოფოსობდნენ, ლიტერატორობდნენ. წარჩინებულნი მწერალნიც მომხრენი გახდნენ დესპოტისა. ვოლტერი,

რომელმაც ასეთი დიდი ღვაწლი დასდო სახალხო განათლებას იმითი, რომ შემუსრა სასულიერო წოდების გავლენა და მნიშვნელობა სახელმწიფოთა ცხოვრებაში, თითონ ვოლტერიც კი არა გრძნობდა დაბალი ხალხის განათლების საჭიროებას და აი რასა სწერდა: «ხალხი ემსგავსება ხარებს, რომელნიც საჭიროებენ ჯოხში, უღელში და თივაში», «ხალხს წინამძღოლობა უნდა და არა სწავლა: ის ამის ღირსი არ არის». სწორედ მაშინ დაარსდა ის კავშირი, გულითადი და წრფელი მეგობრობა, რომელსაც ეხლაც ხშირად ვხედავთ სახელმწიფოს და მეცნიერების შორის. მეცნიერებამ, უმაღლესმა სწავლამ მაშინ ჩაიცვა მუნდირი, თავზე დაიხურა აკადემიური პარიკი. ამ მუნდირით, პარიკით ეხლაც ამაყობს, ყოყოჩობს აკადემიური სწავლა, მეცნიერება და ამპარტავნულად, მედიდურად დასცქერის ოლიმპის წვერიდგან სახალხო განათლებას, ცხოვრების სინამდვილეს. აი მაგალითიც. უ. რენანი, ამაყი და სახელოვანი მეცნიერი, ეხლაც მაამუნებს უწოდებს უკეთა იმ პირებს, რომელთაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ დაბალ ხალხს ბარი და თოხი, მეტი რა უნდაო.

განათლებულმა დესპოტმა ადრე და მალე შეატყო, რომ იმის კეთილ-დღეობისათვის საჭიროა უმაღლესი განათლების დაქომაგება, იმასთან დამმობილება; თავისი წადილის შესრულებას შეუდგა, ადრე და ადვილადაც შეასრულა. მუნდირ-ჩაცმული განათლება და მეცნიერება თითქმის ყოველთვის და ყოველგან მომხრე იყო თავის მეცენატისა; ამ მეცენატის კეთილ-დღეობა გაიხადა სახელმძღვანელო მოქმედებათ. ამისთვისაც უმაღლეს განათლების და ცხოვრების სინამდვილეს შორის დამოკიდებულება და ურთიერთობა განქრა. სწავლა მოშორდა ცხოვრებას და ტაძრის ოთხ-კედელ შუა დაიბუდა. ასე გასინჯეთ, მეტაფიზიკაც კი, სადაც მეფობს ცხოვრებას მოშორებული ლოღიკური აბსტ-

რაკვა, პოლიციური სახელმწიფოს სამსახურში შევიდა. მუნდირი ჩაიცვა. ამის მაგალითებს ჩვენ კი ვხედავთ თითონ იმ მხარეში, რომელიც მეტაფიზიკის სამშობლოდ ითვლება. დიდი ხანი არის, რაც ამ მეტაფიზიკის კერპი, მათი აღმატებულება გეგელი, პრუსიის ჩინოვნიკი ბრძანდებოდა, პრუსიის სამხედრო ბანაკს და ყაზარმას მოწიწებით, ღმობიერად თავს უკრავდა, საკმეველს უკმევდა. ამ გვარმა დამოკიდებულებამ, დაკავშირებამ დიდი ვნება მოუტანა ცხოვრების გაუმჯობესობას, სახალხო განათლების გავრცელებას. დედა აზრად შეიქნა ის ცალმხრივი შეხედულობა, რომელიც ამტკიცებს, ვითომც კაცობრიობის და მაშასადამე ცალკე ხალხის წარმატების, პროგრესის მოედანზედ, ველზე იბრძვიან და მოქმედობენ მარტოდ მარტო გონიერების აზრები, მარტოდ-მარტო ეს აზრები აძლევენ მოძრაობის ძალას პროგრესს და ზრდიან მას. განათლების წარმომადგენელნი გადაიქციეს რაინდებათ, ღმერთებათ. გაწყდა კავშირი დაბალ და მაღალ განათლების შორის, აკადემიური განათლება მოშორდა ცხოვრებას, უმაღლესი განათლება — სოფლის სკოლას. ისევ რუსსომ იკისრა ამ მიმართულების შემუსვრა, დამხობა. რუსსომ პირველად უარ ჰყო აკადემიური განათლება და აჩვენა საზოგადოებას, რომ ამ განათლების გავრცელებას უკან მოსდევს ზნეობითი გარყვნილება და კიდევ ამ გარყვნილების მიზეზი იყო სწავლა-განათლება. მართალია, რუსსო წრეს იქით გავიდა და ამ გასაოცარ პარადოქსს მიადგა: „ფიქრი არის ბუნების წინააღმდეგი მდგომარეობა და მოაზრე კაცი წამხდარი ცხოველი," მართალია, რომ ჟენევის მოქალაქეს შეცდომა არ ასცილდა, მაგრამ აკადემიური განათლების განკიცხვამ სახალხო განათლების საქმეს დიდი სარგებლობა მოუტანა. შემდეგში, როდესაც დიდი რევოლიუციის ასპარეზზე მომემდ პირველათ შეიქმნენ

რუსსოს მოწაფენი, მაშინ ამ უკანასკნელებმა ჯეროვანი ადგილი მისცეს სახალხო სკოლას, სახალხო განათლებას სახელმწიფოს პირველ მოვალეობად აღიარეს. მაშინ განათლება დასდგა დემოკრატიულ გზაზე. დემოკრატიული ხასიათი, მიმართულება მიეცა. თუ რუსსომ ისე შეავიწროვა ცნება ხალხისა, რომ მარტო სოფლელებს უწოდა ხალხი, იმის მოწაფეებმაც ამ ხალხის განათლება პირველ საჭიროდ დაინახეს. ამან კიდევ შეამცირა «მეცნიერთა არეოპაგის» უწინდელი მნიშვნელობა, ამ არეოპაგს აჩვენა — თუ არა დამოკიდებულება და ურთიერთობა უნდა იყოს უმაღლეს და სახალხო განათლების შორის. რევოლიუციის პედაგოგიური პრინციპები შეიქმნენ ქვაკუთხედ ახალი პედაგოგისა და თითონ გერმანიის ყაზარმულ—პოლიციურ პედაგოგიაში თუ რამე კარგი მოიპოვება, მარტო ის, რაც რუსსოს ნაწერებიდგან და დიდი რევოლიუციის პრინციპებიდგან არის გადმოღებული. მართალია რევოლიუციამ, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, არა-სრულიად აღსრულებაში მოიყვანა ის მაღალი აზრები, რომლებსაც ის ქადაგებდა, მაგრამ მაშინ ამ აზრების საქვეყნოდ წარმოთქმა და იმათი ცხოვრებაში განხორციელების სურვილის აღიარებაც საკმაო იყო...

## XIII

საფრანგეთის სახალხო განათლების ისტორია, სხვათა შორის, შესანიშნავია იმით, რომ არც ერთ სახელმწიფოში სასულიერო წოდებას არა ჰქონია ისეთი დიდი გავლენა სახალხო-

განათლებაზე. როგორც საფრანგეთში. მარტო ამ უკანასკნელს დროს ჟიულ ფერის კანონმა მოუღო ბოლო ამ წოდების გავლენას, სრულებით განდევნა ეს წოდება სახალხო სკოლიდგან. საკვირველია საფრანგეთი თითქმის ყოველთვის მოწინავე სახელმწიფოა იყო პოლიტიკური თუ რელიგიური თავისუფლებისა, ამ სახელმწიფოში მოქმედებდა საშინელი მტერი კლერუსისა— ვოლტერი და ამ კლერუსს მაინც დიდი გავლენა ჰქონდა სახალხო განათლებაზე. საყურადღებოა კიდევ ის არის, რომ სასულიერო წოდება ყოველთვის მომხრე იყო თავისუფლებისა განათლების საქმეში და ამ თავისუფლების საშუალებას პირველ ადგილზე აყენებდა, თუმცა კი სხვა გვარი თავისუფლება იმავე სასულიერო წოდებას პირველ ბოროტებათ მიაჩნდა. საქმე იმაშია, რომ საფრანგეთ კლერუსი ყოველთვის მეტად მდიდარი იყო და ამ სიმდიდრის შეწყობით ის სცდილობდა ხალხის გონების დამორჩილებას რომის პაპისადმი; ეს დამორჩილება კიდევ ხომ ძრიელ კარგად მოსერხდებოდა სკოლის წყალობით. პაპის-ტახტის გაძლიერება, ვიწრო რელიგიური, კლერიკული მიზანი და ლტოლვა—აი რით აიხსნება საფრანგეთ სასულიერო წოდების ლიბერალობა. ამ-ნაირი გულდამშვიდობა კლერუსისა ნამდვილ და გულწრფელ ლიბერალებს ბევრჯერ ხელიდგან თავისუფლების დროშას აგდებინებდა, ამ დროშას ხელში ამლევდა თავისუფლების დაუძინარს მტერს კლერუსს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თავისუფლება თუმცა ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ თავისუფლებას კარგათ და სასარგებლო საქმეზედ ხმარობენ, როდესაც ყველა წოდება, ყოველი წევრი წოდებისა, მოქალაქე სახელმწიფოსი თანასწორად სარგებლობს თავისუფლებით. თუ არა და — ბევრჯერ თავისუფლება საშიშია, საშუალებაა ერთის წოდების მეორისადმი დამონავებისა, დათრგუნვი-

სა: ბევრჯერ თავისუფლების ძალით ისეთი უსამართლობა მოხდება, რომ წარმოსადგენათაც კი ძნელია. ავიღოთ თუნდა ეკონომიური ცხოვრება. აქ ბურჟუაზიული ეკონომია ყოველთვის თავისუფლებას ქადაგებდა, სახელდობრ ხელ-ფეხს უკრავდა — ეკონომიურ საქმეებში ნუ გარევით, თავისუფლებას ნუ შეახებით, თავისუფლების პრინციპი «ყმის და წმინდათა» მაჩნდა და ამ თავისუფლების ძალით და შემწეობით მუშა ხალხს ტყავი გააძრო, დემოკრატია ჯვარს აცვა. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ეკონომიისა, ასრედ წოდებული სოციალიზმი, რომლის შინაარსი შეიცავს, ეკონომიური სწავლის გარდა, ზნეობრივ პრინციპებსაც, ქადაგებდა რეგლამენტაციას ეკონომიურ ზღუდეში, თავისუფლების შემცირებას, სახელდობრ ურჩევდა (და ახლაც ურჩევს) ეკონომიურ საქმეებში გარევას. თუ მკითხველი მაგალითებს მომთხოვს, შორს წასვლა არ მოგვიხდება. ჩვენ ლუი ბლანს და პრუდონს დავუსახელებთ.. სახალხო განათლების საქმეშიაც ასე გახლავსთ. აქ ეკლესია ყოველთვის თავისუფლების მაძებრე იყო, ლიბერალები კი უარჰყოფდნენ თავისუფლებას. რისთვის? იმისთვის რომ ეკლესიას თავისუფლება ხალხის გონების დამახინჯებისათვის უნდოდა და ეს კარგათ იცოდა ლიბერალურ პარტიამ. მეორე საყურადღებო მოვლენა კიდევ ის არის, რომ სასულიერო წოდება მეტად ხელს უწყობდა ქალების განათლებას. თითონ ქალსაც საშინლად დიდი გავლენა აქვს ამ წოდებას ქალებზედ და ქალების შემწეობით მოქმედობს სახელმწიფო კაცებზედ. პაპა გრიგორი მეშვიდისგან დაკოდილმა სასულიერო წოდებამ მიაშურა ქალებს, იმათ განათლებას, ზნეობით ამაღლებას შეუდგა. თუ რა ფასისა და ღირსებისა იყო ეს ზნეობითი ამაღლება მკითხველსაც კარგად ეცოდინება იმ საყოველთაო ფაქტიდგან, რომ მრუშება, ამკა ისე არც ერთს წოდე-

ბაში არა ყოფილა გახშირებული, გავრცელებული, როგორც სასულიერო წოდებაში. აი მაგალითებიც. მილლერი ამბობს, რომ მეთოთხმეტე საუკუნეში ქ. ავინიონს, რომელიც მაშინ პაპების სატახტო ქალაქი იყო, პაპის სასახლეს გვერდით თერთმეტი მრუშების სახლი იყო (ბოზსათ ხანა) და ზოგნი ამ სახლებთაგანი დედათ მონასტრის წინამძღვრების გამგეობაში იყვნენ. კონსტანციის კრებაზე მოგროვდნენ 1400 ბოზი ქალები და ბევრმა მათგანმა იშოვნა არა ნაკლებ 800 გულდენისა. 1472 წელს ნიურნბერგის მაგისტრატი იძულებული იყო აეკრძალა სასულიერო წოდებისათვის დღისით სიარული მრუშების სახლში. 1542 წ. ქ. რომში პაპის ჩინოვნიკმა 4500 ბოზებიდგან მოაგროვა ხარჯი. მეცამეტე საუკუნეში ბაზელის რჩევა იძულებული იყო შემდეგი სასტიკი განკარგულება მოეხდინა: ერთს გარყვნილს მღვდელს მოსჭრეს უსახელო ასო, ცოდვილი ნაწილი ცოდვილი სხეულისა და სათვალსაჩინო ადგილას დასდვეს — გამვლელ-გამომვლელმა კარგათ დაინახოსო.*) ამ ფაქტებს ახსნა არაფ უნდა. მკითხველი თითონაც დაინახავს, თუ რა ზნეობრივ სისუფთავეს გაავრცელებდა ეს წოდება ოჯახებში.

როდესაც კოროლის ძალამ ნელ-ნელა ფეხი გაიმაგრა, შეისხა ფრთები, მაშინ ამ ძალამ ეკლესიას გამოუცხადა დავა. სახელმწიფოს სურდა სახალხო განათლების საქმე და ნარჩუნებინა და მიმართა უნივერსიტეტებს, მისცა მათ სხვა-და სხვა უფლებანი — დაეხმარეთ, ჩვენ მხარე დაიჭირეთ დავაშიო. უნივერსიტეტებმა კიდევ ლეგისტების პირით გამართეს ქადაგება — რომაელთა უფლება, კანონი ასწავლის — სახალხო განათლების საქმე

---

*) Ф. В. Миллеръ, Проститунція, Соціально-медицинскій этюдъ, стр. 15—17.

სახელმწიფოს უნდა ჩაბარდესო. სახელმწიფოც, რასაკვირველია, უმაღლეს განათლებას დიდის პატივის-ცემით ეკიდებოდა. აი სწორედ მაშინ ჩაიცვა ამ სწავლამ მუნდირი. თუმცა იურიდიულად სახელმწიფომ მოიგო დავა, მაგრამ სასულიერო წოდებას სახალხო განათლებაზედ გავლენა არ მოჰკვეთია. თუ რა ძლიერი იყო ეს გავლენა, ცხადათ სჩანს იმ ფაქტიდგან, რომ სახელმწიფოს კიდევ ეშინოდა ეკლესიისა. რევოლუციის შემდეგ საფრანგეთის სხვა-და-სხვა პროვინციებში პარლამენტებმა გამოიჩინეს ლიბერალური მიმართულება *), სცდილობდნენ სახალხო განათლების გავრცელებას, «საწყალი ახალ-გაზდობის» სწავლას, აღზრდას, დააწესეს ყველა სოფელში თითო მასწავლებელი ყოფილიყო, ამ მასწავლებელს ჯამაგირი მიეღო სასულიერო წოდების შემოსავლიდგან; მასწავლებლების ამორჩევაში, ეკლესიის გარდა, ქალაქის მმართველობასაც უნდა ჰქონოდა ხმა. ეს უმნიშვნელო დაწესება სასულიერო წოდებას არ მოეწონა, ამ წოდებას სურდა მასწავლებლების ამორჩევა მარტო იმის ხელში ყოფილიყო და ამისათვის მმართველობას უკანვე წაალებინა თავის დაწესება. ასე ვრცელი და მკვიდრი იყო სასულიერო წოდების გავლენა. მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს ჟან-ბაპტის დე-ლა-სალმა დაარსა საზოგადოება ქრისტიანული სწავლის გასავრცელებლად ვაჟებისათვის და ქალებისათვის. ეს საზოგადოება, რომელიც ეხლა არსებობს, როგორც საფრანგეთში, ისე სხვა სახელმწიფოებში და დიდი გავლენა აქვს სახალხო განათლებაზე, კლერიკალური მიმართულებისა იყო და სასულიერო წოდების ინტერესებს ემსახურებოდა. ხალხის სარგებლობა ამ საზოგადოებამ მსხვერპლად შესწირა ვიწრო წოდებრივ მიზანს

*) Кн. Васильчиковъ, О самоуправленіи, т. 2, стр. 110

და თუმცა დიდი რევოლიუციის დაწყების დროს (1789 წ.) ის ასწავლიდა და ზრდიდა არა ნაკლებ 30,000 ბავშვისა, მაგრამ მაინც რა კარგი რამ გამოვიდოდა ეკლესიური სწავლიდგან. მე-ჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში სახელმწიფოს სახალხო სკოლისათვის აღარ ეცალა. საფრანგეთის პოლიტიკა დაუმორ-ჩილდა დინასტიურ ინტერესებს. ომიანობა შეიქნა პირველ სა-ზრუნველო საქმეთ. ხალხი ომიანობაში ისეთ საშინელ სიღატაკე-ში ჩავარდა, რომ ძნელის წარმოსადგენია. გლეხი შიმშილისა-გან კვდებოდა. განათლებისა და სწავლის დარდი ვისღა ჰქონ-და. მწერლებმა (მეტადრე კეთილ-შობილმა მარშალმა და ინჟინერმა ვობანმა) საშინელი სურათებით დახატეს დაბალი ხალხის ეკონომი-ური მდგომარეობა და აშკარად აჩვენეს საზოგადოებას — თუ რა უფსკრულის ნაპირს მიჰყვებოდა და ტირანობის უფსკრულში დასაღუპველად მოხარხიული ტახტი... დაიწყო რევოლიუცია... რევოლიუციამ სახალხო განათლება, როგორც ზემოთ ვსთქვით, სახელმწიფოს პირველ საჭირო საქმეთ ჩასთვალა. აღზრდა გა-ნათლებას ააშენა ასრეთ წოდებული — „რესპუბლიკური მორალის", ზნეობის საძირკველზედ. თუ რა ძალას და სწავლას შეადგენს ეს რესპუბლიკური მორალი სჩანს იმადგან, რომ იმის შინაარ-სი შემდეგი დიდი ასოებით არის დაწერილი — **თავისუფლე-ბა, ძმობა, ერთობა.** შემდეგში ეს ზნეობრივი პრინციპი აღზრდა-განათლებისა განდევნა კონსულმა დესპოტმა და ამ ბოლო დროს მესამე რესპუბლიკამ ისევ აღადგინა და სახალხო განათლების შენობის ქვა-კუთხედ აღიარა. რევოლიუციას აღარ დააცალეს შინაურმა თუ გარეულმა მტრებმა სახალხო განათლე-ბის ფაქტიურად დაარსება; საქმით თითქმის ბევრი არა გაკე-თებულა რა, რადგანაც ხაზინის შემოსავალი სულ ომიანობაზე იხარჯებოდა. რევოლიუციამ აღიარა მხოლოდ ჰალალი აზრე-

ბი *) სამი კანონი განიხილა რევოლიუციამ სახალხო განათლების შესახებ. ეს კანონები თავ თავის დროს წარუდგინეს მმართებლობას ტალეირანმა, კონდორსემ და დონუმ. სხვათაშორის, აი რა აზრი წარმოსთქვეს იმ კანონებმა: სწავლა საყოველთავო, ვაჟებისათვის და ქალებისათვის, ეს სწავლა სასულიერო წოდების საქმე არ არის, სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს, სწავლა მუქთი, ათას სულზე ერთი სკოლა მაინც უნდა იყოს გამართული, ვინც შვილებს არ ასწავლის, დაისჯება და სხ... როგორც მკითხველს ეცოდინება, რევოლიუციას ძრიელ მალე წამოაჯდა კისერზე საკუთარი ღვიძლი შვილი, მაგრამ მშობლის მოღალატე, ნაპოლეონ ბონაპარტე. რევოლიუციის იუდა ისკარიოტელი, თვითმპყრობელი იმპერატორი ფრანცუზების სახალხო განათლებას სრულებით ყურს არ უგდებდა. წალები და სალდათები — აი რა არის საჭირო სახელმწიფოს გამგეობისათვისო, ამბობდა ეს ფრანცუზების მარსი. პირველადვე ამ ბატონმა განდევნა რესპუბლიკური მორალი; იმის აზრით, რესპუბლიკა და იდეალოგია ერთი და იგივე იყო. და ან რა საჭირო იყო ეს იდეალოგია იმისთანა გმირისათვის, რომელმაც მრთელი ევროპის ველები ერთ დიდ სამხედრო ბანაკად გახადა და ეს ველები კიდევ მორწყო კაცის სისხლით? სასულიერო წოდებას უფრო ესარჩლებოდა ეს გმირი და ზევით ხსენებულ საზოგადოებას დე-ლა-სალისას მცირედ რაიმე მოწყალებას აძლევდა ყოველ წელიწადს — 4250 ფრანკს; აი ეს იყო პირველი ნაპოლეონის ღვაწლი! საერო სკოლას სრულიად არავითარიმე შემწეობა არ ეძლეოდა. შესანიშნავია კანონი, რომელიც გამოიცა 17 მარტს 1808 წ ამ კანონმა ააშენა განათ-

*) Васильчиковъ, стр. 111.

ლება, უმაღლესი თუ სახალხო, ცენტრალიზაციაზე, მთავრობა აღიარა გამგებლად და სულმძღვანელათ ხალხის ზნეობა-ცოდნებისა; ამ კანონის ძალით განქრა საზოგადოებრივი ელემენტი, თვით-მმართველობის ადგილი დაიჭირა იერარხიულმა ბიუროკრატიამ *). ბურბონებმა მიმართეს ძველ მეგობარს—სასულიერო წოდებას. მთელი სახალხო განათლება ბერებს და იეზუიტებს დაუთმეს, სკოლები მონასტრებათ შეიქნენ, სადაც ნორჩი ტვინი იკვებებოდა ისეთი მავნებელი საზრდოთი, როგორიც არის იეზუიტების მორალი ეპისკოპოზებს, როგორც ნაპოლეონის დროს პრეფექტებს, დარჩათ სახალხო განათლების ასპარეზი. კერძო პირს რომ სკოლის გამართვა სდომოდა, ეპისკოპოზისაგან უნდა მიეღო ნებართვა მაგრამ ესეც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბურბონებმა რევოლიუციის ერთი პრინციპი მოგონებით მაინც მოიგონეს: კანონმა, რომელიც გამოიცა 29 თებერვალს 1816 წ., დააწესა—თვითეული საზოგადოება (Община) ვალდებულია ყვე-ლა ბავშვებისათვის სკოლა დაარსოს; სწავლა ღარიბებისათვის მუქთი უნდა ყოფილიყო. ამ კანონმა საქმეს ვერ უშველა. სკოლა სამწუხარო მდგომარეობაში იყო. აი რას სწერდა რევოლიუციის რამდენიმე თვის წინათ განათლების მინისტრი: „სკოლები თითქმის არ არის, ისინიც კი იფუშებიან, რომლებიც მოიპოვებიან; საწყალი მშობლები ამაოდ თხოულობენ წიგნები მოგვეცითო; მასწავლებელნი სიღატაკეში არიან ჩაცვივნულნი, ყველაფერს მოკლებულნი. ასეთია სამწუხარო სურათი სახალხო განათლებისა, სურათი, რომელიც მეტად დიდი ხანია რაც არსებობს**). შემდეგში, როდესაც ლუი ფილიპეს მმართველობამ

*) Штейнъ, стр 136.

**) Лавлей, стр. 280.

რევიზია მოახდინა — გაეგო რა მდგომარეობაში იყო სახალხო განათლება, მართლაც: რომ სამწუხარო სურათი აღმოჩნდა. ბევრ სკოლებში მასწავლებლებათ იყვნენ სირაჯები, კანტორშიკები, ბავშვები სწავლობდნენ სირაჯხანებში, თავლებში, მარნებში; მასწავლებლებს არა გაეგებოდათ რა გრამმატიკისა, ბევრმა იმათ-განმა არც წერა იცოდა არც კითხვა*) აი ეს შესძღვნა ბურბო-ნების სასულიერო წოდებასთან მეგობრობამ და სიყვარულმა. რამდენიმე თვის წინათ, ვიდრემდის რევოლუცია ტახტიდან გადმოაბძანებდა გამოსულელებულ კარლო მეათეს, განათლების მინისტრმა ხელი მოჰკიდა სახალხო სკოლის გაუმჯობესობას, მაგრამ დრო აღარ იყო, რევოლუციამ დაიქუხა და ხალხმა ბარრიკადების დაუწყო შენება ქუჩებში ..

ტახტზე აბძანდა მეფე-ბურჟუა ლუი ფილიპპე. ბურჟუა-ზიას დღესასწაული გაუთენდა. მთავრობის წინაშე დაბალი ხალხიც მოიგონეს. გამოჩენილი დოქტრინიორი გიზო შეუდგა სა-ხალხო სკოლის საქმეს. ამ სკოლის ზემოთ მოყვანილი სურა-თი მკითხველმა იცის. საჭირო იყო ამ სურათის მოსპობა. კუ-ზენი, ფილოსოფიაში და მწერლობაში შესანიშნავი მხოლოდ თავისი უკბილო ეკლექტიზმით, გაგზავნილი იქმნა გერმანიაში, სადაც იმან სულ სხვა სურათები ნახა სახალხო განათლებისა. აბა ეკლექტიკი ისე როგორ დასტოვებდა გერმანიულ სკოლის წესებს, რომ ცოტაოდენი მათნიც არა გადმოეღო რა. 28 ივ-ლისს 1833 წ. გამოიცა კანონი, რომელსაც გიზოს სახელი ეწოდება ეს კანონი, რომელიც სხვათა-შორის, შესანიშნავია იმით, რომ სახალხო განათლებაში თვითმმართველობას მისცა ცოტად თუ ბევრად ადგილი, ჰბაძავს გერმანიულ წესებს. ამ კა-

*) Окольскій, стр. 154—155.

წონმა დააწესა სკოლის სასარგებლოდ ხარჯი და ბევრი სასარგებლო ცვლილებანი მოახდინა. თუ რა საყოფიერი გამოდგა ეს კანონი სჩანს იმ ფაქტიდგან, რომ ერთი-ორად გამრავლდნენ სკოლები ამ კანონის შემწეობით. კარლო მეათემ დასტოვა 30,000 სკოლა და ლუი ფილიპემ მეორე რესპუბლიკას უანდერძა 63,000 სკოლა. ივლისის ტახტს თან მოჰყვა თებერვლის რევოლიუცია. ამ უკანასკნელმა საქმით კი ვერა გააკეთა-რა, სიტყვით კი კარნოს პირით მაღალი აზრები უხვად წარმოსთქვა. ან საქმით რა გაეკეთებოდა. თებერვლის რევოლიუციას დიდი დღენი არა ჰქონია. მალე, მეტად მალე დაიწყო რეაქცია. ბურჟუას ძრიელ შეუშინდა რევოლიუციის სოციალური მიმართულებისა, მას დაუწყო ორმოს ამოთხრა. თითონ სოციალისტების პარტიამ ვერ გამოიჩინა სახელმწიფო გამოცდილება, პოლიტიკური ტაქტი. ბურჟუამ და რეაქციამ მოახდინეს ისე, რომ მაშინ ძიელ გავლენიან ლუიბლანს სიღარიბეზე და შრომაზე ლექციების კითხვა დააწყებინეს მუშა ხალხისათვის და დემოკრატია კიდევ მიწის ზიდვას მიაჩვიეს პარიჟის ტერასებზე. შემდეგში თითო მუშას ოც-და-ათი ფრანკი მისცეს, მას უკან უსარგებლო მუშაობაც ჩამოართვეს, დაითხოვეს დემოკრატია. ოც-და-ათი ფრანკი, სწერდა პრუდონი, ეგ ხომ იმას მოგვაგონებს, რომ იუდამ ქრისტე ოც-და-ათ ვერცხლათ გაყიდა! დიახ, მართალია, მაგრამ რისთვის გაყიდვინეთ იუდას ქრისტე ოც-და-ათ ვერცხლათ?—ნაპოლეონი თავისას ცდილობდა. ეს გამძვერა და ფლიდი გმირი არ იყო ისეთი მოუხერხებელი კაცი, როგორც ჰგონიათ. ასე გასინჯეთ ის თავის დროზედ კიდეც სოციალისტობდა მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც, ისე მარჯვათ სოციალისტობდა, რომ პრუდონმა, თითონ პრუდონმაც კი ვიზიტი გაუკეთა დროებით სოციალისტს. ვინ მოიფიქრებ-

და მაშინ, რომ ეს ცრუ სოციალისტი ბოლო დროს სოციალიზმსაც და დემოკრატიასაც პასპორტს ამოჰკრავდა და დაამწყსებდა საფრანგეთში ერთ პოლიტიკურ სისულელეს, როგორც ცეზარიზმი იყო. მაგრამ ასე კი მოხდა. დიდ უბედურებაში იყო ნაპოლეონ მესამის დროს ჭკუა-გონების საქმე, დიდ განსაცდელში ჩავარდა თითონ სახალხო სკოლაც. ამ ცეზარმა ისე მაგრათ მოუჭირა საფრანგეთის თავს რკინის სალტა, რომ არსად გაგონილა. სკოლა ისევ სასულიერო წოდებას ჩაუვარდა ხელში, მასწავლებელი შეიქნა ყურ მოჭრილი ყმა მათი ადმინისტრატორებისა, პრეფექტისა. მასწავლებელს უბრძანებოდნენ — ამა და ამ აზრს ემსახურე, ამ პოლიტიკური სისტემას მიმხრე იყავი და ნებას მოგცემთ სკოლაში ასწავლოთო. არც ერთი ნიჭიერი და პატიოსანი მასწავლებელი სკოლაში აღარ დადგა. სკოლების რიცხვი შემცირდა. მთავრობა ამ მასწავლებლებს ვითომ ყურს სდებდა, ნამდვილად მაგრამ ქუდში კი უხაროდა.

## XIV

ნაპოლეონ პირველმა, როგორც საზოგადოთ მთელი სახელმწიფო მაშინ, ისე ხალხის და სახალხო განათლება ააშენა ჰარმონიულათ გაწყობილ ცენტრალიზაციაზე. ვიმეორებთ, რომ პოლიტიკური ცენტრალიზაცია იყო ნაყოფი საფრანგეთის ისტორიული ცხოვრებისა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძველმა სახელმწიფომ არ იცოდა ის ადმინისტრაციის, მმართველობის ორგანოები, რომლებიც ნაპოლეონმა დაარსა. ორგანოები შეიცვალნენ, სახელმწიფოს ადმინისტრატიული ფორმა, გაწყობილება ძველებური დარჩა. როგორც წინათ, ისრე მერე, რევოლიუციის შემდეგ, სატახტო ქალაქი, სადაც არსე-

ბობდა სახელმწიფო მაშინა. შეიქმნა ბატონათ მთელი მხარეში, სამეფოსი. სახელმწიფო ძალა დაემკვიდრა ერთ ადგილას, სატახტო ქალაქში და ამ ძალამ მოიგროვა ხელში მთელი ხალხის თავისუფლება. ეს ძალა აძლევდა განკარგულებას და განკარგულება კიდევ პროვინციებში, მაზრებში მიეშურებოდა და იქ უმალვე სრულდებოდა. მოძრაობა, მოქმედობა იყო ერთს ადგილას, სხვა ადგილებში მორჩილება, უმაღლესი განკარგულების შესრულება. მეორე განსხვავება კიდევ ის იყო, რომ რევოლიუციის შემდეგ სახელმწიფო მაშინა, აშენებული სასტიკ ცენტრალიზაციაზე, მოძრაობაში მოჰყავდათ ახალ პრინციპებს. მაგრამ როგორც წინათ, ისე რევოლიუციის შემდეგ, სახელმწიფო ზევიდგან დასცქეროდა ხალხს და არა ქვევიდგან იცქირებოდა ზევით. ხალხის თვით-მოქმედება, თვით-მმართველობა, ე. ი. ის პოლიტიკური ძალა, რომელიც საზოგადოების თაოსნობის, თავისუფლების, ნაყოფია, საზოგადოებისაგან წარმოსდგება და იმისადმი მიიმართება, ეს ძალა აღმოიფხვრა, განქრა. ამ ძალის ადგილი დაიჭირა სახელმწიფო ხელმძღვანელობამ და ეს ხელმძღვანელობა კიდევ დარჩა ერთ ადგილს, სატახტო ქალაქში. რასაკვირველია, რომ ნაპოლეონი ხელს უწყობდა ცენტრალიზაციას, რადგან პოლიტიკური დესპოტიზმი მეტად ლაზათიანად თავსდება სახელმწიფოში ცენტრალიზაციის შემწეობით. სახალხო განათლებასაც მთელი სახელმწიფოს წყობილების ფორმა მიეცა. ადმინისტრაციის ხელში იყო ეს განათლება და ადმინისტრაცია კიდევ წარმოადგენდა ერთს ჰარმონიულად განწყობილ შენობას, რომლის ერთი ნაწილი მეორეზედ იყო დამყარებული, მეორე მესამეზე და სხ... ეს ნაწილები ერთი და იგივე ძალით იყვნენ შეკავშირებულნი და თითონ მთელი შენობაც მოძრაობაში მოდიოდა ერთი და იგივე ძალით. ამ შენობას ზევიდგან

დაჰყურებდა უპირველესი ხელმძღვანელი, იმპერატორი. სახალხო განათლების სისტემა ადმინისტრატიულად გაჰყვეს. ამ სისტემის ერთი ორგანო მეორეს მორჩილი იყო, მეორე მესამესი და სხ., თითონ სისტემა თავის ორგანოებით იმპერატორს ეჭირა ხელში. სახალხო სკოლა სამ ნაწილათ, კატეგორიათ გაანაწილეს. ძირიდგან რომ დავიწყოთ, აი რა ორგანოები განაგებდნენ სკოლის საქმეს: პირველ ორგანოს შეადგენდა მერი, ადმინისტრაციის ჩინოვნიკი. ეს ემორჩილებოდა პრეფექტს, რომლის ხელშიაც იყო სკოლის ბედის წერა, პრეფექტი ემორჩილებოდა მინისტრს, მინისტრი იმპერატორს. იმპერატორს კიდევ ხალხის განათლების საქმე მაგრად ეჭირა ხელში, როგორც სურდა, ხალხის გონების ჩარხს ისე ატრიალებდა, —თუნდა სწორედ, თუნდა ბრუნდედ, თუნდა მარცხნივ, თუნდა მარჯვნივ, მოწინააღმდეგე ვინა ჰყავდა. ამ გვარი შენობა სახალხო განათლებისა სასარგებლო იყო პირველი ნაპოლეონისათვის, რომელმაც უმაღლესი განათლებაც კი ცენტრალიზაციაზე ააშენა. ნაპოლეონ მესამე დაადგა თავის სახელოვანი ბიძის გზას, თუმცა ის ბიძასთან შედარებით ლილიპუტი იყო, ქონდრის კაცი. იმან განათლების საქმე ასე განაწყო: 1., განათლების მინისტრი და იმასთან ერთად წოდებული უმაღლესი რჩევა, რომელიც მთავრობისაგან დანიშნულ ჩინოვნიკებისაგან შესდგებოდა. 2.) რექტორი და აკადემიური რჩევა. აქაც ჩინოვნიკები. ამათ ებარათ სასწავლო მაზრა. მაზრაში დიდი გავლენა ჰქონდა სახალხო განათლებაზედ პრეფექტს, ადმინისტრაციის ჩინოვნიკს, რომელსაც ემორჩილებოდა დეპარტამენტის რჩევა... გარდა ამისა პრეფექტს გარშემო ესვია მთელი ხროვა ინსპექტორებისა და კანტონის წარმომადგენელნი. 3.) სახალხო სკოლასთან ყველაზე უფრო ახლო იდგა კომიტეტი, რომელიც შესდგებოდა მერისა-

გან, მღვდლისაგან და 2—3 ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან. კომიტეტს ებარა საზოგადოება (კომუნა), მასწავლებლის ამორჩევის ნებას მოკლებული იყო; ეს ნება ჩააბარეს პრეფექტს. საზოგადოებას შეეძლო მარტო სურვილი გამოეცხადებინა — ისიც სურვილი! — სასულიერო პირი უნდოდა თუ საერო მასწავლებლათ*). ამ ბიუროკრატიულ შენობაში ირეოდა საშინელი ხროვა მთავრობისაგან დანიშნული ინსპექტორებისა, რომელნიც თავ-პირს იმტვრევდნენ აქეთ იქით სირბილით — განათლების საქმე არ დაიმხოს, არ დაიღუპოსო, ე. ი. ცუდმა აზრებმა, მიმართულებამ გზა არ გაიკვლიონ სასწავლებელშიო. ასრე და ამგვარად სახალხო განათლება მსხვერპლად შესწირეს დინასტიას, სკოლა ჩააბარეს პრეფექტს, რომელმაც საწყალი მასწავლებელი ლაქიათ გაიხადა და ეს ყურ-მოჭრილი მონა მათი აღმატებულებისა კიდევ სცდილობდა ხალხისათვის ჩაეგონებინა — თუ რა ბედნიერია ფრანცუზების სამშობლო ნაპოლეონ მესამის ხელში. თვით-მმართველობა, რომელიც გიზოს კანონმა დაარსა სკოლაში, ნაპოლეონ მესამის სისტემამ სრულიად განდევნა, თვით-მოქმედების ადგილი დაიჭირა ადმინისტრატიულ რეგლამენტაციამ და ამ უკანასკნელმა კიდევ სრულებით შემუსრა ხალხის თავისუფლება. სწორედ რომ ნაპოლეონმა შეასრულა თავის აღთქმა — სახელმწიფო შენობის დაგვირგვინება! .. სასულიერო წოდებას შეესხა ფრთები. იმას თავისუფლება მიანიჭეს ეკლესიურ სწავლამ მეტად გაიდგა ფეხი. იეზუიტებს დღესასწაული დაუდგათ. გარყვნეს ხალხის გონება. სკოლების რაოდენობა, მცირე რიცხვი კი არა (როგორც ჩვენშიაც ბევრნი ჰფიქრობენ),

---

*) Васильчиковъ, стр. 116—119. დაწვრილებით არის სკოლის გაწყობილება ნაჩვენები.

სკოლების მიმართულება. ხალხის გონების დამახინჯება იყო, სხვათა შორის, იმის მიზეზი, რომ ნაპოლეონი დიდ-ხანს გამარჯვებული რჩებოდა და არც მარტო სკოლების რიცხვით გაიზომება ხალხის კეთილ-დღეობა, იმისი პროგრესიული ძალა; როგორც კერძო პირის ღირსებანი მარტო უმაღლესი განათლებით არ შეიძლება გაიზომოს. ეგრეთვე ხალხზე უნდა ითქვას, შეიძლება კერძო პირი წყარო იყოს მეცნიერებისა, ჭიპი განათლებისა და ამასთან კიდევ უბედურთაგან უბედური. საქმე იმაშია — რა სული, მიმართულება ტრიალებს სკოლაში, რა გვარი ზნეობის დედა აზრები, პრინციპები ატრიალებენ სკოლას. ეს არათუ მარტო სახალხო სკოლაზე, უმაღლეს სასწავლებელზედაც ითქმის. არც ერთს ხალხს არა ჰყავს იმოდენა ნასწავლი კაცები, როგორც გერმანიას და განსაკუთრებით პრუსსიას. ამ სახელმწიფოს უნივერსიტეტები განთქმულნი არიან მთელ ევროპაში, სახალხო სკოლების რიცხვით პრუსსია მაღლა სდგა ყველა სახელმწიფოებზედ, მაგრამ რა? აქ ასეთი ხროვაა «ფილისტერებისა», რომ ერის ჭყინეს კი არა, ათს იმისთანას ეყოფიან საზრდოთ... აქ უნივერსიტეტები «გონების ციხეები» არიან, სახალხო სკოლები კიდევ წარმოადგენენ ერთს უშველებელს ყაზარმას, სადაც ხალხის გონება სამხედრო საზრდოთი იკვებება. ასე გასინჯეთ ესტეტიკა, მუზიკაც კი მოლტკეს შტაბს ემორჩილება, — სახალხო სკოლაში უფრო სამხედრო სიმღერებს ასწავლიან და პრუსსიის კანონის ძალით საოსტატო სემინარიაში შეგირდათ არავის მიიღებენ, თუ მუზიკის ნიჭი არა აქვს....

მესამე რესპუბლიკა გულმხურვალედ შეუდგა სახალხო განათლების საქმეს. საფრანგეთში გარკვევით იციან, თუ რა დიდს პროგრესიულს ძალას შეადგენს სახალხო განათლება, ისიც იციან, რომ მარტო სკოლის გამრავლება არ შობავს ხალხის

კეთილ-დღეობას — ამასთან უპირველესად საჭიროა, რომ სახალხო განათლების შენობა ამოყვანილი იყოს ზნეობითი პრინციპების საძირკველზე, ეს პრინციპები უნდა იყვნენ სული და გული სახალხო სკოლისა. ამისთვისაც ფრანცუზების სისტემამ დააძმობილა სწავლა და ზნეობა, განათლება და აღზრდა, მეცნიერება და მორალური პრინციპები. ამ კავშირს, ძმობილობას, რევოლიუციის შემდეგ, ყოველთვის, ცოტად თუ ბევრად, ვხედავთ საფრანგეთში. ეს მოვლენა ნაყოფია წარსული საუკუნის გონებითი მოძრაობისა. აქ, ე. ი. ამ ძმობილობაში უნდა მოვძებნოთ უმთავრესი მიზეზი იმ საყურადღებო და საყოველთაოდ მიღებული ჭეშმარიტებისა, რომ აქამომდე საფრანგეთია ბელადი ევროპიის სოციალური პროგრესისა. მესამე რესპუბლიკამ კავშირი სწავლის და ზნეობის შორის კანონათ გასადა, ამ კავშირს სახელმწიფო ბეჭედი დაასვა. სახალხო სკოლა საფრანგეთში შეიქნა წმინდა ტაძრათ, სადაც გონება და კეთილ-შობილური გრძნობანი შეკავშირდნენ: ამ წმინდა ტაძარში გონებითი და ზნეობითი თვისება კაცისა ჰარმონიულად ვარჯიშდება, იზრდება. სახალხო სკოლის შენობის დედა-ბოძს შეადგენს «რესპუბლიკური მორალი — ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ ლაზათიან შენობაში საფრანგეთის შვილი, შვიდ-რვა წლიწადს, სწავლობს ბუნების მეცნიერებას, სამღვთო წერილის მაგივრად პოლიტიკურ ეკონომიას, ზნეობრივ და სამოქალაქო კატეხიზმოს, ე. ი. იმ წმინდა სწავლას, რომელსაც ლალადებდა დაუვიწყარი მოქადაგე კაცობრიობისა — დიდი რევოლიუცია. დედა-ბოძის გარდა სამი საკუთხე ბოძი უდგია სკოლის ტაძარს — სწავლა საერო, ვალდებითი, უფასო. სასულიერო წოდება სრულებით განდევნილი არის ამ წმინდა ტაძრისაგან, სადაც ღვივის გუნდრუკი სინიდისის თავისუფლებისა. ხატები (რელიგიური

კულტის ნიშანი, ემბლემა) სკოლიდგან ეკლესიაში გადაიტანეს, თქვენი ადგილი აქ არისო...

მესამე რესპუბლიკამ სახალხო სკოლის შენობა ააგო ცენტრალიზაციის სისტემაზე, ეს რესპუბლიკა დაადგა იმავე გზას, რომელ გზაზედ იდგნენ პირველი და მესამე ნაპოლეონი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სისტემის გამაცხოველებელი სული სხვაა, შესაფერი სახელმწიფოს რესპუბლიკური ორგანიზაციისა, წყობილობისა. თუ წინათ ცენტრალიზაცია ემსახურებოდა დინასტიას, ეხლა რესპუბლიკას ემსახურება. მიზანი, შინაარსი გამოიცვალა, ფორმა, გარეგანი წყობილობა სახელმწიფო მაშინისა უწინდელი დარჩა. ეს მაშინა ეხლა სხვა ძალას მოჰყავს მოძრაობაში, უწინ სხვა ძალას მოჰყავდა, თუმცა მაშინა რაც ეხლაა, ის წინათ იყო. ეხლაც სახელმწიფოს თაოსნობას უჭირავს პირველი ადგილი, ეხლაც თითონ რესპუბლიკაა სახალხო განათლების ხელმძღვანელი და არა ხალხის თვითმმართველობა, თვით-მოქმედება, ეხლაც ჰარმონიულად გაწყობილ ცენტრალიზაციის შენობას წარმოადგენს განათლების საქმე საფრანგეთში. ამ შენობას გუმბათივით ზევიდგან ადგია «უმაღლესი რჩევა», რომელიც შესდგება ოც-და-ცხრამეტი წევრიდგან. ეს წევრები ირჩევიან ექვსი წლის ვადით. რაც კი საუკეთესო და შესანიშნავი გვამი მოიპოვება საფრანგეთში, ამ «უმაღლესი რჩევის» წევრია. უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებს, სწავლულთა აკადემიას, სენატს, დეპუტატთა პალატას და სხ., ყველას ჰყავს თავის წარმომადგენელი «რჩევაში», რომელიც არის უპირველესი დაწესება ხალხის განათლების წარმატებისა. თითონ განათლების მინისტრი ამ «რჩევას» ემორჩილება. «უმაღლეს რჩევის» ქვემოდ სდგა ესრეთ წოდებული დეპარტამენტის რჩევა, ამას კიდევ ემორჩილება კანტონის კომიტეტი. იერარ-

საული უკანასკნელ კიბის საფეხურს შეადგენს «სასკოლო კომისია», რომელიც ყველა საზოგადოებაში იმყოფება. კომისიას ყოველ-წლიწადს არჩევს საზოგადოების რჩევა. ამ კომისიას ნება აქვს სკოლის მარტო საოჯახო საქმეებში გაერიოს, იზრუნოს მარტოდ-მარტო სკოლის ნივთიერ გაუმჯობესობაზე. ადმინისტრაციის უმაღლეს პირს შეადგენს განათლების მინისტრი თავის «სამცნებელი კომიტეტით» (Совѣщательный комитетъ), რომლის წევრები ამორჩეულნი არიან სწავლა-განათლების საქმეში დახელოვნებულთა პირთაგან. მინისტრს ემორჩილება მთელი დასი ჩინოვნიკებისა. —

რესპუბლიკამ მოინდომა ხალხის გონების და ზნეობის აღზრდა ისე, როგორც ამ სახელმწიფო წყობილობის სარგებლობა ითხოვს და კიდეც შეასრულა თავის წადილი. სახალხო განათლება ისეა მოწყობილი, როგორც რესპუბლიკა ითხოვს. მეტად კარგი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ცენტრალიზაცია უნდა მოსპობილიყო და თვითონ ხალხი გამხდარიყო მოთაოსნე სახალხო სკოლისა. ეხლაც, როგორც წინათ, სახალხო სკოლა სახსარია პოლიტიკური სისტემის დამყარებისა, სკოლა მსხვერპლია პოლიტიკისა...

ნიკო ხიზანოვი.

(დასასრული შემდეგში).

# საფუძვლები სახალხო განათლებისა.

(დასასრული)

## XV

სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს ინგლისის სახალხო განათლება. თვითმმართველობა, ხალხის თაოსნობა, საზოგადოებრივი თავისუფლება შეადგენენ მკვიდრს საძირკველს, რომელზედაც აშენებულია პოლიტიკური ცხოვრება ინგლისელებისა: ამ ცხოვრებას სხვა ფერი სდევს, თავისი მიმართულება აქვს. თითონ პიროვნობა, პოლიტიკურად თავისუფალი, საზოგადოებას ეფარება, მისკენ მიიწევს. ყოველივე საქმე აქ უფრო საზოგადოების თაოსნობის შედეგია. კერძო პირი თავის ვიწრო ასპარეზს ხშირად უთმობს საზოგადოებას. საკვირველად მოთავსებულნი არიან ერთი ერთმანეთთან პიროვნული თავისუფლება და საზოგადობრივი თვით-მოქმედება; ამათ შორის ყველა გაზომილი, გამიჯნულია, ერთსაც და მეორესაც თავის წრე შემოფარგლული აქვსთ. ამ ნაირ განაწილებას ვხედავთ, მეორე მხრით, პიროვნობის — საზოგადოების და სახელმწიფოს შორის. ფართო სამფლობელო სახელმწიფოსი შემოზღუდულია. ის ნაბიჯსაც ვერ გადაადგამს სხვის სამფლობელოში. იმას თავისი საკუთარი მოედანი აქვს მიზომილი, ნაბიჯსაც ვერ გადაადგამს მიჯნას იქით, ეს მას აკრძალული აქვს. ესრედ წოდებული თავისუფალი, „უფლებრივი“ სახელმწიფო დიდი ხანია დაარსდა ინგ-

ლისში. შინაარს უფლებრივი სახელმწიფოსას შეადგენს თავისუფლება პიროვნული, საზოგადო რივი და პოლიტიკური. ყოველი კაცი არის თავისუფალი პიროვნება, წევრი საზოგადოებისა, მოქალაქე სახელმწიფოსი. ამ სამს იურიდიულ ერთეულების შორის საჭიროა სარბიელი ღირსეულად და სამართლიანად გამიჯნული იყოს. ცოტად თუ ბევრად ეს მოხერხდა მარტო ინგლისში, თუმცა უსათუო სიმართლეს ნურც აქ მოვძებნით. სხვა ხალხებთან შედარებით აქ, ე. ი. ინგლისში ზემოდ ნაჩვენები ერთეულები უფრო რიგიანად, უფრო წესიერად არიან განაწილებულნი. ინგლისელების „დიდი ხარტიას" დაარსდა ვითარცა პროტესტი პოლიტიკური სახელმწიფოსი, მის მეურნეობისა. აქ მაღალმა წოდებამ კავშირი დაიჭირა დაბალ ხალხთან, მხარი მისცა მას და ორთავემ შეერთებული ძალით ძალა მოაკლეს სახელმწიფოს წარმომადგენელს, კოროლს, მოსპეს პიროვნობის და საზოგადოების გავლენა, . . .

„დიდი ხარტიის" შემდეგ ინგლისელმა სიმვოლო სარწმუნოებათ აღიარა პოლიტიკური თავისუფლება, რომელსაც, როგორც შედეგი თავის მიზეზს, თან მოჰყვა სხვა თავისუფლებაც — . . . საზოგადობრივი. აქ, ამ ცხოვრების წყობილობაში უნდა მოვძებნოთ მიზეზი იმ მეტად საყურადღებო მოვლენისა, რომ სახალხო განათლება ინგლისში სხვა გზაზე სდგას, სხვა მიმართულებისაა, სხვა სისტემას წარმოადგენს. ეს წყობილება იყო იმის მიზეზი, რომ აქ სახალხო განათლება შეიქნა თვით მმართველობის, საზოგადოობრივი თვითმოქმედების საგნათ. პირველი შეხედულობით მკითხველს იქნება კიდეც ეგონოს, რომ ინგლისში უნდა მოიპოვებოდეს უკეთესი და უმშვენიერესი სახალხო განათლების დაწყობილება, ორგანიზაცია. და რატომაც არა? მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქ თვით-მმართ-

ქვეყანაში, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, რომლების განხილვა ჩვენ საგანს არ შეეხება, მიიღო მავნებელი მიმართულება, დაადგა ვიწრო და საშიშარს ბილიკს, რომლის ქვეშით მოჩანს უფსკრული. ინგლისელების თვით-მმართველობა გამოიხატა მხოლოდ სახელმწიფო მეურნეობის ფარის-ფოფაში: აქ დაარსდა მარტო თავისუფლება პოლიტიკური და სხვა დაწყობილება ცხოვრებისა შეურყვლელად დარჩა. არისტოკრატიას სურდა მთავრობის წინააღმდეგობა. დაუწყო თავისებურად ლაქუცი ხალხს და, როდესაც წადილი შეისრულა, ხალხს თავი მიანება. და ან რას იზამს საწყალი ხალხი თავისუფლების მალით? რა საუნჯეა მარტოდ-მარტო პოლიტიკური თავისუფლება? რა ნაყოფი მოაქვს მას ხალხისათვის? ბევრი არაფერი, თითქმის არა რაიმე. და რომ ეს მართალია, აშკარად გვიმტკიცებს თითონ ინგლისი: აქ პოლიტიკურმა თავისუფლებამ (თუმცა სხვა ბევრი მიზეზებიც არის) საშინელი და საოცარი ეკონომიური მონება დაბადა. პოლიტიკურ თავისუფლებას ზედ დაერთო, თან მოჰყვა ბურჟუაზული ეკონომიური პრინციპი თავისუფლებისა და ეს უკანასკნელი კიდე შეიქნა უმთავრეს მიზეზათ დაბალი ხალხის გაღატაკებისა. ამ გვარად თვით ეს თავისუფლება ამ მდაბალ ხალხის დამჩაგვრელ მალათ გადაიქცა და გსურთ ჭეშმარიტება?—ინგლისის საოცარი სიმდიდრე აშენებულია ხალხის სიღარიბეზე, მის სიღატაკეზე! სახალხო განათლებასაც სიღატაკის, ნაღვლიანობის ფერი დაედო, მოწყალების ხასიათი მიეცა და, როდესაც კაცი სწავლობს აქაური სკოლის ისტორიას, მას თვალ-წინ გახუმორებლად უდგია ერთის მხრით საწყალი და კეთროვანი ლაზარე და მეორეს—ფუფუნებაში მყოფი მდიდარი, მის გონებაში იხატება გულის ამაშფოთებელი იგავი ქრისტესი. ინგლისში სკოლა საწყალი ლაზარეა, რომელიც იკვებება პურის ნამცეცებით, მდი-

დარის სუფრიდგან ძირს დაცემულებით. სახალხო განათლებას, როგორც ფიზიოლოგიურ მოვლენას საზოგადოებრივ სხეულისას, სხვათა შორის, მჭიდრო კავშირი აქვს ეკონომიურ დაწყობილებასთან, ნივთიერ ცხოვრებასთან და ამისათვის სახალხო სწავლის კეთილ-დღეობა ითხოვს ცხოვრების ეკონომიურად სამართლიანად დაწყობილობას.... აქ მარტო პოლიტიკური თავისუფლება არ არის საკმაო, არ არის საკმაო ეგრეთვე პიროვნული თავისუფლება, საზოგადოებრივი თვით-მოქმედება, როგორც, ჩვენის აზრით, არც მარტოდ-მარტო ეკონომიური ცხოვრების სამართლიანად დაწყობილობა არის ყოვლად გამკურნებელი წამალი ხალხის წარმატებისა. საზოგადოებრივი კანონი ხალხის პროგრესისა ითხოვს ცხოვრების ჰარმონიულად გახსნას, აღზრდას. პოლიტიკურ თუ ეკონომიურ ელემენტს უპირატესობა უნდა მიეცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უპირატესობა არ არღვევს ზემოდ ნაჩვენებ საზოგადოებრივ კანონს და როდესაც უპირატესობას ცხადად ითხოვს აწინდელი, რეალური მდგომარეობა ხალხის უმეტესობისა. ზოგჯერ ვხედავთ, რომ საზოგადოებრივ სხეულში ერთი ნაწილი მეორეს სჩაგრავს, ერთი ელემენტი სძლევს მეორეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება უპირატესობაზე ლაპარაკი, ბაასი. უპირატესობა ეკონომიური ორგანიზაციისა, ვითომც, როგორც უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა, არ მიიღება ყოვლად შესაწყნარებელ ჭეშმარიტებათ, კრიტერიათ; ამ გვარი შეხედულობა არის პარტიული, შეიცავს ნაწილს სიმართლისას და არა სრულს სიმართლეს. . . .

და ან რა არის თითონ უპირატესობა ეკონომიური წყობილობისა? და როდის იშობა ეს მიმართულება? ეკონომიამ უპირატესობის ადგილი დაიჭირა შემდეგ 48 წლისა. ფრიად შესანიშნავ ამბო-

ხებას 48 წლისას წინა უწრო კრიტიკულ ძროშამ ასეთი პირებისა, როგორც სისმონდი, ფურიე, პრუდონი, სენ-სიმონ და სხვანი. ბურჟუაზიული ეკონომია იყო ამ მოძრაობის უმთავრესი მიზეზი, თუმცა კი არა პირველი და უკანასკნელი: ბურჟუაზიულმა ცხოვრებამ დაარღვია ჭკრმილია საზოგადოებრივ სხეულისა. აი მაშინ თითონ სიცხემდვილე ითხოვდა ეკონომიურ უპირატესობას და ასეც მოხდა. 48 წ. შემდეგ თითქმის ყველა ამბოხებას ევროპაში ეკონომიური საბუთი აქვს. მიზეზი ამისი გასაგები ქარხნის მუშების მეტისმეტი შეიწროებული ცხოვრებაა, თუმცა კი მოიპოვება პოლიტიკური ხასიათის ამბოხებაც (კომმუნა პარიზში). წინათ კი უფრო ხშირად პოლიტიკურ ამბოხებებს ვხედავთ. პირველ ასეთს თუ ისეთს ამბოხებას ზედ ერთვის სხვა ელემენტიც, მაგ., რელიგიური. და ასეც უნდა იყოს. ხალხის სხეული მეტად რთულია, ამ სხეულში ბევრი ფაქტორები მუშაობენ. და თითონ ხალხის მოძრაობა გამოწვეულია სხვა და სხვა მიზეზებით, არა მარტო ეკონომიურ გარემოებათა მეოხებით, როგორც ღაღადებს პარტიული შეხედულობა, უკვე გამოთქმული ჩვენ მწერლობაშიაც...

ინგლისში პოლიტიკურ თავისუფლებამ დასჩაგრა ხალხის ეკონომიური ცხოვრება. ამისთვის სახალხო განათლებას ამ დაჩაგვრის ფერი დაედო, სკოლა აშენდა თავისუფლების საძირკველზე, მაგრამ ეკონომიურად დაემორჩილა მაღალ წოდებას, სიმდიდრის მქონებლებს. ეკონომიურმა სიღატაკემ შობა გონების სიღატაკე და თუ ინგლისში მაღალი და საშუალო წოდება შემკულია განათლებით, დაბალ ხალხში ისეთი ხშირი სიბნელე უმეცრებისა არის მოფენილი, რომ წარმოსადგენადაც კი ძნელია. საზოგადოებრივ სხეულის ავად-მყოფობამ წარმოშობა ერთი საყურადღებო მოვლენა, — პოლიტიკური თავისუფლების შევიწრო-

ბა, შემცირება, სახელმწიფო მეურნეობის გავრცელება. საჭირო იყო, რომ ცოტათი მაინც (თუ ბევრად არ მოხერხდებოდა და დროებით შეუძლებელი იყო) ეკონომიურ ცხოვრებას შემსუბუქებოდა ტვირთი, სიმძიმე. ამ გარემოებამ სრულიად შესცვალა პოლიტიკური პარტიების მოძღვრება, დროშები. ლიბერალურმა პარტიამ უარ-ჰყო თავის მოძღვრება, ტრადიცია (ამ მოძრაობის მოთავე იყო გამოჩენილი დჯონ სტიუარტი) და დაიწყო თხოვნა სახელმწიფოს უეჭველად ხელი მოეკიდა სახალხო სკოლისათვის, წინ გასძღოლოდა მას, საჭირო იყო პოლიტიკური თავისუფლების შემცირება და ამასაც ითხოვდა თითონ ის პარტია, რომელსაც თავის დროშაზედ მსხვილი ასოებით უწერია: თავისუფლება! ეს პირ-და-პირ მოასწავებდა ინგლისელების პოლიტიკური სარწმუნოების შეურაცხყოფას და, რასაკვირველია, საქმე ისე არ გათავდებოდა, რომ ორთავე მხარის ბრძოლის ველისაკენ რაზმები არ გაეშალნათ. ასტყდა საოცარი ომი კალმით თუ სიტყვით. მეტათ ჩამაგონებელი იყო ბრძოლის ველი: აქ კონსერვატიული პარტია მეტად ცდილობდა თავისუფლებისათვის, ლიბერალები კი სახელმწიფო ზრუნველობას ითხოვდნენ. ნელ-ნელა შეირყა საძირკველი თვით-მმართველობისა, თავისუფლებისა. ლიბერალური პარტიის რაზმები გამარჯვებული დაბრუნდნენ ბრძოლის ველიდგან. ეს ბრძოლა აშკარად გვიჩვენებს, — თუ რა მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ ლიბერალიზმს, სადამდის მიაწევს მისი ძალა, რა შეუძლიან მას ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის. არის ხალხის ცხოვრებაში ისეთი დრო (და ბევრჯერაც), როდესაც პოლიტიკური თავისუფლება კუთხეში უნდა დაიდოს და იმის სარბიელი დაიჭიროს სახელმწიფო მეურნეობამ, რეგლამენტაციამ. ხანდისხან ამ ნაირი რეგლამენტაცია საჭიროა ცხოვრების მთელ სფეროში. მკითხველს

ვუჩვენეთ, რომ ბურჟუამ თავისუფლების ძალით ტყავი გააძრო მუშა ხალხს. თუ რა შეუძლიან მარტო პოლიტიკურ თავისუფლებას, სჩანს იმ ფაქტიდგან, რომ, დიდი რევოლუციის შემდეგ, ბურჟუა სულ ლიბერალობს სულ თავისუფლებას ლაღადებს, სულ ეწინააღმდეგება სასულიერო ზრუნველობას და არა მარტო პოლიტიკურ სფეროში, არამედ ეკონომიურშიაც. ნაყოფი ამ ლაღადებისა იმკა. მას ყველა ხედავს, იგი ბევრს მოსვენებას არ აძლევს, მისი მრავალთა ეშინიანთ. ეს ნაყოფი არის ბურჟუას უკანონო შვილი, რომელიც ითხოვს უფლებას და რომელიც ქვეყანაზედ გააჩინა მუდამ ყამს თავისუფლების ლაღადებამ და ამ თავისუფლების ძალით მეტად თავისუფლად დაბალ ხალხის ყვლეფამ, გლეჯამ. ამ ნორჩ არსებას ჰქვიან სახელად სოციალიზმი. აი ეს შესძლენა ბურჟუას მისმა ლაღადებამ! ვგონებ ეს ჩვენი მოსაზრება დედა აზრსაც ამტკიცებს, სახელდობრ იმას, რომ ხალხი სოციალური (საზოგადოებრივი) სხეულია, ეს სხეული თხოულობს ჰარმონიულად გახსნას და თითონ განათლება წარმოადგენს სოციალურ მოვლენას, სხეულის ფუნქციას და ამისთვის საჭიროა და სასარგებლო, რადგანაც ჟაკო «ცხოვრების ყოველ ნაბიჯში ხედავს მარტო გლეჯას, ცარცვას, ერთი-ერთის შეუნდობლობას.“ აქ სჯა, უბნობა ხალხის განათლების საჭიროებაზე სახალხო სკოლის სარგებლობაზე სულ ცოტა რომ ვსთქვათ — მეტი იქნება, არა — დავიდარაბა შეიძლება იმის შესახებ — თუ როგორ უნდა დაარსდეს სახალხო სკოლა, რა ნაირი იყოს სახალხო განათლება. საზიზღარი ეკონომიური სურათების მოსპობა, ხალხის ზნეობით აღზრდა, სხვათა-შორის, შეუძლიან სკოლასაც, მაგრამ ისეთს კი არა, რომელსაც მრავალი დიდი ღირსებაც აქვს; უმთავრესი მათგანი არის წერა-კითხ-

ვის ანგარიშის სწავლება, ახსნა ბუნების მარტივ მოვლენათა»
(„ივერია" №№ IV და V, 1882 წ. გვ. 183). ჩვენ უკვე ვუ-ჩვენეთ (მოკლედ, რასაკვირველია) — თუ რას ნიშნავს უპირატესობა საზოგადოებრივი სხეულის რომელიმე ნაწილისა, ელემენტისა,— საჭიროა მეორე კითხვის მოკლედ მაინც განხილვა.

ფრიად საყურადღებო და მნიშვნელობით სავსე კითხვას წარმოადგენს შემდეგი წინადადება: რა ურთიერთობა უნდა საუ-ფლებელი სახელმწიფოს და სახალხო სკოლის შორის? როგორ უნდა იყოს მათ შორის გამოკვეთილი უფლება? სად იწყობა სარ-ბიელი ერთისა და თავდება მეორისა? ამ კითხვებს აქ მით უფ-რო ადგილი აქვსთ, რომ ინგლისელების უმეტესი ნაწილის პოლიტიკურ სიმბოლო სარწმუნოებას შეადგენს უარ-ყოფობა სახელმწიფო რეგლამენტაციისა, სახელმწიფო ზრუნველობისა. ეს სიმბოლო სარწმუნოება განხორციელდა ისტორიულ სკოლა-ში და მისი მეოხებით თითქმის ყოველ ინგლისელისთვის გარ-დაიქცა გაზეპირებულ ფორმულად. ეს სკოლა ამბობს, რომ სხეულის მდებარეობით ძალას, როგორც ხალხის ისტორიული ცხოვრების შედეგს, ნაყოფს, ზედ-მოქმედებას, გავლენა არა აქვს საზოგადოებრივ პროგრესზე და აქედგან სკოლას გამოჰყავს ის დასკვნა, რომ სახელმწიფოს არავითარი შეხება არ უნდა ჰქონდეს სახალხო სკოლასთან, მოშორებული უნდა იყოს მას. როგორც მკითხველიც ხედავს, ეს სკოლა იმეორებს მხო-ლოდ მას, რაც დიდი ხანია ცხოვრებაში განხორციელდა, სახელ-მძღვანელოთ შეიქნა. ისტორიის პოლიტიკურ სწავლათა გვიჩვე-ნებს, რომ სხვა-და-სხვა დროს სახელმწიფოს სხვა-და-სხვა უფ-ლება ჰქონია, ხან მეტი და ხან ნაკლები სამოქმედო, ხან ფართო, ხან ვიწრო სარბიელი. ესრედ წოდებული პოლიტიკუ-რი ლიბერალიზმი, როგორც სწავლა, თეორია, მეტად ფართო

ასპარეზის უფარგლავს თავისუფლებას, უკიდურესად ავიწროებს სახელმწიფოს ზრუნველობას. ამ თეორიის მომხრეთა სიტყვა „თავისუფლება" მიაჩნიათ დასაბამად და დასაწყისად პოლიტიკური სიბრძნისა, მათთვის სულ ერთია, რაც უნდა მოხდეს ცხოვრებაში, ოღონდაც კი „თავისუფლება" ნუ დაიჩაგრება. ეს თეორია მეტად აყვავდა საფრანგეთში და უკან მოჰყვა რეაქციონურ პოლიტიკურ დოქტრინას, რომლის წარმომადგენლებათ ირიცხებიან ბონალდ, დე—მესტრ. თუ სად დაჰკრავს „წმინდა" ლიბერალთა სჩანს იმ ფაქტიდგან, რომ 1875 წლის ზოგიერთმა ლიბერალებმა (ამათში იყო თითონ გამოჩენილი პოლიტიკური მწერალი ლაბულე) მხარი მისცეს სასულიერო წოდებას, რომლისაც ხალხის წარმომადგენლთა სურდა ჰქონდეთ უმაღლესი სწავლის თავისუფლებაზედ. რისთვის?—იმიტომ რომ გითხვა იყო ამ სწავლის „თავისუფლებაზე" და აბა როგორ შეიძლებოდა მისი უარის-ყოფობა. იეზუიტებსაც მეტი არა უნდოდათ რა მოკლე ხანში დაარსეს უნივერსიტეტები ლიონში, ლილში და განუწყვეტლივ გაამართეს ლაპარაკი, რომ მხოლოდ სილლაბუსის სწავლას, ე. ი. სარწმუნოების და სამღვთო წერილის შესწავლას და აღსრულებას შეუძლიან კაცობრიობის გაბედნიერება, იმის დახსნა ჯოჯოხეთიდგან. და რა არის თითონ ეს ჯოჯოხეთი? სილლაბუსის სიტყვით: აწინდელი მეცნიერება, საზოგადოებრივი პროგრესი! ეს მაგალითი—არა ერთისა და ორისა შესაძლო არს მოყვანა—გვიჩვენებს—თუ რა სისულელესთან მიიყვანს კაცს და საზოგადოებასაც უკიდურესი პოლიტიკური ლიბერალიზმი. ასე არა სწამთ არათუ ინგლისში, თითონ საფრანგეთშიც ლიბერალიზმის პრინციპი იმ პირთ, რომელნიც ნამდვილი მომხრენი არიან ხალხის და კაცობრიობის წარმატებისა და, მაგ., გამოჩენილი რადიკალი მწერალი კინე თავის თხზულებაში «ხალ-

ხის განათლება“ თხოულობს ლიბერალიზმს თავი დაანებოს სა-
ზოგადოებამ, რომლისაც საქმე გვაქვს წარმატების მტრებთან.
ვგონებ ეს ჩვენი საუბარი იმ ძველ აზრსაც ამტკიცებს, რომ
სახელმწიფოს, როგორც იურიდიულ პირს, უფლება აქვს სა-
ხალხო განათლების საქმეში ერიოს. რამდენად ვრცელი და
ფართო უნდა იყოს ეს უფლება? პოლიტიკური ისტორია ამა-
ზე სხვა და სხვა პასუხს იძლევა. თუმცა ამ უფლების სიღრმის
და სივანის გამოსახვა რომელიმე ფორმულით მკითხველს არ
მოეწონება და მოითხოვს საგნის ვრცელ ახსნას, მაგრამ ჩვენ
მაინც ფორმულას უნდა მივმართოთ. მთავრობის უფლება
თავდება იქ, სადაც იწყობა მფლობელობა პედაგოგიური
კანონების, მეცნიერებისა, სწავლისა ამ დედა-კითხ-
ვას თან მოსდევს მეორე კითხვა: რა ნაირი უნდა
იყოს ურთიერთობა ცალკე პიროვნების, საზოგადოების*) და
სახელმწიფოს შორის? თითოეულ ამათგანს თავის სარბიელი
უნდა ჰქონდეს . . . ჩვენის აზრით (ამას ამბობს თვით
შტეინიც), აწინდელ დროს სახალხო სკოლა თვით მმართველო-
ბის, «საზოგადოების» საგნათ შეიქნა. თითონ ამ საგანზე სჯა
გაიმართა ტრაქტატების ფურცლებზე. მაგრამ ეხლაც თეო-
რეთიულადაც არ არის გამოკვლეული — როგორ უნდა
მოთავსდნენ ერთი ერთმანეთთან სკოლა და „საზოგადო-
ება“ . . . სწავლა „საზოგადოებაზე“ ახლად შობილია,
იგი ოძგა (გერმანიაა სამშობლო) ჩვენ დროს და, ჩვენს

---

(* სიტყვას „საზოგადოება“ ვხმარობთ ჩვენ იმ მიზნით, რო-
რორც ის იხმარება ახალი „საზოგადოებრივი უფლების“ წარმომადგე-
ნელთა ნაწერებში . . .

აზრით, იშვა როგორც რეაქცია პოლიტიკური ცენტრალიზაციის სწავლისა. ნაყოფიერ მომავალს ჰპირდება ეს ახალი სწავლა სახალხო სკოლას... ერთი შენიშვნაც. თითონ ეკლესიას, უმეტეს ნაწილათ სილლაბუსის მადიდებელს, ჩვენ ვაძლევთ უფლებას. ეკლესიაც იურიდიკული პირია, იმასაც თავის საკუთარი საქმეები აქვს. რელიგიური კულტი და არა სხვა რაიმე უნდა იყოს სწავლის საგანი ეკლესიისა, მაგრამ სახალხო სკოლაში კი არა. სხვა უფლება მას არა აქვს.

## XVI

ინგლისის სახალხო სკოლის ისტორია, საზოგადოთ რომ ითქვას, არის ისტორია ბრძოლისა სახელმწიფოს და თვითმმართველობის შორის, აი ეს მოთხრობა: ინგლისელებმა მხოლოდ წარსული საუკუნის მეორე ნახევარს მიაქციეს ყურადღება სახალხო სკოლას. ამ დროს დაარსდნენ საზოგადოებანი, რომელთაც მიზნათ ჰქონდათ მარტო გლახაკების და მაწანწალა ბავშვების სწავლა-აღზრდა. მალე გაჩნდნენ საკვირაო სკოლებიც. ამ სკოლებს ეკლესიური მიმართულება ჰქონდათ . . . იქ, სადაც ბავშვი კვირაში ერთხელ და ისიც რამდენიმე საათს სწავლობს, ვინც კი გაჩნდება — იმის ხელმძღვანელობით, იქ, ვამბობთ, ბევრი ხეირი არა იქნება რა. ასე გასინჯეთ, რომ ეხლაც კი ნახევარი ნაწილი ბავშვებისა ინგლისში და უელსში პირველ დაწყებით სწავლას იღებს საკვირაო სკოლების შემწეობით (Окольскійс, тр. 161). ინგლისელები დიდ მნიშვნელობას აწერენ ამ სკოლებს, უწოდე-

ბენ მათ შემაერთებელ და დამაკავშირებელ ძალათ დაბალი და მაღალი წოდებისა, მაგრამ თუ მკითხველი არ დაივიწყებს მოწქალების ხასიათს, რომელიც იმათ ჰქონდათ, მაშინ ადვილად დაინახავს, რომ ისინი უფრო შურს, შუღლს, მტრობას აღვიძებენ და ზრდიან ხალხში. ამ საუკუნის დამდეგს პარლამენტმა მოახდინა გამოკვლევა, შეეტყო — თუ რა მდგომარეობაში იყო სახალხო სკოლის საქმე. აღმოჩნდა, რომ ბავშვების მეათედმა ნაწილმა ძლივას იცოდა წერა-კითხვა. საზოგადოებამ დაინახა თავისი უმეცრობა. შეიქნა მოძრაობა. 1808 წ. გამოჩენილმა ლანკასტერმა დაარსა «ბრიტანიის და უცხოქვეყნიური სასკოლო საზოგადოება». სამი წლის შემდეგ შესდგა მეორე საზოგადოება „ნაციონალური საზოგადოება ბელლის მეოხებით, თაოსნობით. ერთმა და მეორე საზოგადოებამაც მიიღეს გასხვებითი სწავლა (როდესაც უფროსი და მომზადებული შაგირდი ასწავლის უმცროსს). ლანკასტერის საზოგადოებას უფრო კარგი მიზანიც ჰქონდა და საღი მიმართულებაც, ასპარეზი მარტო ინგლისის არ შეიკავდა, არამედ სხვა ქვეყნებისაც, მან ყურადღება მიაპყრო უფრო საერო სწავლას. «ნაციონალური საზოგადოება» წინათვე დაადგა ვიწრორელიგიურ-ინგლისიურ მიმართულებას და შეიქნა ბუდეთ არისტოკრატიისა. ბოლოშად მოურიგდნენ წევრები. საჭირო იყო წლიწადში შვიდი მანეთის შეტანა წევრის უფლების მისაღებად. საზოგადოება ორმას არა ზოგავდა — უხვად აარსებდა სკოლებს. სწავლა მღვდლების ხელთ იყო, ადგილობრივი კამიტეტი განაგებდა სკოლის ნივთიერ მხარეს (Васильчиковъ, стр. 81). მალე, თითქმის პირველადვე დაიწყო შუღლი და ცილი ამ ორ საზოგადოებას შორის. თუ მკითხველი არ დაივიწყებს, რომ ბელლმა თავის საზოგადოება დაარსა ლანკასტერის წინააღმდეგ, მაშინ თითონაც გაიგებს, რომ საქმე უმიზეზოდ არ მო-

ხერხდებოდა. ლიბერალებმა და კონსერვატორებმა შფოთის ვე-
ლი ამ სკოლების ჭერებს ქვეშ გამართეს. ლიბერალები მფარვე-
ლობდნენ ლანკასტერს, კონსერვატორები — ბელლს. ამ ბრძოლამ
უფრო გაამწვავა ის უფსკრული, რომელიც წინათაც იყო პირ-
ველ და მეორე პარტიას შორის. თუმცა ჯიბრს ბევრი რამ შე-
უძლია, მაგრამ მარტო საზოგადოებამ ვერა გააწყო რა. შე-
კრებილ სტატისტიკურ ცნობებმა გამოააშკარავეს, რომ ზემოდ
ნახსენები საზოგადოებანი სკოლებს მართავდნენ სქელად დასახ-
ლებულ ადგილებში და იქ, სადაც. მრეწველობის მეოხებით,
სიმდიდრე იყო მოფენილი. და ამ ადგილებში კიდე ბავშვების
სწავლა ვერ მოხერხდებოდა იმ მიზეზის გამო, რომ ქარხნების
პატრონები ბავშვებს თითქმის მთელი დღე ამუშავებდნენ. ჯერ-
ეხლა რა არის ქარხნის პატრონი და მაშინ ხომ უძლო და
უბუდო ცხოველი იყო. საჭიროდ სცნეს უბედური ქარხნის
ბავშვების მდგომარეობა ცოტათი მაინც შეეცვალათ. ეს ქრისტი-
ანული და კეთილ-მობილური საქმე ითავა რობერტ პილმა (20
წ. წ.), რომლის ბილლი (კანონი) შესანიშნავია იმით, რომ
ქარხნის მეპატრონეებს აეკრძალათ, დღეში თორმეტი საათის
მეტი ემუშავებინათ ბავშვები. წინათ, სანამდის ეს კანონი გა-
მოიცემოდა, მთელი დრო, გარდა იმისა, რაც საჭირო იყო ძი-
ლის და სადილ-ვახშმისათვის, ბავშვებს ქარხნებში სამუშაოდ
უნდებოდათ. მეორეც ეს, რომ რობერტ პილის კანონმა დააწე-
სა, ქარხნის პატრონებს თავის ხარჯით სკოლები გაემართნათ,
სადაც მუშა-ბავშვებს, სულ ცოტა, ოთხი წელიწადი მაინც უნდა
ესწავლათ. ეს კანონი იყო პირველი ნაბიჯი და ზომიერება,
რომელმაც შეცვალა ჩვეულებრივი შეხედულობა ინგლისელების
სახელმწიფოზე და გაავრცელა მათში ის აზრი, რომ თავისუფ-
ლებას ცოტა რამე უნდა მოაკლდეს, როდესაც საქმე წარმატე-

ბაზე მივარდება; მაგრამ მკითხველიც ჰხედავს — რა უშვერული და უღონო იყო პილის ბილლი. ის იყო აღება კიარა მოწინააღმდეგების ბანაკისა, არამედ ამ ბანაკის დაზვერვა, წვრილმანი შეტაკება. ინგლისელების ერთი ხასიათი სჭირთ: იმათ საქმეზე ზედ შევარდნა არ იციან, დინჯათ იწყობენ ყველაფერს; იმათში რეფორმა ჯერ უნდა აიწონ-დაიწონოს, ყოველმხრივ გაისინჯოს, გახდეს ყველასთვის მსჯელობის საგანი და მერე ან განონათ გარდაიქცეს, ან არა და განდევნილ იქმნას. ამისათვისაც ინგლისის ცხოვრების მოძრაობას, რეფორმების ისტორიას გაუბედაობის, თითქმის სიმხთალის ხასიათი ემჩნევა, ეტყობა. ამ მხრით ინგლისი მეტათ განირჩევა საფრანგეთისაგან. ფრანცუზი შეუპოვარია, მამაცი. . .

ლიბერალურმა პარტიამ მილლის მოთავეობით გამართა ბრძოლა, წინ აუდგა საზოგადოებრივ აზრსა, თხოულობდა სახელმწიფოს მაგრამ ხელი მოეკიდნა სახალხო სკოლისათვის. საზოგადოება კი იმ აზრისა იყო, რომ სწავლა-განათლება ოჯახის საქმეა და სახელმწიფოს მასთან შეხება არა აქვს. აშკარად სჩანს — რა დიდ ძალასთან ჰქონდა საქმე ახალ მოძრაობას. პარლამენტში მილლს მხარე მისცეს ჯონ რასელმა და ლორდ ბრუმ. შემდეგ დიდის შფოთისა გაიმარჯვეს ლიბერალებმა. დაარსდა კანონი (1833 წ.), რომლის ძალით სახელმწიფოს უნდა ეძლია ზემოდ მოხსენებული ორი საზოგადოებისათვის ფულით შემწეობა (20,000 ф. ст.). ჯერ-ჯერად ეს გამარჯვებაც კარგი იყო, კარგი იყო მით, რომ სახელმწიფო პირ და-პირ გაერია სკოლის საქმეებში. ლიბერალურ პარტიას სასოება არ დაეკარგა, სიმხნევეს მოუმატა და ნაყოფიც მალე ნახა. აი როგორ მოხდა ეს საქმე: როგორაც ზემოდ ვსთქვით, სახელმწიფომ ფულით შემწეობა დაუწყო ორ საზოგადოებას. ანგლიკანურმა ეკლესიამ ყოყოჩობა, თავ-კერ-

ძობა გამოიჩინა — ფულები მარტო მე მინდა, სხვა ეკლესიას ნება არა აქვს სახელმწიფო ხაზინასთანაო, კონსერვატორებმა, რასაკვირველია, ანგლიკანური ეკლესიის ქადაგებას ბანი მისცეს. გაიმართა ისევ ბრძოლა პარტიების შორის ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ იბრძოდნენ სხვა ეკლესიების წარმომადგენლები. დიდი ვაივაგლახი ასტყდა. სახელმწიფო თავის ქრეში იყო და შიგ მხოლოდ უცქეროდა, არავის არ დაეხმარა. ბოლო დროს საქმე ასე გათავდა: კოროლმა, პარლამენტის დაუკითხავად, გამოსცა ბძანება (10 აპრილს 1839 წ) და დააწესა კამიტეტი ხუთის წევრით. კამიტეტს თვალ-ყური უნდა ედევნა იმ ფულების მოხმარებაზე, რომელსაც სახელმწიფო საზოგადოების სკოლებს აძლევდა. გარდა ამისა, შემწეობა უნდა მისცემოდათ იმ სკოლებს, რომელნიც უარს არ იტყოდნენ კამიტეტის ზედამხედველობაზე და ეს უკანასკნელი კიდევ (ზედამხედველობა) მდგომარეობდა იმაში, რომ კამიტეტის ინსპექტორებს ნება ჰქონოდათ რევიზია მოეხდინათ და შეეტყოთ, რა მდგომარეობაში იყვნენ სკოლები. ამ საქმეშიაც ჩვეულებრივი სიფრთხილე და, თუ კიდევ გნებავთ, გაუბედაობა გამოიჩინა რეფორმამ და აი რისთვის: ინსპექტორებს არ შეეძლოთ პირდაპირ სკოლის საქმეში გარეულიყვნენ; თავის აზრს ისინი წარადგენდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას სკოლის მთავრობა მათ მოსთხოვდა. შემდეგში (1843 წ.) დაარსდა კანონი, რომლის ძალითაც თითონ სკოლებს საკუთარი ინსპექტორები უნდა ჰყოლოდათ; იმათ ნიშნავდა სამსახურში სასულიერო წოდება. ასე და ამ გვარად დამარცხებული იქმნა ანგლიკანური ეკლესია და მასთან კონსერვატიური პარტიაც. ყველა სკოლას უფლება ჰქონდა შემწეობა მიეღო მხოლოდ იმ პირობით კი, რომ სახელმწიფოსთვის ზედამხედველობის უფლება უნდა მიეცა. საქმე აქ ერთი-

ერთმანერთან მორიგებაზე იყო მიჩემებული. როგორც თითონ
მკითხველიც ჰხედავს, სახელმწიფომ სკოლის საქმეს ხელი მო-
ჰკიდა პირ-და-პირ კი არა, ცალმხრით, ალმაცერად და ამისთვის
უ ვასილჩიკოვი ამ სისტემას უწოდებს ალმაცერი დახმარების
სისტემათ (Васильчиковъ, стр. 85). ამითი არ გათავდა ეს
საყურადღებო საქმე. სახელმწიფო ნელ-ნელა, აუჩქარებლად თა-
ვის გავლენას ავრცელებდა, წინ მიიწევდა, სურდა ბარემ პირ-
და-პირ მოეკიდნა ხელი სკოლის საქმესთვის. წინათ სახელმწი-
ფო შემწეობას აძლევდა სკოლებისთვის სახლების ასაშენებლად
და ისიც მხოლოდ იმ სკოლების საზოგადოებას, რომელსაც
შეეძლო ნახევარი ხარჯი თითონ ეკისრა. შემდეგში (1846 წ.)
ესე დაწესდა: სახელმწიფო ყოველ წელიწადს აძლევდა შემწე-
ობას მხოლოდ იმ სკოლებს და საზოგადოებას, რომელნიც და-
ემორჩილებოდნენ მთავრობისაგან შედგენილ წესებს და ხელ-
სამძღვანელოდ მიიღებდნენ მის (მთავრობის) პროგრამმას. ამას
კიდევ, ცოტა ხნის შემდეგ, სხვა განკარგულება თან მოჰყვა-
დაარსდა კოროლის რამდენიმე სტიპენდია „სამასწავლებელო მე-
გირდებისათვის“. ამათ, გარდა იმისა, რომ სტიპენდია ეძლეო-
დათ სწავლის დროს, „დამატებითი ჯამაგირიც“ გაუჩინეს, რა-
საკვირველია, სამსახურისათვის. კიდევ პატარა ხანს უკან სკო-
ლებს მთავრობამ ფულით შემწეობა მოუმატა. როგორც აშკა-
რად ვხედავთ, აქ საქმე სახელმწიფოს და საზოგადოების ნება-
ყოფლობაზედ იყო. სკოლას სურდა სახელმწიფოს ზრუნველო-
ბის და მხედველობის ქვეშ ყოფილიყო—შემწეობაც ეძლეოდა,
არა სურდა — საქმესი თითონ იცოდა, ძალას არავინ ატანდა.
ასე გახლდათ ინგლისში, მაგრამ ასე არ იყო შოტლანდიაში. აქ
(შოტლანდიაში) ისევ მეჩვიდმეტე საუკუნეს დაწესდა ესრედ
წოდებული ვალდებითი, ძალა-დატანებითი სწავლა. ყოველ სო-

ყოვლის საზოგადოებას სკოლა უნდა ჰქონდეს, გადაკვეთილი იყოს რასაც ნაკლებში ჯამაგირი არ უნდა მიეღოს სოფლის მასწავლებელს, თუ რა ძალაა ეს ვალდებითი სწავლა, სჩანს შოტლანდიის მაგალითიდგან. ამ ძალამ — სხვა გარემოებანიც არ უნდა დავივიწყოთ — მოკლე ხანის განმავლობაში სრულიად შესცვალა გონებითი და ზნეობითი სახე უწინდელი ველური შოტლანდიელისა. შოტლანდიის სკოლა თავის ძლიოვანი მაგალითით ცხადად გვიმტკიცებს — თუ რა შეუძლიან სოფლის სკოლას . . . ყველა ჰასტიოსანმა კაცმა მოწიწებით თაყვანი უნდა სცეს ამ სკოლას მით უფრო, რომ მხოლოდ ამ სკოლის შემწეობით პროგრესი მოეფინება მთელ ხალხს. ზოგიერთ ჩვენ ვაჟ-ბატონებს, კი ჰგონიათ რომ ოჯერ სახლს (ჩვენში გლეხკაცს) პურის ლუკმა უნდა . . . უწინდელი ეკონომიური ურთი-ერთობა სრულებითაც არ ამტკიცებს სასოფლო სკოლის უსარგებლობას; ეს უსარგებლობა ფაქტიურად დამტკიცებული იქნებოდა მხოლოდ მაშინ, რომ სასოფლო სწავლა, როგორც წესია გავრცელებინათ სახლში და მართლა უსარგებლობა გამოაშკარებულიყო. მაგრამ «ჯერ» კი ისტორიას სულ წინააღმდეგს გვიჩვენებს. საქმე იმაში კი არ არის, რომ «ჯერ» სკოლა უსარგებლოა, იგი ხალხს ზნეობით ვერ აღზრდის «(სკოლა რომ სასარგებლოა, ეს ჩიჩიკოვის პეტრუშკამაც კი იცის). არა — როგორი სკოლა არის სასარგებლო, რა ნაირად უნდა გაიმართოს სკოლის საქმე, ე. ი. პროგრამმა, შინაარსი და სხ. — აი რაზე უნდა იყოს სჯა... მეორე მოვლენაც საყურადღებოა: ირლანდიაში დაარსდა საერო სკოლა. ეს გახლდათ ვატიკანის მოხერხება... ირლანდიის კათოლიკები ლატაკნი არიან. მათ უჩნიეს შეუერთდით პროტესტანტებსაო. საზოგადო ხარჯზე გაიმართნენ სკოლები. პაპას საერო სწავლა ბოროტ ქმნილებათ

მიაჩნია. ირლანდიაში კი ნება მისცა კათოლიკებს ამ სწავლისა. რისთვის? — ხომ იცით პაპის პოლიტიკა: სადაც რა გამოდგება.

---

როგორც დავინახეთ, სკოლა ინგლისში თვით-მმართველობაზე აშენდა და ეკონომიურმა წყობილებამ ამ სკოლას ფილანტროპიული მიმართულება მისცა. როგორც სხვა სახელმწიფოებში, აქაც ეკლესიამ მაგრად მოკიდა ხელი სკოლის საქმეს. ერთის მხრით ეკონომიური მიზეზები, მეორეს — ეკლესია შეიქნენ იმ მოვლენის საფუძვლად, რომ ინგლისში სკოლა ყველა ადგილას ერთნაირად არ კეთილ-დღეობდა და სადაც კი ეს კეთილ-დღეობა მოიპოვებოდა, იქ კეთილ-დღეობას ეკლესიური ფერი ედო. ეკონომიური ურთი-ერთობა და ეკლესია გახდნენ კიდევ იმის მიზეზათ, რომ თვით-მმართველობა მავნებელ გზას დაადგა და გამოიწვია სამოქმედოთ სახელმწიფო ზრუნველობა. და, ვგონებ, ინგლისის სკოლის ისტორია ამტკიცებს იმ ჩვენ დედა-აზრს, რომ ხალხი, როგორც საზოგადოებრივი სხეული, ჰარმონიულად უნდა იზრდებოდეს . . . ინგლისში პოლიტიკურ ელემენტმა დასჩაგრა სხვა ელემენტები და ეს იყო, სხვათა შორის, უმთავრესი მიზეზი იმ საყურადღებო მოვლენისა, რომ პროგრესიული პარტია ელტვოდა პოლიციურ ზრუ-

ნველობას სახელმწიფოისას; კიდეც დაარღვა ეს მზრუნველობა, მაგრამ ისევ თვით-მმართველობა დარჩა სკოლის საძირკველად, მზრუნველობამ მხოლოდ აღადგინა დაფუშული ჰარმონია საზოგადოებრივი სწავლისა, რამდენაც შესაძლო იყო ეს აღდგენა. ეხლა სკოლა საზოგადოების საქმეა, თუმცა კი სახელმწიფოს გავლენა აქვს სახალხო განათლებაზე, უფლება მასზე მზრუნველობისა. ეს თვით-მმართველობა ფორმალურად აღვიარებულია კანონით. უკანასკნელი, ე. ი. კანონი, გამოიცა 1870 წ. (Лавлей, 149 стр.). ეს კანონი ჰბაძავს შოტლანდიის სისტემას, თუმცა კი არა-სრულიად. საზოგადოებამ (община) ხარჯი უნდა აძლიოს სკოლას და ეს ხარჯი არ უნდა იყოს მიზეზი სახელმწიფოს ფულით შემწეობისა — ხარჯი ხარჯათ, შემწეობა — შემწეობათ. უწინ მხოლოდ საზოგადოებას ჰქონდა უფლება სკოლის გამართვისა, ეხლა მას ეს უფლება ჩამოართვეს და ჩააბარეს სახალხო განათლების დეპარტამენტს, რომელიც ნიშნავს კომიტეტს იმ განზრახვით, რომ მან სკოლები გამართოს. მეორე დიდი ცვლილება ამ კანონისა: მან სკოლიდგან განდევნა თეოლოგიური ელემენტი, რომელიც სკოლას აშენებდა, რომელიც იყო უმთავრესი მისი ტვინი, სული. კომიტეტისაგან დადგენილ სკოლებში, რომელთაც სახელმწიფო ფულს აძლევს, ვერ მოიპოვებთ ეკლესიურ კატეხიზმოს. . . . ყოველ წოდებას ნება აქვს გაკვეთილები მისცეს ან წინ და ან შემდეგ საზოგადო გაკვეთილებისა. აქაც ღვივის სინიდისის თავისუფლება! თვით შინაარსს სკოლის წყობილობისას შეადგენს „სასკოლო რჩევა", რომლის ხელთ არის სკოლის გამგეობა. სასკოლო რჩევა შეიცავს მარტო ერთ საზოგადოებას კი არა, სახალხო განათლების დეპარტამენტს შეუძლიან რამდენიმე ქალაქის და სოფლის საზოგადოება შეაერთოს ერთ

სასკოლო მაზრათ და ამ მაზრას ერთი სასკოლო რჩევა დაუნიშნოს. ეს რჩევა აშენებულია თვით-მმართველობაზე და აი-როგორ: ამის წევრებს ირჩევენ ყველანი — მიწის მუშაკნი (რამდენიც უნდა ჰქონდეთ მიწა, სულ ერთია), სახლის პატრონები და სხვ., რომლებიც ხარჯს აძლევენ (Павлей, стр. 153). რჩევას ნება აქვს ვალდებით და უფასოთ სწავლა დაარსოს. თუ განათლების დეპარტამენტი შენიშნავს, რომ რჩევა გულმოდგინედ და მუყაითად არ ეკიდება სკოლის საქმეს, თანამდებობას კარგად ვერ ასრულებს, უფლება აქვს დაითხოვოს ის და თითონ დანიშნოს ახალი რჩევა. ამ ახალი რჩევის წევრებს თითონ დეპარტამენტი ნიშნავს. ახალი რჩევა მოქმედობს დროებით, იმ ნაკლის შესრულებამდე და შეცდომების გასასწორებლათ, რომლებიც მოუვიდნენ საზოგადოებისაგან ამორჩეულ რჩევას. როდესაც დეპარტამენტის რჩევა თავის დანიშნულებას შეასრულებს, მაშინ ისევ საზოგადოება ამოირჩევს სასკოლო რჩევას ჩვეულებრივი წესით. თითონ რჩევა ვერ გასწევს ხარჯს. ეს ქალაქებში ერობის საქმეა (Муниципальный Совѣтъ), სოფლებში კი საზოგადო ყრილობა მოხდება სადმე და ამ ყრილობას ეკუთვნის უფლება ხარჯის გაწერისა.

თითონ შინაგანი სკოლის წყობილობა მის თავისუფლებაზე არის აშენებული. ადმინისტრაციული ჩხირკედელაობა, რეგლამენტაცია, მასწავლებლის დამორჩილება ასეთი თუ ისეთი სისტემასადმი არ იცის ინგლისის სკოლამ. აქ მასწავლებლის სინიდისს და იმის გონიერებას ჯეროვანი და ფართო მოედანი აქვს მიზნამდი. და არც გამოდგება პედაგოგიური რეგლამენტაცია ინგლისში, მას ეწინააღმდეგება თვით ცხოვრება ამ ხალხისა. —

## XVII

ინგლისის და საფრანგეთის შუამია პრუსიის სახალხო განათლების სისტემა. თუ ინგლისის სულს და გულს შეადგენს თვით-მმართველობა, საფრანგეთის სისტემის—ცენტრალიზაცია, პრუსსია არც ერთს არის მოკლებული და არც მეორეს, მას სისტემაში ვპოვებთ თვით-მმართველობასაც და ბიუროკრატიულ რეგლამენტაციასაც. პრუსიის მართებლობა არ არის ისეთი ვეშაპი, როგორც საფრანგეთისა; პირველი პატივს სცემს მაზრების ადგილობრივ ჩვეულებებს, მათ წარსულს (Павлей, стр. 108). ხალხი არ არის განდევნილი სკოლიდგან, მას აქ ხმა აქვს და საქმე ეკითხვის, მაგრამ სკოლა წარმოადგენს პოლიტიკურ მაშინას და ეს მაშინა ემსახურება სახელმწიფოს ფეოდალებით და ეკლესიითურთ. და რა არის თვით პრუსია? ფეოდალების და ეკლესიის სახელმწიფო. ეს უკანასკნელი (სახელმწიფო) დასაწყისიდგანვე ერთსა-და იმავე მიზანს მისდევდა—საზღვრების გაფართოებას, მიწა-მამულის შეძენას. ამისთვისაც პრუსია ყოველთვის იყო და აწცა არის სამხედრო ბანაკი. «გერმანია, ამბობს გიპპო, დიდი ხნის განმავლობაში უმეტესად იმას აკეთებდა, რომ უზრდიდა არისტოკრატიულ და მონარხიულ მართებლობათ მორჩილ და გამგონ ქვეშევრდომებს, იქ სახალხო განათლება დაიწყო და მიმდინარეობდა ხელმწიფეების და სასულიერო წოდების უსათუო ავტორიტეტობის მრჩობლ გავლენის ქვეშ,, რომელთაც ის განსაკუთრებით ემორჩილება (Общественное образованіе въ Германіи, стр. VII, Гиппо) სახელმწიფომ, რომელშიაც ბედნიერად სცხოვრობენ ფეოდალები და სასულიერო წოდება, სკოლას თუმცა მარჯვედ მოჰკიდა ხელი,

მაგრამ ამ სკოლის წყალობით თვით ხალხი კი გაღარიბა. სკოლის ტვირთი, მისი მძიმე ხარჯი კისერზე აწევს დაბალ ხალხს და ეს კიდევ არაფერი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სკოლა არის დაწესება, რომლის ძალითაც თვით ხალხი ფეოდალების და ეკლესიის მორჩილებაშია. საკვირველია პრუსიის საქმე იმ დროს, როდესაც ის მილიონებს არ ზოგავს ჯარზე, რვა კაპიკს — ორ შაურს ძლივს იმეტებს თითო სასოფლო სკოლის შეკეთებზე. ფეოდალები სრულებით განთავისუფლებულნი არიან სკოლის ხარჯიდგან, სკოლა კი იმათი სამხედრო მუნდირის ყურ-მოჭრილი ყმა არის. მთელი ხარჯი დაბალ ხალხს აწევს და ბევრს მაზრებში სკოლა მართლაც რომ დიდი უბედურებაა, მეტადრე იმ ოჯახებისათვის, სადაც ბავშვები ბლომად მოიპოვებიან, სკოლის ხარჯი ოჯახს ბევრჯერ პურ-ლუკმას უწყობს, მას აღატაკებს. კანონის ძალით ხარჯის შეტანა თვისა და თვის თავზეა გადაკვეთილი და უბედურება მეტადრე ის არის, რომ ხარჯის გაწერა თვით საზოგადოებას არ ეკითხვის, ეს მთავრობის საქმეა და ამ უკანასკნელს (მთავრობას) კიდევ არა აქვს მიღებული რომელიმე სამართლიანი ზომიერება. და ან როგორ და რის მეოხებით შეუძლიან მთავრობას წესიერად და სამართლიანად ხარჯის გაწერა, როდესაც საზოგადოებას, ხალხს ამ საქმეში არა ეკითხვას რა? ამისთვისაც დიდს უსამართლობას, ხალხის დიდ მეწუხებას ვხედავთ პრუსიაში. თითონ სწავლის ფასი მეტად დიდია. საზოგადო რიცხვი რომ ავიღოთ სწავლის ფასი შეადგენს 31 %, საზოგადო დებულობაა (საზოგადოებისაგან შეკრებილი ხარჯი) 65 %, ხაზინა ხარჯავს მარტო 4 % თვით პრუსიის მთავრობამაც იგრძნო დაბალი ხალხის მძიმე ტვირთი, მოინდომა ამ ტვირთის შემცირება. მას სურდა მოესპო სწავლის ფასი და მის მაგივრად დაეწესებინა სასოფლო გარდასახადი, მაგრამ ამ ზომიერე-

ბას წინ აღუდგა ფეოდალების პარტია და მთავრობა იძულებუ-
ლი იყო თავის განზრახვა დაეტოვებინა. პრუსიის ფეოდალებს
მეტად უყვარსთ ლიბერალობა და ხალხის კეთილ დღეობაზედ
ზრუნვა, როდესაც მათ შეწუხება კარზე ადგიათ და ამ
უკანასკნელმა მიზეზმა გააბედვინა მათ 1850 წელს სწავლის
ფასის დროებით მოსპობა, მაგრამ შიშიც და ელდაც მალე გა-
ნქქრენ და ფეოდალები მიეცნენ უწინდელ ჩვეულებით ცხოვრე-
ბას, ხალხი მშრალზე დარჩა. «პრუსიული სისტემა, ამბობს
თვით-მმართველობის ავტორი, წარმოადგენს საოცარს და სა-
მწუხარო მაგალითს დაბალი და უღარიბესი მცხოვრებლების წო-
დების შევიწროებისას ერთის მხრით მმართებლობისაგან, მეორეს
— მამულის მექონეთა წოდებისაგან. ასე რომ გადაჭარბება არ
იქნება ითქვას — მთელი სიმწარე ამ მაღალი გერმანიული ცივი-
ლიზაციისა პირველ-დაწყებითი სწავლიდგან, ვიდრე უმაღლეს
განათლებამდისინ კისერზე აწევს საკუთრად დაბალი წოდების
მცხოვრებლებს და ეს სიმწარე პროგრესიულად მიმდინარეობს
ზემოდგან ქვემოდ და ბოლო დროს თავს აწვება უქონელს და
უღარიბეს ოჯახების პატრონებს!» (Кн. Васильчиковъ, стр.
22—23). ამ გვარ შეწუხებას და შევიწროებას კიდევ აიტანდა
ყოველად სულგრძელი და მომთმენი ხალხი, მაგრამ საქმე იმაშია,
რომ თვით სკოლა პრუსიაში ხალხის გონების, მისი გრძნობის
დამახინჯების საშუალებაა; აწინდელი ფეოდალების და იუნკრების
ძლიერება, მათი კეთილ-დღეობა ამ დამახინჯების შედეგია. სად
ასწავლიან ამ «მახინჯობის მეცნიერებას»? სამასწავლებლო სასწა-
ვლებელში (Учительскя Семинарія) ანუ საოსტატო სემინა-
რიაში. აქ იწვრთნება ახალ-გაზრდობის გონება ეკლესიისა და
სახელმწიფოსადმი მომავალი მუშაობისათვის, აქ მომავალი სა-
სოფლო მასწავლებელი იკვებება პრუსიის სახელმწიფო პოლი—

ციური მეცნიერებით, სწავლობს მის პოლიტიკურ სიბრძნეს. და რა არის თვით პრუსიის სამასწავლებლო სემინარია? — ყაზარმა და არა სხვა რამე. როგორც ყაზარმაში, ისე სამასწავლებლო სემინარიაში სრული მორჩილება სუფევს, ყოველი ნაბიჯი მოქმედობისა გაზომილია, თავისუფლება განდევნილი. სახელმწიფო პროგრამმას ადგენს და პროფესორები კიდევ ყურ მოჭრილნი ყმები არიან ამ პროგრამმისა. სახელმძღვანელო წიგნებსაც სახელმწიფო ნიშნავს. შაგირდები ლეჭავენ აფიციალურ სწავლას, როგორც თვით ჯარი ლეჭავს სახელმწიფო პრუსიის მქხვს. შაგირდი სწავლობს იმას, რასაც უბძანებენ და რაც მოსწონს სახელმწიფოს. და რა მოსწონს სახელმწიფოს, ეს ხომ იცის ჩვენმა მკითხველმა. კერძო პირისაგან დაარსებული სასტატო სასწავლებლებიც სახელმწიფოს ხელთ არიან, მას ემორჩილებიან.

სასოფლო მასწავლებლების ყრილობასაც (კონფერენციას) ხალხისათვის სარგებლობა არ მოაქვს პრუსიაში, სწავლის საქმეს ვერ ეხმარება და აი ამის მიზეზიც. პირველად, რომ ყრილობის თავს-მჯდომარე პირი ან პასტორია, ან ყურ-მოჭრილი ყმა სახელმწიფოსი — ჩინოვნიკი. მეორედ — თავისუფალი მსჯელობა აკრძალულია; ფართო კრიტიკას აქ ადგილი არ უჭირავს. ნება არავისა აქვს განიხილოს სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებანი, მისი მოქმედებანი...... მკითხველსაც ეცოდინება, რომ პრუსიის კონსტიტუციის ძალით მინისტრი პასუხის მგებელია ხელმწიფის და არა ხალხის წარმომადგენელთა წინაშე, ის ხელმწიფეს ემორჩილება და არა სხვა ვისმეს. და იცით რა? ამ რამდენიმე თვის წინათ ბისმარკმა პრუსიის კონსტიტუციის წყალობით და დახმარებით თვით რეიხსტაღში, ცოტა გასწყდა, კრივი არ გამართა და მუშტით არ დაუმტკიცა ხალხის წარმო-

მადგენელებს, რომ კონსტიტუციის ხელმწიფის ნებას და მას ემორჩილებს! — კონფერენციაზე მასწავლებლები თავისუფლად არ არიან. რისთვის არის ასე? რა არის მიზეზი, რომ საოს-ტატო სემენარიის შაგირდი ვერ წარმოადგენს თავისუფალს არსებას? პირველად ისა, რომ სამხედრო სახელმწიფოში თავის-უფლება არ მოხერხდება, — ამ მოვლენას თავისი ისტორიული საბუთი აქვს და აი ეს საბუთიც. . . . .

როდესაც პირველ ნაპოლეონმა შემუსრა პრუსია, უკანასკნელმა მიმართა თავის ხალხს, აღუთქვა მას სხვა-და-სხვა ბედნიე-რებას, ხალხი დაეხმარა სახელმწიფოს და განსაცდელისაგან გამოიხსნა თვით გოგენცოლერნი. შემდეგში, როდესაც რეაქცია შევიდა მართებლობაში, სახელმწიფომ საოსტატო სემინარიები განაწყო უაზრმულ წესზე . . . რეაქციული კანონი, რომელიც შეიმუშავა უ შტილმა და რომელიც გამოიცა 1854 წ. მართლაც რომ საკვირველებაა. ამ კანონს სკოლა ნამდვილ მონასტერ უა-ზრმათ აქვს აღვიარებული. დაწვრილებით არის განმარტებული ყოველი ნაბიჯი მასწავლებლისა, საზღვრებია მისი მოქმედებას ყოველ შემთხვევაში. თუ რა და როგორ უნდა ასწავლონ — ვრცლად არის დაწერილი სრული მორჩილება, „კეთილ-წესი-ერება“ — აი რაზედ ამოყვანილი საძირკველი ამ რეაქციული კანო-ნისა. აი თვით მისი შინაარსიც: სახელმწიფო კატეხიზმო უ-რიცხვი ლოცვებით, სამხედრო სიმღერებით, ვიწრო და დამყა-ყებული პატრიოტობა, სამხედრო ვარჯიშობა, პროტესტანტიზ-მი უ. შტილმა ახალი არა დააწესა რა — დიდი ხნის პრუსიის ხვედრად ერგო პოლიციური „კეთილ-წესიერება“ და სამხედრო ბანაკი . . . . . შტილმა განიმეორა, თუმცა კი სასტიკად, მხოლოდ ის, რაც ცხოვრებაში იყო განხორციელებული და რაიც შეირყა 48 წლის ამბოხების შემწეობით. დამყარდა რეაქცია — დამყარდა

სანატრელი სიმშვიდეც, სიჩუმე, „კეთილ-წესიერება“. თვით სკოლაში ქიმუნჯვმა, მუჯლუგუნმა და სხვა ამ გვარ პედაგოგიურ ვარჯიშობამ დაავგვირგვინეს „კეთილ-წესიერება“. სასულიერო წოდების პირნი იყვნენ სკოლის მოხელენი, ვიდრემდისინ თავად ბისმარკმა არ დაიწყო თავის „კულტურული ბრძოლა“ კალეკის წინააღმდეგ (1872 წ.), მაგრამ შემდეგ ამ ბრძოლისა უპირატესობა მიეცა სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოს მიზანი, მიმართულება მოკლედ აუხსენით მკითხველს და იმან იცის - თუ რა სული ტრიალებს პრუსიის სკოლაში «ეხლანდელი პრუსიის სკოლის განწყობილება, ამბობს უ. მიხაილოვი, ისეთივეა, როგორც სამხედრო განწყობილება აქ მეფობს იგივე წესი, იგივე დისციპლინა, იგივე სისწორე. მასწავლებელი, როგორც ინგლისში, კერძო პირი კი არ არის, რომელიც ცდილობს თავის პიროვნული ღირსებებით დაიმსახუროს მწყალობლობა შაგირდებისა და მათი მშობლებისა. არა, ეს არის ჩინოვნიკი. იმას ემორჩილებიან, იმისათვის რომ უნდა ემორჩილებოდნენ. უარ-ყოფას ბავშვი რაცხს ურჩობად, კერძო შეცდომილებანი კი არა, არამედ სახელმწიფოს წინაშე შეცოდებათ» (Михайловъ, стр. 138–139). მასწავლებელი მუნჯი არსებაა, მის პიროვნება დათრგუნვილია, ის ასრულებს მარტო ბრძანებას. ის მხოლოდ სახელმწიფოს უზრდის მორჩილ ყმებს და ამ უკანასკნელებს კიდეც «რკინის და სისხლის კაცი“ ხან ასე უზამს თავს, ხან ისე. გადაიკითხეთ პოლიტიკური მატიანე პრუსიისა და მაშინ დარწმუნდებით — თუ რა დიდად არის აქ ხალხი ჩაფლული მონობაში სკოლის მეოხებით..

---

1819 წლამდისინ პრუსიას განათლების მინისტრი არა

ჭყავდა. სახალხო განათლების საქმეებს განაგებდა შინაგანი საქმეების მინისტრი, ე. ი. ისეთი პირი, რომლის უპირველესი თანამდებობას „კეთილ-დღეობის“ დაცვა შეადგენს. პირველადვე სკოლა და პოლიცია დაკავშირდნენ, უკანასკნელმა სძლია პირველი, დასდო მას თავის იერი. ვერცარა დიდი სარგებლობა მოუტანა სკოლას „განათლების მინისტრის“ დაწესებამ, სკოლას ეხლაც პოლიციური იერი არ გადასვლია. როგორია ამ სკოლის მენობა, მისი გაწყობილება? მეტად რთული, ბიუროკრატიული. სკოლის გაწყობილობა სრულიად ეთანხმება, წააგავს ადმინისტრაციის იერარქიულ გაწყობილობას. პრუსიის ადმინისტრატიულ კიბეს ოთხი საფეხური აქვს, თვით სკოლის მენობის კიბესაც აგრეთვე ოთხი საფეხური უდგია. და აგერ თითონ ეს მენობაც 1., სოფელში სკოლის საქმეებს განაგებს ადგილობრივი სოფლის კომიტეტი; კომიტეტს ირჩევს საზოგადოების რჩევა. კომიტეტის წევრებად ითვლებიან მზრუნველი, რომელიც უნდა იყოს უეჭველად ადგილობრივი ფეოდალი, მებატონე, მერე სოფლის მღვდელი და კიდევ 3—4 ოჯახის უფროსები, პატრონები. ფეოდალს მეტად დიდი უფლება აქვს მინიჭებული, სკოლის მასწავლებლის ამორჩევა მის ხელთ არის, ის ნიშნავს მასწავლებელს, მთავრობა მხოლოდ ამტკიცებს მას თანამდებობაში. თუ ვის, როგორ კაცს ამოირჩევს მასწავლებლად ფეოდალი—ეს მკითხველმა უნდა იცოდეს. კომიტეტის თავმჯდომარე უეჭველად უნდა იყოს მათი მაღალკურთხევა პასტორი, მღვდელი, რომელსაც ეკუთვნის სკოლის ზედამხედველობა, ასე რომ, გიპპოს სიტყვისა არ იყოს, მღვდელი დაბადებიდგანვე სოფლის სკოლის ზედამხედველია. თითონ კომიტეტი განაგებს მხოლოდ სკოლის ნივთიერ მხარეს—ხარჯს, შემოსავალ-გასავალს და სხ. ასე და ამ გვარად სოფლის სკოლის სუ-

ლი ფეოდალია, მისი გული მღვდელი. ვგონებ კი, რომ უკანა-
სკნელი ცოტათ სძლევს პირველს—სკოლის მიმართულება მღვ-
დლის ხელთ არის. 2., სახალხო სკოლები ქალაქებში ემორჩი-
ლებიან ცალკე კამიტეტებს; თვითეულ სკოლას თავისი საკუ-
თარი კამიტეტი ჰყავს. კამიტეტები ქალაქის გამგეობის ხელთ
არიან. თვით ეს გამგეობა «კეთილ-წესიერებას» ემსახურება, მო-
ნაა მთავრობისა, სახელმწიფოსი. 3., მაზრის სკოლების ზედა-
მხედველობა ა არია სასულიერო პირის. მაზრაში შეიძლება რამ-
დენიმე ზედამხედველი იყოს; თითო მათგანს ორმოც სკოლა-
ზე მეტი არა აქვს და ან როგორ შეიძლება, ხუმრობა საქმე
ხომ არ არის, სასტიკი ზედა-მხედველობა უნდა ყოველ სკო-
ლას — სახელმწიფო ხომ დაიღუპება... როგორც ვხედავთ, სო-
ფელი და მაზრა მღვდელს ემორჩილებიან. რაც სოფელში და
მაზრაში მღვდელს მნიშვნელობა და გავლენა აქვს, ის გუ-
ბერნიაში ესრედ წოდებულს სკოლის მრჩეველს, რო-
მელიც ნამდვილი პროექტის სკოლისა (Лавлей, стр. 109).
სკოლის მრჩეველი გუბერნიის მმართველობის წევრია. მას
სამსახურში ნიშნავს სახალხო განათლების მინისტრი, რომ-
ლის უმორჩილესი მონა ვახლავთ. მრჩეველი შუა კაცია
სკოლის და მმართველობისა. მრჩეველი პირველად და უკანასკ-
ნელად იმას სცდილობს, რომ სკოლაში დანერგოს და გაავრცე-
ლოს ის აზრები, რომლებიც სახელმწიფოს მოსწონს. 4,
სოფელს, მაზრას და გუბერნიას ზემოდგან დასცქერის პრო-
ვინციის თავის სასკოლო კოლეგიით. ამ კოლეგიის წევრნი უმე-
ტეს ნაწილად სასულიერო წოდების პირნი არიან. მათ ხელთ
არის უმაღლესი ზედამხედველობა სახალხო სკოლებისა, საოს-
ტატო სემინარიებს ისინი განაგებენ. ეს ამოდენი ხროვა პას-
ტორებისა, ჩინოვნიკებისა ემორჩილებიან სახალხო განათლების

მინისტრს და ეს უკანასკნელი ხომ მარტო იმპერატორს აძლევს ანგარიშს. აი სახალხო სკოლის შენობა პრუსიაში! როგორც ვხედავთ, თვით-მმართველობა მხოლოდ ბუტავს ამ შენობაში, ის წესიერად არ ანათებს მას. თვით-მმართველობას ჰსჩაგრავს რეგლამენტაცია, სახელმწიფო მეურნეობა. სკოლის შენობის გაწყობილობა არეულ-დარეულია. საქმეებს არ განაგებს ერთი რომელიმე განსაკუთრებული დაწესება. აქ გაჩხირულია მართებლობის ჩინოვნიკი, რომელსაც სკოლის საქმეების გარდა, თავის სამსახურის საქმეებიც ბლომად აქვს. ეს ჩინოვნიკი ორ ბატონს ემსახურება (Окольскій, стр. 355—356). შემდეგ ყოველივე ზემოდ მოხსენებულისა, მკითხველი გაკვირდება, როდესაც ჩვენ მას უ. პროფესორ ანდრეევსკის აზრთან გავაცნობთ. უ. პროფესორის აზრით (Полицейское Право, т. 2, стр. 280) პრუსიაში სკოლა ვითომც ხალხის თვით-მმართველობის საქმეა, სახელმწიფოს ეკუთვნის მარტო ისეთი ზედა-მხედველობა, როგორსაც მოითხოვს მეცნიერება. თვით სკოლის გაწყობილობიდგან სჩანს, რომ აქ ხალხის თვით-მმართველობას მეტად მცირე ადგილი უჭირავს და სახელმწიფოს ეკუთვნის მეცნიერული ზედამ-ხედველობა კი არა, არამედ ვიწრო პოლიციური. და ან რომელი მეცნიერება ითხოვს, რომ ფეოდალი და მღვდელი იყვნენ სკოლის ბატონები? იქნება პრუსიის სახელმწიფო მეცნიერება? მაგრამ, განა ეს უკანასკნელი ნამდვილ მეცნიერებას შეადგენს?—თვით ძალდატანებით სწავლა, რომელმაც ასე განამდიდრა სახალხო განათლება პრუსიაში, სახელმწიფოს საქმე იყო და არა საზოგადოებისა, თვით-მმართველობისა და თუ ეხლა სახელმწიფო ძალას აღარ ატანს საზოგადოებას ბავშვებს ასწავლეთო, ეს იმიტომ, რომ ვალდებითი სწავლა ხალხის ჩვეულებათ გადაიქცა.

და მაინც რა არის კარგი პრუსიის სკოლაში? მკითხავენ.

პედაგოგიური ტექნიკა, პატრიოტული მიმართულება და ხალხოსნური დედა-აზრი — ყველა ნემცები ერთნი ვართო. ამ დედა-აზრს ემსახურებოდა პირველადვე სოფლის სკოლა და აი აქ, სხვათა შორის, უნდა მოიძებნოს მიზეზი, რომ სოფლის მასწავლებელმა აჯობა საფრანგეთს...

ნიკო ხიზანოვი.

# შინაური საქმეების მაგივრად.

(ძმური მასლაათი)

თქვენ, ჩემო მკითხველო, ყოველგვარ ამბავს ხშირად კითხულობთ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში. მაგრამ თვით მწერლებზე კი ან სულ არაფერს კითხულობთ, ან არა და — მეტად ცოტას. ეს, სწორედ მოგახსენოთ, თქვენთვის კარგი არ არის, მაგრამ რა გაეწყობა, როდესაც მწერლობა მწერლებზედ ან სულ არაფერს ამბობს, ან თუ ამბობს — ისე მაღალ კილოთი, რომ არა თუ თქვენისთანა შუათანა კაცი, თვით არისტოტელიც ვერას გაიგებს. არ ვიცი მწერლობას რა დაუშავეთ თქვენ ისეთი, რომ ის ასე გეპყრობათ. ეს მისთვის უფრო საკვირველია, რომ არც თქვენ და არც სხვებს ჩვენი მწერლობა არა ზოგავს.

ჩვენი მწერლობა ისე ბაში-ბუზუყურად არის აღზრდილი, რომ იმას კერძო ცხოვრებაც კი არაფრად მიაჩნია და ყოველ-შემთხვევაში ჭქელავს კაცის პიროვნებას, სტანჯავს მას, თითქო მწერალი გეზელი მიმინო იყოს და კაცი კიდევ გულ ყვითელა ჩიტი... ამბობენ, ერთმა ვიღაც ფილოსოფოზმა (ჩვენ სემენარიაში იკითხე, ვინ იყო ეს ფილოსოფოზი, იქ გეტყვიან, ფილოსოფია მარტო სემენარიაში ბუდობს) სთქვა, რომ კაცის კერძო ცხოვრება მაგრად უნდა იყოს

კედლებით შემოზღუდული. ჩვენში კაცის პიროვნებას მაგარი კედლები კი არა, უბრალო ღობეც არა აქვს შემოვლებული. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ქართველი კაცი მცირედი ფასის უმრავ მამულსაც კი ღობეს ავლებს და ღობეს კიდევ ზევიდგან ჯავლებს ადებს, მაგრამ ზნეობითი პიროვნება კი ღია და შემოულობავი რჩება და ამისათვის ყველა ამ პიროვნებას ჰქელავს, ყველა მას შეურაცხყოფას აყენებს. თუ თქვენ, მკითხველო, ურწმუნო თომა არა ბრძანდებით, უნდა ირწმუნოთ, რომ, რასაც გეუბნები, მუდმივი მოვლენაა. რისთვის არის ასე, ეს სულ სხვა კითხვაა, მაგრამ სწორედ რომ ისეა, როგორც გეუბნები, ესეც ჭეშმარიტებაა. —

ამბობენ, საფრანგეთში ვენახებს ღობე არ არტყიაო. მე იქ არ ვყოფილვარ (და ან ვინ აღირსებდა „იმედის" მწერალს ამ ღირსებას!), მაგრამ ასე კი ამბობენ, როგორც მე თქვენ მოგახსენეთ. თუ ეს მართალია, საფრანგეთი მეტად ბედნიერი მხარე ყოფილა, — იქ თავის საკუთრებასა არავის შაჰნებია... მაგრამ თუ ვენახებისა არა ვიცი რა, ის კი ვიცი, რომ იმავე საფრანგეთში კაცის პიროვნებას ხომ მაინც დიდი ღობე აქვს შემოვლებული და ძნელად თუ ვინმე ამ ღობეს გადაჰქელავს და ზედ გადაალაჯებს ჩვენში? ჩვენში პირველად ესა, რომ რაც დრო გადის, უფრო და უფრო მაღალ ღობეებს ავლებენ ვენახებს, საკუთრება არ გაგვიქურდონო და კაცის პიროვნება კი დაუცველი რჩება — შედეგი და იმოდენი ჰქედა, რამდენიც გეპრიანხება. დამშლელი ვინ არის. კიდევ ახირდებით, რომ ჩვენც ხალხნი ვართ და სხვანიცო. თუ თქვენ მართალს ბრძანებთ, რისთვის ღობავენ ჩვენში ვენახებს და კაცის პიროვნებას, მის კერძო ცხოვრებას კი ღიას და დაუცველად სტოვებენ?

ჩვენში იქამდისინ მიაღწია კაცის პიროვნების შეურაცხყო-

ვამ, რომ ყოველ წუთს შიშსა და ეჭვში ხარ. პირუთვ-ნელად ვერავისათვის ვერა გითქვამს რა: ყველას საამოვნებასი უნდა იყო, თორემ იცით რა? მაშინვე ღმერთებსაც დაგიწყ-რებენ დამსაჯა რა ნაირად გამოგლანძღოთო, და გლანძღავენ კიდეც. მერე ისიც როგორი? სულ შენ კერძო ცხოვრებაზე ლა-პარაკობენ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საზოგა-დოებისათვის, ეს ვის რად უნდა ეპიტნავებოდეს; ვისთვის არის საჭირო კერძო ცხოვრება კაცისა, თუ კი ამ კერძო ცხო-ვრებაში საზოგადოებრივი ელემენტი არ მოიპოვება, თუ კი ეს კერძოობა საზოგადოების სარგებლობას არ არღვევს? ჩვენში ამას როდი კითხულობენ და ან რისთვის უნდა იკითხონ, რო-დესაც ჩვენში ბევრმა ჯერ ისიც არ იცის გარკვევით — რომლის მხრით კერძო კაცი შეიძლება მწერლობის მასალად, საგნად გა-ხდეს. ამისთვისაც არის, რომ ჩვენი დღიური მწერლობა, ის მწერლობა, რომელსაც პატარა პრესსას უწოდებენ, თავიდგან გნებავთ თუ ბოლოდგან, სულ ჭორიკანაობაზედ არის აშენე-ბული. ამისთვისაც არის, რომ ყოველ ნაბიჯზე თვალებში ბა-შიბუზუყობა გეცემათ. ჭორიკანაობა და ბაშიბუზუყობა სწო-რედ რომ სასოვლეთო მოვლენათ შეიქნა. უმეტესობა მას ესარჩლება და ბევრჯერ თაყვანსა სცემს.

როდესაც ჩარმან „შრომამ“ — ამ საკვირაო და მამასახლისმე უფრო დიდის ღირსებით შემკულმა ბაშიბუზუყმა — კაცის პი-როვნობის ქელვას მიჰყო ხელი («ივერიამ» დარიგება მისცა, მაგრამ «ივერიას» ვინ უგონებს!), პროვინციებში საზოგადოება ალტაცებაში მოვიდა: შენ კი გენაცვალე, «შრომამ» სწორედ ჩვე-ნი საქმე ყოფილაო, სწორედ ჩვენ გემოს მისდევსო. არც მო-სტყუვდა საზოგადოება, როგორც თვით «შრომაც» არ მოსტყ-უვდა და მალე, ძალიან მალე ჩავარდა ჩვეულებრივ კალაპოტში,

ძიელ მალე მიჰყვა საზოგადო ფეხის ხმას. ან რა უნდა ექმნა სხვა .. პროვინციალური მკითხველები აღზრდილნი არიან ლიტერატურულ ჭორიკანაობაზე და სრულებითაც არ კითხულობენ მოწინავე სტატიებს. იმათ მწერლობა და ნადირობა ერთი და იგივე ჰგონიათ. «ამანა-და-ამან ესა-და-ეს დაუწერა ამასა», არ წაგიკითხავსო? — «როგორ არა; მაგრამ, აბა, ახლა იმასაც დააცადეთო» — აი რა მსჯელობა და ბაასი ისმის პროვინციებში, როდესაც ჟურნალ-გაზეთებზე ჩამოვარდება ლაპარაკი. «პატარა [illegible]აცა» ხელს უწყობს ამ მიმართულებას. კიდევ მოჰყვებით უბედობას, რომ ჩვენი მწერლობა საზოგადოებას არ ემსახურებაო, მკითხველების მაჯის-ცემას არ უყურებსო. როგორ თუ არ უყურებს? მაშ რა არის ეს უთვალავი რიცხვი კორრესპონდენციებისა, რომელნიც თვალებს უხვევენ მკითხველებს, თუ არა ცხოვრების მაჯის ცემის გაგება?

ასს კორრესპონდენციაში — ერთი თუ მართალი გამოდგება ხოლმე; ოთხმოცდა ცხრამეტი სულ ჭორიკანაობენ და თქვენ კიდევ ბრძანებთ, რომ ჩვენ კორრესპონდენციებში ცხოვრება ხამდვილად არ არის აწერილიო. და ან თუ ასეც არ იყოს, მაშ მეტი რაღა სინამდვილე უნდა, როდესაც ცხოვრების სინამდვილე ჭორიკანაობის მეტს არას წარმოადგენს!... რა ნამდვილ ფაქტებს აგიწერენ, როდესაც თვით მწერლობა უმეტესად ჭორიკანაობას მისდევს და სადაც ყველა ფასის კაცი ერთი და იგივე კორრესპონდენტია. ქალაქების მცხოვრებლებს კი ჰგონიათ, რომ ჩვენი შინაური საქმეები კარგად ვიცითო, ბეჯითად შეგვიძლიან გითხრათ, რომ ამა და-ამ პროვინციაში ესა-და-ეს ხდებაო. საწყალი ქალაქელები! არა, ბატონებო, თქვენ სრულებითაც არა იცით რა და თუ გსურთ შეიტყოთ რამე, ისევ თქვენი ფეხით წაბძანდით პროვინციებში და იქ შეისწავლეთ ცხოვრება, იქ გადაიკითხეთ „შინაური მიმოხილვა.“ —

რა შედეგი უნდა ჰქონდეს „პატარა პრესსის“ ამ გვარ მიმართულებას? ერთი მიუცილებელი — საზოგადოების აზრის დაბნელება, მისი ზნეობის დამხობა. ამ მეტად სამწუხარო და მავნებელს ხელობას დასდგომია ჩვენი პატარა მწერლობა და მუყაითიც არის თავის ხელობისა. სწერს და ჭორიკანაობს, ჭორიკანაობს და სწერს... მაშ რაღად გიკვირთ, რომ საზოგადოებას მარტო იმასა კითხულობს — „თუ რომელმა რომელს რა დაუწერაო“.

აი ამისთვისაც არის, რომ წვრილი მწერლები მკითხველებს ყველაფერზე ელაპარაკებიან, მაგრამ თავიანთ თავზე კი გაჩუმებულები არიან. ეგ ხომ ბიჭობა არ არის, რომ სხვების კერძო ცხოვრებაზედ მამაცურად ბაასობთ და თქვენი თავი კი კუსებრ დაგიმალავთ!

ნაპოლეონ მესამე (გახსენებული ისტორიკოსი იყო!) კარლო დიდის ისტორიას სწერსო, გამოაცხადეს ერთხელ ერთს პარიჟულ გაზეთში, რომელიც ჩვენებურად ჭორიკანაობდა ნეტავი იმ დროს მომასწრო, რომ კარლო დიდს დაეწეროს ნაპოლეონ მესამის ისტორიაო, უპასუხეს ჭორიკანა გაზეთს. თქვენც ეს პასუხი გეკუთვნით, ჩვენო ვაჟ-ბატონებო, თუმცა არც თქვენა ხართ ნაპოლეონები და არც ჩვენ კარლო დიდები. მაგრამ ესეც ბევრი იყო პატარა მწერლებზე, ჩვენ კორრესპონდენტებზედ — ამ ჩვენს, რეპეტილოვის სიტყვებისა არ იყოს, „людишки, пишущая тварь“-ებზე.

მე მოგახსენეთ „ესეც ბევრი იყო“ მეთქი, მაგრამ ორი სიტყვის ნება კიდევ მიბოძეთ: ჭორიკანაობას ვინ იტყვის, უბედურობა ის არის კიდევ, რომ ჩვენმა «пишущая тварь»-ებმა კალამი სავაჭრო საგნათ გახადეს, მწერლის სინდისი დახშეს. ერთ მაძღარ სადილათ რა ნაირიც კორრესპონდენცია გნებავთ,

იმ ნაირს იყადით. ერთს დაუპატიჟებ და მასქვეით. პატიჟობენ კიდეც აქებენ კიდეც... და რისთვის არის, რომ თავ დაზიანე-ბული ფეოდალი, რომელიც შემომუშავებულად ხალხს ჰქონდეს, ხალხის მომხრეთ არის გამოყვანილი... სინიდისიც გაჰქონდეს, ლიტერატურული პატიოსნებაც. სინიდისიან კაცს ბევრჯერ ეთა-კილება გაზეთში კორესპონდენციის გაგზავნის — ვინ მერწმუნე-ბა, თავს შევიწუხები. კიდეც არა სწერენ, კიდეც არ ვიციით — რას ჰფიქრობს და როგორ სცხოვრობს პროვინცია, რას აკე-თებს ნამდვილად ჩვენი ხალხის წარმომადგენლები... გარდამს პატივი აყვარა, გაუმაძღარმა კუჭმა განდევნა კეთილ-შობილური გრძნო-ბები, ჭეშმარიტება ალებ-მიცემობათ გარდაიქცა. და ამის შემდეგ კიდევ ჩვენი ცრუ-კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ კუჭი არაფე-რი და პოლიტიკა კი ჭკვა! მაშ რისათვის არა ყოფილა ჩვენი მწერლობა ბედნიერი! აი თვით საფრანგეთში ცხონებულმა გამ-ბეტამ (თუ ცხონდება ის საცოდავი უკვდესიათი!) რამდენი გაზეთები მოისყიდა და ცოტას გასწვდა იტალიის მთელი მწერ-ლობა ხელში არ ჩაიგდო. განა ჩვენშიაც მუდამ არა ვხედავთ სინიდისის გაყიდვას, თუ კი მართლა რაიმე ლიტერატურული ხინჯისი მოგვეპოვება?!...

წვრილი მწერლებიდგან თვით მწერლობის დაწვრილმანე-ბზედ რომ გადავიდეთ, საოცარს მოვლენას შევხვდებით. ჩვენმა ლიტერატურულ ძალებმა მთლათ თავი მოიყარეს გაზეთის ბნელ ქვემო ეტაჟაში. ყველა ამ ქვემო ეტაჟისგან მიუშურებს და ძნე-ლად თუ ვინმე გამოვა ისეთი მამაცი, რომელსაც შეეძლოს ცოტა ზემოთ ასვლა, აბიჯებს იმ ადგილას, სადაც მოწინავე სტატიები იწერება. ხშირად, მეტად ხშირად ზემო ეტაჟაც ისეთივე მდგმურებით არის სავსე, როგორც ქვემო ეტაჟა. იშვიათად თუ შეხვდებით ისეთს ნაწერს, რომელსაც საგნის

ცოდნა, შრომის გაწევა, ბევრითი შესწავლა ეტყობოდეს. საჭი-რო მოსწრებული სიტყვა, მსუბუქი კალამი, ცოტა ლაზათიანი ენა და... ოხუნჯობა. მეტს არავერს გთხოვენ. კიდეც ამის-თვის ჩვენი ფელეტონები მარტო აცინებენ მკითხველს, ახარ-ხარებენ მას, მაგრამ სულაც არ ჩააფიქრებენ ხოლმე საგანზე, სულაც არ ამუშავებენ ტვინს. მართლაც და ვინ არის ჩვენში კარგი ფელეტონისტი? ის, რომელსაც ლამაზი ლიტერატურული კალამი აქვს. ამისათვის ჩვენში ყველა გარბის სილამაზისკენ მის-დევს, ყველა ლიტერატურულ კილოს სწავლობს, ამისთვის — ჩვენში გარეგნობა სძლევს შინაარსს, ფორმა — აზრს. ბევრჯერ ფელეტონში ერთი წვრილმანი და მეტის ხმარებისაგან გაცვეთი-ლი აზრია გატარებული თავიდგან ბოლომდის და ფელეტონს კი აღტაცებაში მოჰყავს მკითხველები. რისთვის? — მისთვის, ჩემო ბატონო, რომ გარეგნობით ფელეტონი მართლაც რომ კოხტა და მკვლეულია და, აბა, სხვა რამე რაღა საჭიროა... ზოგიერ მოვლინებათ ჩარაცხავთ, თუ კი ფელეტონში რომელიმე ღრმა და საზოგადოების გამღვიძებელი აზრი შეგხვდათ. ამ გვარ აზრებს არც მისდევენ და არც საზოგადოება ყურს ათხოვებს მათ, და ან რისთვის ათხოვებს ყურს? აზრის დაწვრილმანებამ საზოგადოების ლიტერატურული გემო გააფუჭა, მას მარ-ტო გარეგანი სილამაზე შეაყვარა. კიდევ სჩივიან, რომ ჩვენი საზოგადოებრივი აზრი არ იზრდება! რა ეშმაკი გაზრდის, რო-დესაც გაზრდას კი არა, მის დაჭლექებას შესდგომიან...

აბა ახლა სხვა გზით გავსინჯოთ ჩვენი მწერლობა. შევის-წავლოთ ზნეობითი მხარე ჩვენი მწერლობისა. მათ ამაყობას ზომა აღარა აქვს, მედიდურობას — საზღვარი. თუ ბელეტრის-ტია ვინმე, თავის-თავი არმან კარელი ჰგონია, თუ ფელეტონი-სტი — როშფორი, თუ კიდევ თეატრალური რეცენზენტი — თვით

წარჩინებული სირსე და სხ... საჭიროა და საკმაო ორი-სამი ფელეტონის დაწერა, რომ მეორე და მესამე დღეს ამაყობით შევსო და გულში ღრმად ჩაინერგო წადილი, რომ შენც უეჭველად მომავალ პანტეონში ადგილი გეჭიროს, შენი სახელი ამშვენებდეს მწერლობის ისტორიის ფურცლებს... და რატომაც არა, როდესაც ჩვენში ასე ადვილია ლიტერატორობის სახელი? მაგრამ რომელ პანტეონში დაეტევა ეს აუარებელი რიცხვი საზოგადოებრივ მოღვაწე პირთა? ერთი იქ შეჭურვილია «ვრცელი ევროპიული მეცნიერებით, მისი მეთოდით», მეორე აქ აჯორებული სქოლასტიკივით ამტვრევს ფრაზებს — ეს «დეტერმინიზმიაო», ეს კიდევ «ფატალიზმიო» და აი ეს — ესა-და-ეს „იზმიო“, მესამე... მაგრამ ვინ გაათავებს, ყველას ვინ ჩამოთვლის... თვითეული პანტეონში ითხოვს ადგილს, მაგრამ რა ღონის-ძიებით შეუძლიან ჩვენს უიმისოთაც პაწაწკინა სამშობლოს ყველა წარჩინებული გვამის პანტეონში დატევა, როდესაც ეს აუარებელი ხროვა წარჩინებულთა გვამთა თვით საქართველოშიაც ამ მოკლე მომავალში ვერ მოთავსდება, თუ კი რომელიმე გეოლოგიური მოვლენით ჩრდილოეთის კავკასიის მთებმა პატარა იქ არ გაიწიეს!... საწყალი რაჭველებიც კი ვერ მოთავსებულან და რუსეთისკენ მიემურებიან!... ეგ ხომ ცილსა სწამებთო, მაგას ხომ სუმრობთო, მეტყვის ჩემი მკითხველი. არა, ჩემო ბატონო, სწორედ ნამდვილს ამბავს მოგახსენებთ. მაშ, აბა, მაგალითები სად არიანო, მკითხავს კიდევ ჩემი ურწმუნო თომა. მაგალითები? — რამდენიც გნებავთ. ნეტავი მაგალითებზე კი მივარდეს საქმე, თორემ მაგალითებს იმდენს მოვიყვან, რამდენიც გნებავთ.

აი თუნდა «შრომა» აიღეთ თავისი მეორე ეტაჟში მდგმურით — უ. ბოსლეველით. სასაცილო არ იყო თუ ეს მეტათ

ამაყი და ყოყოჩი კრიტიკოსი, რომელსაც იგი აღემხედრა და უკვდავი სერვანტესის რაინდივით გამოილაშქრა «იმედზე»! წყეული და შეჩვენებული იყოს „იმედისათვის" დაუვიწყარი 1882 წ.! თქვენ ყველანი სულელები და გიჟები ხართო, არც ისტორია იცით და არც ლიტერატურაო, ყველაფერი მე ვიციო, ფუკიდიდიც მე ვარ და ჰეროდოტიცაო, ყველაფერი მე მივითვისო — გიზო, ტიერი, მიშლე, შლოსსერი, პრესკოტი და სხვა და სხვა... ისტორიული კანონებიც მე ვიცი და ეშმაკებიცო, ერთის ლექსით — სრულ... საქართველოს სიბრძნის დასაბამიც მე ვარ და დასაწყისიცაო... ღმერთმა ქმნას, მაგრამ... საცოდავი რაინდი!

საიდგან ბრძანდება ეს „შრომის" თავში ხმალ-დაკრული ბაიარდი? — ვკითხე ერთს ჩემ ნაცნობს. მართლაც რომ გიჟი ყოფილხარო, მიპასუხა ნაცნობმა. ვერ ატყობ საიდგანაც არისო, სუნზე არ ეტყობაო. ბოსლევი... ბოსლელი... აქ სიტყვები აურია ნაცნობმა. მართლაც და, მკითხველო, რა ზნეობით ნიადაგზე იშვა ეს ბავშვური ყოყოჩობა, ეს ახალი ყალიბის ბაშიბუზუყობა, რომელიც უსწორ-მასწოროდ ფეხ-ქვეშ ჰქელავს კაცის პიროვნებას, თუ არ ლიტერატურულ?.. თუ არ ლიტერატურულ?.. არ მინდა ვსთქვა! ნუ თუ პატალოგიური მოვლენა არ არის ეს ახლად აღმოცენილი ლიტერატურული «კეზელ-ბოსლეველშჩინა»? რით, რომელი ღვაწლით დაიმსახურეს უფლება ამ ჩვენმა ვაჟბატონებმა, რომ ერთი ჰქელავს ი. ჭავჭავაძეს, უ. ერისთავს და უ. მესხს, მეორე კიდევ „იმედს" თავის თანამშრომლებით და ისიც მერე როგორ? — განა მართლა საკმაოა ერთი საცოდავი ფელეტონი დაბლაჯნო ქალებზე (მერე ისიც რა ფელეტონი — სადაც ქალზე ისეთი შეხედულობა გაქვს, რომელიც მარტო ოსმალეთის ფაშას და ან სპარსეთის ხანს შეშვენის) და მერე

პირ-და-პირ ლანძღვა გინება დაუწყო ასეთ პირებს, როგორც ჭავჭავაძე, ერისთავი, მესხი, და „იმედის“ მოღვაწენი, რომელნიც დღე და ღამეს ასწორებენ, ოფლს ღვრიან, იღვწიან. ეს კიდევ არა-ფერი: ლანძღვა-გინება — მირონ ცხება არისო, ემბაზში მონათვლაო, ასე ალვიარა ბოსლეველმა: სულ ტოტა, უნდა გრცხვენოდეთ, თორემ დარწმუნებით, აბა, ვინ რას დაგარწმუნებთ, თუნდა თვით მილლის ლოღიკაც რომ თავზედ გადაგამტვრიოთ... და თქვენ კიდევ ახირდებით, ვითომც ჩვენი მწერლები უსაფუძვლოდ არ ამაყობენო...

ამ წინაზედ ერთ ღრმად მოხუცებულთან მქონდა ბაასი; ლაპარაკი ჩამოვარდა სულიერ ავათმყოფობაზე. საბა სულხან ორბელიანი, მაუწყა ღრმად მოხუცებულმა, სამ-ოც-და-სამ სულიერ ავათმყოფობას მოსთვლისო. სულელი, გიჟი, ტეტერი, ტუტუცი, შეთიანი, ფუფუჩი, ბრიყვი, ცოფიანი... და სხ. და სხ... თვით იგივე ცეზარის მეხსიერება რომ მქონოდა, მაშინაც კი არ შემეძლო ყველა ტერმინების დასხსოვნა. (მოხუცებულს ვსთხოვე «დროებაში» გაგზავნე მეთქი. აღმითქვა კიდეც). ყოველი კაცი სამოც-და-სამში ერთი ავათმყოფობით მაინც არის შემკობილი, თორემ ბევრს ხომ ბევრჯერ წილად ხან ხუთი ერგება ხოლმეო, განაგრძო მოხუცებულმა. როგორ დავიჯერო, რომ-ლისაც თვით ზეციერმა მამამ თავის სული შთაბერა პირველ კაცსა, მეთქი. ის პირველი იყო და ვინ იცის ჩვენ მერავდენენი ვართო... და მოჰყვა დარბაისლურად თავის აზრის განმარტებას. მე, სწორედ მოგახსენოთ, ძალიან დავღონდი. ეს რაღა უბედურებაა, თუ კი მართლა ყველა კაცი სულით ავათმყოფია და ერთიც არ მოიპოვება საღი, მეთქი. რა უყოთ, მაგრე კი არისო და, აბა, ჩვენ რა შეგვიძლიანო...

დავიწყე ფიქრი. ბევრი, ბევრი ვიფიქრე, რისთვის ვართ ასე ავადები, რა მიზეზით ვყოყოჩობთ, როდესაც ჯერ თვით ჩვენებური ძარღვები ისე წყნარი და თავ-დაბალი ყოფილა მეტად. ისევ საბა ორბელიანი მომაგონდა. აღმოჩნდა, რომ არათუ მარტო (ადღეს) კაცის, ლიტერატურის ავადმყოფობაც კი ყოფილა და ან რატომაც არა? ლიტერატურა ხომ კაცთა სულიერი ნაწარმოებია... როდესაც საგნის შესწავლას შევუდგე და ვიღაც ჟანაბა პსიხიატრები გადავიკითხე, დავრწმუნდი, რომ ერთგვარი ლიტერატურული ავადმყოფობა ყოფილა — «ტკივნეულებითი ლიტერატურული თავის თავზე სჯა» (литературное самомнѣніе). სწორედ მაშინ შევიტყვე, რომ ჩვენ ვაჟ-ბატონებსაც ეს «ლიტერატურული ავადმყოფობა» შეჰყრიათ. და განა ეს ტყუილია? თუ არ ლიტერატურული ავადმყოფობა, მაშ რა ემსგავსა ეს უდიდესი მეხედულება თავის-თავზე, ეს მედიდურობა, ეს გაზვიადებული «литературное самомнѣніе»? აბა დააკვირდით, რა კილოთი სწერენ ჩვენი ვაჟ-ბატონები: — ნეტავი ჩვენში განათლება საკუთარ ნიადაგზე დამყარდეს და ბედნიერობა მე მივისრ-ნიათ, ასე გამოაცხადა მარშან გაზეთმა, რომელი ბედნიერ გაზეთი, იქნება კოხტა ბელადი იყოსო, ლამპრაჭობდნენ პროვინციალურ ლიტერატურულ წრეებში ვარგიც რამ დაემართება, თუ მართლაც კოხტა ბელადი აქნებაო! (თუ არ ვსტყუვდებით, კოხტა ბელადი იყო, რომელიც ერეკლემ ასპინძას ომში ხრმლით მუსრზე გაავო). ან რომელი პესტალოცის გაზეთი, რომ ბედნიადობას გვპირდებას?! ან კიდევ — გადმობმანდა თუ არა (იგივე გაზეთი), მაშინვე რუსთველს და დავით გურამიშვილს ემგვრა. რუსთველი... დავით გურამიშვილი.. და გაზეთი... როდესაც ეს ამბავი წავიკითხე, მაშინვე სვიფტის გულივერი და ლილიპუტები მომაგონდნენ ... საწყალი ლილიპუტები! ჯიბეები მიი-

დგეს და მაშინაც ძლივას ახოხდნენ გულივერზე. რუსთველი კეზელის ხელში! განა ეს «გულივერ-ლილიპუტობა» არ არის?! ოხ, ნეტავი ნახევარ წუთს მაინც წამოგახედა შენ, შოთა, ჩვენო საშუალ საუკუნოების უკვდავო დანტე — ესე ვნატრობდი მაშინა. დანტეს შესწავლისათვის რავენის, თუ რომელიღასიც უნივერსიტეტში ცალკე კათედრა დაარსეს და ჩვენ კი... კეზელი კი... საუკეთესო ქართველები რუსთველის თითო სიტყვაზე დღე და ღამ ბასობენ, სჯიან, მოსვენებაში არ არიან და კეზელი კი... თუ კი აკაკი ლექციებს კითხულობს... [illegible]კი და კეზელი... კიდევ დაუვიწყარი სვიფტის გულივერი და ლილიპუტები მომაგონდნენ... დალახვროთ წმინდა გიორგიმ, ცოტას კი არ სჯერდებიან — ყველას აკაკიობა უნდა!...

აი, ჩემო მკითხველო, ზნეობრივი სახე ჩვენი მწერლობისა, მათი ფორმა და ფიგურა. ორი მაგალითი მოგიყვანე, მაგრამ რამდენი შემეძლო კიდევ მომეყვანა! და კიდევ უბედურება ეს არის, რომ ამ სიამაყეს მისდევენ ახალ-გაზდები. ძველებს უფრო დარბაისლობა ეტყობათ, უფრო ღირსეული კილოც და ბევრიც სხვა რამე კარგი. მე აქ იმათზე ჯერ ვერას გეტყვი. იმათ სხვა შესწავლა უნდა, სხვა შრომა. იმათზე მასლაათი არ გამოდგება, იმათზე დალაგებით უნდა ლაპარაკი. და ვერასაც დალაპარაკებ, თუ ისინი ღრმად არ შეისწავლე. მაგრამ ესეც უნდა გაცნობო, რომ ახალ-გაზდობაშიაც არიან, ბევრნი თუ არა, ცოტანი მაინც, რომელნიც იმედს გვაძლევენ, გულში სასოებას გვიბადავენ. ესენი მშვიდობიანად და მუყაითად იღვწიან და ზოგიერთებს არ... აღარ მინდა გავიმეორო ის წყეული სიტყვა! და ან რა სიკეთეს მოგვიტანს მედიდურობა? საკმაო როდია ერთი-ორი, თუნდა ძლიერ კარგი კრიტიკული სტატია დასწერო, მერე დოინჯი შემოიყარო, ცხვირზე «პენსნე»

ჩამოიგდო და შენი თავი უდიდეს ქმნილებათ წარმოიდგინო, საჭირო მუდმივ და დაუღალავად შრომა, სწავლა და სხვების სწავლება, ჯეროვანი წინამძღოლობა. ცალიერი სიტყვებით ვერც პესტალოცობას გასწევ და ვერც კრიტიკოსობას — დობროლიუბოვობას. წარმოიდგინე, ჩემო მკითხველო, რომ მე შემდეგ ამ ჩემის უმანკო და უბრალო «ძმურის მასლაათისა», ჩემი თავი ნიჭიერ ფელეტონისტათ წარმოვიდგინე. რას იტყვი? როგორ შემამკობ? სულ ცოტა, უსუსურს, უძუძურს და გონებით დღენავლებს მიწოდებ. განა ასე არ მოსდით, თუ ყოველთვის არა, ხშირად მაინც, აწინდელ ჩვენ ვაჟ-ბატონებს?!...

მაგრამ უფრო სამწუხარო ეს არის, ჩემო მკითხველო, რომ შინაგანი ღირსება ჩვენი მწერლობის, მოშორებული უნდა იყოს მედიდურობას. კარგი კიდევ, როდესაც ყოყოჩობს რომელიმე ღირსეული მწერლობა. ეს კიდევ მას ცოტად თუ ბევრად მიეტევება, მაგრამ როდესაც ყოყოჩობს აი თუნდა „შრომა“; მაშინ სიცილისა და ხარხარის მეტი არა გამოდგება რა... წვრილმანობა და უფერულობა აწინდელი ჩვენი ლიტერატურისა ისეთი ცხადი მოვლენაა, რომ მას არა თუ მარტო გონებით ბრმა, თვით ორთავე თვალებით ბრმაც კი შენიშნავს. და ამის შემდეგ კიდევ მედიდურობენ!... საკმაო როდია «ივერია» «იმედს» სჯობდეს (თუ კი მართლა სჯობიან) და თუნდა «შრომა» «დროებას». მე რომ მარტო ის ღირსება მქონდეს, რომ «იმედის» ვიღაცა კოტომ კორტოხტებს ვსჯობდე, განა ეს საკმაო იქნება, განა უნდა გავყადისჯორდე და ყბა-მოტეხილი უბადრუკივით მოვყვე ლუღლუღს — ოჰ, რა უდიდესი ქმნილება ვარ მეთქი?...

უფერულობა და წვრილმანობა... მთელი ჩვენი გონებითი ძალა პატარა გაზეთებში მოძრაობსო, ნიჭი, გარეგანის მხრით, წვრილმანდებაო, პატარა გაზეთმა სძლია ყოველთვიური ჟურნა-

ლი და სხ. ასე სჩიოდა რამოდენიმე წლის წინად ემილ ზოლამ ს-
ვრის თავის წერილში. უსაფუძვლო ჩივილია. იქ, ზოლას სა-
მშობლოში, გონებითი ძალის გარეგანი დაწვრილმანებას სრულე-
ბითაც არ ნიშნავს ძალის შინაგანი ღირსების დაწვრილმანებას,
იქ გარეგანი დაწვრილმანება მწერლობის სიცოცხლის ღირსებას
მოასწავებს, ხანხან გონებითი ძალის მაღლად განვითარებას.
პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება ისეთ სიმაღლეზე შე-
ხვდა ზოლას სამშობლოში, რომ თვით წარჩინებული მსწავლუ-
ლნიც კი პატარა გაზეთებში ილევიან. ჩვენში?—ჩვენში მწერ-
ლობის დაწვრილმანება უფრო გონებით სიღატაკეს და ნაიღა-
ჯიას გამოჰხატავს. და ეს კიდევ მოწმობს თვით ცხოვრების ში-
ნაარსის სიღატაკის:

აი კიდევ სხვა მოვლენა ავიღოთ. ზოლას სამშობლოშიც
ხშირად—იქნება კიდევ ძალიან ხშირად—ვხედავთ ლიტერატუ-
რულ ბამბუზუკობას. თუნდა ისევ ცხონებული გამბეტა ავიღოთ.
რას არ სწერდნენ—და ისიც როგორ—ამ საყვარელს კაცზე!..,
მთელი მისი კერძო ცხოვრება გადმოაბრუნეს. მაგრამ იქ სხვაა,
ჩვენში კიდევ სხვაა. საქმე იმაშია, რომ იქ თითქმის ყოველივე
საზოგადოებრივი მოღვაწე პირი რომელიმე პოლიტიკური და
სხვა გვარი პარტიის წარმომადგენელია და როდესაც ჰქლავს
მაგ. რომელიმე კერძო კაცს, მაშინ ამით ჰქლავს უფრო უმე-
ტესად მის დროშას, მის ასეთს თუ ისეთს რწმენას, „სიმვოლო-
სარწმუნოებას“. არც ერთი პატიოსანი ფრანციუზი არ იკადრებს
კაცის, კერძო მხარეს შეეხოს, თუ კი ეს კერძო კაცი თავ-გა-
მოდებით არ ემსახურება ისეთს პარტიას, რომელსაც მეორე
ფრანციუზი არ თანაუგრძნობს. იქ ისე მაღლა სდგას კაცის პი-
როვნება, რომ თვით ნაპოლეონ მესამის გარყვნილნი ბამბუ-
ზუკებიც კი არ იკადრებდნენ რომელიმეს ასე შეუწყნარებლად გა-

ქელგას, თუ ამ უკანასკნელს მადლა, მადლა თაბორის მთაზე არ აუმართა სხვა დროშა ... ჩვენში? ჩვენში კიდე მოიპოვებიან ჯურა თუ სხვა გვარი, უბრალო ლიტერატურული პარტიებიც!? ამ ჯგუფებში ძლივას იმყა „მამულის-შვილობა“ და ეს ხომ ისე-თი უმანკო გრძნობაა, რომ თვითეული ჩვენგანი მზად არის გა-ჭირვებაში მას ადგილიც დაუწყოს და სხვა რამეც — კიდევ ამ მოკლე ხანში სხვა რამეც იქნება — ეკონომიური მიმართულე-ბა... იქნება, თუმცა ჯერ კი არ გამორკვეულა — აი ჩვენი ბაირაღები! სხვაში სად არიან? ჩვენთვის ჩვენში პარტიები დაიბა-დნენ, ნეტავი კი ბედნიერება მალე [illegible] ლიტერატურას და იმედი მქე-ლეთ, რამდენიც გსურთ, თუმცა არც მიმიხ — თუ მართლა რომ ავიღოთ — გასამართლებელი იქნება საზოგადოება, რადგა-ნაც დაუვიწყარი 1789 წლიდგან აქამომდე სულ იმას უკირიან, რომ ყველა კაცის ცხოვრებას თავისი გეზები უნდა ჰქონდე-სო...

უფერულობა!... კიდევ უფერულობა... რას ჩაეციებიხარ მაგ სიტყვას? — მკითხავს ჩემი მკითხველი. ისე მაგრად შეუპოჭნია უფერულობას ჩვენი მწერლობა, რომ თვით დიოგენეც თავის ფარნით ერთს ლიტერატურულს სახეს ვერსად იპოვნის. ყვე-ლანი ერთს ყალიბში არიან მოთავსებულნი, ყველას ერთი და იგივე ფერი სდევს. მთლად ჩვენი მწერლები (ძველებზედ არ მოგახსენებთ, ისინი ამითაც გვჯობიან), ერთი და-იგივე «ლიტე-რატურული ფიზიონომიის» მქონენი არიან. გადაჭრით ვერ იტყვით — აი ეს-და-ეს მწერალი ამა-და-ამ სახისა არისო. სხვა-გან, აი თუნდა რუსეთი ავიღოთ, ერთი მწერლის სახე სხვა არის და მეორესი კიდევ სხვა. ფიზიონომია ისე გამოკვეთი-ლია, რომ, მაგ., მიხაილოვსკიმ თავის სტატიას თუნდაც სახე-ლი და გვარი არ მოაწეროს, მაინც — თუ მეტად ბუნებისაგან

დაჩაგრული არა ხარ—მაშინვე გაიგებ, რომ ეს მიხაილოვსკის ნაწერიაო. ჩვენში?—საზოგადო უფერულობას ზედ ერთვის «ლიტერატურული ფიზიონომიის» უფერულობა. რა არის ამის მიზეზი? ბევრი მიზეზები არიან, ძალიან ბევრი... მაგრამ დავიღალე. იქნება ერთი მიზეზი ჩვენი მწერლების სიზარმაცეც იყოს. ქართველმა ცოტაოდენი თუ გააკეთა რამე, თუ დიდ ხანს არ განისვენა, მომაკვდინებელ ცოდოდ მიაჩნია. მაშ როგორ იქნება, აი თვით ცათა და ქვეყნის შემოქმედმაც კი მეშვიდე დღეს განისვ[illegible]ობს ქართველი. მწერლებიც ასეთნი არიან. ქართველი დას[illegible]ს ერთ სტატიას და მიეცემა განსვენებას. ხანგრძლივს მშვიდობიანობას... რომელი ეშმაკური ძალის მეოხებით აღორძინდება ჩვენში მწერლის «ლიტერატურული ფიზიონომია»?—

მაშ ეგ არის ჩვენი მწერლობა? — მკითხავს კიდევ ჩემი მკითხველი. ჰო, ჩემო ბატონო, მაგრამ... ამ ბოლო დროს რაღამაც ჩურჩული დაიწყო, აზრი მოძრაობს,—

«что то видно впереди»...

Z

იანვარი.

## შინაური საქმეების მაგივრად.

(ჩვენ ოჯახზედ)

მკითხველსაც ეცოდინება, რომ ჩვენი მწერლობა მეტად გულ-გრილად ეპყრობა ზოგიერთა კითხვებს და, სხვათა შორის, საზოგადოებაზედ, იშვიათათ შეხვდებით ბაასს რომელსამე სოციოლოგიურს კითხვაზედ, და ისიც შემთხვევით, გაკვრით, უნებურად. საზოგადოება ბევრს რასმე კითხულობს, მაგრამ «საზოგადოებაზე» კი ან სულ არას კითხულობს, ან ძალიან ნაკლებს. ეს, რასაკვირველია, მეტად მაზარალებელია მწერლობისათვის. ერთგვარი, ცალმხრივი შინაარსი მწერლობისა უკარგავს ამ უკანასკნელს ძალას, ივრთებს ჰკვეცავს მას, უმცირებს სარბიელს. იქმნება, სხვათა შორის, ჩვენი მწერლობის ამ გვარ მიმართულებაში მოიპოვებოდეს ის უძლურება, უნაყოფობა, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ასე ცხადს მოვლენას შეადგენს. მართლაც, რამდენი რამე იბეჭდება ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში პოლიტიკაზე, სახელმწიფო კაცებზე, ისტორიაზე და სხ... და აბა მაგალითი მიჩვენეთ, რომ დაიბეჭდილიყვეს რამე სოციოლოგიურ მეცნიერებაზე. ევროპაში ასე არ ესმის მწერლობას თავის მოვალეობა. იქ ყველა მეცნიერებას, აგრეთვე საზოგადოებრივსა ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული, ასე რომ იქაური აზროვნობა ჰარმონიულად მოძრაობს, ამისთვისაც არის, რომ იქ საზოგადოებრივი წარმატება კი არ მიდის, თითქმის მირბის. ჩვენში?

აბა რა ითქმის კარგი ჩვენ მწერლობაზედ! ეს უკანასკნელი უფრო-უმანკო და ლამაზ კითხვებს ეწყობა. ადევნეთ თვალყური ჩვენ მწერლობას და გაოცდებით — თუ საიდგან და რისთვის ამოირჩია მან აწინდელი თვისი ლაზათიანი არისტოკრატიული (თუ შეიძლება ასე ვსთქვათ) მიმართულება. გნებავთ მაგალითი. აი მაგალითიც. რუსეთში და ევროპაში ათასობით იბეჭდება თხზულებები ოჯახის დარღვევაზე, როსკიპობაზე. საზოგადობრივი პატალოგია (ერთი შტოა საზოგადოებრივის სწავლისა) ყოველმხრივ შეიმუშავეს. ჩვენ კი აქამომდე სამარცხვინოდ მიგვაჩნია როსკიპობაზე სჯა და თუ მის შესახებ დასწერე რამე, იქნება მონასტერშიაც გაგზავნონ ცოდვების მოსანანიებლად და-და ყოველივე ეს მაშინ, როდესაც ჩვენში როსკიპობა ვრცელდება და საზოგადოების სიმრთელეს არღვევს, პოლიციის არხივები მასალებით სავსე არიან და ჩვენ კი უბრალო სტატისტიკური ცნობებიც არ მოგვეპოვება. რა ქიმობა უნდა გაუწიოს მწერლობამ საზოგადოებას, რა გზით და რომელი წამლით უნდა განკურნოს მან იგი სენიდგან, ავათმყოფობიდგან.

არც ჩვენ წავბილწავთ მკითხველების არისტოკრატიულ გემოს, ლიტერატურულ მადას. ჩვენ სხვა მხრივ მოველაპარაკებით მათ ოჯახისა დარღვევაზე. ამას იმიტომ კი არა, ვითომ „იმედს“ სურვილი ჰქონდეს საზოგადო ფეხის ხმას მიჰყვეს. ღმერთმა დაიხსნას «იმედი» ამ ცოდვისაგან. ლიტერატურული ტაქტი, ლაქიაობა, მიღებული მიმართულებისადმი გუნდრუკის კმევა, ავტორიტეტების წინაშე მუხლის მოდრეკა და მათი უსწორ-მასწოროდ ქება (აბა დააკვირდი, მკითხველო, რანაირად დამცირდა ჩვენი კრიტიკა, რა იაფად იყიდება ლიტერატურული რწმენა, რანაირი მეგობრობაა და რა «ქებათა ქება» იბეჭდება ჩვენ გაზეთებში) დაწერილნი არ იქმნებიან «იმედის»

დრომაზე, თუმცა „იმედი“ დიდს პატივს სცემს აწინდელ ავ-ტორიტებს, შეგნებული აქვს მათი არა მცირე მნიშვნელობა. ჩვენი ახალ-გაზდობის ერთმა დასმა მწერლობაში განახორციელა „ლიტერატურული ოპორტიუნიზმი“ და მიჰყო ხელი მწერლობითს ყამბაზობას, ლიტერატურული კერპების დიდებას. სადღა მოიპოვებიან 60 წ. წ. გარდამოცემანი! წმინდა ხელოვნება პოეზიაში გაადმერთეს. მალე გადმოსთარგმნიან გუგელის ესტეტიკასაც!...

ჩვენ დროს ოჯახი ირღვევა; მაღალ საზოგადოებაში ამის მიზეზი არის განცხრომა, შური, სიმდიდრით გაუმაძღრობა; დაბალ ხალხში — სიღატაკე. ასე იწყობს ლუი ბლანი ერთს თავის პაწაწა თხზულებას.“ «ცოლ-ქმრის გაყრაზე» (О разводѣ) თუ ლუი ბლანის ქვეყანაში ოჯახი ირღვევა: ჩვენში ხომ ძირიანად დამხობილი უნდა იყვეს. მართლაც, კაცი რომ დააკვირდეს ჩვენი აწინდელი ოჯახის მდგომარეობას, მის შინაგან ძალას და სიცოცხლეს, ადვილად შენიშნავს თუ ძირიანად დამხობას არა, დასნეულებას მაინც. ამ საწუხარო მოვლენას ჩვენში სხვა მიზეზები წინაუძღვიან ევროპაში კიდევ სხვანი, მაგრამ საზოგადო მიზეზებიც მოიპოვებიან. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ყოველ ხალხის ცხოვრებაში ასეთს თუ ისეთს საზოგადოებრივს მოვლენას გარდა განსაკუთრებითი მიზეზებისა, საზოგადო მიზეზებიც მოეპოვებიან. სწორედ ეს უნდა ითქვას ოჯახის დარღვევაზედაც.

დიაღ, ჩვენი ოჯახი ირღვევა. იგი აღარ წარმოადგენს მრთელს და საღს სხეულს, როგორც ყოფილა უწინდელ დროში. ამით ჩვენ არ, გვინდა გუნდრუკი უკმიოთ ძველ ოჯახს, არა, ძველი ჩვენი ოჯახი, როგორც ყველა ხალხის ოჯახი ძველ დროში, ბევრად დამახინჯებული იყო, ბევრად სთრგუნავდა კა-

ცის პიროვნებას, თავისუფლებას, ღირსებას, დიდი ბარბაროსობა მოიპოვებოდა იმ ოჯახში, მაგრამ ყოველსავე ამასთან მას ბევრი სასარგებლო და შესანიშნავი თვისებაც ჰქონდა. მხოლოდ ამ გარემოებით აიხსნება ის ჭეშმარიტება, რომ ძველი ოჯახი უზრდიდა სამშობლოს თავგანწირულ მამულის შვილებს, რომელთაც საქართველო დაიცვეს. ახალი ოჯახი კი ზრდის მარტო უძლურს და დავრდომილ პირებს, რომელთაც — კეთილ საქმეს ვინ იტყვის! — უმანკო ოცნებაც რაიმე კეთილზე წასწირებიათ. და ყოველივე ეს იმიტომ უფრო საყურადღებოა, რომ აწინდელი ჩვენი ოჯახის შინაარსი უფრო ჰუმანიურია, მასში, შედარებით ძველი ოჯახის შინაარსთან, დაშორებით დიდი განათლება სუფევს, — მაშასადამე, უფრო კარგი გავლენაც უნდა ჰქონდეს; მაგრამ არ არის ასრე. რა არის ამ მოვლენის მიზეზი? რისათვის არის, რომ აწინდელი ახალ-გაზრდა ქართველი, აღჭურვილი ახალი ევროპიული მეცნიერებით, მოკლებულია თაოსნობას არამცთუ საზოგადო საქმისათვის, თვით საკუთარი კერძო საქმისათვისაც და თავის ცხვირის იქით ვეღარას ჰხედავს? მეორეს მხრით — რა მიზეზი იყო, რომ ძველი საქართველოს ახალ-გაზრდა დაშორებით უფრო უმეცარი, დესპოტურ ოჯახში აღზრდილი ეკკლესიურ წიგნებზე და უმეტესად სქოლასტიკაზე, ვიდრემდისინ აწინდელი ხასიათის მეცნიერებაზე, სამაგალითო მუშაკი და მოღვაწე პირი იყო? უღონობა ჩვენი მწერლობისა ნებას არ გვაძლევს ვრცლად ვუჩვენოთ მკითხველებს ყოველგვარი მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა. ჩვენ ზოგიერთა მიზეზებს დავასახელებთ.

პირველ შეხედვით ამ მოვლენას მკითხველი ახსნის მარტო აწინდელი ჩვენი შეუსაფერო განათლებით და იფიქრებს, რომ თუ ახლანდელი ქართველი ახალ-გაზრდა ასე უძლური და სუსტი არსე-

ბაა, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ განათლება ხალხოსნურ ნიადაგზე არ არის აღმოცენილი. ამ აზრში არ არის მთლად სრული ჭეშმარიტება. სრულიად მართალია, რომ განათლება ძალას ჰკარგავს, როდესაც ნამდვილ ნიადაგზე არ არის დამყარებული, მაგრამ მარტო ეს მიზეზი დაბოლოებით მოვლენას არა ხსნის. საქმე იმაშია, რომ, რომელიც გნებავთ მოვლენა აიღოთ, მას მარტო ერთი მიზეზით ვერ ახსნით. საზოგადოებრივი სხეული მეტად რთულია, მისი შინაგანი სიცოცხლე დაფუძნებულია მრავალ ძალებზე; ერთი მოვლენა ამ სხეულისა მეორესთან ორგანიულად არის გადაბმული, შეკავშირებული. ამისთვის ერთი მიზეზი არ გამოდგება მოვლენის ასახსნელად. რომ ყოველივე ეს მართალია, სჩანს, სხვათაშორის, იმ ფაქტიდგან, რომ ეხლაც ბევრი მოიპოვება ჩვენ სამშობლოში ისეთი ოჯახები. სადაც სწავლა-განათლება ძველებურს გზას ადგია, მაგრამ ოჯახებიდგან კი სულ სხვა გამოდიან. მაშასადამე აწინდელი ჩვენი განათლება შეიძლება ერთი მიზეზთაგანი იყვეს და სხვა არაფერი. ჩვენი აზრით, უმთავრესი მიზეზი უნდა მოიძებნოს თვით ოჯახის ბუნებაში, მის არსებაში. მართალს ამბობს ლუი-ბლანი, რომ ოჯახის აგებულება მიემსგავსება სახელმწიფოს აგებულებასა, ბოლოს რაც სახელმწიფოს ემართება, ის ოჯახსაო: ერთიცა და მეორეცა, მოუძლურებული ვარდება . . . უწინდელი მშობლიური ოჯახი ირყევა და ამ ბრძოლის გამო ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. ოჯახისათვის საჭიროა ერთობა. . . როდესაც ამ ძალას, რომელიმე გარემოებათა გამო, ზედ ერთვის სხვა ძალა,..... მაშინ ოჯახის ერთობა იკარგება, და, როდესაც ოჯახს ერთობა აკლდება, მაშინ კიდევ თვით ოჯა-

ხი სადი სხეული აღარ არის. საქმე იმაშია, ჩემო მკითხველო, რომ ყველა ხალხის ოჯახის იურიდიული თუ სხვა გვარი აგებულება აღმოცენილია ხალხოსნურ ნიადაგზედ და თვით განვითარება ოჯახისა მაშინ შეიძლება, როდესაც ის (ოჯახი) მშობლიურ ნიადაგს არა სტოვებს, ესე იგი წინ მიდის თავისი ინტერესის ძალით, ეტანება წარმატებას თავის კეთილისათვის. შეიძლება ერთი ხალხის ოჯახში სხვა ხალხის ოჯახის ზოგიერთმა ელემენტებმა ადგილი დაიჭირონ, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ ოჯახმა ფეხქვეშ თავის ნიადაგი არ დაჰკარგოს ე. ი. არ აუგცოს იმ გზას, რომელსაც ეს წარმატებაში მიჰყავს. თუ აუქცია, მაშინ თვით აგებულება დაიფუშება. ოჯახიც დაუძლურდება.

ჩვენში ოჯახის დარღვევა უფრო დიდს წოდებას ეტყობა. ასე ყოფილა სხვაგანაც. მართალია, გლეხის ოჯახშიც არა ტრიალებს ძველებური ზნეობრივი ძალა, რომელმაც აქამომდე დაიცვა ეს ბევრად შესანიშნავი ჩვენი ერთი მუჭა — ხალხი, მაგრამ, რაც უნდა იყვეს გლეხ — კაცობის ოჯახს ისე არ ატყობა დარღვევა, როგორც მაღალი წოდების ოჯახებს. სხვათა შორის, ამ მოვლენის მიზეზი იქმნება ის უთვლად ცნობილი გარემოებაც იყვეს, რომ დაბალი ხალხი უფრო ჩვეულებრივი ხასიათისაა და უფრო წინააღმდეგობას უწევს გარეგანს მოვლენათა ძალებს, ვიდრემდისინ მაღალი წოდება. ბევრი ფაქტების მოყვანა შეიძლება ისტორიიდგან იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ მაღალ წოდებაში უფრო დიდია მიდრეკილება სხვა ხალხის ჩვეულებების მიბაძვისადმი, ვიდრემდისინ დაბალ წოდებაში.

სწორედ, ოჯახის დარღვევა უფრო მაღალ წოდებას ეტყობა. უცხო ელემენტების ქვეშ ჩავარდნის შემდეგ, ჩვენმა მაღალმა წოდებამ პირველადვე განათლების გარეგნობას მიჰმართა. ევრო-

პიული განათლება წამოსწევდა და განავითარებდა ჩვენ ოჯახს, მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ ნამდვილი ევროპიული განათლება გონივრულად არ შეითვისეს და შინაარსს გარეგნობა ამჯობინეს, აზრს—ფორმა. განათლება, ჩემო მკითხველო, ორპირი მახვილია. შეიძლება ამ მახვილით, თუ ის გონივრულად არ მოიხმარე, თითონ შენვე დაიჭრა შენი თავი. აი მაგალითიც. აწინდელ ევროპაში შუა წოდებას, ეგრედ წოდებულ ბურჟუაზიას, დარჩა ბურთი და მოედანი. რისთვის? თქვენც დამეთანხმებით იმაზე, რომ ამის უმთავრესი მიზეზი ისიც იყო, რომ არისტოკრატიამ გზა აუქცია ნამდვილი განათლებას და ამ უკანასკნელს ამჯობინა გარეგნობა. აბა დააკვირდი დასავლეთ ევროპას. იქ უმეტესად შუა წოდებიდგან გამოდიან წარჩინებული კაცები, და ეს იმიტომ, რომ შუა წოდებამ კარგად შეიგნო თუ სად არის ძალი და ღონე. იმ დროს, როდესაც არისტოკრატია ასე გულმოდგინეთ სწავლობს „ზრდილობის კოდექსს, ბურჟუა ეწაფება ნამდვილ განათლებას—ვიდრემ დიდი სიმდიდრე და ბევრი თავისუფალი დრო იმასაც არ წაიცდენენ არისტოკრატების გზებისაკენ. არისტოკრატია? ვინ არ იცის, რომ მისი განათლება შედარებით უფრო სუსტი და უღონოა. ვგონებ თითო ოროლა მაგალითი რომ უჩვენოთ მკითხველს ურიგო არ იქნება.

ჩვენშიც მაღალმა წოდებამ განათლების გარეგნობა გააღმერთა და შეიქმნა მიზეზი იმ არეულ—დარეულობისა ოჯახში... და ამ განათლების გარეგნობას წინაუძღოდა განათლებული ცხოვრების გარეგნობის შეთვისება, „ზრდილობის კოდექსისა,“ ჩვენშიც, როგორც სხვაგან, მაგ., ევროპაში ეგრედ წოდებული ეტიკეტი შეიქმნა ცხოვრების ბურჯად და ამ ბურჯზედ აშენდა ის ლაზათიანი და კეკლუცი შენობა, რომელსაც განათლებული ოჯახი ეწოდების და სადაც მეტად ცოტა

ჭაერის დაუნდობელი კრიტიკისთვის, ყოვლად შეუწყნარებელი ანალიზისათვის. ეს ეტიკეტი გონებას ასუსტებს, აზროვნობას აწვრილმანებს, გრძნობებს აჩლუნგებს და სცვეთავს. ჩვენი მაღალი წოდებისათვის ის მით უფრო მავნებელი გამოდგა, რომ წინად ცხოვრება მარტივი იყო, არისტოკრატიას სხვა საქმეები ჰქონდა და ეტიკეტისთვის არ ეცალა. ზოგიერთა მკითხველი გაიკვირვებს ჩვენ აზრს. არა, ჩემო ბატონებო. თვით დასავლეთ ევროპაში უკეთესი მწერალნი არისტოკრატიის დაუძლურებას, სხვათა შორის, იმ მიზეზით ხსნიან, რომ არისტოკრატიამ თავის სათაყვანებლად აქცია «ზრდილობის კოდექსი», ეტიკეტი. აწინდელი ევროპის მაღალი წოდების გონებითი სიჭლექე, სისუსტე უნდა აიხსნას ამ კოდექსიის განვლენით. წაიკითხეთ მაგ. მშვენიერი ენციკლოპედიური თხზულება ედგარ კინესი „ახალი სული“ (ფრანციზულ ენაზე) და დაინახავთ — თუ რა შედეგები მოსდევენ „ზრდილობის კოდექსს». და მართლაც, რა არის შინაარსი ამ კოდექსისა? ლაზათიანი გარეგნობა, უშნოობის კილო, უფრო ფორმა ვიდრემდისინ გონივრული აზრი. განა ამისთანა ჭაერში გონივრულად აღიზრდება ზნეობრივი არსება?

რასაკვირველია, მკითხველი ისე არ გაიგებს ჩვენ აზრს, ვითომ ჩვენ ბერჟუაზული წყობილება და ლტოლვილება ყოველმ ხრივ მოგვწონდეს; ჩვენა გვაქვს ლაპარაკი მარტო ერთ მხარეზე. ეგრეთვე, რაც შეეხება ჩვენს ლაპარაკს არისტოკრატიაზე იმედი გვაქვს, რომ ამას ისრე არ გაიგებს მკითხველი, ვითომც საჭირო არ იყვეს ზრდილობა, გარეგნობა, კილო გარეგანი ცხოვრებისა. არა, ყოველივე ეს საჭიროა და ჩვენც, პოეტისა არ იყვეს, ვერ გაგვიგია რისთვის უკვირდა რუსსოს, როდესაც იმის წინ გრიმმი ფრჩხილებს ისუფთავებდა, რადგანაც:

И можно быть дѣльнымъ человѣкомъ
И думать о красѣ ногтей,

მაგრამ ვნება და ზარალი მაშინ არის, როცა მთელი ცხოგრება მარტო ეტიკეტზე და გარეგან ზრდილობაზე აშენებულია, როცა ყოველივე ეს აღვიარებულია ცხოვრების დედამარღვად...

იმის შემდეგ, როდესაც ჩვენ წინაპართა აიღეს თავზედ ხელი და სთქვეს, ჩვენ თავს ჩვენ ვეღარ მოუვლითო, ჩვენა მაღალი წოდება მიეშურა ეგრედ წოდებულ განათლებულ ცხოვრებას მისი „ვეჩერებით", «ბალებით", «ტანცებით» და სხვა და სხვა... აი სწორედ მაშინ შეირყა სიმტკიცე ჩვენი ოჯახებისა. წინად, ჩემო მკითხველო, როგორც ზემოთ ვსთქვით, ჩვენ მაღალ—წოდებას დრო აღარ ჰქონდა აწინდელი «განათლებული ცხოვრებისათვის». მას კისერზე აწვა აღრე გარეშე მტერი, სახელმწიფო საქმეები, და ამისათვის კიდევ ტვინის მუშაობა იყო საჭირო. საქმეს ცოდნა უნდოდა და ამ უკანასკნელს კიდევ აღზრდა, მომზადება. ამისათვის ოჯახის უმთავრესი დანიშნულობა მაშინ სხვა იყო. მისდა საკეთილოთ საჭირო იყო, რომ ოჯახსაც და ქვეყანასაც ღირსეული დამცველი და მეთაოსნე ჰყოლოდა, და კიდეც ზრდიდა ამგვარ შვილებსა. შემდეგში, როდესაც ახალი მთავრობა შემოვიდა და მტერი აღარ აწუხებდა მშვიდობა ჩამოვარდა გარეშე მტერთაგან, უსაქმოდ დარჩა, მან ხელი მიჰყო მთლად «განათლებულ ცხოვრებას,» ესე იგი დროების გატარებას. განჰქრნენ ის პირობები, რომელთა დახმარებით ასპარეზზე გამოდიოდნენ ჭაბუა ორბელიანები, სოლომან ლეონიძეები. მოედანი დარჩათ ბალეტმეისტერებს, შლეიფებს, კლუბების აშოლღანებს, ევროპის განათლების მაიმუნებს. ეს მაღალი წოდება უსაქმოდ დარჩა სწორედ იმ დროს, როდესაც

მთელი რუსეთის არისტოკრატია თაყვანს სცემდა განათლების გარეგნობას. მაშინდელი დაუვიწყარი დრო ის დრო იყო, როდესაც საფრანგეთის გარეგნობის განათლებამ ფეხი მოიკიდა რუსეთში... ამისათვის ჩვენი მაღალი წოდების ძალა და ღონე გამოიფქვა გარეგანი განათლების მიღებაში.

ჩვენ ოჯახში დაარსდნენ „ახალი სტიქიონები. უწინდელი ფორმულა «ჩვენ», რომელიც შედეგი იყო წინანდელი ცხოვრების, ჩაიფუშა და მთელი სამფლობელო დაიჭირა პირადმა სარგებლობამ. „მე“ გაღმერთდა, ტაძარი ააგო. საკვირველი მყუდროება და მშვიდობიანობა ჩამოვარდა, აზროვნობა თითქო განჰქრა, გონებით მუშაობა მოიშალა ამ სამოც ოთხმოც წლის განმავლობაში . . .

საკვირველი არეულ—დარეულობა დაარსდა ოჯახში. მამა მამა არ არის, დედა—დედა, შვილი—შვილი. არავითარი წყობილება, არა ვითარი დისციპლინა არ არის აქა, არა ვითარი ზნეობრივი განვლენა, არავითარი საზოგადო ლტოლვილება არ იხედება, რასაც წინანდელი ოჯახი არ იყო მოკლებული. მართალია, არც მაშინ იყო დახშული „მე“ (ან კი როგორ შეიძლება, რომ ის როდისმე იყვეს დახშული), მაგრამ მაინც «ჩვენსას» ეჭირა საპატიო ალაგი. თვით ეგოიზმი, თავის შინაარსით უფერული არ იყო, როგორც ახლა. ეგოიზმს ეტყობა ფეროვნება, სიფართოვე. იქმნება სანთლით რომ გეძებნათ, მაშინაც ძლივს გეპოვნათ ძველ საქართველოში ლუარსაბ თათქარიძე. ყოველ შემთხვევაში ამ სუსტს და ჭლექიან არსებას დაშორებით სჯობიან ენერგიული ძველი ბაშიბუზუკი, თუნდ ამილახვარი ანდუყაფარ, („თამარ ლაზნელში“)... ეს უკანასკნელი ტირანი იმით მაინც იყო კარგი, რომ ენერგიას იჩენდა..., ზემოდ მოხსენებული მოვლენის მიზეზი, გარდა პოლიტიკური გარემოების, ისიც იყო,

რომ ჩვენს ძველ ოჯახში მკვიდრად ჰქონდა თვისი მოკიდებული წესს, დისციპლინას. მართალია, ეს წესი ბევრად დესპოტიური იყო, მაგრამ მაინც დიდი სიკეთე მოჰქონდა. თვით ეს წესი წარმოსდგებოდა მაშინდელი გარემოებისაგან. როდესაც რომელიმე ქვეყნის გარემოება ქმხობა, ოჯახის წესიც იცვლება. ძველი რომის ოჯახს რომ დააკვირდეთ, განცვიფრდებით: ოჯახის წყობილება სთრგუნავდა კაცის ბუნებას, მაგრამ სციპიონები, გრაკხები, კატონები არ აკლდა . . . მაშინ ოჯახიც მოუძლურდა, ამგვარ შვილებს იტალია ძვირადღა თუ ზრდიდა. საკვირველი ეს არის, რომ ყოველივე ეს მოხდა მაშინ, როდესაც საოჯახო კანონები უფრო ჰუმანიურნი იყვნენ, ვიდრემდისინ უწინ. მკითხველი, ვგონებ, იმ უმეცრებას არ შემწამებს, ვითომც ჩვენ ოჯახის დარღვევას მარტო ამ მიზეზით ვხსნიდეთ, არა, სხვა მიზეზებიც არიან.

უწინდელი წესის ადგილი ჩვენი მაღალი წოდების ოჯახში დაიჭირა იმ წესმა, რომელსაც რუსულად ეტყვიან «кодексъ житейской мудрости“. ეს კოდექსი ითხოვს სრულს დამორჩილებას ცალკე პირისას იმ ძალისადმი, რომელსაც საზოგადოების სჯას, აზრს უწოდებენ. სრული მონა უნდა იყვე ამ აზრისა, თორემ გიჟს დაგარქმევენ. ეს რომ თავიდგან აგცილდეს, საჭიროა ჯამბაზობა, საზოგადო თვისი ხმის მიდევნა. ამისათვისაც ხშირია, რომ აწინდელი ახალგაზრდა ბრწყინვალე გვამი, გარეგანის მხრით, ვითომ განვითარებული, შინაგანის მხრით წარმოადგენს იმ ჭლექიანი აზრებისას, რომელნიც უხვად მოიპოვებიან ნაჩვენებს კოდექსში: ყველა იმას მისდევს, რისაც ბძანებს ის კოდექსი, და რას ბძანებს იგი, ეს ხომ კარგად უნდა იცოდეს მკითხველმა.

რას სწავლობენ აწინდელი ქალბატონები...:

«Французскіе романсы вамъ поютъ
И верхнія выводятъ нотки,
Къ военнымъ людьямъ такъ и льнутъ,
А потому что патріотки!»

ყოველივე ეს ნეტარება და ბედნიერება კანონიერი ნაყოფია ზემოდ ნაჩვენები სიბრძნის კოდექსისა.

აიღეთ, თუ გნებავთ, ესტეტიკური მხარე ჩვენი ოჯახისა. სრულს ჭეშმარიტებას აღვიარებს კინე თავის «ახალ სულში», რომ ცხოველებმა და ფრინველებმა ძლიერ აჯობეს კაცებს ესტეტიკაშიო. მართლაც, რა მოხერხება და ესტეტიკური ღირსება სჭირდება თუნდა მამალ — ბულბულს დედალი — ბულბულის სიყვარულის შოვნისათვის!? რა ხელოვნებაა საჭირო! მშვენიერად სწერს ამაზე კინე. ჩვენი ოჯახი! სულ განიდევნა ნიჭი, გრძნობა. ცოლ-ქმრობა ვაჭრობათ გარდაიქცა. უწინდელი თავადობა „ღირსებას“ მაინც აფასებდა. ეხლა ღირსების ადგილი ანგარებამ დაიჭირა. მკითხველი ნუ იფიქრებს, ვითომ ჩვენ თანაუგრძნობთ უწინდელს კასტიურ ოჯახს, არა, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ოჯახი მოშორებული უნდა იყვეს უწინდელს, წოდებრივ ხასიათს, რადგანაც მხოლოდ მაშინ შეასრულებს ის თავის დანიშნულებას, მხოლოდ მაშინ მოჰფენს ხალხში ერთობას, ძმობას. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ წინად ოჯახს წოდებრივი პრინციპი მაინც მოეპოვებოდა; ახლა ესეც გამოეცალა მას და დარჩა ხელცარიელი, მოშორებული ზნეობრივ საფუძველს...

გლეხ-კაცის ოჯახიც შეირყა; ეს ცხადია, ვინც კი ჩვენ ცხოვრებას სწავლობს. ძველებური დიდი ოჯახი, სადაც ქართულ ძმობის, ერთობის გაკვეთილებს სწავლობდა, ეხლა ფიქციათ შეიქნა. აწინდელი გლეხის ოჯახი სწორედ რომ მიკროსკოპი-

ული ერთეულია უწინდელ მრავალ—წევროვან ოჯახთან შედარებით: ძმა ძმასთან ვეღარ თავსდება, რძალი რძალთან, შვილი მამასთან... ნამდვილი ბიბლიური გოდოლის სურათი გვხატება. უწინ, ჩემო მკითხველო, ოჯახი იყო თითქმის ერთად ერთი დაწესებულება, სადაც კაცი იზრდებოდა მამულისათვის, და ოჯახისათვის. მაშინ ოჯახი სკოლა იყო, სკოლა პრაქტიკული, სადაც უფროსი მასწავლებელი იყო „უმცროსისა. აბა შეისწავლეთ ჩვენი ისტორია. იქ დაინახავთ, რომ თითქმის ყველა უკვდავი და გამოჩენილი ქართველი ყოველთვის ოჯახში სწავლობდა. ამისთვისაც საქართველოს ცოტა მოეპოება თეორეთიკები და ასე უხვად მოქმედი პირები. „ძველ საქართველოში, გვონებ ძნელად იპოვნით ისეთს პირს," რომელიც მარტო თეორიას გამოსდგომოდეს" და ცხოვრება გვერდზე მიედოს. გლეხ-კაცის ოჯახიც სკოლა იყო და ეს სკოლა მით უფრო კარგათ ასრულებდა თავის დანიშნულებას, რომ ოჯახი მრავალი წევრებიდგან შესდგებოდა.

ზოგიერთა ვაჟ-ბატონებს, რომელთაც ლიბერალობა თვალში უძევთ და არა თავში, ჰგონიათ, რომ მრავალ სულიან ოჯახში კაცი თავისუფლებას ვერ პოულობს. აი რას ბძანებს ყოვლად ლიბერალური „შრომა": „მრავალ სულიან ოჯახში ოჯახის წევრი ვერ პოულობს თავისუფლებას და ამიტომ გადის ოჯახიდგან და ცალკე ესახლება" («შრომა», № 7, 1883 წ.) საკვირველი ლოღიკაა! „არისტოტელიდგან დაწყობილი აქამომდე სულ იმას ამბობენ, რომ კაცი «საზოგადოებრივი ცხოველია», იმის ზნეობრივი თავისუფლება მარტო საზოგადოებაში იზრდება და „შრომა" კი სულ სხვას ლაღადებს. მაშ სად, თუ არ დიდს ოჯახში, შეუძლიან რიგიანს კაცს შეისწავლოს გაკვეთილები საზოგადოებრივი ცხოვრებისა? სად უნდა გაიწვრთნას, ზნეობი-

თი აღიზარდოს კაცი, თუ არ ისეთ ოჯახში, სადაც ის ყოველ წამს თავის მგზავსს კაცებსა ჰხედავს? ნუ თუ თქვენ, უძროვოდ დამწიფებულნო ლიბერალებო, გგონიათ, რომ კაცი მარტო თავისუფლებას მაშინ პოულობს, როდესაც ის, „ჯავჭავაძის ოგანდეგილისავით", გამოქვაბულ კლდეში სცხოვრობს?! თავისუფლება მაშინ არის გონივრულად გაწყესებული, როდესაც ერთს კაცს, თავის თავისუფლებასთან, სხვების თავისუფლებაც ესმის, მას აღვიარებს და უფრო ემორჩილება. ამ ზნეობრივ საფუძველზე ამოყვანილია კაცთა შორის ყოველგვარი კავშირი — ოჯახი, სახელმწიფო და სხ. ამას ამბობს თვით პოლიტიკური მეცნიერებაც. მაშა სადამე, მრავალ სულიანი ოჯახი და ოჯახის უფროსი კაცის თავისუფლებას არ უშლის, არ სთრგუნავს; არა თუ არ უშლის და არ თრგუნავს, არამედ უფრო დიდს სარბიელს უხაზავს თავისუფლებას... თავისუფლებას ავიწროებს ოჯახის წევრების რაოდენობა კი არა („მრავალ სულიან ოჯახი"), ოჯახის შინაგანი აგებულება, მისი იურიდიული და ზნეობრივი სული, მიმართულება. სადაც მამა სილვესტრის «Домострой»-ს აზრები სუფევენ, იქ თუნდაც ოჯახში ორი სული იყვეს, (ცოლ-ქმარი), მაინც კაცი თავისუფალი არა ოდეს არ იქმნება...

გლეხ — კაცობის ოჯახი წვრილმანდება- ამის მიზეზი სრულებითაც არ არის ის გარემოება, ვითომც მრავალი სულიან ოჯახში კაცი თავისუფლებას ვერ პოულობს. არა, ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ წინად მჭიდრო კავშირი იყო ოჯახის და მთელი ხალხის წყობილების შორის და ახლა კი ეს კავშირი მოისპო. მართლად შენიშნა «შრომამ», რომ „არც კანონს მოსწონდა ოჯახის გაყოფა». მეფე გაყოფაში, კანონის ძალით, მოეცედ ნაწილს იღებდა და ვახტანგ მეფე კი იმას სცდილობდა, რომ ოჯახი არ გაყოფილიყო. რისთვის? მისთვის, რომ ოჯა-

ხის დაწვრილმანება საზარალო იყო სახელმწიფოსთვის. მაშინდელი ჩვენი ოჯახი პაწაწინა სამთავრო იყო (თუ შეიძლება ასე ითქვას) სახელმწიფოში. ერთობა, ძმობა, ოჯახში იზრდებოდენ. მაშინ, როდესაც მოისპო უფროს უნცროსობა, ე. ი. დისციპლინა, ოჯახსაც მოეშალა სამირკველი; საზოგადო საქმეებზე ზრუნველობა განჰქრა, ოჯახიც დაწვრილმანდა. ეხლა ასე ადვილად შვილი მამას იმიტომ სტოვებს, რომ მათ ერთობის მიზანი მოესპოთ, მათზე სხვები ზრუნავენ. უწინ ერთათ სცხოვრებდნენ, რადგანაც ერთი სამღვთო კალი წინ მოუძღოდა... აწინდელი ოჯახის დაწვრიმანებაში მხოლოდ უმეცრება გამოძებნის პიროვნულს განვითარებას, თუმცა იმასაც ვიტყვით, რომ ახლანდელი საოჯახო უფლება უფრო ესარჩლება კაცის პიროვნებას, ვიდრემდისინ უწინდელი.

საკვირველი მოვლენაა! დღეს ჰსედავთ დიდს ოჯახს, ეკონომიურად აყვავებულს, ხვალ ეს ოჯახი იყოფა და წევრების ეკონომიური კეთილ—დღეობაც მცირდება. ამას გრძნობს ყველა წევრი. ოჯახი მით წვრილმანდება.

Z

მარტი.

# შინაური საქმეების მაგივრად

(ნაწყვეტი ჩვენ ჟურნალ-გაზეთებზე)

ერთს თავის «Жизнь на точкѣ»-ში მწერალმა მართალი სთქვა, რომ მთელი ჩვენი ქართველი ცხოვრება ბოდიშის მოხდაზე არის აშენებული. თუ ეს ითქმის რუსეთზე, ჩვენ ცხოვრებაზე ხომ უფრო დიდის საფუძვლით უნდა ითქვას. მართლაც და ჩვენი ყოველისფერი ბოდიშის მოხდას თხოულობს. საითკენაც კი მიიხედ-მოიხედავთ, ყოველ-ნაბიჯზედ ისეთს სისულელეს შეეტაკებით, რომ სულ „უკაცრავად“ უნდა იძახოთ. ჩვენ ცხოვრებას ჯერ-ჯერობით ამის მეტი სიკეთე არ ეტყობა და არც მოეთხოვება. ვინ იცის, როდის მოვა ის ნეტარი დრო, როცა ქართველ კაცს ბოდიშის მოხდა აღარ დასჭირდება... მაგრამ მომავალზედ ოცნება სრულიადაც არ აქარწყლებს საზოგადოების აწინდელ წყლულს, ტკივილს... რასაკვირველია, საზოგადოების უმრავლესობა სრულიადაც არა გრძნობს ცხოვრების ნაკლულევანებას. ეს უმრავლესობა შესჩვევია თავის მშვიდობიანს და მყუდროს მდგომარეობას, არ იცნობს არც ავს, არც კარგსა და გაუფუფუნებული ცხოველივით გამტერებულა და შეჰყურებს ჟამთა და დროთა მიმდინარეობას, იგი არც ბოდიშს მოიხდის, რადგანაც მას არავითარის ცნობიერება არა აქვს. თუ მას ცნობიერება აქვს რისამე, ისევ პირადი სარგებლობისა, მაგრამ განა ამას ცნობიერება ეთქმის? პიროვნული სარგებლობა ზოგი-

ერთ ცხოველებსაც კი ესმათ და ისეთს «საზოგადოებრივ ცხოველს», როგორც კაცია, რომ ესმოდეს — ეს ხომ ღირსება არ იქნება. კაცი მაშინ არის კაცი, როდესაც იგი თავის-გარედ სხვასაც ჰხედავს და იმ სხვისათვისაც ცდილობს, თორემ აბა რითი უნდა გაირჩეს კაცი ცხოველიდგან, თუ კი იგი როგორც ლოკოკინა, შემძვრალა ცხოვრების ვიწრო სოროში და კმაყოფილებით შეჰხარის თავის პიროვნებას, აი სწორედ ამ ვიწრო სოროში შემძვრალა ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა და თვალებს ახელს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვინმე შეარყევს იმის სიჩუმეს, მშვიდობიანობას, იმის, ვითომ კეთილ-დღეობას. ლოკოკინაც რქებს გამოჰყოფს ხოლმე, ბუდიდგან, როდესაც გასაჭირი რამე კარზე მიადგება. რა ბოდიშის მოხდა მოეთხოვება საზოგადოების უმრავლესობას? ბოდიშის მოხდა ცნობიერების შედეგია და ცნობიერება ხომ წილად აქვს ნარგუნები მარტო საზოგადოების მცირე ნაწილს. აი ეს უკანასკნელი არის ყოველგვარის მოთავოსნე და მთელ საზოგადოებასაც ჰხდის ბოდიშს, ყველას მაგიერად ის იძახის «უკაცრავად».

ცნობიერთა მცირე ნაწილი სხვა-და-სხვა პირებთაგან შესდგება და იმათ შორის, რასაკვირველია, მწერლებს პირველი ადგილი უჭირავთ. უცხო შორიელს კაცს ყოველთვის შეუძლიან რომელიმე ხალხის ავი და კარგი იმის მწერლების ნაწარმოებებიდგან შეისწავლოს, რადგანაც მწერლები ხალხის ვინაობის წარმომადგენელნი არიან. ყველა მწერალი ღვიძლი შვილია თავის ხალხისა, საზოგადოებისა. მას ზედ აზის ხალხოსნობის ბეჭედი; ეროვნობის ნიშანი.

მეტადრე ეს ითქმის იმ მწერლებზედ, რომელნიც იღწვიან ესრედ წოდებულ პერიოდულ ლიტერატურის ასპარეზზე. აი-

ლეთ, მაგ., ქართველი მწერალი, შეისწავლეთ ის და მაშინვე გაიგებთ, რომ ის ქართველის ყოველისფრით და არა სხვა ვინმე. შეიძლება ერთი წუთიც არ გაცხოვრებიათ საქართველოში, მაგრამ თუ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს ჰკითხულობთ თუნდა მაგ., თეთრ ჩინეთში, იქაც კი შეიგნებთ — რაა და როგორია საქართველოს ცხოვრება, რა ჯურის კაცს ეკუთვნის ქართველი მწერალი და როდესაც მწერლობა ბოდიშს იხდის საზოგადოების წინაშე — ეს მეტად საყურადღებოა. ხშირს მწერლობას ცოტად თუ ბევრად შეუგნია თავის ნაკლულევანება; ხშირს მას არ ავიწყდება, რომ იგი საზოგადოების მოსამსახურეა და არა სხვა რაიმე. ბოდიშის მოხდა, რაც უნდა იყოს, მაინც სინიდისის საქმეა და სინიდისის შერჩენა, გინდ კი, მწერალნის სიტყვისა არ იყოს, ამ ჩვენ უსინიდისო დროში ხომ დიდს საუნჯეს შეადგენს ..

მოახლოვდა ახალი წელიწადი და ჩვენმა რედაქციებმა ერთხმივ გამართეს ბოდიშის მოხდა. ხან ერთი რედაქცია იხდის ბოდიშს, ხან მეორე, — თითქო ერთი ერთმანეთს ეჯიბრებიანო. რასაკვირველია, თვითეულ რედაქციას თავის ცოდვები აქვს და რაც ემართლება საწყალ მკითხველებს, თუ ბოდიშსაც არ მოითხოვს, თუ ცოტათი მაინც ცოდვებს არ შეინანებს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ არც ერთი რედაქცია მთელს თავის ცოდვებს არ აშკარავებს და ბოდიშს იმაზედ იხდის, რაზედაც მისგან სრულიად არ თხოულობენ. რედაქცია ბოდიშს იხდის თავის მკითხველებთან, რომ წარსულში ჟურნალი ხშირად თავ-თავის დროზედ ვერ გამოდიოდა და შემდეგში ეცდება იგი... (ივერია:) რედაქცია დიდს ბოდიშს ითხოვს მკითხველებთან ჟურნალის დაგვიანებისათვის და იხმარს ყოველს ღონისძიებას, რომ შემდეგი წიგნები თავ-თავის დროზედ გამოსცეს (იმედი). «ვა-

მოვა იმ გვარადვე, როგორც აქამდის გამოდიოდა («შრომა»). (აბა «შრომისათვის» ბოდიშის მოხდა რა საჭიროა! საკმაო არ არის ლიბერალური ლექციობა და დაპასუხური კინტოობა!) «დროება?» „იმედი აქვს ისეთი ცვლილება შემოიღოს გამოცემაში, რომლისათვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან». (კარგი და პატიოსანი, მაგრამ მკითხველნიც არიან და მკითხველნიც... დედამთილი სოფიოც მკითხველია...). საკვირველია, ღმერთმანი, ჩვენი რედაქციების საქმე. „იმედს" რომ თავი დავანებოთ,—რომლის დიდ ბოდიშს წინ, მგონი, დიდი ცოდვებიც უნდა მიუძღოდნენ, მაგრამ ბევრად თუ ცოტად შესაწყნარებელნი, რადგანაც იგი ახალის მიმართულებისაა და მაშასადამე ჯერჯერობით არც თუ ჯეროვანი თანაგრძნობა მოუპოვებია მკითხველი საზოგადოებისაგან და არც თუ საშუალო და რიგიანი თანამშრომლები უშოვნია, — განა ჩვენი დანაშთენი ჟურნალ-გაზეთები იმაზე იხდიან ბოდიშს, რაზედაც ჯერ არის! ვითომც «ივერიის» უპირველესი დანაშაულობა ის არის, რომ ხშირად თავ-თავის დროზე არ გამოდიოდა! ვითომც თვით რედაქციამ არ იცის, რომ რამდენიმე წელიწადის განმავალობაში «ივერია» თოფ ნაკრავი მხედარივით დასტირის ჩვენ წარსულს და შენი მტერი იქმნებოდა და ჩვენი საქმე თავ-თავის დროზედაც რომ გამოსულიყო; მაშინ ხომ ყველას ჭირისუფლებად გარდაგვაქცევდა? რედაქცია კი ბოდიშს იხდის, რომ ჟურნალი თავ-თავის დროზედ არ გამოდიოდა. «შრომის» ლექცია რედაქტორს ეხვეწებიან — კინტოობა დაუტევე, იაფი ფასის ლიბერალობა საჭირო არ არისო და უდადიანი კი აცხადებს: „გამოვა იმ გვარადვე, როგორც აქამდის გამოდიოდაო", ე. ი. კეზელი და ზოსლეველი ისევ იკინტოვებენო! „დროებას" უბნებიან: «შენი მკითხველები, რომლის უმრავლესობა სოფელში მოიპოვება, მეტად კმაყოფილნი არიან,

რომ გაზეთი ხანდისხან ჭორიკანაობს და უაზრო კორრესპონდენციებსაც ბეჭდავსო და რედაქცია კი ლაღადებს; — იმედი მაქვს ისეთი ცვლილება შემოვიღო გამოცემაში, რომლისათვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიანო... სჩანს, რომ რედაქციებმა არ იციან საზოგადოება და საზოგადოებამ კიდევ არ იცის რედაქციები, სჩანს მათ ერთი ერთმანეთისა არა ესმით რა. ამისთვისაც ვხედავთ, რომ რედაქციები თუმცა მკითხველებთან ბოდიშს იხდიან, მაგრამ ეს ბოდიშის მოხდა სრულიადაც არ შეეხება იმას, რასაც უნდა შეეხებოდეს. და ეს კიდევ იმიტომ, სხვათა შორის, რომ რედაქციამ არ იცის თავისი დანიშნულება და მოვალეობა საზოგადოებისადმი და საზოგადოებამ — რედაქციისადმი. მათ შორის არავითარი ზნეობრივი კავშირი არ მოიპოვება, საშუალო და საკამათო კი ბლომად არის. რედაქცია მიიწევს, ვსთქვათ, აქეთ და საზოგადოება კიდევ იქით. პირველს ძილშიაც კი ხელისმომწერლები ელანდებიან, საზოგადოება კიდევ გულ-აცრუებული ხელს არ აწერს, — მე საპარსი ცხვარი როდი ვარო; მანგრე არ მინდა — მე ფულები გაძლიო და შენ კი წყლული არ გამიკურნოვო, ტკივილი არ მომასპოვო... განა ეს საყვედური მართალი არ არის? თუ რედაქციას არ ესმის საზოგადოების გაჭირვებანი, თუ ის ამ გაჭირვებას არ უქარწყლებს მას, თუ ჟურნალი ყურს არ ათხოვებს ცხოვრების მაჯის-ცემას, მაშინ იგი, რაც უნდა შეზავებული იყოს ნასწავლი თანამშრომლებით, თავის მიზანს ვერ მიეღწევა და საზოგადოების გულ-გრილობის მეტს ვერაფერს დაიმსახურებს. —

ევროპაში (რომელი ხალხიც გნებავთ აიღეთ) ჟურნალს თუ გაზეთს ერთი და იგივე მიმართულება მიაჩნია თავის მოვალეობად, იგი ერთი და იგივე სულით სცოცხლობს, ერთი და იგივე ძალით მოძრაობს — მას შეგნებული აქვს მთელი ხალხ-

ხას თუ საზოგადოების, ან რომელიმე მისი ნაწილის, საჭიროებანი და ტკივილნი, და მათ ჰკურნავს, მათ ექიმობს. ვერც ერთი გამოცემა იქ ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ კი მან საზოგადოების საჭიროებას გზა აუხვია. ამისთვისაც ვხედავთ, რომ საზოგადოების ზნეობრივი კავშირი აქვს ჟურნალთან, ჟურნალს — საზოგადოებასთან, ამისთვისაც კეთდება იქ საქმე, ამისთვისაც იქ ჟურნალი — ჟურნალია, გაზეთი — გაზეთია, რედაქტორი — რედაქტორია და მწერალი კიდევ მწერალია. იქ ყველას რომელიმე ჟურნალი ან გაზეთი აქვს დაჩემებული, სულით და გულით უყვარს კიდეც იგი. ჟურნალის ბედნიერება თავის საკუთარ ბედნიერებათ მიაჩნია, მისი კეთილ-დღეობა — თავის კეთილდღეობათ; სტკივის ჟურნალის ტკივილით, ხარობს იმის სიხარულით. ამ ურთიერთობათ კავშირში უნდა მოიძებნოს მიზეზი იმ საკვირველ მოვლენისა, რომელსაც ჩვენ ხშირად შევხვდებით ხოლმე. ჩვენ მოვახსენებთ იმ საოცარ მოვლენაზე, რომ ბევრჯერ რომელიმე ნომერი ჟურნალისა, როგორც ქარიშხალი ზღვის ზვირთებს, აღელვებს საზოგადოებას, ხან ასე უზამს მას თავს, ხან ისე. აბა მოიგონეთ, მაგ., რა ღრმად აღელვა ერთი ნაწილი საზოგადოებისა როშფორის ჟურნალმა, რომელიც საზოგადოებას ელაპარაკებოდა ნუარის მოკვლაზე. კორსიკელი ავაზაკისა ხელით და მაშინ შეიტყობთ — თუ რა დიდი ძალაა კავშირი რედაქციისა საზოგადოებასთან და საზოგადოებისა რედაქციასთან..

ყოველივე ჟურნალი თუ გაზეთი მოკლებულია ზედ-მოქმედებით ძალას მკითხველებზე, თუ პირველად მას საზოგადოების საჭიროებანი თავის მოვალეობაში არ მიუღია და მეორედ — თუ მას აღიარებული არა აქვს მტკიცე მიმართულება, ასეთი თუ ისეთი მთავარი აზრი, რომელიმე მსოფლიო შეხედუ-

ლობა. თუ ამის მხრით შევხედავთ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს, ადვილად შევამჩნევთ მათ, რომ ზემო ნაჩვენებ მოთხოვნილებებს იგინი ვერ აკმაყოფილებენ — არც ერთს მათგანს არც გამორკვეული მიმართულება აქვს, არც ბევრი რამ საზოგადოების საჭიროებებისა ესმის. ჩვენში მუდმივი მოვლენაა, რომ ერთსა და იმავე გამოცემაში სულ სხვა-და-სხვა აზრის და მიმართულების მწერლები იღვწიან. ხშირად იმასაც შევხედებით, რომ ზოგიერთ მწერლებს სრულიადაც არა აქვთ გამორკვეული რაიმე მიმართულება. ამისთვისაც მკითხველი პირ-ღია რჩება და არ იცის — რას ელტვის ჟურნალი, რას ურჩევს იგი საზოგადოებას. ბევრჯერ მკითხველი ორს ერთი ერთმანეთზე წინააღმდეგ აზრებს შუაში რჩება და მწერლის მაშინ მკითხველზე უშედეგურესი არსების წარმოდგენა, მეტადრე თუ მკითხველი ჯერ ისევ ნორჩია და მოკლებული საკუთარ შეხედულებას... ჟურნალი გზას და კვალს უხლართავს ნორჩ მკითხველს. ამისთვისაც ყველა ჩივის, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები არა ზრდიან თუ გონებით, თუ ზნეობით მკითხველებს და მარტო კითხვის ცოდნას ავრცელებენ ხალხში. ამაოდ, სრულიად ამაოდ ჰგონია რომელიმე ჩვენ რედაქციას, ვითომც მისი ჟურნალი ან გაზეთი, მოთხოვნილებისამებრ, ზრდის საზოგადოებრივს აზრს, აღვიძებს და ავრცელებს ხალხში ასეთს თუ ისეთს მიდრეკილებას. აბა შევისწავლოთ ჩვენი აწინდელი უფერული ცხოვრება და დაგვისახელეთ ისეთი მიმართულება, რომელიც მარტო ლიტერატურული მოძრაობის საქმე და ნაყოფი იყოს. აწინდელ მდგომარეობაში შეუძლებელია ამ გვარი მიმართულება იმიტომ, რომ თვით ჩვენ მწერლობას არავითარი მიმართულება არა აქვს. იქნება მკითხველი მოატყუვოს აწინდელ ჩვენმა პატრიოტულ მოძრაობამ? პირველად ის, რომ ეს მოძრაობა უფრო თვით ცხოვრების საქმე

იყო, კიდრემდისინ მწერლობისა, მეორე — ეს მოძრაობა ახლან-დელ თავის ფორმით და შინაარსით იქაც მოიპოვება, სადაც მწერლობის სხივი არ მიდის; მაშასადამე... დასკვნას მკითხვე-ლიც გამოიყვანს.

თითქო განგებ განზრახ ჩვენი მწერლობა თვალს სუჭავს და საჭიროდ არ რაცხავს საზოგადოების ტკივილებზე ლაპარაკს. განსაკუთრებული მშვიდობიანობის და კეთილ-ყოფა-ქცევის კილოთი დამშვენებული ჩვენი მწერლობა, თქვენ ჰგონებთ, რომ ყოველივე ეს აწინდელი საზოგადო მდგომარეობის შედე-გია; ბევრად — ჰო, მაგრამ ბევრად — არა. აქ სხვა მიზეზნიც არიან და ეს უკანასკნელნი თვით მწერლობისაგან წარმოსდგებიან. ჩვენი მწერლობა ნათლად გაუხდა ჩვენ ბობოლებს და — თქვენც დამეთანხმებით ამაზე — ბევრად მათი კეთილ-დღეობის ბურჯი და საძირკველია. თუ რომელიმე მწერალი სიმამაცეს იჩენს, თუ ეს სიმამაცე ლანძღვა გინებას არ გადმოსცდება ხოლმე, ისიც საწყალის და უმიწოთაც ბედისაგან დაჩაგრულის მოქმედებანი არიან მიზანი ამ ლანძღვა-გინებისა. ხშირად მწერლობა გოდავს და იცრემლება «საწყალი გლეხ-კაცობის» ბედ-უიღბლობაზე, მა-გრამ კრინტსაც არა სძრავს ბობოლებზე და ან როგორ შეიძ-ლება... ამისთვისაც ცრემლები უგემო ცრემლებად რჩებიან და თვით «საწყალ-გლეხკაცობაზე» გოდვა მარტო სმენას ატკბობს და სრულიადაც არ ადუღებს გულს, გზას არ ჰკვალავს მომა-ვლისათვის. ბობოლებიც ისმენენ ტკბილ-ხმებს მომტირალთას და ეალერსებიან მათ მარგალიტივით ბრწყინვალე ცრემლებს. მეტიდა ნათლიაობა უნდა! გარეშე ხალხის მკითხველი რომ მოვიდეს საქართველოში და თვალი გადაავლოს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს. შურით გული აევსება, სევდა მოაწვება და იტყვის: «ნეტარნი და ბედნიერნი ყოფილხართ, შვილნო ივერიისანო,

რადგანაც თქვენში და მარტო თქვენში მოიპოვება სამართლიანად განწყობილი ცხოვრება!» თუ იშვიათად მწერლობა ხმას ამოიღებს ხოლმე ბობოლებზე, ისიც მკრთალად, მოწიწებით, მორიდებით. უფრო ხშირად კი იცრემლება და მოთქვამს: «ვაი ჩვენ ბედის წერას, რა დიდი ღვაწლი მიუძღოდა თავად-აზნაურობას მამულის წინაშე წარსულში და ახლა კი!...»

თვით რედაქციების თანამშრომლები რომ აიღოთ, ამ შემთხვევაშიაც უნუგეშო სურათის მეტს ვერაფერს შეხვდებით. ყოველ განათლებულ ხალხის ცხოვრებაში თვითეული ჟურნალის ან გაზეთის რედაქცია აღმზრდელი პედაგოგიური ძალა არის. რედაქციას, თავის საკუთარი საქმეების გარდა, სამღვთო მოვალეობათ მიაჩნია აღზარდოს ახალ-თაობის წარმომადგენლნი მწერლობითი მოღვაწეობისათვის, მოუმზადოს საზოგადოებას მწერლობის ასპარეზზე მომქმედნი პირნი. ამისათვის რედაქცია არაფერს ზოგავს. აქ მოიპოვება იმის მიზეზი, რომ რედაქციას არასოდეს არ აკლია მომზადებული თანამშრომლები და თუ მას მოაკლდება ერთი, იმ წამსვე ხელში ჰყავს სამაგიერო. რედაქციას რომ თავი დავანებოთ, ანალოგიურ მოვლენას სხვა სფეროშიაც შეხვდებით. ყოველ გამოჩენილ სახელმწიფოკაცს ჰყავს თავის მფარველობის ქვეშ რამოდენიმე ახალი თაობის წარმომადგენელნი, რომელნიც იწვრთნებიან, იზრდებიან მფარველის ხელ-მძღვანელობით. მაგ., პარიჟში მოიპოვება მთელი დაწესებულება, სადაც სხვა და სხვა სასწავლებლის შეგირდები, თავისუფალ დროს, იკრიფებიან და სწავლობენ სახელმწიფო საქმეების განგებას, წარმოებას. ამისთვისაც იქ საზოგადოებრივი მოღვაწე პირნი ისე იზრდებიან, როგორც სოკო წვიმის შემდეგ. მართალია, ამას ხელს უწყობს თვით ცხოვრებაც, მაგრამ უსამართლობა იქნება ისიც არა ვსთ-

ქვათ, რომ ამ საქმეს ბევრს ღვაწლს სდებენ მოთაოსნე პირნი, მაგრამ, რედაქტორები ჩვენში? ჩვენზე პირველად ის უნდა ითქვას, რომ თვითეულს რედაქციაში თვითეული თანამშრომელი რედაქტორი ბრძანდება. რედაქტორის ადგილი მარტო სახელია და არა სახრავი ამისთვისაც ასე აწეწილ-დაწეწილნი არიან ჩვენში რედაქციის საქმენი, ამისთვისაც მკითხველი ერთ და იმავე ნომერში სულ სხვა და სხვა მიმართულების ნაწარმოებებს ჰკითხულობს და მას, თუ იგი გაუწვრთნელია, მთავარი გონება ებნევა. რასაკვირველია, ჩვენ სრულებითაც იმას არ ვამბობთ, რომ რედაქტორი შეუცდომელი პირი და ხელ-უხლებელი არსება უნდა იყოს; არა,—რედაქციაში ყველას თავისი უფლება აქვს და რედაქტორს კიდევ თავისი. მაგრამ როგორც ყოველ საქმეში, ისე რედაქციონურში საჭიროა გონივრულად დადგენილი წესი, ანუ, უმჯობესია ვსთქვათ, დისციპლინა. სადაც არ არის ეს უკანასკნელი, იქ საქმეც გვარიანად არ კეთდება და თუ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში უწესობას ვხედავთ, ეს—თქვენც დამეთანხმებით ამაზე — თვით რედაქციების უწესოებიდგან წარმოსდგება. მეორეც ისა, რომ არც ერთი ჩვენი რედაქცია არ არის აღმზრდელი პედაგოგიური ძალა. ყველა რედაქციის ბუდეში მოიპოვება თითო-ოროლა ბარტყი და მათთან რამდენიმე თანამშრომელნი, რომელნიც შემთხვევით და ხელის-ქვეილის გამო იღვწიან .. მომავალზე არავინ ჰფიქრობს, მომავალს არავინ უზრდის მომქმედ პირებს; ვითომ ეს საჭირო არ იყოს, ვითომ ეს რედაქციის მოვალეობას არ შეადგენდეს... ამისთვისაც საწყალ საქართველოს ორ-გაც ნახევარი მწერალი ჰყავს! ისიც კი არ მოუპოვება! იქნება, თქვენ, მკითხველო, მწერლებათ მიაჩნიათ აწინდელნი ჩვენნი ყაყ-ბატონები, რომელნიც სამარცხვინოდ გამოსულან მწერლობის მოედანზე და იქ რაღასაც მიედ-მოედებიან?!—ყველას კი პირზედ აკერია: «საქარ-

თველო! ხალხი ნიჭიერიაო!» სად არის ეს ნიჭი? ყოველ-წლივ ჩვენი ახალ-გაზრდობა მიდის თუ რუსეთში, თუ საზღვარ-გარედ და იქ ეწაფება «მეცნიერების წყაროს». რამდენიმე წლის შემდეგ ეს ახალ-გაზრდობა ბრუნდება უკანვე და იღვწის... იცით სად? კანცელარიებში, დეპარტამენტებში... რას აკეთებენ რედაქციები და ის ჩვენი მამულის წინაშე დამსახურებული პირნი, რომელთაც რაღაც დაუბღლავნიათ, იბერებიან და უდიდესი ამაყობით ფეხ-ქვეშ დედა-მიწასაც ველარ გრძნობენ?! აბა ერთი მაგალითი მიჩვენეთ, რომ რომელიმე რედაქციას კავშირი ჰქონდეს მოსწავლე ახალ გაზრდობასთან და ერთი მწერალი მაინც აღეზარდოს? მაგრამ, იქნება მკითხველს ჰგონია, რომ მწერალი თითონ უნდა აღიზარდოს მწერლად. რატომაც არა ზოგიერთს შემთხვევაში, რატომაც არა, თუ ჩვენი მდგომარეობა სხვა ნაირი იქმნებოდა... მაგრამ ზრუნველობაც საჭიროა, ხელმძღვანელობაც უნდა. თუ თქვენ ამტკიცებთ ისე რაინდულად ვითომც დიდს ჭეშმარიტებას გავრცელებთო, რომ მამულის სიყვარულს აზრდა უნდაო, რატომ ისიც არ გწამთ, რომ მწერლობასაც აღზრდა უნდა, მწერლებს მომზადება და ეს იმათი მოვალეობაა, რომელთაც მწერლობა ხელში უპყრიათ. აიღეთ თუნდა ლიტერატურული კილო ჩვენი ნაწარმოებებისა. გაოცდებით, განცვიფრდებით — რა ნიადაგზე იშვა და აღიზარდა ეს სამარცხვინო ლანძღვა-გინება, ეს კინტოური კრიტიკოსობა ჩვენი დობროლირბოვებისა, ბელინსკებისა! ჩვენი რედაქციები კი ბოდიშს იხდიან: «უკაცრავად, ნომრები თავ თავის დროზედ არ გამოდიოდნენ და ახლა კი ვადაზე გამოვლენო!» ანუ — «გამოვა იმ გვარადვე, როგორც აქამდის გამოდიოდაო!»

Z.

დეკემბერი.
82 წ.

# მცირედი რამე ჩვენ „მამულის-შვილობაზე“.

(წერილი რედაქტორთან).

უკანასკნელ დროს ზოგიერთა ჩვენი მწერლების მიმართულება განირჩევა, მათ მიმართულებას დიდ თვალ-საჩინო ფერი დაედო. ხშირად, ძრიად ხშირად მოისმის ერთი და იგივე ხმა, ერთი და იგივე ქადაგება. პირველ შეხედვით კიდეც იფიქრებთ, რომ ქართველის სულმა და გულმა, მის გონებამ და გრძნობამ ვითომც ჰპოვეს «ცხოვრების წყარო“, სადაც ჩვენი ეროვნობა იზრდება და ძალ-ღონით იმოსება ბრწყინვალე მომავლისათვის. ეს «ცხოვრების წყარო» არის საზოგადოებრივი აზრის მიდრეკილება, რომელსაც «მამულის შვილობა» ეწოდება. ყველაზედ წინათ საჭიროა შევნიშნოთ, რომ რა ცალმხრივი შინაარსისა და ფორმისაც უნდა იყოს ჩვენი აწინდელი «მამულის-შვილობა», მაინც იგი კანონიერი და ბუნებითი შვილია ახალის ჩვენი ცხოვრებისა. მე მოგახსენებთ იმ ცხოვრებაზე, რომელიც დაიწყო შემდეგ ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვისა. ჩვენ სრულიად არ ვამბობთ, რომ თავისუფალი საქართველო მოკლებული იყო «მამულის-შვილობას». არა, მამულის შვილობა მაშინაც იყო და დაშორებით უკეთესი, ვიდრემდისინ აწინდელ საქართველოში. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ აწინდელი „მამულის-შვილობა“ ახალი მოვლენაა, ახალი ლიტერატურული მიმართულება, რომელსაც თავის არსებობის საბუთი აქვს. ბევრად, თუმცა სრულიად კი არა, ამ არსებობის საბუთი უნდა მოიძებნოს

საქართველოს აწინდელ მდგომარეობაში. თუ არ ვსცდებით, 60 წ. წ. «მამულის-შვილობამ» აშკარად დაიწყო „ობოლი სულის“, დაჩაგრული გულის დამატკბობელი ღუღუნი; აწ ეს ღუღუნი გარდაიქცა ძლიერ ხმად, ძალუმ ჭოროველად. ახლო მომავალში, თუ გარემოებათა მიმდინარეობამ ხელი შეუწყო, შესაძლო არს ეს სხვა რამეთაც შეიქმნეს. ნუ იფიქრებთ, ვითომც ჩვენის მხრით ეს ცარიელი ოცნებაა, ფანტაზიის ნაყოფი. არა, ჩვენი აზრი დამყარებულია ისტორიულ კანონზე და თვით აზრის დასამტკიცებლად მრავალნი ფაქტნი და მაგალითნი მოიპოვებიან. ამიტომაც დიდად საყურადღებოა ჩვენი «მამულის-შვილობა».

ჩვენ ვსთქვით: «თუ გარემოებათა მიმდინარეობამ ხელი შეუწყო...“ მაშასადამე, ბედის-წერა «მამულის-შვილობისა» იმაზე არის დაფუძნებული — თუ რა ნაირი გარემოებებით იქნება იგი მოცული, შემოფარგლული. ზოგიერთი ამ გარემოებათაგანი ჩვენზედ არ არის დამოკიდებული. «მამულის შვილობას» ებრძვის გარეგანი ძალა; ეს უკანასკნელი ბევრად აბრკოლებს მის ორგანიულ ზრდას, კანონიერ და ბუნებრივ განვითარებას. გარეგანი ძალა «მამულის შვილობას» ჩაგრავს, დედის-ნაცვალივით შეუბრალებლად თავში უჩაგუნებს მას. რისთვის? მისთვის, რომ „მამულის-შვილობა“ მის კანონიერებას, უფლებას, ეწინააღმდეგება . . .

უკეთესი ველი, უმაგრესი ადგილი, რასაკვირველია, ჯერ ისევ პოლიტიკურ ძალას ეკუთვნის. ჩვენის აზრით, ამ ურთიერთ ომის ბრძოლაში უნდა მოიძებნოს, სხვათა შორის, იმას მიზეზი, რომ ჩვენ «მამულის-შვილობას» ეტყობა ცალმხრივი მიმართულება, იქმნება კიდეც პირ-დაპირი გზას აცილებაც

და ბევრჯერ ხომ უსარგებლო და მავნებელი გაზვიადებსა იმ დედა-აზრასა, რომელიც „მამულის-შვილობის“ სულად და ხორცად არის აღიარებული. მეორეს მხრით, წინააღმდეგობა არ იქნება შევნიშნოთ, რომ ხსენებული ბრძოლა ერთობს უმხავს «მამულის-შვილობასა»... ხშირად ვხედავთ, რომ რომელიმე მთავარი აზრის, მიმართულების დევნა, მასთან ბრძოლა არათუ სთრგუნავს, არამედ აძლიერებს მას. თუმცა ბევრჯერ, ჰეინეს სიტყვებისა არ იყოს, სადაც ჭეშმარიტება ითქმის, იქვე კაცის გოლგოთა, მაგრამ თვით აზრის გოლგოთა ადვილად მოსარ-ხეველი არ არის. ეს კი არის, რომ ბრძოლა აზრთან, მიმართულებასთან აძლევს ამ უკანასკნელს ცალმხრივს და უკიდურეს მიდრეკილებას, მოძრაობას და ცალმხრივი, უკიდურესი საზოგადო აზრის მიდრეკილება ხომ ხანდისხან სასარგებლო და ნაყოფიერია. ცალმხრივი მიმართულება ბევრჯერ დიდს მოსაჭედლებასა შვრება საზოგადოებაში, უნებლიედ იზიდავს სულს და გულს ამ უკანასკნელისას. ამისთვისაც თვით ჩვენი «მამულის-შვილობის“ უკიდურეს მიმართულებაში, სხვათა-შორის, უნდა მოიძებნოს მისი ძალა, ზედ-მოქმედება საზოგადოებაზედ.

უკიდურესი მიმართულება «მამულის-შვილობისა», როგორც ზევით ვუჩვენეთ, აიხსნება, სხვათა-შორის, მით, რომ მას ებრძოლება გარეგანი ძალა; რამოდენად ეს უკანასკნელი სდევნის პირველს, ე. ი. „მამულის-შვილობას“, იმოდენად „მამულის-შვილობა“ უფრო-და-უფრო მისდევს თავის დედა-აზრის გაზვიადებას. რა არის თვით ეს დედა-აზრი, რამოდენად ჭეშმარიტია იგი? ეს დედა-აზრი აი ესრედ იხატება: ყოველ ისტორიულს და კულტურულს ერს — — ბუნებრივი უფლება აქვს თავისუფალი დამოუკიდებელი არსებობისა, ისტორიული და ეროვნული სახის პირის და-

ცვისა... ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ დედა აზრის დასარღვევლად არც ერთი მტერი კაცობრიობისა და ცალკე ხალხის წარმატებისა ვერ წარმოადგენს არა რაიმე შეუსაწყნარებელ საბუთსა, გარნა რომელიმე პოლიტიკური მოსაზრებისა. და ეს უკანასკნელი ხომ მეცნიერებაზედ არ არის დამყარებული, მას ხომ დროებითი მნიშვნელობა აქვს: როგორც ვხედავთ, დედა-აზრი „მამულის შვილობისა“ ყოვლად ცნობილი ჭეშმარიტებაა ესრედ წოდებული ისტორიული სკოლისა (კერძოთვე აწინდელი სოციოლოგიისა) და მის, დედა-აზრის წინააღმდეგ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით.—უმთავრესი შეცდომა, დიდი ნაკლი მამულის-შვილობისა უნდა მოიძებნოს დედა-აზრის გაზვიადებაში. ლოღიკური და მიუცილებელი დასკვნა ამ გაზვიადებული დედა-აზრისა კიდევ ის არის, რომ «მამულის-შვილობა» მეტად დიდს მნიშვნელობას აწერს ჩვენი ცხოვრების წარსულს, ამ წარსულში ჰპოვებს ჩვენი ეროვნული არსებობის საბუთს. ეს უკიდურესობა „მამულის-შვილობისა» ცოტა არ აყვეს რომ ეწინააღმდეგება თვით ისტორიული სკოლის ზოგიერთს პრინციპებს და ვიდრემდისინ ჩვენ ამას მკითხველს ვუჩვენებდეთ, შევნიშნავთ, რომ დამყარებული «მამულის-შვილობა» დროებითი მოვლენაა, მიუცილებელი შედეგი აწინდელი ჩვენი გონებითი მოძრაობისა, ჩვენი მდგომარეობისა. ამ შეცდომას მალე უნდა მოეღოს ბოლო და კიდეც მოეღება, როდესაც ჩვენში შეიტყობენ, ერთის მხრით, ნაკლს ისტორიული სკოლისას, მეორეს—მის ნამდვილ საფუძვლებს და როდესაც თვით მდგომარეობაც შეიცვლება.—

წარსულ საუკუნეს ერთი და იგივე მიმართულება სუფევდა ისტორიულ და საზოგადოდ სოციალურ მეცნიერებაში,—რაციონალიზმი. რასაც ბძანებდა გონება, ის უნდა მიღებულ ყოფილიყო ყოვლად ბძანებელ ჭეშმარიტებათ. თვით რაციონალი-

ჩემი შედეგი იყო წრეს იქით გადასული დოღმატიური მიმართულებისა. ერთის და მეორესაც ეტყობა დიდი „ნახტომი", ცალმხრივი მიმართულებას. რაციონალიზმის კანონიერი შვილი იყო ისტორიული სკოლა, რომელიც იწყობა ისევ წარსულ საუკუნეში (ფილოლოგი ჰეინე, გერდერ და სხ.). შემდეგ გერმანიაში «დაამყარეს», გააზვიადეს ისტორიული სკოლის მნიშვნელობა. ამ მოვლენის უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს საფრანგეთის დიდი აჯანყების ვითომც შედეგი — უმანკოთა სისხლის დაღვრა და ჩვენ ცოდვილთა ცხოვრების განწყობა რაციონალურად. ისტორიული სკოლა შეუდგა რაციონალიზმის საფუძვლების კრიტიკულად განხილვას და გამოიკვლია მიუცილებელი კანონი, რომელიც ამტკიცებს ხალხის ცხოვრების ხარისხეულად განვითარებას, ზრდას (историческiй ростъ, генезисъ развитiя). სკოლამ საქმე დაიწყო მორეული წარსულიდგან და იქ ჩასდგა მკვიდრი სამირკველი ეროვნობისა, ხალხოსნობისა, კარგი და პატიოსანი, მაგრამ მუდმივ წარსულისაკენ ცქერამ, წარსულის ასპარეზზედ მოღვაწეობამ მკვდარი სხეულის, მძორის ფერი და სუნი დასდო ისტორიულ სკოლას. თუ რა ყალბი დასკვნა გამოდის ამ სკოლის სწავლიდგან, სჩანს სლავიანოფილებზე. დედა-აზრი სლავიანოფილებისა, — თქვენც დამეთანხმებით ამაზე, — ისტორიული სკოლის ჭეშმარიტებაა. შეცდომა ამ დედა-აზრის გაზვიადებაში უნდა მოიძებნოს.

როგორც ვსთქვით, დედა აზრი „მამულის-შვილობისა" ამოღებულია ისტორიული სკოლის სწავლიდგან შეცდომა წარმოსდგება, ერთის მხრით, თვით ისტორიული სკოლის უკიდურესი მიმართულებიდგან და მეორეს — ამ სკოლის ჭეშმარიტი საფუძვლების გაუგებრობიდგან. ჩვენ „მამულის-შვილობას" რომ შეგნებილი ჰქონდეს კარგი და ცუდი ისტორიული სკოლისა,

მაშინ ხომ საჭიროდ არ ჩათვლიდა ამ გულ-მხურვალე გლოვას, გაუთავებელ წრიპინს კი არა, თვით იერემიას ტირილს და გოდებას ჩვენ წარსულზე... და რა არის თვით წარსული ხალხისა? რა კავშირი აქვს მას ხალხის წარმატებასთან? წარსული ხალხისა არის რამოდენიმე საფეხური ისტორიული ზრდისა (рость) და არა უკანასკნელი ნაბიჯი, დასასრული ცხოვრების წარმატებისა. ამისთვისაც არ შეიძლება წარსული აღიარებულ იქმნას ცხოვრების დასაბამად და დასაწყისად. რადგანაც ეს წინააღმდეგი იქნება როგორც საზოგადო წარმატების კანონისა, ისე ისტორიული სკოლის უპირველეს პრინციპისა, რომელიც ითხოვს და უჩვენებს ხალხის ცხოვრების ხარისხეულად, ორგანიულად განვითარებას. წრიპინი წარსულზე სდევნის ღუღუნს ბედნიერ მომავალზე. და ეს უკანასკნელი (ბედნიერი მომავალი) უნდა იყოს მიზანი ხალხისათვის მოღვაწე პირთა, ამისთვისაც საჭიროა წინ ცქერა და არა უკან ხედვა, გოდება და ტირილი კი არა წარსულზედ, მხიარული სიმღერა კეთილს მომავალზე. ვინ არ იტყვის, რომ წარსულში ბევრი კარგია, ვინ არ იცის, რომ „მამულის-შვილობა" ჰფიქრობს მომავალზე; მაგრამ შეცდომა იმაშია, რომ ჩვენი «მამულის-შვილობა» მეტად დიდს მნიშვნელობას აძლევს წარსულს და ივიწყებს ხალხის წარმატების კანონს. თუ აწმყო შავით და ბნელით მოცულია, ეს კიდევ იმას კი არ ამტკიცებს, რომ წარსული ელვარებდა წმინდა ნათელით: თუ კიდევ აწმყო ქვევით სდგას წარსულზე, აქედგან ის დასკვნა არ გამოდის, რომ წარსული უნდა შეადგენდეს ჩვენს «წმინდა-წმინდათასა», — «მამულის-შვილობის» შეხედულობით, ეროვნობას ვითომც ერთათ-ერთი არსებობის საფუძველი მოეპოვებოდეს, — წარსული ხალხისა. აქ არის უმთავრესი მიზეზი იმ მოვლენისა, რომ იგი ასე განუწყვეტლივ დასტირის წარსულს.

მაგრამ განა ეს აზრი „მამულის-შვილობისა“ ჭეშმარიტია? ერთვნობის არსებობის საბუთად კაცმა უნდა ეძიოს აწინდელ სოციალურ სწავლაში და არა მარტო ისტორიულ სკოლაში, რომელიც ხალხის წარსულს მეტად დიდ მნიშვნელობას აწერს. სოციოლოგია კიდევ იმას ბძანებს, რომ ყოველს ერს, ვითარცა კაცობრიობის უდიდესი ოჯახის შეკრებითი პირს (КОЛЛЕКТИВНОЕ ЛИЦО), ისეთივე შეურყეველი საბუთი აქვს არსებობისა, როგორც კერძო ფიზიკურ პირს. თვით წარმატება კაცობრიობისა შესაძლო არს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაჩვენები სოციოლოგიური ჭეშმარიტება აღიარებულ და განხორციელებულ იქმნება ცხოვრებაში. წარსული ხალხისა, როგორც ვითომც პირველი და უკანასკნელი საბუთი ისტორიული ერის არსებობისა, აქ არაფერს შუაშია: და ეს იმიტომ, სხვათა-შორის, რომ ერთვნობა არ არის მარტო ისტორიული ცნება. ეს ცნება შესდგება მრავალი ელემენტებისაგან, რომელთა შორის ისტორიულ ელემენტს არ უჭირავს უპირველესი ადგილი. ზოგჯერ წარსული რომელიმე ხალხისა ისე უფერული და მავნებელია, რომ ძრიელ კარგი იქნებოდა, იგი სრულებით აღმოეხვრილიყო ისტორიული ფურცლიდგან და არა აღვიარებულ ქმნილიყო ხალხის არსებობის საბუთად. და ან ასეც რომ არ იყვეს, განა რომელიმე ხალხს (ავიღოთ აფრიკის ზოგიერთა ველური ხალხნი, ტომნი) არ უნდა ჰქონდეს არსებობის უფლება, თუმცა იგი მოკლებულია არა თუ დიდებულს წარსულს, არამედ ცალიერ ისტორიულ წარსულსაც? რა ბაში-ბუზუკობაა, რა ახალი ყალიბის ბარბაროსობაა! ამისთვისაც ხშირად ვხედავთ, რომ «წარსულის» თეორიის მქადაგებელნი ამართლებენ პოლიტიკურ ბაში-ბუზუკობას მით, რომ ერთი ხალხის წარსული (და, რასაკვირველია, აწმყოც) ბევრად მაღლა სდგას მეორე ხალხის წარსულზე და

აწმყოზე; მაშასადამე, პირველ ხალხს უნდა ემორჩილებოდეს მერე... და თუ მარტო წარსულზედ დავიყუდნებით ეროვნობის არსებობის საბუთს, ამ ნაირი პოლიტიკური ბაში-ბუზუკობა მიუცილებელი მოვლენა იქნება. თვით რომაელების და ძველი ბერძნების შეხედულობა და სახელმწიფო სწავლა „ბარბაროსობა“ ხალხის «წარსულის» თეორიაზე იყო აშენებული.

„მამულის-შვილობა“ არათუ გრძნობს და ხედავს თავის შეცდომას, არამედ იგი უგუნურსაც უწოდებს ყველას, რომელიც წარსულს მუხლ-მოდრეკით და მოწიწებით გუნდრუკს არ უკმევს. „უგუნურნი*), თავზედ-ხელ აღებულნი პუბლიცისტები და მკვლაბნელები, რომელნიც, ჩვენდა სამარცხვინოდ და სავაგლახოდ, ასე მრავლდებიან ჩვენში, არ ზოგვენ არაფერს, რომ შეუმუსრონ წარსულს სახელი და სახსენებელი, პატივი აჰყარონ მას, რაშიაც წმინდად დაცულა უძველესი ჩვენი ღირსება და დიდება, რაშიაც ხელ-შეუხებლივ შენახულა დღევანდლამდე ჩვენი წმინდა-წმინდათა და რაც ჩვენ სახეს, ჩვენ ეროვნებას, ჩვენს საბუთს არსებობისას შეადგენს“ („ივერია“ 1882 წ. № 10, გვ. 126, გრ. ყიფშიძის „საისტორიო სკოლა და საისტორიო საზოგადოება“). მართლაც რომ დიდი უგუნურებაა, როდესაც ვინმე უარჰყოფს წარსულს განურჩევლად იმისა — როგორი იყო წარსულის შინაარსი და რამოდენად იგი წარსული სასარგებლო იყო ხალხის და საზოგადოდ კაცობრიობის წარმატებისათვის; სწორედ დიდი შეცდომა იქნება, როდესაც წარსულს არ სწავლობს, მას თვალყურს არ ადევნებს ის, რომე-

---

(* ჩვენში ხომ ყველას ლესინგი ჰგონია თავის-თავი, ვინც კი ერთი-ორი ვითომც კრიტიკული „კონტოური“ სტატია დაბლაჯნა. ოხ, ჩვენო უმეცრების ამაყობავ!...

ლიც იღვწის აწმყო და მომავლისათვის, მაგრამ არა ნაკლებ შეცდომა იქნება (პატივცემულს ავტორს არ ვეტყვით უგუნურება) იმის მხრითაც, რომელიც ჩვენი არსებობის საბუთს“, „ჩვენ ეროვნობას“, „ჩვენ წმინდა-წმინდათას“ ეძებს მარტო წარსულში...

ჩვენი „მამულის-შვილობის“ თეორეთიულ შეცდომას ისე დიდი ვნება და ზარალი არ მოაქვს, როგორც ამ მიმართულების პრაკტიკულ მხარეს. „მამულის შვილობა“ მთელის თავის შინაარსით დამყარებული რომლის მეცნიერებაზე; მას არც ერთი წარმომადგენელი არა ჰყავს ისეთი, რომელიც ისტორიული მეცნიერების ასპარეზზე იღვწოდეს და იქ ეძებდეს საფუძვლებს „მამულის შვილობისას“. რუსეთში, მაგ., სლავიანოფილებმა თვით ისტორიულ მეცნიერებას დიდი ღვაწლი დასდვეს, მას დიდი სამსახური გაუწიეს. ზოგიერთმა მათგანმა ისე ღრმად და დაწვრილებით გამოიკვლიეს პირველ დაწყებითი იურიდიული მდგომარეობა თავიანთ მამულისა, სამშობლოსი (მაგ., ძველი რუსების демократическая община), რომ მოწინააღმდეგე ისტორიულ სკოლას მათი ნაწარმოები საპატიოსნო შრომად მიაჩნია, დიდს მნიშვნელობას აწერს ამ შრომას. სლავიანოფილებმა ჯერ შეისწავლეს რუსეთის წარსული, შეისწავლეს ჯეროვანად და მერე შეუდგნენ წარსულის გუნდრუკის კმევას. ჩვენში კი სრულიად წინააღმდეგ მოვლენას შეხვდებით. აქ „მამულის შვილობა“ მოკლებულია მეცნიერების ნიადაგს და მთლად აშენებული უმანკო ცრემლის ღვარზედ. და როდესაც არა „მამულის-შვილობის“ ბანაკის კაცი აკვირდება და კითხულობს ჩვენი მამულის-შვილების ნაწარმოებს, მას მხოლოდ ერთი და იგივე სურათი ეხატება — მდიდრულად მორთული საქართველოს კუბო, რომელსაც გარშემო შემოსხდომიან ნაქირავი მოტირლები, —

ხელების ცემით თავს იღაყებენ, თმას იწეწვენ და გულ-დაკოდილნი გასძახიან: ვაი შენ დამკარგავს, ჩვენო ყოვლად ბრწყინვალეო წარსულო...“ აქ გოდვა და ჩვენი „ჭირის-უფლების“ მოთქმა მხოლოდ გრძნობის საქმეა და არა სხვა რისიმე. და გრძნობა ხომ მეტად უშლის ისტორიული საგნების გამოკვლევას, მათ გაგებას. გადაიკითხეთ მაგალითად „ივერიის“ ოფიციალური მღვდლის დიმიტრი ჯანაშვილის „ისტორიული კარრიკატურები“, შეცდომით სახელ-წოდებული „ისტორიულ სურათებათ“, და ცხადად დაინახავთ, თუ რა საოცარ სისულელეებთან მიიყვანს კაცს მამულის-შვილობითი გრძნობა. გრძნობამ ისე გამსჭვალა პატივსანი მამა დიმიტრი, რომ მან ისიც ვერ გაიგო, რომ „ქართლის ცხოვრება“ უბრალო მატიანეა და ამ მატიანეს ჯერ ვინ იცის როდის ეღირსება თავის სიბური... უ. ჯანაშვილს რომ თავი დავანებოთ და დავასცილოთ უფრო საღი ტვინის მწერალი — იაკობ სვიმონიძე, — მაშინ უფრო აშკარად გავიგებთ — თუ რა შორს სცემს მამულის შვილობითი გრძნობა... გადაფურცლეთ — „რანი ვიყავით გუშინ?“ — ეს გვირგვინი მამულის-შვილობითი ნაწარმოებისა, — გადაიკითხეთ იგი რამდენჯერმე და გაოცდებით — თუ რა დაუშავა იაკობ სვიმონიძეს საწყალმა და მრავალ-ტანჯულმა საქართველომ, რომ იგი სვიმონიძე ასე უწყალოდ და დაუზოგველად სტანჯავს და ამახინჯებს ჩვენი მამულის მკვდარ სხეულს... სვიმონიძეს რომ ჰკითხო, წარსულ საუკუნეს საქართველოში რესპუბლიკელთ დასიც კი მოიპოვებოდა. სამწუხაროდ პუბლიცისტი არ მოგვითხრობს — მარატს უფრო ბევრი მომხრეები ჰყავდა ჩვენში თუ რობესპიერს... მამულის-შვილისათვის ძრიად საჭიროა იცოდეს — რა ფერის რესპუბლიკანეცი იყო დაცულ-ბარათაშვილი, რომელზედაც გვაუწყებს პ. იოსელიანი... აბა ახლა თვალი გადაავლეთ

უფრო პატარა მამულის-შვილებს. ყურები დაგეჭედებათ მათი წრიპინით. ჩვენი წარსულისადმი სიყვარულით უნდა განიმსჭვალოთ, ჩვენი დიდება წარსულში არისო. მამულის მოღვაწე შეიქმნები, თუ მართლა საქართველოს კუბოს გვერდით არ მოუჯექი და თავი არ გამოიღლაყე მუშტის ცემით.

„მამულის-შვილობას", ჩვენის აზრით, მხოლოდ ერთი უესაწყენარებელი საბუთი აქვს ისტორიული ფაქტების დამახინჯებისა, სახელდობრ ისა, რომ იგი „მამულის-შვილობას" სცდილობს აღზარდოს მკითხველებში სიყვარული ჩვენი ერისადმი, მისი წარსულისადმი. სხვა საბუთი მას არ მოეპოვება. მაგრამ განა შესაძლებელი საქმეა საღი გრძნობის, ჭეშმარიტი სიყვარულის აღზრდა დამახინჯების გზით? და ან ვისთვის არის სასარგებლო ამ ნაირი პედაგოგიური ვარჯიშობა «მამულის-შვილებისა»? თვით პრაქტიკული შედეგი ამ ნაირი ვარჯიშობისა ვნების მეტს არაფერს მოიტანს. სიყვარული მამულისადმი მხოლოდ მაშინ არის წესიერად და ნაყოფიერად დანერგილი, როდესაც იგი დამყარებულია ერის ცხოვრების პირუთვნელად შესწავლაზე. მამული მაშინ უფრო უყვარს კაცს, გულმხურვალედ ემსახურება მას, როდესაც მან იცის ავი და კარგი თავის მამულისა. თუ კი მამულის-შვილმა არ იცის წარსულნი შეცდომანი თავის ერისა, მაშინ იგი ვერც ჯეროვან სამსახურს გაუწევს თავის სამშობლოს. დამალვა წარსულ შეცდომათა, განგებ დამახინჯება ისტორიული ფაქტებისა გზას უხლართავს მომავალ თაობას, მოღვაწეობის კვალს უბნელებს მას. დააკვირდით სლავიანოფილების სწავლის ზოგიერთა პრაქტიკულ შედეგებს და აშკარად დაინახავთ, თუ რა ვნება მოაქვს დამყაყებულს, გამსჭვალულს სიყვარულს წარსულისადმი... მეორეს მხრით, აბა დააკვირდით ახალ ისტორიას, შეისწავლეთ მოქმედებანი ჩვენი დროების უ-

დიდესი მამულის-შვილებისა. როგორ ჰფიქრობთ—წარჩინებული მაძინი წრიპინებდა და დასტიროდა რომის წარსულს თუ ებრძოდა აწმყოს, მუშაკობდა მომავლისათვის? რას იპოვნიდა რომის წარსულში, არისტოკრატიულ რესპუბლიკაში? არ გნებავთ მაძინი, აიღეთ უფრო ზომიერი გარიბალდი... ჩვენ მაძინი და გარიბალდი იმიტომ კი არ დავასახელეთ, რომ «მამულის-შვილობას» ვურჩევდეთ მათ მიბაძვას. ღმერთმა დაგვიფაროს. ჩვენი «მამულის-შვილობა» . . . ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ შეგნებულ მამულის-შვილებს სრულიადაც არ მიაჩნიათ მამულისათვის მოღვაწეობათ წარსულზე ტირილი, წრიპინი...

ჩვენ „მამულის-შვილობას" ჟუჟური გამოუვიდა, ჰგირტიც უჟმე გამოუნასკვა. აყვავებაც მალე იქნება, ნაყოფიც. ამისთვისაც ვხედავთ, რომ ჩვენი მამულის-შვილები აწმყოზე ან სრულიად არა ფიქრობენ, ან თუ ფიქრობენ—მეტად ცოტას. თვით აწმყო მათ სხვა ნაირად აქვთ წარმოდგენილი, იგი არაფრად მიაჩნიათ მათი შეხედულობით, ჩვენ თუ ვიყავით რამე, წარსულ დროს ვიყავით; ეხლა ყოვლად უბადრუკნი-და დავრჩით. ამისთანა მიმართულებას ბოლოს მიუცილებელი დასკვნა მოსდევს—ცხოვრების ნამდვილი გზის აცილება, ლიტერატურული თვითსიბრიყვე (самодурство). დიდი ხანია შეუმჩნევიათ ერთი ფრიად საყურადღებო მოვლენა, სახელდობრ ისა, რომ კაცი, რომელიც მუდმივ წარსულს შეჰყურებს, უნებლიედ ხდება კონსერვატორად, დაობებულ არსებად. სწორედ ასეც მოსდით ჩვენ მამულის-შვილებს, თუმცა იგინი ამას არა გრძნობენ და არა თუ არა გრძნობენ—თუ კი ეს მათ განუცხადე, მოუკრულად პირში უთხარი, ჩაგაქქავებენ, ჯვარს გაცმენ. აბა გადაიკითხეთ ჩვენი

მამულის-შვილების ნაწარმოებები, თუ მათში ერთს ცოცხალს აზრს შეხვდებით, თუ იპოვნით ისეთს რასმე, რომელსაც შეეძლოს საზოგადოების აწინდელი ტკივილის გაქარვება საზოგადოებას თავის ვაივაგლახი აწუხებს, იგი წყლულისათვის თხოულობს მალამოს და «მამულის-შვილობა» კი მალამოს მაგივრად ჭკარტლს და ობობას ბუდეს ადებს საზოგადოებას წყლულზე. იმის მაგივრად რომ საზოგადოებას უჩვენოს გზა და საშუალება აწინდელ ცხოვრების გაუმჯობესობისა, კეთილი წარმატებისა, მამულის-შვილები საზოგადოებას მიუთითებენ წარსულზე. განა ეს ლიტერატურული თვით-სიბრიყვე არ არის?!

—Ⴌ—Ⴍ—Ⴑ—Ⴈ—

# შარშანდელი «კლასსიკური სისულელე» და სხვა რაღაცეები წლევანდელ «შრომაში».

ჩვენ მკითხველებს კარგად ეცოდინებათ — თუ რა თავ განწირვით «შრომის» ეგრედ წოდებული კრიტიკოსი, უ. ბოსლეველი ქმნის სხვა და სხვა «კითხვითი და გაკვირვებითი ნიშნებს», რომ მასალა იშოვნოს და საზოგადოებას თავზე დააბერტყოს რომელიმე უშველებელი ფელეტონი, ანუ „კრიტიკული მიმოხილვა“. ბოსლეველისთვის საკმაოა ერთი «კითხვითი ნიშანი», რომ მან ზედიზედ სამი ფელეტონი დასწეროს, სხვები დალანძღოს და თავის თავი იქოს. რა ქნას საწყალმა! იმ ერთი სულელი აზნაურისა არ იყოს, თუ სხვები არ მაქებენ, მე მაინც ვიქებ ჩემ თავსაო. ასე მოსდის ბოსლეველსაც. საკვირველი კრიტიკოსია ეს ბოსლეველი. ისე კალამს არ აიღებს ხელში, რომ თავის მიკროსკოპიული „მე“ იალბუზის წვერზე არ შეისროლოს. ჭკუა-გონების ქანქარს ხომ ყველას ისე ურიგებს, თითქო მამის ჯვარის ლავაშიაო...

შარშან, ჩვენმა თანამშრომელმა, უ. ჭრელაშვილმა ამ მშიერ კრიტიკოსს «კითხვითი ნიშანი» მიაწოდა, რასაკვირველია, შებრალების გამო და მადლის გულისათვის. ბოსლეველსაც მეტი არა უნდოდა რა. უბაჩუა მესტვირესავით თავის «საუბარში» ჟურნალს «იმედზე» დაიწყო ლანძღვა-გინება. მთლად «იმედი» სნეულების ლაზარეთიაო, მისი მწერლები — გიჟები, სულელე-

ბიო. მაშინდელ «იმედში» დაბეჭდილი იყო ჩვენი თანამშრომელი ნ. ხიზანოვის «ჩვენი გლეხ-კაცობა და ახალი სამართალი». ამ ახალ სნეულს «გონება მოშლიათო», «ტვინი გახურვებიათო», «ბოდავსო» და სხ. — ასე დააჯილდოვა ყბაჩუა მესტვირემ ჩვენი საწყალი მწერალი. რას იზავდა ეს უკანასკნელი? გაჩუმების მეტი საღსარი არა ჰქონდა რა და კიდეც გაჩუმდა. როდესაც მწერალის განვითარება იქამდისინ არ აღწევს, რომ მან კრიტიკოსობა და კინტოობა ერთმანეთიდგან გაარჩიოს, მაშინ რაც უნდა გაგლანძღონ უნდა გაჩუმდე — ამას ითხოვს, სხვათა-შორის, პატიოსნებაც. ბოსლეველს იქვე შეეტყო — თუ რა ხასიათის მწერალი ბრძანდება... გაჩუმება საჭირო იყო.

რას ამბობდა ეს „იმედის“ ახალი სნეული? ყველაფერ იმას, რასაც შემდეგში «შრომა» ქადაგებდა თავის მოწინავე წერილებში. სხვათა შორის, «ახალი სამართლის» ავტორი იმას ამტკიცებდა, რომ ახალმა კანონებმა ვერ დაიმსახურეს გლეხ-კაცობის თანაგრძნობა და ბევრჯერ იგი გლეხ-კაცობა მღივან-ბეგობას ამჯობინებს ახალ სამართალს. (აქ უნდა შევნიშნოთ ერთი «ლიტერატურული მიქარვა» უ. ბოსლეველისა თავის პასუხში — ეს პასუხი მიმართა ჭონს — ბოსლეველმა გამოსთქვა, ვითომც ჩვენი თანამშრომელი თანაუგრძნობს მღივან-ბეგებს. ჩვენი თანამშრომელი კი აი რას ამბობდა: „ბევრჯერ ხალხი აშკარად აცხადებს — ამას კი მკითხველი ძნელად დაიჯერებს — რომ მღივან-ბეგობას სჯობდა ახალ სამართალს“). სხვათა შორის, ამის მიზეზი ისიც არისო, რომ ხალხი მომზადებული არ იყო რეფორმისათვის, ახალი კანონებისათვის. ყოვლად მახვილმა და ბრძენმა ბოსლეველმა ამ აზრს კლასსიკური სისულელე უწოდა და თავისი კრიტიკული შრომა «შრომაში» ამ სიტყვებით დააგვირგვინა: „ჯერ აბა ყური დაუგდეთ ამ კლასსიკურ სი-

სულელესაც: ხალხი ჯერ უნდა მოამზადო და მერე შემოიღო მის ცხოვრებაში ახალი წესებით, რეფორმებით".

ჯერ ერთი წელიწადიც არ გასულა და „შრომა“ პარშანდელი «იმედის» კლასსიკურ სისულელეს იმეორებს. რომ ცილი არ შემოგვწამონ, აი ნამდვილი სიტყვებიც: „თუმცა მაშინ, როცა პირველად ჩვენში რუსეთის მმართველობა შემოვიდა, ხალხი ვერ იტანდა ზასედატლების და უჩასტკის ნაჩალნიკების (ხურც შრომას გაუწყრებით ქართული ენის ცოდნაზე!) ბოროტ-მოქმედებას, მაგრამ რადგანაც ესენი უფრო ხშირად ადგილობრივი მცხოვრებთაგანნი იყვნენ და ხალხს მათი ენა ესმოდათ, ამისათვის ხალხი კიდევ ისე არ იყო შევიწროებული, როგორც შემდეგში. მერე შემოვიდა რუსის ჩინოვნიკობა და რუსულად საქმის წარმოება; ამას მოჰყვა ახალი რეფორმა და ადვოკატების გაუმაძღრობა. ამ ნაირმა უეცარმა ცვლილებამ ხალხს თავს ზარი დასცა, რადგანაც ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული ახალის ცხოვრებისათვის; მისი ჩვეულება და ხასიათი სულ სხვა კანონებს თხოულობდა და მას კი მოულოდნელად ზედი-ზედ მოაყენეს, ვინ იცის ვისთვის შეზავებული კანონები“ («შრომა» 1883 წ. № 5, მოწინავე სტატია). სრული ჭეშმარიტებაა. რეფორმისათვის საჭიროა მომზადება და ეს მომზადება კიდევ სხვა-და-სხვა ნაირი უნდა იყოს. მაგრამ ეს ხომ ჩვენთვის აქ საჭირო არ არის. ჩვენ იმას ვეკითხებით «შრომას»—მაშ რისთვის გალანძღა მან ბოსლეველის პირით „იმედი“? რა არის ნამდვილი მიზეზი ამ გალანძღვისა? ორში ერთი: ან იგი «შრომა» შარშან კლასსიკურად გამოსულელებული იყო, ან არა და — ეხლა ისიც «კლასსიკურ სისულელეს» უღვიარებს თავის მკითხველებს. სხვა და-

სცენა შეუძლებელია თუნდაც ისეთი ლიტერატურული ლოხემძ-რალისთვის, როგორც ნამდვილად „შრომა“ ჰმართება.

აი ასე ცუდია, ჩემო მკითხველო. როდესაც ასეთ გვამს, როგორც ჩვენი ახალი ჩირაღდანი ბოსლეველია, წადილი აქვს ყველგან თავი იჩინოს, ყველა საგანს და კითხვას მისწვდეს, განა სხვა ახალ-გაზრდა მწერალი იკადრებს იმას, რასაც კადრულობს ბოსლეველი? იმავე «შრომის» ნომერში თავი ამოუყვია იმავე ბოსლეველს, «დროებას» და „იმედსა“ ლანძღავს*) მიტომ, რომ იგი არ იწამეს უ. მაიაშვილის კრიტიკოსად. ყველამ აშკარად დაინახა, რომ ბოსლეველმა მაიაშვილის წერილს ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო, მან იგი «წერილი» დაჯიჯგნა, დამარცვა ხასხამივით. ჭრელაშვილს კი ჩასცივებია—რისთვის ამბობ მაგასო. კაცო, მაშ მართალი არ გითხრან? განა სასაცილო არ არის, რომ მაიაშვილს ფიხტეზე ელაპარაკები? საწყალი მაიაშვილი! იმას პირველად ესმის ფიხტეს, ლასალის, მარკსის სახელი! იმასაც რომ უმატებს: „სასაცილო მდგომარეობაშია მაიაშვილიო“. თქვენ, თქვენ ბოსლეველო, ბრძანდებით სასაცილო მდგომარეობაში და არა მაიაშვილი. აბა კარგათ დაფიქრდით... მაიაშვილი სკოლის, პრინციპის კაცია, იგი კითხვაზე იერიშით მივიდა, взялъ быка за рога, როგორც რუსები იტყვიან. ბოსლეველი კი, ჯაგლაგი მხედარივით, იერიშით მისვლას თავიდგან იცილებს და ბრძოლის სიმაგრეს გარშემო უვლის. საწყალი ლიტერატურული ფარვანა! თანაც რომ თავს იქებს—ჩვენ ყოველთვის ასე და ასე ვიქცევითო. რა საჭიროა თავის ქება. სახარე ხბოსა სასკორავით იცნობენო, გლეხური ანდაზაა. ყვე-

*) ,,დროებამ'' ამ გალანძღვისათვის ,,საკენკი'' დაუყარა ,,შრომას''. ეს ჩვენი ორიოდე სიტყვაც ,,საკენკია'' და არა სხვა რამე.

ლანი კარგათ ვხედავთ — თუ როგორ იქცევით. განმარტება მე-ტია და მარტო გაზეთში ადგილს იჭერს... თითქო მკითხველი საზოგადოების პატივის-ცემა გაქვთ!...

ჩვენ ვიცით — თუ რა დიდს მასალას ვაძლევთ ხელში უბოსლეველს, ამ მშიერ კრიტიკოსს, ვიცით ეგრეთვე, რომ ის თავისებურათ შეგვამკობს «კრიტიკულ მიმოხილვაში». სხვა რამ გვითხარით, თორემ მას ჩვენი ყური დიდი ხანია შეაჩვია ლიტერატურულ კინტოობას. —

«Еще одно кинтойское сказанье
И лѣтопись окончена твоя»!

ურბნელი.

თებერვალი.

301.19
b S31